ჯორჯოხი

„ნატურმორტი“
მხატვარი რამაზ ზაქარაძე

6 2022

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459

ჭოროხი

გამოცემის 64-ე წელი | ნოემბერი-დეკემბერი | №6 | 2022 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
იაშა თანდილავა
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჟარაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2022

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

ᲬᲠᲝᲜᲘ, ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ნიაზ ზოსიძე – მოთხრობები 3
ჯემალ სურმანიძე – ლექსები 14
ლევან ლორია – მოთხრობები 21
თამთა მუმლაძე – ლექსები 43
ლეილა ლემსაძე – ლექსები 52
დალი თედორაძე – ვარდისფერი თოვლი (ზღაპარი) 56
ანა სისვაძე – ლექსები 62
მანანა მელიქიშვილი – ლექსები 69
მამუკა ოჩიაური – ლექსები 72
ნინო როსტიაშვილი – ლექსები 75
ინგა გოგიბერიძე – ჩანახატები, ლექსი 78

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ, ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲐ

თინა შიოშვილი – სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა დავით თედორაძის შემოქმედებაში ... 81
შორენა მახაჭაძე – ნიაზ ზოსიძის შემოქმედება და „Nonfiction“ ჟანრის თავისებურებანი ... 92
– შოთა ზოიძის ლირიკული აღსარება ბათუმს 97
ელეონორა ძიგუა – ჰერმან ჰესეს – „ზიდჰარტა“ 102
ლელა დუმბაძე – კარლ გუსტავ იუნგის ერთი მოსაზრების გამო 106
ჟუჟუნა შაინიძე – სინესთეზურ-კონცეპტუალური მეტაფორა
მზია სალვარიძის ლექსში „მაჭახელას ფუტკარო“ 108

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ოთარ გოგოლიშვილი – რუსული კოლონიური ხელისუფლების დამყარება აჭარაში 112

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

როინ აბუსელიძე – მე სიყვარული წიგნებიდან და ფილმებიდან არ მისწავლია... 117



ნიაზ ზოსიძე

გამორჩეული ნიჭის მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ნიაზ ზოსიძეს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

ნიაზ ზოსიძე ის იშვიათი მწერალთაგანია, რომელსაც შემოქმედის უტყუარი ალღოთი, ბასრი ხედვითა და ზნეობრიობის მაღალი ხარისხით შეუძლია უკვე ჩვეულებრივად ქცეულ საგნებში თუ მათ არსში არსებული ჩვეულებრივი ადამიანის თვალთაგან შეუმჩნეველი არაჩვეულებრიობა შენიშნოს, აღმოჩენილში სრულიად ახალი აღმოაჩინოს და სუფთა ფურცელზე გადატანით ისე მიაწოდოს მკითხველს, ახლადშობილად და პირველქმნილად რომ განაცდევინოს.

დღის სინათლესავით ნათელ მწერალსა და მართალ კაცს ვულოცავთ ღირსეულ თარიღს და ვუსურვებთ შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი
კავშირის აჭარის ორგანიზაცია
აჭარის მწერალთა სახლი
ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია

შენს დაღლილ გულს, ვენაცვალე!..

ლექციის დაწყებამდე სტუდენტ გოგონამ ძველებური კონვერტი გადმომცა, სოფლიდან გამომატანესო... საღამოს გავხსენი...

– გამარჯობა, მე მზეო ვარ. ხომ მიცანი, მთა კატრიანზე ერთად რომ ვიყავით?..

ნელ-ნელა სული მოვითქვი, ძალა მოვიკრიბე, კარი გამოვაღე და აივანზე გავედი...

– ბოლოში რომ ჩახვალ, მიხვდები, ამ ნაჩხლაკნს დახვეწილობა და სილამაზე აკლია, მარა არა უშავს... ამას წინათ, შენი წიგნი ჩამივარდა ხელში „თან მეცინება, თან მეტირება...“ რომ დაგირქმევია სახელი, ბევრი ადგილი და ბევრი ამბავი მეცნაურა... გავბედე წერილის მოწერა... გარინდულია სოფელი, სითბოდაკლებული მზე უხალისოდ ანათებს... სახლში, ღუმელზე, სიმინდიანი ქვაბი ქოთქოთებს... მალე უნდა მოვამთავრო წერა, თვარა, აფუებული ცომი სადაცაა გობიდან გადმოვა... ვერ ვარ კარგად, დავჩაჩუნობ ამ მიყრუებულ და ნაცრისფერ სოფელში, დაიცალა აქაურობა, აქა-იქ ყივიან მამლები, ხუთი წელია რაც ჩემი ქმარი დაიხარჯა, შვილი და შვილიშვილები მე მელოდებიან, ბარში რომ გადმობარგდნენ. შარშან ექიმებმა მარჯვენა მკლავი მომაჭრეს... გამოვსულელდი, რაებს გიყვები. შენი ამბები ამომდის სოფელში, ცნობილი კაცი ხარ და მიხარია...

...რაფერ უჩუმრად, უჩინრად და უსიტყვოდ დამეკარგე... ჩემს თავზე მეცინება, სადაც მზისგან დახრუკულ და თმახუჭუჭა ბიჭს დავინახავ, შენ მახსენდები... მახსენდება სპიჩკის ყუთით კევი რომ მაჩუქე... მახსენდება, თივაში რომ შევიხუზნეთ და ერთმანეთის სუნთქვა გვესმოდა... მახსენდება, ხავსიანი ქვები რომ დავასველეთ და იმ ჟანგისფერი სითხით ერთმანეთის სახელები დავიწერეთ – შენ გულის მხარეს, მე მარცხენა მკერდქვეშ... მახსენდება, ნენეი რომ მიჯავრდებოდა, ნეტაი, ვის

ეფრუნცკებიო და შენ სიცილით კვდებოდი... არ დაიჯერებ და შენ რომ კერჩხიანში ლორთქო ფოთოლი მაჩუქე, ჯერაც შენახული მაქვს... შენი დაწნული ათასნაირი ყვავილის გვირგვინით მეცხრე ცაზე დავფრინავდი... თვალწინ მიდგას ადიდებული წყალი, მესმის ღელის ბუხუნი, გაღმა ნაპირზე შენ და ორი გალუმპული ცხვარი იდექით და აქეთ მთელი იაილა, წვიმა რომ ჩადგა, შეშინებული გადმოგიყვანეს გადმოღმა, რამდენი ვიტირე მაშინ... ბარიდან რომ ამოხვედი და ნაირ-ნაირი კანფეტები, სახატავი რვეული და ფერადი ფანქრები ამომიტანე, არ მავიწყდება...

შევიტყვე, გულმტკივანობსო, შენს დაღლილ-დაქანცულ გულს, ვენაცვალე! არ შეგეშინდეს, სხვამ რომ არა, ჩემი ლოცვა გიშველის...

მელანია

მელანია გამახსენდა, კესანესთვალებიანი მელანია და მისი ქმარი დავითი... მელანია წყაროს თავზე, მუხის ძირში, დავითი დაბლა, საბალავრე ქვასთან... შუაში იმათი დანახშირებულ-მხრჩოლავი სახლის ნარჩენები...

ცხოვრების გაწამაწიით გამოჯეკილები სოფლის განაპირას ცხოვრობდნენ...

...თამარ დედოფალივით გოგო მოიყვანა დავითმაო, ხმა გავარდა სოფელში... მელანია თავისი ფეხით მისულა დავითის სახლშიო... კი, მართლა თავისი ფეხით მისულა მელანია... დავითს რომ დაუნახავს, აივნიდან გადმომხტარა, თვალები მოუკოცნია, ხელში აუტაცნია, კარი მუხლებით შეუღია და შუაცეცხლთან დაუყენებია... დიბა-ატლასითა და ხალიჩებით მორთული სრა-სასახლე არ ჰქონია დავითს, მაგრამ მელანია მაინც მას შეყუდრებია... აივანზე, ყვავილებიან ჩითის პერანგში იდგა მელანია და ყანაში მობუღრავე დავითს გადასცქეროდა... მდუღარე მჭადის და ჭყინტი ყველის სუნი იდგა სახლში...

...დიდი ცოდვა დატრიალდა დავითის და მელანიას თავს... მათი ბუდე-ბუჯერი დანაცრდაო, უკივლია სოფელს... აუარებელი ხალხი მოაწყდა გაღმა-გამოღმიდან, ზოგმა ჩამოიდაღმართა, ზოგმაც ამოიაღმართა...

ენა ვერ იტყვის იმათ სიმწარეს. ხელები უცახცახებდა, ცხარე ცრემლით, მისუსტებული ხმით ტიროდა და ლოცულობდა სიცოცხლის ნიშანდაცლილი მელანია:

– გევედრები, ღმერთო, მითხარ, ღმერთო, რა დავაშავე, როდის შევცდი, სად და რას დავხარბდი? იქნებ, ახლა ჩემს გულში ჯოჯოხეთის შავზე-შავი ალი რომ ანთია, გულმოსული ვარ და გულშექანებული უხიაგობას ვამბობ, მარა რა ვქნა, შენზე ფიქრი მომაწვა გულს! მე და დავითი აკვნიდან ვეძებთ შენსკენ სავალ გზას, არასოდეს არაფერი გვითხოვია, მუხლმოყრილი სულ ამას ვსლუკუნებდით, შეგვინდე და გვაპატიე ჩვენი ცოდვები-თქვა, ახლაც ისევ სიმშვიდეს გეაჯები, მაპატიე, რომ საყვედური წამომცდა, გმადლობ, რომ დაგვარჩინე, გმადლობ, რომ ჩემს სხეულში პირმშოს სუნთქვას, სხმარტალს ვგრძნობ... მაპატიე, გამჩენელო, ყბედი სხვაც და ჩემი თავიც მეჯავრება!..

გაფითრებული, ძარღვებდაბერილი დავითი დაქცეულ-დანაცრულს ცრემლით ნამავდა, ნიკაპი უთრთოდა, სახეს ჩოხის კალთით იწმენდდა... ენა ლოდივით დამძიმებოდა, გაურკვევლად ლუღლუღებდა... მელანიამ თვალი ღობეში გააძვრინა. ხალიჩასავით გადაშლილ მინდორზე სახლში გაკრეფილი და უკანმობრუნებული, გულგაყინული თანასოფლელები გამოჩნდნენ... თვალები ღიმილის შუქმა გადაუნათა. დავითმა ენის ბორძიკით ამოღერღა: თქვენს მუხლებს ვენაცვალე! ძმობის მომრევი ძალა არ არსებობს ქვეყნიერებაზე!

...გზის ნაპირ-ნაპირ სანთელივით ანთებული და გულმხურვალე, შავ და თეთრლეჩაქიანი ქალების მწკრივი მოიკლაკნებოდა – აკვნით, სკივრით, ფარდა-ფარდაგებით, მატყლით, ძაფით, ღაზლის წინდებით, თეფშებით, კაბა-ფეშტემლით, ლეჩაქ-თავშლით, სარტყლით, ჭურჭლით, საჩეჩელით, ხერტლით, ქვაბით, კასრულით, კვერცხით, ყველით, ნადუღით, ერბოთი, ქათმით...

...უკან, კისერმოღერებულ ბიჭებს ბუღა მოჰყავდათ...

სულ უკან, ხმაგაუღებელი კაცები მოალაჯებდნენ და მოჰქონდათ: თივა, სიმინდი, ფქვილი, ლობიო, კარტოფილი, სუფრა, ხალიჩა, ჯორკო, ნაჯახი, წალდი, ცული, თოხი, ფიწალი... მოდენიდნენ ძროხას, ხბოს, თხას, ცხვარს...

ამის გახსენებაზე ძარღვებში სისხლმა დამიარა, ტანზე ჟრუანტელი მომედო... დღევანდელ დღესავით მახსოვს მთაზე მიკრულ სოფელში, საცოდავად მიყუჟულ ნალიაში მელანია ჩურჩულით აკვანს რომ არწევდა...

– რას ჩურჩულებ, ქალო და რას ევედრები ღვთისმშობელს? – მიეგულთბილა დავითი.

– დედაო მარიამ, იმდენი ძალა მომეც, რომ სოფელში შემოსულმა სტუმარმა ჩვენს ჭურ-მარანზე შეყოვნდეს-თქვა...

აკვანში ლოყებშეფაკლული ჩვილი ჟღურტულებდა, ჟღურტულებდა, ჟღურტულებდა... ენას არ აჩერებდა...

თამადამ ჭიქა ასწია: ჩვილს მონათვლა უნდა, მეფე-პატარძალს თავზე გვირგვინი, სასიკვდილოდ გახაზირებულს ზიარება, მიცვალებულს გაპატიოსნება, ცოცხალ კაცს ყავარჯნად შედგომა... ღმერთით, ერთი თვის თავზე ორთვალიან სახლში დაგლოცავთ! – ჭიქა დაცალა, ცერზე დაიწრიტა, მუჭაში ჩაახველა და სიმღერა წამოიწყო, ბანი რომ აყვა, ოთახში ვეღარ დაეტია, გასაძვრომი ხვრელი მონახა და გარეთ გამოხეთქა...

წკვარამ, კუნაპეტ ღამეში თავის მარადიულ გზა-სავალზე მთვარე ზოზინით გამოგორდა...

* * *

მიწიდან ამობურცულ კაკლის ფესვებზე ვზივართ, ვინ რას ჰყვება, ვინ ვის ლოცავს, ვინ ვის ჭორავს, ვინ ვის ჭკუას ასწავლის, ვინ ვის რას ეკითხება და რას სთხოვს... მე უფრო ყელზე მგლის კბილის ავგაროზშებმულ დაროს ვუსმენ:

– ძველი ამბავია, მარა დღევანდელ დღესავით მახსოვს, ზუსტად ამ ადგილზე ვიჯექი, ცის კარი რომ გაიხსნა და იქიდან კიბე ჩამოცურდა, საფეხურებს ანგელოზები ჩამოჰყვნენ, გვერდით ჩამიარეს, ერთმა მანიშნა, წამო ჩვენთან, დაბლა ტბაში ღმერთები ბანაობენო. ვერაფერი ვუპასუხე, ტუჩები ამიცახცახდა, სიტყვა-სიტყვაზე ვერ გადავაბი...

– რას ბჟუტურობ, დარო, შე არდასარჩენო, თუ იცი?

– ნუ გეშინია, გაიანე, მიწის ზევით არ ვრჩები, შენი წყევლა-ანჩხლობა რაღად მინდა? რად დამადგი კბილი? ცოტა დეიმოკლე მაი გესლიანი ენა! გოგო, ვერ ხედავ, ყუნწშემხმარ ფოთოლივით ვარ, ძლივს ბჟუტავს ჩემი ვარსკვლავი... ტბაში ღმერთები ჩემი თვალით რომ არ დამენახა, განა ვიტყოდი!

– რა ღმერთები? ღმერთი ერთია, დარო! – ცისფერი თვალები შეაშუქა გაიანემ.

– ადრე ბევრი ღმერთი იყო, გაიანე, ცას, მიწას, ზღვას, ტყეს, სიყვარულს, ყველას და ყველაფერს თავისი ღმერთი ჰყავდა, ის ღმერთები დავინახე ერთად! შენ ის თქვი, რავაა შენი საქმე, მიჰყვები იმ ბიჭს, მოახერხა შენი გულის მონუსხვა?

გაიანემ თავის გადაქნევით ნაწნავები უკან გაადაიყარა, თვალები ააბრიალა, გეგონებოდა თვალებში ნაკვერჩხალი აქვსო.

– მაი შენი მოწონებული ზაური კაი ხანია გადამივარდა გულიდან. სხვებიც შენსავით მიჩიჩინებ-დნენ, კია დაგვაჯული, მარა მდიდარია, განცხრომაში იქნებიო. არ იყო ჩემი სარგო ეგ ოხერი, ისეთი ზარმაცი გამოდგა, საკუთარი ტანის ზიდვა ეზედმეტებოდა. ვთქვი, ქვეყნის სამასხროდ რატომ გავი-ხადო თავი-თქვა და შევუთვალე, შენთან დაწოლას მუგუზალთან დავწვე, მირჩევნია-მეთქი. ცას ბზა-რავდა იმის ღრიალი, მარა გულში ვთქვი, გავა დრო და დამივიწყებს-თქო, გაჭირვებაში ვიყო მირჩევ-ნია, ვიდრე მაგისთანა მკერდზე მყავდეს დამხობილი, თუ არა და, მოვკვდები და მოვისვენებ-მეთქი...

– აბა თითზე რომ ბეჭედი გიბრწყინავს, იმის ნაჩუქარი არ არის?

– მე, დარო, აშოლტილ კისერზე ვეშაპის ეშვის ნაფცქვენიც მკიდია, თვალი რომ არ მეცეს და მა-რცხენა ძუძუს ქვეშ „ნ“ მაწერია, მარა კი არ ვაპირებ საუჩუმათო საქმეების გამომზეურებას!.. „იმის სული, ჩემი სული ჯაჭვით არის გადაბმული“, – სიმღერა ააწკრიალა გაიანემ...

– გაჩერდით, დღეგასაქრობები, ნუღარ ასარსალებთ ენას, საწყალი მამია მოიკვარჩხება აქეთ, კბილები არ დაანახოთ! – ნათქვამს თან გული ამოატანა ასიემ.

საბიჯგი ჯოხით მოვიდა ფეხათრეული მამია, მძიმედ ხვნეშოდა...

მარტო კაცია მამია, გაცვეთილ-გალეული, ჯანგატეხილი, ღილის დამკერებელიც რომ არავინ აღარ ჰყავს...

...გულის სიღრმიდან ამოხეთქილ ლოცვებს ბუბუნებდა, როცა უმახარობლეს, ბიჭი შეგეძინაო! სამჯერ გააქუხა თოფი... შუაღამისას ბიჭი დაიბადა, დედამ კი გამთენიოს სული დალია... დუდანას მკერდზე მალი-მალ ყურს ადებდა მამია, იქნებ ცოცხალია, იქნებ, ღმერთმა გადმომხედაო... რამდე-ნიმე საათს ეჭირა გაციებული დუდანას დამჭკნარი მაჯა...

...მას შემდეგ შავები არ გაუხდია... ყოველ კვირას დუდანას იდაყვებშემოცვეთილ, მოსირმულ, პეპლ-ებიან კაბას აივანზე გამოაფრიალებდა ხოლმე... სიმწრით გაზარდა გიორგი, კლდის ნაგლეჯივით ბიჭი დააყენა. უწიგნოდ დარჩა, მაგრამ ხელიდან ოქროს გამოადნობდა, ცარიელ ქვაზე დაირჩენდა თავს... გეგონება, ღვთის პირით ლაპარაკობს ეს სიყვარულით გულატოკებულიო, ამბობდნენ სოფელში...

...ბედისწერას ვერავინ დაემალებაო და მამიას ისევ უმტყუნა იღბალმა... გიორგი თურქეთ-საქა-რთველოს მორღვეულ საზღვართან კონტრაბანდისტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს...

ველური ხმით იბღავლა, სიმწრით დაიკლაკნა მამია... კბილებით ამოფლეთდა გულს გადამთიე-ლებს... ჯერ თავის ჩამოხრჩობა მოუნდა, მაგრამ მერე სხვა ზრახვა ამოიბეჭდა გულში... ამოიბეჭდა და... შავშეთში ტყე-ტყე, უფეხმავლო ბილიკებით დაადგა თავზე გიორგის მკვლელებს... პირუტყვუ-ლად აღმუვლებულმა ერთს თვალები დასთხარა, მეორეს ყურები დააჭრა, მესამეს ენა ამოგლიჯა... ძვალგატეხილი და თვალჩასისხლიანებული დაბრუნდა ვაშლოვანში... სამუდამოდ დილეგში ყოფნა მიუსაჯეს თურქებმა...

– მადლობა, მამია ბაბუა, რომ გვიკადრე და ჩვენთან ჩამოჯექ, სული მოითქვიო, – ქალებმა.

– ვიცი, გეცოდებით, მეზობლებო, მადლობა, მარა არ ვარ მთლად შესაცოდი, მკვლელი მქვია მაინც, იმ დუნიას წკვარამია გახაზირებული ჩემთვის. თქვენ გგონიათ ჯოჯოხეთის მეშინია?! არა! მე უფრო ათასი ჩათლახი რომ დამხვდება იქ, იმათი ყურება შემშლის!.. ჩემი დღე და მოსწრება შრო-მაში-ჯაფაში და გარჯილობაში ვარ, ღამ-ღამობით ვტირი, დღისით ვმუშაობ, მარა მაინც ხმამაღლა ვბღავი, უსწავლელი და ნასწავლი, სულელი და ჭკუით გატენილი, ყველა მიწის კერძები ვართ, აქა-ურებს გვევალება უსამართლობა წელში გავტეხოთ!

მამიას ჩაღამებულ თვალებში სევდაც, შეუპოვრობაც, შეუდრეკლობაც გამოსჭვიოდა... კიდ-ევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ენა წაებორძიკა... ნელ-ნელა წამოდგა, თოვლით თავშევერ-ცხლილ მთებს გახედა და სახლისკენ წაბანცალდა...

დაბლა, თხმელების ბოლოს წისქვილი რახუნობდა... ცაზე გათოშილი ვარსკვლავები კანკალებ-დნენ...

* * *

ხავსიან ლოდზე ვზივარ, წყლის შხეფები მწინწკლავს, ანკესი მდინარეში მაქვს ჩაშვებული, თვალებმოჭუტული წყლის ზედაპირს ჩავშტერებივარ. თმაგათეთრებული მამა გამახსენდა, უფრო სწორად, თვალწინ დამიდგა. ჟრუანტელდავლილი ვუსმენ:

– ეე, შვილო, მაღლა, ჩქრიალა წყაროსთან, ჩითისკაბებიანი ტყემლების გვერდით იდგა ჩვენი სახლი, სახლი კი არა, უფრო ქოხი. ალაგ-ალაგ წვიმა და თოვლი ატანდა, ძალიან გვიჭირდა, კეჟერა ფხალი იყო ჩვენი სიმდიდრე. სამაგიეროდ, ცეცხლს მიფიცხებული ჭადის სურნელი ტრიალებდა... წლინახევრის ვიყავ დედაჩემისთვის კარი რომ ჩაუკეტიათ, სახლში არ შემოუშვიათ, საიდანაც მოშავდი, იქ წაშავდი, არ ხარ ჩვენი საკადრისიო!..

...მაშინ ჩვენი ძველების სიავეზე მთელი სოფელი ლაპარაკობდა... ფადო, ჩემი სულგანათლებული და თორმეტი წლის ყოფილა... მის მონაყოლს გავიხსენებ:

– სანთელივით ყვითელი თითებით გარედან კარებს ეჯაჯგურებოდა გალუმპული, აკანკალებული, გაცეცხლებული დედა და აცახცახებული გაჰკიოდა, შვილები გამატანეთ, უმაგათოდ ფეხს არ გავადგამ აქიდან, წყალში გადავვარდებიო!.. შინიდან კარებს თავს ვურტყამდი მეც, დედასთან მინდა, შემოუშვით, დედა გამეყინება, მეც მასთან ერთად გადავხტები ღელეში!.. შენ აკვანში ჩხაოდიო...

ჰოდა, შვილო, დავრჩით მე და ფადო აქეთობას... თავისიანებს წაუყვანიათ დედა... სამარიდან ამოღებულს ჰგავდაო... საბუდარს მოწყვეტილი გული ჰა და ჰა გაუჩერდებოდაო...

ვერა და ვერ მოიჯერა ტირილით გული... ჩემს და ფადოს ლოდინში თვალი ამოეშრიტა, გული დაეღალა... იჯდა ფანჯარასთან ხელმოჩრდილული, მოქანცული თვალებით, გამოსცქეროდა ჩვენი სახლისკენ... შიშით და სირცხვილით გარეთ ვერ გამოდიოდა... თვალში გამოუხედავი სოფელი ქოქოლას აყრიდა: მაგ გარეცხილმა სჯობს ქერძაფი დალიოს, კარგი რომ ყოფილიყო, ვინ გამოაგდებდაო... ფანჯრის მინაზე ყურმიდებულს, გული გადალევას ჰქონდა, სახლში ჯდომაში თვალები ფუტმა ამოჭამა... ენის ლოკვით რკინას გავადნობ, ოღონდ შვილები დამანახეთო, მაგრამ არავინ არ უსმენდა ჩემს ნუშისთვალება დედიკოს...

ფადომ მეზობლის პირით შეუთვალა, სოფლის ბოლოს, ღობის გასწვრივ, ნაძვზე თეთრ ლაჩაქს რომ დაინახავ, იცოდე მე და კობა იქ ვიქნებითო...

უჩუმრად, გულამოვარდნილი, ქანცგაცლილი, თვალცრემლიანი გარბოდა ფადო... მე დის კისერზე შემოხვეული ვფხარკალებდი და ვჩხაოდი... დამთავრდა უღრანი ტყე... ღობეს გავყევით, მახსოვს სარზე ჩამოცმული ცხენის გამხმარი თავი... შიშით დაფეთებული თვალები მახსოვს დედაჩემის... ახლაც მესმის მისი გულისფეთქვა... ნამტირალევი თვალები რომ დამიკოცნა ის მახსოვს და ძუძუებზე რომ მივეძაგრე... და... შემოძახილი: „გზის ნაპირ-ნაპირ იარეთ, დედი!“... და... თვალებით ზურგს რომ მიხვრეტდა...

დედის ძუძუ რომ მომინდებოდა, ისევ ვჩხაოდი... ვჩუმდებოდი ფადოს დანახვაზე... ისევ ნამალევად მირბოდა ფადო სანისლიას ბოლოს და აღარ ვჩხაოდი მე...

მერე ჩემი მერცხალა, თვალმახარა ფადო ვიღაც შავშელ ცხენიან კაცს გააყოლეს... ტანში ჟრჟოლა მივლის ყელგამოწვდილ და ზეცისკენ თვალებაპყრობილ ფადოს გახსენებაზე, მამას ეხვეწებოდა, ჩემი ძმაც გამატანეთ, უმაგისოდ მოვკვდებიო...

მეც გავიზარდე უბედობით დაწიხლული და ბედდამწვარი...

დედა აფხაზეთში გაათხოვეს.

ორი დღე-ღამე გულდამჭკნარი ვიდექ მდინარე ბზიფის ახლოს დედის საფლავთან. აფხაზმა ქალმა მუჭში თვალმარგალიტიანი ჯვარი ჩამიდო, დედაშენის ნაქონია, გამოჩენის ეშინოდაო, ჯიბეში ქაღალდი ჩამიკუჭა, სახლში წაიკითხეო...

შვილო, შენ რომ ლოდზე ზიხარ, ეე, მაგ ქვაზე დავჯექი და წავიკითხე დედის ცხელცრემლიანი ბარათი. ეს იყო ერთგვარი ფიციც, აღსარებაც, მუდარაც და ლოცვაც:

„ამ წერილს რომ წაიკითხავ, ვიცი შენი თვალიც აცრემლდება, შვილო, სიკვდილის სუნი მცემს, შვილო, დარდმა შემიჭამა გული, ბევრი ნაღველ-ვარამი შემხვდა, მეტს ვეღარ გავუძლებ, აქამდე იმიტომ მოვჩანჩალდი რომ შენი და ფადოს ამბავი მსმენოდა. კი მითხრეს, აგერ ახლა გათხოვდა შენი ფადო და დავაჟკაცდა შენი ბიჭიო... ბევრჯერ ვხედავდი ბზიფის ფსკერზე ჩემს თავს, ყულფსაც ვხედავდი, მარა შენ და ფადო მაჩერებდით... ბევრის თქმა მინდოდა, მარა აღარ შემიძლია, შვილო, იცოდე, კისერზე სიკვდილის ცელიც რომ დაგადონ, მაინც ნამუსიანი ლუკმა-პური ჭამე, შვილო! სოფელ-ქვეყნის თვალგასახარი ბიჭი უნდა გაიზარდო, იცოდე! იქაც კი, იმ წკვარამში, შენს ღიმილზე შუბლი გამეხსნება, შვილო!“...

. . . . . .

თავზე მღვრიე შხეფი გადამევლო, მამის სახეც გაქრა და მისი იდუმალი ხმაც... ამასობაში ანკესი აკანკალდა, მსწრაფლ ჩემსკენ მოვქაჩე და ზევით ამოვიქნიე. ზურგს უკან, ბალახებში დაწინწკლული კალმახი აფართქალდა... კალმახის სისხლის წვეთებს ჰგავდა ბარდებში ასკილის კაკლებიც...

სიყვარულიც ყვავილივითაა...

სოფლის თავში, სახურავჩალეწილი, უკარო სახლის მორყეული კიბე სინჯვა-სინჯვით ავათავე... ნაჯახით გამოჩორკნილ, ხისმუთაქიან ტახტზე ჩამოვჯექი...

მახსოვს, სიმონ ძია იჯდა აქ და სამეზობლოს ბავშვებს ზღაპრებით გვაბრუებდა... ასე იწყებდა ზღაპარს: „იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი“, ან: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“...

ბავშვობა გამიცოცხლდა... ბაბუამ ზურგით ამომიყვანა აქ, ამ ტახტზე დამსვა, დამჭკნარ ფერიდემ ხმელი ბალახების ათასნაირი ნაყენები მასვა და ბაბუას მიაღიმილა: წაიყვანე სახლში, ხვალ ჩიტივით იქნებაო...

ხავსმოდებულ აივანზე გავედი... სოფელი ხელისგულზე დამეფინა...

პირველად ლერწამისას სახლი დავლანდე... ლერწამისა – შავი კაბით, შავი თავსაბურით, შავი წინდებით, შავი წაღებით. სამი შვილი მოიგლიჯა გულიდან და ომში გაუშვა. იმ დღიდან სოფლიდან სიმღერა, ცეკვა, სიცილი გადაირეკა. ღამეებს თეთრად ათენებდა ლერწამისა, გამჩენს ბიჭების სიცოცხლეს შესთხოვდა, ლოცულობდა, მარხულობდა, შიმშილობდა...

...გაღმა მოლზე ვასიკოს გადაფერდებული, ჩაგმანული სახლი მომხვდა თვალში, გეგონება ტირისო... არადა, ერთ დროს სიცოცხლით იყო გადავსებული, გაჩირაღდნებულ-გაღაღანებული... აივანზე გამზეურებული მუთაქები, ბალიშები, ლეიბები, საბნები, ადიალები... ვალიკოს ფანდურიანი ბიჭის შაირი: „ქალო, შენი თეთრი კაბა, წყალს მიჰქონდა მდინარესა, ნეტავი გამაგებინა, ვინ გაკოცა მძინარესა“...

მოლის მაღლა ფერდობზე „მწარე მერიემი“ ცხოვრობდა... ყურში ჩამესმის: მწარე კი არა, ყველაზე ტკბილი, გემრიელი და მარიფათიანი ქალი ვარ დედომიწაზე, ვჭრი, ვთლი, ვაპობ, ვწველი, ვრეცხავ, ვხეხავ, ვაპრიალებ, ვგვი და ვასუფთავებ გარშემო ყველაფერსო... მწარე მას შემდეგ შე-

არქვეს, ქალაქიდან დაბრუნებულ მეზობლის გოგოს წკეპლით რომ დაემუქრა: ნუ აწვალებ მაგ კაბას, ნენი, ნუ ქაჩავ! მაგას მუხლქვეით მაინც ვერ ჩამოსწევ, რომ აკერიებდი, იქ არ იყავ, თვალები სად გქონდა?!

მოპირდაპირე ფერდობზე ჯიმშერისა და გულვარდის გულითგულამდის სიყვარულით ნალოლიავები, რიკულებიანი სახლი დგას... გულვარდი ზურგზე შალმოხურული, ფიქრებშიწასული, გაღუებულ ნაკვერჩხალს რომ ჩასცქეროდა, იმნაირი დამამახსოვრდა... ამბობდა, სიჩუმე, სევდა და საქმე რომ არ შემიძლია ეგ გამაგიჟებს მეო, მარა მაინც სიჩუმით ვერთობიო, ვინც გულში გაივლებს ყველაზე ჭკვიანი მე ვარო, დაიმახსოვრეთ, ყველაზე სულელია ისო!.. ერთ დღესაც თეთრწინწკლებიანი შავი კაბა ჩაიცვა გულვარდმა, ჭიშკარი გადარაზა, ფანჯრები ჩაკეტა, კარი დააურდულა, ეკლესიაში შევიდა და... შერჩენილი სული ლოცვით ამოუშვა...

ფიქრებმა ლამისაა გული ამომართვას...

გაღმა, მუხებთან, კვამლი ცისკენ გველივით რომ მიიკლაკნება, იმ სახლში ახლაც მურადი და გულთამზე დაჩაჩუნობენ... ეზოში გაყურსულ, თვალმინაბულ ხბოს ძროხა შუბლს ულოკავს...

გული ამიჩვილდა იმათ სიყვარულზე...

– მურად, ბათუმში სასწავლებლად რომ ჩახვალ და ძალიან რომ მომენატრები, იცი რას ვიზამ?

– რას, გულთამზე?

– რას და, ამ თავშალს გორახევის ღელეში ჩავდებ, ხომ ჩავა რიკიხიდს? მერე ჩაცურდება ჩირუხისწყალში, გადაცურავს აჭარიწყალს, ჭოროხს, შეცურდება შავ ზღვაში, სანამ შენ არ დაინახავ, იტივტივებს, იტივტივებს, მერე წყალი გეიტაცებს და დარდანელში ჩეიყვანს, მერე აღარ ვიცი, სად...

...მდუღარე, ალმურიანი ტუჩები ჰქონდა მურადს...

სუნთქვა შეუგუბდა გულთამზეს...

ფირდოსას გაუგონია ამათი ჟღურტული, თავს წასდგომია:

– რა სულელები ხართ, რაის ბათუმი, რაის თავშალი? ნუ გრცხვენიათ, წამოით ჩემთან, დაგტევთ სახლში მარტვაი, დაწექით ერთად, გალოკეთ ერთმანეთი და კოცნით ამოხადეთ სული ერთმანეთს, გახდით ცოლ-ქმარი და მერე ქვა გიხლიათ თავში! ჰე, ადექით ახლა და გამომყევით!..

...იმ ღამით კიდევ ერთმა სიყვარულმა და ოჯახმა დაისაძირკვლა ცისქვეშ...

გულთამზეს ნათქვამი გამახსენდა:

– აგერ, ჩვენს ეზოში ეს ყვავილები არავის დაუთესია, მიწიდან თავადვე ამოძვრნენ, გაიღიმეს, აიქოჩრნენ, გაყვავილდნენ, სიყვარულიც ასეა...

ჩავალ ახლა იმ ყვავილებიან ეზოში, იქიდან დანახულს ცალკე მოგიყვებით...

* * *

– ეე, გაღმა, წიფლებს ზევით, კლდეზე ჩრდილს ხედავთ? მერიემ ხანუმია ეგ ჩრდილი, მალე გადით, მიუსწარით, თვარა გადაბრუნდება და მოკვდება... ქვაც კი ატირდება მაგის მონაყოლზე...

მე და ჩემი მეგობარი ქვევით დავეშვით, მერმე კლდისკენ, აღმართს ავუყევით... ბდღვიალა, ჩახჩახა მზისგან მოკრუნჩხულები, სულმიხდილები და თვალგამოღამებულები მივუახლივდით მერიემს...

ცხელი კლდე... თალხკაბიანი დედაბერი, წარბშეკრული და ჩაფიქრებული... ტკივილით და მწუხარებით გულშეძრული... აკანკალებული მხრები... ღრმა, მწვანე თვალები... თვალისძირებთან შესეული ნაოჭები...

მერიემი ნაღვლიანი მზერით მოტრიალდა და თურქულად რაღაც გვითხრა...

– მერიემ ნენი, თურქული არ გვესმის, ჩვენ გურჯები ვართ, აქ, შორეულ თურქეთში, ბათუმიდან ჩამოვედით, სოფელ-სოფელ დავდივართ და შენნაირ გურჯებს ვეძებთ...

– ვინ ხართ? რა თქვით, ბათუმიდანო?

– ხო, ნენი, ბათუმიდან ვართ, გაღმა სოფელში შენზე გვითხრეს, მაგის უნახავი სინოპიდან არ წახვიდეთო...

– მოით აგერ, აქ დიმიჯექით, კარქათ დიგინახოთ, რაფერები ხართ გურჯისტანის გურჯები? რაფერ მომაგენით, მე ამ სოფლის გარდა სხვაგან ფეხი არ მაქ გადგმული, აქ ვუძალიანდები სიბერეს და სიკტილს, აქ ამომივა სული პირიდან, არ ყოფილა სიკტილი რომ მეგონა იმფერი ადვილი. ბოლოხანს მაგის შიში გიმიჯდა ძვალ-რბილში. ვზივარ ამ ქვაზე, ძვლებს ვათბობ და თან ზოვლი მინდა სიკტილსაც და სიცოცხლესაც თვალები გუუსწორო!

– მერიემ ნენი, გაღმა გვითხრეს, ტკივილიანი ისტორია გქონიათ...

– კი, წორე უთქმიან, გითხრათ ხომ? ჩემი გურჯიჯა გესმით, თუ?

– კი, გვესმის, მერიემ ნენი.

– ჩემი წინაები ბათუმთან ახლო ცხოვრებულან. მუჰაჯირობიხან ჩემიანებ აქეთ ფეხი არ უქნიან, გურჯისტან დარჩენილან... დედეი იტყოდა, საზღვარი რომ გაჭიმულა, ბევრი ხისიმები, ემიაშვილები გათიშულან იქით-აქეთ, უტირიან, უყვირიან, შვაზე რატომ გაგვწყვიტეთო?! მარა ვინ უსმენდა ამათ ტირილს! აქედან-იქით, იქიდან-აქეთ თვალის გაპარებაც არ შეიძლებოდაო, ხანჯერ ერთმანებ სიმღერით გავაგონებდითო... დიდი სოფლიო ომი რომ იყო პირველად, მაშინ, მეგემ, აჭარამ ძალვან იზარალაო... ხან თურქი ცემდა აჭარელს, ხან რუსიო... რუსი რომ წასულა, თურქმა ყიაში წაავლო ხელი, რუსებ რატომ დუუდექით ფხარშიო, მემრე რუსები მობრუნდნენ, თურქი გააქციეს, ახლა იმათმა გააწვალეს, თურქს რატომ მიეხმარეო. საწყალ აჭარელს ორივე ჯლაგნიდა და მოღალატეს უძახდა... ორივემ გადაწვა და გადაბუგა... ჩემ დედეს იმ დროს, მეგემ, სული ყიაში ამოსვლია და სამი რუსის ჯარისკაცითვინ მუცელში გამუუსმია დანა. იმ ღამე თურქეთ გამოქცევლა. მის ქალ უთქმია, მეც წიმიყვაი, შენთან ერთად ჯერნებშიც ვიქნებიო, მარა ქალი არ წამუუყვანია... აქ გამოცხოვრებულა, სახლი ააშენა, ტყეში ყანა შამოღობა, ცეცხლი გააჩაღა, ჭადი გამუაცხო, ძროხა დააბა, რძე აადუღა, ქალი მეიყვანა, იმის ნამრავლი ვართ ჩვენ... აქაც ბელა უნახია, ერთმა კუდიანმა გედეეკიდა, მოსვენება არ მიცა, შენი ყანა ჩემია, შენი წყალიცო, ბევრი ითმინა დედემ, ითმინა, ითმინა, ბოლოს ჩუუჯდა სოფლიბოლოს ტყეში, თოფის სასროლ მენძილზე, ბრაგდა მიცა ტყვია, მარა გაასტრო იმ კუდიანმა, გამეესხრიკა დედეი... ცაცხვი ძირში უნახიან ის კუდიანი მიმხჩვალი, დედეი კი, იმ დღიდან აღარ უნახიან, ოცდათერთმეტში გაქცევლა და გურჯისტან გადაპარულა...

ჩემი ბაბაი პაწაი დარჩენილა, უმამოდ გეიზარდა, სულ ტიროდა, ზოვლი კაი ბაბაი მყავდაო... მახსოვს, ძველ სახლში ღოჯეზე დედეს დიდი სურათი ქონდა ჩამოკიდული, იტყოდა, აქა ყელემით წერიაო: „დაკარგული საქართველო...“. იქ შავ წერტილებზე რაც ეწერა, ღარჭებ ზეპირად გვასტავლა, გევხსენებ ღმერთით: შავშეთი, ლაზეთი, ტაო კლარჯეთი, სპერი, კოლა, არტაანი, ნიგალი, ჩრდილი, ბორჩალო, ლორე, ჰერეთი, ქლუხორი, დვალათი, ჯიქეთი... ამათ რომ ჩამოთლიდა, დედეს თვალებზე ცრემლი მოდიოდა...

ჰად არი, ე, ადგილები? გურჯისტანის აღარ არი?

მემრე, შვილებო, ჩემი ბაბას სიყვარულიც უბედურათ დიმიმთავრდა... იმ მოკლული კუდიანის გველის ჭუჭულებმა მომიკლეს ჩემი დაშაქრული და ტკიბილი ბაბაი... სხვა რა გითხრათ, წაით ახლა, გამჩენელმა წყალივით სულ წინ გარუნიონ! ნელა, ფრთხილად იარეთ, ხევში არ გედეიჩეხოთ!

დაბლა დავეშვით. მე და ზაზა სახელდახელო ხიდზე ხელჩაკიდებულნი გავდივართ, ვცდილობთ ერთმანეთი გავამაგროთ, წონასწორობა შევინარჩუნოთ, მორი არ გადაგვიბრუნდეს... თვალწინ მდინარიდან ამოსრიალებულმა კალმახმა გაითქაფუნა... მაღლა, კლდეზე ჯერ კიდევ ვლანდავთ ზეაწეულ, აკანკალებულ ხელს...

სიკვდილი მუდამჟამიერია, ნენი...

– მოიგე? გამდიდრდი? ნუ გადაირევი და ნუ გახარბდები, ნენი, გაჭირვებული გახსოვდეს, იმათ წააშველე ხელი!

– ფული მაშოვნინა და პირველი შენ მოგხედავ, შენ დაგაყენებ ფეხზე, ბებო!

– ეჰჰ, რა დროს ჩემი ფეხზე დაყენებაა, ნენი! ასაკი რომ წელში მოგკაკვავს, ექიმი გიშველის?!

– ისე, მაგის დედა ვატირე! სიკვდილი რაღა ჯანდაბაა ბებო? მაგასა არ სჯობდა სხვა პლანეტაზე გადაასახლება დაეწესებინა გამჩენელს?!

– ეს რა გეიგონა ჩემმა ყურებმა! არსად არ თქვა მაგისთანა სისულელე, გინებას ნუ მიაჩვევ ენას, ნენი, სიყვარული ჩეიბეჭდე გულში!

– ყოველწამიერად სიკვდილი რომ გადგას თავზე, სიყვარული რაღა საჭიროა, ბებო?

– შენ, ნენი, ნამეტანი მალე მოგინდა ადვილად სიარული და ცხოვრებით ტკბობა, არაა კაი მაგი, ჰა და ჰა სკოლას მორჩები, ჯერ ცხოვრებაზე ფიქრია საჭირო და ტვინის განძრევა! ახლა რა ქენი იცი? მაგ სალაზღანდარო ენას კბილი დააჭირე! წაი, საქონელი მოდენე, გაწვიმებას აპირებს!

– წავედი აბა, ბებო, ჩემი იმედი გქონდეს ჩემო გულისთქმავ, ხომ იცი, ერთი მუშტით შემიძლია ამ ღრუბლების გარეკვა! რომ დავბრუნდები, თავი მტკივა, მუხლი მტკივა, წელი მტკივაო, არ გამაგონო! – ხვეწნით კინაღამ ყელი გამოიბდღვნა ემზარიმ.

ბებია ცრემლების ყლაპვით, თვალებდაწკურული მისჩერებოდა ნისლიან გზაწვრილზე ცეკვა-ცეკვით გაკუნტრუშებულ შვილიშვილს... კანკალი თანდათან შეუნელდა, ჰაერი მეძებარივით მოყნოსა და შვილიშვილს სიტყვა დაადევნა: გულ-მუცელი სიგარეტით არ ამეიხრუკო!!!

გაავებული თვალით უმზერდა შინმობრუნებულ ემზარს ბებია:

– სა ხარ ამდენი ხანია, სა მოუსვლელში? ფუჭია შენზე „ნატაციების“ კითხვა! რას იგრიხვი და იმანჭები, გააგდე მაი სიგარეტი! ყური ახლო მოსწიე და კარგად გეიგონე, ისმიანა იყო წაღან მოსული, ვითომ საქმეზე, თვალით შენ გეძებდა. იცოდე, დღეის ამასიქით, ხანდახან ერთი-ორი პეშვი ღიმილი შეაფრქვიე იმ გასაზრდელს, თვარა, გიგიტეხავ თავს! გამომართვი ახლა ეს სამაჯური, წეიღე და შეაბი მაჯაზე იმ დალოცვილს. სუ, ხმა არ გამცე! კიდო რა დეიმახსოვრე იცი? ქალაქზე ფიქრი ტვინიდან ამეიგდე! აქ, ამ ღელე-ღურდანში შეაკვდით სიყვარულში შენ და ისმიანა!

– კაი, ბებო, შენი ხათრით დავიმდაბლებ თავს და მივართმევ ისმიანას მაგ შენს სამაჯურს! – ძირს გულაღმა გაგორდა ჩაბჟირებული ემზარი და ფეხები ჰაერში ააფხარკალა.

– მასე, ნენი, ჰო, ნენი, დამიჯერე, არ წააგებ! შენ რომ გხედავ, იმიტომ მიყვარს ეს დუნია, თვარა, რაღა დროის ჩემი აქ ღოღიალია! სულ გახსოვდეს, ნენი, რომე სიცოცხლე წუთია, სიხარული წამია და სიკვდილი მუდამჟამიერია!..

ემზარიმ გაფშეკილი ბებია დაიღლიავა, დააბზრიალა, ჯორკოზე დასვა, ხელები, ყელი, ყურისძირები, თვალები, შუბლი დაუკოცნა და სიმღერა დასცხო: „შევარდენი გადმოფრინდა აბრეშუმის ბუდიდანა, გოგოვ, შენი სიყვარული არ ამომდის გულიდანა“...

– მომკალით ვინცხამ, ნაყლაპია აი კერაგაციებული! – ჩაცვენილი თვალები გადმოკარკლა ბებიამ.

– რა ვქნა, ბებო, ღვინის სმა და სიმღერა ჩვენმა წინაპრებმა ერთად დაიწყეს, ცოტა თუ არ გადაჰკარი, პირი თუ არ გაისველე, რა გამღერებს!..

– კი, ნენი, ხანდახან უნდა გახალისდე, მარა, მეშინია შენს დიდბაბუას არ დეემსგავსო, იმის ზნე არ გამოგყვეს, ისე მოკვდა, ხელი არ გაუნძრევია, წინაპრებმა სიმდიდრე დამიტოვეს, ერთბაშად გავმდიდრდებიო, სულ იმის ძებნაში იყო!..

ემზარი „ნენეს სამაჯურით“ აღმართს აუყვა...
ბებიას იქვე, ჯორკოზე, საკუთარ თავთან საუბარში ჩაეძინა...
მზე ზანტად მიგორავდა გაცრეცილ ღრუბლებში...

* * *

– მე რძალი მყავდა მუცლის მოსაწყვეტად, შენ რაღა გაგჭირვებია, შუქრი, რაზე ხარ მოსული? – შაოსანმა ქალმა კარები მოსულს დაუთმო.

– მე, ქალბატონო ლუთბიე, შვილმა მომიყვანა, ჩემმა სიტყვაშეუსმენელმა, ქარაფანდა ბიჭმა. ნალიაზე მიყუდებული კიბით კი ავიდა, მარა უკან ჩამოსვლისას, კიბე რაღად მინდაო, გადმოხტა და წელი გაუკავდა, გაქვავდა! ვისთან არ მყავდა, ქიძინიძეებში, ქობულეთშიც, მარა ვერ დაადგა ფეხი მიწაზე. იქნებ, ამ ასაშენებელმა გვიშვილოს! – ამოიხვნეშა შუქრიმ და ექიმბაშს შეევედრა:

– ხუთი კილომეტრი საკაცით ვატარეთ, აგერ ურემზე გვიწევს, შენი და შენი წურბელების იმედი გვაქვს, გადამირჩინე ბაღანა და მთელი ცხოვრება ყელზე ქვაშემბული ვივლი, შენი მუხლების და ხელების ჭირიმე!

– შენს კისერზე შებმული ქვა, მე რა შავ ქვად მინდა, თუ მოგირჩინე, აგერ ხალხის თვალწინ შემპირდი, რომ სიცოცხლის ბოლომდე, ყოველ წელიწადს მამალს მომიყვან, – გადაიხარხარა ექიმბაშმა და ანიშნა, წელგაკავებული შემოიყვანეთ და აგერ ტახტზე დააწვინეთო.

– რა დაგემართა, ბიჭო, რა გაწუხებს? – გაუღიმა ექიმბაშმა ტახტზე გაწვართულ სანდროს.

– არ ვიცი, ექიმო, ნალიიდან გადმოვხტი, მიწაზე დავენარცხე და იმ წუთიდან მუხლებში და წელში ძალ-ღონე გამომელია, ველარ ვგრძნობ ჩემია თუ არა! – ძლივს ამოღერღა სანდრომ, დამუჭული ხელი გახსნა და შიშველ წელზე პერანგი ჩამოიწია.

– აქ გტკივა? აქ? აქ გტკივა? აქა? – თითით მუცელზე რამდენიმე ადგილი შეუმოწმა ექიმბაშმა.

– მტკივა, ექიმო, ყველგან მტკივა!

– მთლად მოტეხილობის ამბავი არ უნდა იყოს, მოშლილ არღანივითაა ეს ტურა, ალაგ-ალაგ წურბლები უნდა დავაწყო.

– წურბლები რას მიზამენ, ექიმო?

– უვარგის სისხლს გამოგწოვენ და ბევრს თუ გაატრაკებ, ტვინზეც გამოგაბამ! შენი ხმა აღარ გავიგონო! ბაღანაო, იძახდი და ეს კაცობაშია შესული უკვე, – გადახედა ექიმბაშმა შუქრის, – იწვეს აქ, წურბლებს ვამუშავებ და მერე ვნახოთ, წაით ახლა, ზედმეტი ხალხი აქიდან!

– მოდიოდნენ და მოდიოდნენ თანასოფლელები, ნახულობდნენ, ამხნევებდნენ წელგაშეშებულს... ნელ-ნელა აღსდგა მკვდრეთით სანდრო, მობრუნდა საიქიოდან, გადაბრუნდ-გადმობრუნდა, ყურებამდე გაიცინა, მოწოლილი ნაღველ-ვარამი გულიდან გადაიყარა...

მეოთხე დღეს თავდაყირა მოფართხალე მამლით ესტუმრა შუქრი ექიმბაშს, ეს ამ წლისააო. გაუხარდა მასპინძელს, მამალი საქათმეში შეაფათქუნა და შუქრი დააიმედა, მალე ფეხზე დადგება და მთასაც დასძრავს შენი სანდროო.

– შენ გენაცვალე, ექიმო, ენა-პირში! – თვალები აუელავდა გადაღრეჭილ შუქრის.

– მე რა, ამ წურბლებით უდგას სული ჩინეთს, ინდოეთს და მთლად აღმოსავლეთს! – ექიმბაშსაც აუციმციმდა თვალები...

...ვარდისფრად უღვივოდა ლოყები და თაფლისფერი თვალები უცინოდა ექიმბაშის ერთადერთ ასულს გულსუნდას... ერთ დღესაც გულავსებულმა და გულგახალისებულმა სანდრომ გულსუნდას

თვალი გააყოლა, ხარბი მზერა თეძოებზე და ამოფარღალავებულ გულ-მკერდზე დააბჯინა... რაწამს იმის თვალებშიც და გულშიც სითბო დაიგულა, წელი მოურჩა, მაგრამ სულიერ-გულიერი ტკივილები დასჩემდა...

გულსუნდა მარლით მკერდზე წყალს რომ უსვამდა, ორთქლის ბუღი ასდიოდა სანდროს, ხელებს რომ ამოძრავებდა, ძუძუები ფრთხებოდნენ... ბიჭის გულს თბილად მოელამუნა გოგოს შემოხედვა... წყლიანი ჭიქა ტუჩთან მიუტანა გულსუნდამ, ცოტა მოასვა, თან კედლისკენ გადაიხარა და თეთრეული გაუსწორა, აღარ გადმოხრილა, ზევიდან გადაემხო სანდროს...

...და... ვნება დაიმცხრალეს...

– დარწმუნებული ვარ ამ ქვეყანას მზე კი არა, შენი თვალების შუქი ასხივებსო! – ამოიგმინა სანდრომ.

აქუჩქუჩდნენ გულსუნდას მშობლები:

– კაცო, ეტყობა, ბაღნებს შორის რაღაც გაინასკვა, რა ვქნათ, სოფლის სასაცილოდ არ შევიქნათ, რაცხა არ მომწონს იმ შენი ავადმყოფის ამბავი.

– ქალო, იმას რას აბრალებ, ძლივს ინძრევა საწყალი, სად აქვს იმდენი ძალა, ეტყობა, ჩვენი დანებდა.

– არ ვიცი მე, სანამ მაგ შენი სანდრო ხვანჯარს შეიკრავს და აქიდან მოცოცხავს, მევიფიქროთ რამე, სულაც ჩავისიძოთ აქ!

– ეგ უკვე მომწონს, ქალო, ჭკუის კიდობანი ხარ! დანარჩენი მე ვიცი, ჩვენთან უნდა დავარჩინოთ სანდრო!

ექიმბაშმა ქალიშვილს თვალები დაუბრიალა:

– მითხარ, რა მოხდა?

– ვიფიქრე, ცოტა ბაგეზე ტუჩს მივუცაცუნებ-თქვა... მერე აღარ მახსოვს, მამი!...

არაფრის არც თავში და არც ბოლოში არ იყო შუქრი. ხშირ-ხშირად აკითხავდა წელმტკივანს. მომჯობინებული შვილის დანახვაზე, სიხარულის ცრემლები სცვიოდა...

ერთჯერაც, ექიმბაშმა გამოუცხადა შუქრის:

– მალე საზიარო ბადიში გვეყოლება, თუ გინდა შვილიშვილი განახო, დათქმულ მამალს, დედალიც უნდა დაამატო!.

– შენი ქეჩაც მკარ, სულ არ მეხუმრება მე! გამატაი სახლში ბიჭი! რაც შეგპირდი, იმის მომტანი ვარ!

– კი, მარა ახლა სხვა ჭკუაზე ვარ, გოგო მომიბურჯგლა შენმა ბიჭმა!..

– მაი თუ მოხდა, შენი გოგოს ეშხიანობას დააბრალე, ჩამეირბინე, მოყვარევ, კიბეზე, მოგეხვიო უნდა მაგრად!...

...ქარი რაღაცას ბუტბუტებდა... სიცივე ქვას ხეთქავდა...

რვა ბიჭი გაზარდეს სანდრომ და გულსუნდამ: ერთი ექიმი, ორი მასწავლებელი, ერთი ტრაქტორისტი, ერთი მძღოლი, ერთი მეგარმონე, ერთი მესაფლავე და ნაბოლარა – უსაქმური, ზარმაცის ერთი...

ამ ლამაზ და გემრიელ ამბავს თავდაპირველად, ზოგმა ძალიან უწმაწური კუდი გამოაბა, მაგრამ გულსუნდას და სანდროს სულ არ ანაღვლებდათ...



ჯემალ სურმანიძე

ბროწეული

ხეხილთა შორის
ბროწეული
ყვავილობს დიდხანს,
– სამოთხის ვარო, –
თითქოს უნდა
შეფარვით გვითხრას.
თვეობით თვალწინ
ალისფერად მიტომ
ჩირაღდნობს,
რომ იმის
შუქი
იმქვეყნადაც ყველამ
ინატროს.
მარიტას საფლავს
ხე ღვთიური
ფესვებით მისწვდა,
ოქროს, ქისაში
გამონასკვულს,
გიყოფდეთ, მინდა.

* * *

როდესაც თივის
სურნელი
ასდის ზვინსა
და ფიწალს,
მშობელი დედის
შეგრძნება
მოეძალება მიწას.

* * *

ბედმა პეპელას
არგუნა
ყვავილის მექალთანობა,
ერთგულებისთვის
მიჯნურის კალთაში
კვდომის წყალობა.
ალბათ, ამ
მოტივს შემოჰყვა
ტრფობის საგა
და გალობა.

* * *

აღებულ მოსავალს
შინ შემოყვებოდა
საამო სუნი
და
დატრიალდებოდა.
სამზადი მათრობელ
ორთქლად იღვრებოდა,
როდესაც მჭადები
კეცზე იკვრებოდა.
რძე გაუდიოდა,
ყველი რომ
ტყდებოდა,
დერგს მისი
წყება ყელამდე
სწვდებოდა.
პირს
ერბო-კარაქი
შემოგადნებოდა,
სიბერის ხანამდე
კაცი არ
კვდებოდა.
ჩვენ კი
ეს
ჩვეულ ამბად

მიგვაჩნდა,
ყადრი არსებულის
თვალში არ
გვიჩანდა.
დოვლათს ხელმეორედ
შექმნიან შვილები,
იქნებ, ძველ
გემოსაც შეაბან
ღილები...

* * *

ვით უხსოვარ
დროის მუხას,
მოუდრეკელს,
ვეტრფი ქედას,
საქართველოს
მსახურება
ოდითგანვე
დაებედა.
ქარტეხილში
დაჰყვებოდა
გასახიზნავ ვაზის
ნებას,
წინათ რა
გზაც გაიარა,
არ იჩემებს
თავის ქებას.
ქედს მოვუხრი
„დედაბრულით“
ნასაზრდოებ
გუთნისდედას,
თამარის ხიდს,
წინაპარის
რწმენისათვის
თავდადებას.
ყველა ჯერზე
მისი ხილვა
მოგანიჭებს უმალ
შვებას...

* * *

– მკითხველის გულის
მოგება ბევრმა
ვერ შეძლო,
ვერა, –
გამკენწლეს, – დამწყებს
სხვა საქმე
გიჯობსო ლექსის
წერას.
მაინც ვინდომე
სატკივრით
სხვისთვის გამეთბო
კერა
(უპოვარისთვის
სამოსელს
თერძივით ვჭრი
და ვკერავ).
მუზა მე
უფრო მგონია
ჩამომქროლები ძერა,
თითქოსდა,
ბრჭყალით მეხება,
ამ წუთს
ჩემთანა ჯერაც.
ფურცელზე ადგილს
ვერ ჰპოვებს,
თუ დროში
გაიწელა.

* * *

როგორ არ
ვთქვა,
ჩემს სინდისთან
არ ვიქნები,
ალბათ, სწორი,
როს პირველი
ჯამაგირით
შევიძინე

ტრანზისტორი.
უცებ მისაწვდომი
გახდა ევროპა
და ამერიკა,
მერვე კლასში
ვეზიარე,
მძიმე როკის
ფანტასტიკას,
სულს აეხსნა
რკინის ფარდა,
არ ვწუნობდი,
თუმც ჩვენს
ჭალებს,
აკრძალული,
უცხო ხილი
უცაბედად
შევიყვარე.
ადრე უცხოდ
რაც ითქმოდა,
არ შემორჩა
არაფერი,
ჩემს თაობას
კარგად ახსოვს
იმის ხიბლი
შეუცვლელი.

* * *

როინ აბუსელიძეს

ააცილა ბიჭებს
ცოდვა,
მთაში დედა
შეიცოდა
გზააბნეულ ორი
ბელის;
როის გულში
ვერასოდეს
ისულდგმულებს
ბელზებელი.

* * *

გააკვირვა ლიზამ
ბებიკონა ნატო: –
გოგოს სახელს
ამწეს
არქმევენო, რატომ?
– პატარაა შენი
სათამაშო „კატო“,
ნამდვილი კი,
ბებო,
ტვირთს მაღლა
სწევს მარტო.
სხვა ენაზე
ნიშნავს
გვარს, ქალაქს
და დაბას,
„წითელქუდას“ მერე
სხვა რა
გითხრა, აბა?
ტკბილ ძილს
მოჰგვრის ბავშვს
და
წაახურავს საბანს.

* * *

ბაბუს ძმა
ქერჩთან
დაღუპულა ცხარე
ბრძოლაში,
უმემკვიდრეოდ
ვრცელ ტრამალის
იქცა ბინადრად,
მომეძალება
ზოგჯერ ფიქრი –
მიწა შორეთის
რამდენ ნატვრას
და
რამდენ ქართულ
სევდას ინახავს.

* * *

შვილის, ირინას, ხსოვნას

როგორ ხარობდი,
აგებენო ჩვენთანაც
ტაძარს,
სახლის სარკმლიდან
მის აღმასვლას
ხალისით მზერდი,
ხარაჩოს მალე
შეიხსნისო,
პირჯვარს იწერდი,
რათა უფალის
სიახლოვე გეგრძნო
ცისმარე.
ახლა ხანდახან
მეცხადები ლამაზ
სიზმრებად,
გუმბათის ზარი
ახმიანებს საფლავის
კიდეს,
ქალაქი, შენ
რომ დაგიტირა,
აქვეა კიდევ
და გულში –
დღემდე
მოშრიალე
გედის სიმღერა.
მაგრამ არ
მოკვდა გედი
იგი, სული
მზიანობს,
რომ უკვდავება
ზეციურში გაიზიაროს.



დევან ლორია

რისი თქმაც ვერ მოვასწარი

უკვე დიდი ვარ, მალე შვიდის გავხდები. სექტემბერიც დადგა. წელს სკოლაში მივდივარ და მიხარია. საბავშვო ბაღის მეგობრებიდან ბევრი ვიქნებით ერთად. ხაჯარატ, ჩემი მეზობელი და ბაღის ძმაკაციც ჩემთან ერთად იქნება. უკვე მოვილაპარაკეთ, ერთ მერხთან უნდა დავსხდეთ. ხაჯარატის ბიძაშვილი, ამრა, ჩვენზე ერთი წლით პატარაა და ალბათ ისევ ბაღში ივლის. ჩემი ძაღლი, გორდა, ადრე ბაღამდე მაცილებდა, ახლა სკოლამდე მომაცილებს და მერე ისევ სახლში დაბრუნდება.

ჩვენი სოფელი სოხუმთან ახლოს არის. დედა სოხუმში ერთ ინსტიტუტში მუშაობს, მამა ტყის მცველია – რეინჯერი. მეც მინდა რეინჯერი გავხდე, კიდევ მინდა ფეხბურთელი ვიყო და ექიმი, იმიტომ რომ ბებიას სიარული უჭირს, ფეხები აწუხებს და უნდა ვუმკურნალო. მერე ყველაფერ ამას რომ მოვრჩები ცოლი უნდა მოვიყვანო. ცოლად აუცილებლად ამრას მოვიყვან, მაგრამ ეს ჯერ არავინ იცის – არც ამრამ. მოვა დრო და ვეტყვი.

ზაფხულში შორიდან სროლების ხმა ისმოდა. მამა თუ სახლშია ის და ბებია ხშირად ლაპარაკობენ ომზე. მეც თუ ოთახში ვარ, დედა ყოველთვის აჩუმებს ორივეს: ბავშვმა არ გაიგონოს, შეეშინდებაო. საშიში რა არის. ბავშვებთან ერთად მეც ხშირად ვთამაშობ ომობანას ხის თოფებით. მე და ხაჯარატ სულ ერთ გუნდში ვართ – ჩვენს სოფელს ვიცავთ. ამრა ჩვენი ექთანია. თუ დავიჭრები, ამრამ უნდა მომიაროს. ხან მწყინს კიდეც, რომ ჯერ არ დავჭრილვარ, იმიტომ რომ ვიცი ამრა ძალიან კარგად მომივლის. ამრა ძალიან ლამაზია, ისე ლამაზია, რომ დავინახავ სუნთქვა მეკვრის – თითქოს ზღვაში ვყვინთავდე. მერე რამდენიმე წამს ვერაფერს ვამჩნევ და მუცელი მიბუყბუყებს. ადრე მეგონა ყველას ესმოდა როგორ ვბუყბუყებდი, მაგრამ მივხვდი რომ ეს არავის ესმის, მგონი არც ამრას, მაგრამ ეს არაფერი – მთავარია მე მესმის.

დღეს სოფელში ტანკები შემოვიდნენ. ჩვენს ჭიშკართანაც ჩაიარეს. შორიდან სათამაშო მეგონა, თურმე ნამდვილებია – ტანკებზე ბავშვები კი არა, დიდი კაცები ისხდნენ სამხედრო ფორმებში და უფორმოდაც. დედამ, ჩვენს სოფელშიც მოვიდა ომიო. გავიფიქრე, ალბათ ომი ტანკებით დადის-მეთქი და დედას ვეკითხები:

– დე, დიდი კაცებიც თამაშობენ ომობანას?

– არა, არ თამაშობენ, ეს ნამდვილი ომია და ეზოდან არ გადახვიდე!

სხვა ოთახში რომ გავიდა, გავიპარე და ხაჯარატთან გავიქეცი. ჩვენი და ხაჯარატის ეზოებს ღობერიც კი არ ჰყოფს, პატარა ღელე ჩამოდის ჩვენს შორის. მოკლე გადასასვლელი გავქვს, რომელიც მხოლოდ ჩვენ და ამრამ ვიცით. ამრას მშობლები უცხოეთში ჰყავს და ისიც ხაჯარატთან ცხოვრობს. მე დიდხანს ვიძახდი: ხაჯარატ, ამრა სად ხარ-მეთქი. არავინ მპასუხობდა. სახლის კარი დაკეტილი იყო. მერე ჭიშკარი გაიღო, მეგონა ხაჯარატ ან ამრა იქნება-მეთქი, დედაჩემი იყო, ახლავე სახლში წამოდიო, – მითხრა.

– დედა, ხაჯარატ და ამრა სად არიან?

– დროებით ნათესავებთან არიან და მალე დაბრუნდებიან!

უცებ ეზოში ვიღაცეები შემოვიდნენ, მხრებზე ავტომატებით. აქ ვინ ცხოვრობსო, – დედაჩემს ჰკითხეს. მე დედას დავასწარი და აქ ჩემი მეგობრები ცხოვრობენ და ახლა სახლში არ არიან-მეთქი. დედამ მხოლოდ ერთი სიტყვა თქვა, – ქართველებიო.

ისინი ეზოდან გადავიდნენ. ცოტა ხანს დაველოდეთ. როცა თვალს მიეფარნენ, დედამ ხელი მაგრად ჩამკიდა და ჩვენი სახლისკენ წავედით. ეზოში რომ ჩავედით დედამ მითხრა, სკოლისთვის რომ ზეთის საღებავები ვიყიდეთ, ის მოიტანეო. მე სახლის კიბეებზე ავირბინე და საღებავების ყუთი ჩამოვიტანე. დედას ხელში ფიცრის ნაჭერი ეკავა, რამდენიმე ცალი ლურსმანი და ჩაქუჩი. მერე ფიცარზე ფუნჯით წერა დაიწყო. მე უკვე ასოებს ვცნობ. სახლში ბებიას ძალიან ბევრი წიგნები აქვს, სადაც მზეთუნახავები და უფლისწულები, დევები და ნაცარქექიები, ნახევარქათამები და ასფურცელები, კეთილი და ბოროტი ჯადოქრები ცხოვრობენ, თან ყველანი ერთად. წლების წინ პატარა რომ ვიყავი დაძინებისას ხან ბებია, ხან დედა ამ წიგნებიდან მიკითხავდნენ ამბებს. მერე ვიძინებდი და არ ვიცი რატომ, ხშირად ვნახულობდი ერთი და იმავე სიზმარს. მესიზმრებოდა როგორ ამოფრინდებოდა ამ წიგნებიდან ზღაპრული ფასკუნჯი და წამიყვანდა მაღალი მთისკენ, სადაც თითქოს ამრა ჰყავდათ დამწყვდეული ბოროტ ჯადოქრებს და მერე როგორ გადავარჩენდი ამრას და უკან, ჩვენი სოფლისკენ ერთად მოვფრინავდით. ერთხელაც დედას და ბებიას ვთხოვე მეც მასწავლეთ ეს ამბები წიგნებიდან როგორ ამოვიკითხო-მეთქი და დედამ სულ სხვა წიგნი მომიტანა, აი ეს დედა ენა არის, ის დაგეხმარება კითხვა ისწავლოო და პირველი წინადადება წამიკითხა, – „აი ია“. ზუსტად იმ დილით ტელევიზორში მულტიკი გადიოდა, პატარა გოგო როგორ ასწავლის ჩაპუტკუნებულ ბომბორას კითხვას. თავიდან ბომბორას ერიდება ვერაფერს ამბობს, მერე გაიქცევა, გოგოს იებს მოუტანს და „აი ია“ – ეტყვის. მეც ღელის პირას იები მოვკრიფე და ამრასთან გავიქეცი. წიგნიც თან მქონდა. მივახარე, აი მე უკვე კითხვა ვიცი-მეთქი, იები ამრას გადავეცი და ვუთხარი – „აი ია“. აი ასე იწყება ეს წიგნი-მეთქი. ამრამ გაიცინა, თურმე ისიც უყურებდა ამ ფილმს. მაშინ ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში დავდიოდით. ახლა უკვე ყველა ასოს ვარჩევ და ჩემით წავიკითხე დედამ როგორ დაწერა: „აქ ცხოვრობენ ქართველები, ახლა სახლში არ არიან“. მერე წავედით, ხაჯარატის ჭიშკარზე ეს წარწერა მივაჭედეთ და ჩვენს ეზოში დავბრუნდით. ვერ ვხვდები დედა ამას რატომ აკეთებს, მაგრამ არ ვეკითხები, ეტყობა ეს დიდების თამაშის წესებია და მეც ხომ უკვე დიდი ვარ და მალე სკოლაში უნდა წავიდე!

ჩვენს ეზოში ბებია და გორდა დაგვხვდნენ. ბებია ტიროდა და ომის და იარაღის მომგონს წყევლიდა, თან ამბობდა, ამას ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს, შემთხვევით არაფერი არ ხდება, თავისუფლებას იოლად ვინ ღირსებია, საქართველო რომ ეღირსოს, რუსული იმპერიული აზროვნებაა, გვთიშავენ რომ იბატონონო.

– დედა, ბავშვი არ შეაშინო! – ჩუმად ეუბნება ბებია დედას.

– მე არაფრის არ მეშინია! – ვამბობ.

– ეს ბიჭი ნეტა მშვიდობით მოვიდოდეს შინ! – ამბობს ბებია. მამაჩემს ბიჭს ეძახის.

ჩვენ ვერაფერი ვთქვით.

– გორდა, შენ მაინც თუ იცი, ავთო სად არის?! – ბებია ახლა ძაღლს ეკითხება. გორდა მის ირგვლივ დარბის და ყეფს – თითქოს რაღაცას ეუბნება, მაგრამ სამწუხაროდ მე მისი ენა არ ვიცი და ვერაფერს ვხვდები. ალბათ ბებია ხვდება, თქმით კი ჩვენ არაფერს გვეუბნება. გორდა ყოველთვის გრძნობს მამა სახლში როდის ბრუნდება. ერთხელ, ღამით, მამა ნასვამი იყო. გორდა, როგორც ყოველთვის, გზაში შეეგება და მამაჩემი რომ მოეფერა, ჩანთა რომელშიც მწყემსების გამოტანებული

ყველი და სულგუნი იდო, იქვე დარჩა. დილით ადრე დედაჩემს ჰკითხა, სახლში რამე მოვიტანეო? არაფერი არ მოგიტანიაო, – დედაჩემმა უთხრა. მამაჩემი ეზოში ჩავიდა, მეც ჩავყევი. „გორდა, გორდაო...“ – დაიძახა, მაგრამ ძაღლი ეზოში არ ჩანდა, ყეფით ეზოს გადაღმიდან გამოგვეხმაურა. მერე მამა სოფლის გზაზე გავიდა, მეც გავყევი და გზაზე ორი ეზოს მოშორებით გორდა დავინახეთ, ჩანთასთან იჯდა და თვალს არ აცილებდა. როცა დაგვინახა, ჩვენკენ გამოიქცა ყეფით. მამაჩემმა ბევრი ეფერა, რა ჭკვიანი ხარ, გორდაო. ბებიას და დედას რომ მოვუყევით ეს ამბავი, ბებიამ ჩაილაპარა, ნაკლები უნდა დალიო, სულ გორდას იმედზე ვერ იქნებიო.

– ნეტა ბიჭი შინ მშვიდობით მოვიდოდეს! – ისევ გაიმეორა ბებიამ. მეც მინდა ბებიამ ბიჭი დამიძახოს. ამას რომ ვეუბნები, იცინის. ნუ ნერვიულობ, გამოჩნდებაო, – დედა ბებიას ამშვიდებს, მაგრამ ვხვდები, რომ თვითონაც ნერვიულობს.

– არა, ის ტყეს თავს არ დაანებებს და იქ დარჩება სანამ ეს ომი არ დამთავრდება! – თითქოს თავისთვის ბუტბუტებს ბებია.

– ახლა ტყისთვის ვის სცხელა?! – უკვირს დედას და მთებისკენ იყურება.

– როცა ომია, ყველაფრისთვის სცხელათ! – ამბობს ბებია.

ადრე შორიდან მოდიოდა სროლების ხმა. მერე თანდათან ახლოს მოიწია. ერთხელ ძალიან დიდი აფეთქების ხმა გაისმა. პირველი ყუმბარა ჩამოვარდა სოფელში და სკოლის შენობას მოხვდა. დედამ თქვა, ალბათ სწავლა გადაიდებაო. ძალიან დამწყდა გული. არადა, ყველაფერი მზად მქონდა, წიგნები, რვეულები – საწერიც და სახატავიც, საღებავებიც. თან სკოლა რომ დაიწყება, ალბათ ხაჯარატ და ამრაც დაბრუნდებიან-მეთქი, ვფიქრობდი. უკვე ძალიან მენატრება ამრა. ყოველდღე ვიყურები ხაჯარატის სახლისკენ. ხაჯარატი რომ დაბრუნდება, ანუ ამრაც დაბრუნდება. ისევ არავინ ჩანს. ერთ დილას ხმაურმა გაგვაღვიძა. ხმა ჩვენი ჭიშკრიდან მოდიოდა – თითქოს რაღაცას აჭედებდნენ. დედა ეზოში ჩავიდა. მეც გავყევი. ხაჯარატის დედა იყო, ჩვენს ჭიშკარზე ახლა ის ამაგრებდა ფიცარს. წარწერა ვერ წავიკითხე, იმიტომ რომ ქართულად არ ეწერა. ხაჯარატის დედას ალინა ჰქვია. ალინა ჯერ მე მომეფერა, როგორ ხარო. მე თვალებით ჩემს მეგობრებს ვეძებდი. არსად ჩანდნენ, ხაჯარატ და ამრა სად არიან-მეთქი, – ვკითხე. ახლა აქ არ არიან, ნათესავებთან არიანო, – მიპასუხა. მერე დედაჩემს გადაეხვია. დედაჩემმა და ხაჯარატის დედამ ისაუბრეს, თან ორივენი ტიროდნენ. მერე ალინა თავის სახლისკენ წავიდა. დედამ ხელი მომკიდა და სახლში ამიყვანა. ბებიას სავარძელში ეძინა. დედამ გააღვიძა, ახლავე უნდა წავიდეთო, რამდენიმე საათში სოფელში ჩრდილოკავკასიელების და რუსების ჯარი შემოვაო. ბებიამ, ბიჭი რომ დაბრუნდეს, სახლში, ვინმე ხომ უნდა დახვდეს, თან სიარული მიჭირს, სად უნდა წამოვიდე, მე დავრჩები, თქვენ წადითო. დედა დიდხანს ეხვეწა, – წამოდიო. ვერაფრით დაითანხმა. მერე დედამ უთხრა, ალინა დაბრუნდა და თუ არ წამოხვალ უნდა რომ მასთან იცხოვრო, ვითომ მისი დედა ხარ, რომ რამე არ დაგიშავონო. კარგი გოგოა ალინა, დედამისი ცუდად რომ იყო მე ვაწოვებდი ძუძუსო, – ბებიამ ჩაილაპარაკა.

დედამ ორი ფუთა შეკრა, ცოტა საჭმელი და ტანსაცმელი წავიღოთ, ბევრს ვერ ვატარებთო. მერე ბებიას ჩაეხუტა, დედა, თავს მიხედეო, უთხრა და მეც მანიშნა, ბებიას დაემშვიდობეო. ბებიამ, შენ ახლა ბავშვი აღარა ხარ, დიდი ბიჭი ხარ, დედიკოს მიხედე და შინ მშვიდობით დაბრუნდითო, – მეჩურჩულებოდა, მკოცნიდა და თან ცრემლებით მასველებდა. მე მიკვირდა, რატო ტიროდა, ალბათ დამშვიდობების დროს ბებიამ აუცილებელად უნდა იტიროს-მეთქი, – გავიფიქრე. ალინაც მოვიდა და პარკში შეხვეული ხაჭაპურები მისცა დედას, ბევრი კი არაფერია, გზაში მოგშივდებათო. ეზოდან რომ გადმოვედით, გორდაც გადმოგვყვა.

– დედა, გორდას რა ვუყოთ, თან წავიყვანოთ თუ დავტოვოთ? – ვეკითხები დედას. მე კი მინდოდა გორდა ჩვენთან ერთად წამოსულიყო, მაგრამ ბებიას მთლად მარტო დატოვებაც არ მინდოდა და მამაჩემსაც ვინ დახვდებოდა გზაზე, თუ გორდა ჩვენთან წამოვიდოდა?

– თვითონ გადაწყვიტოს! – ამბობს დედა.

სანამ სოფლიდან წამსვლელ სხვა ხალხს შევუერთდებოდით, გორდა ჩვენთან ერთად მოდიოდა. მერე გაჩერდა და უკანა თათებზე ჩაჯდა. მივედი და როგორც ბებია ჩამეხუტა, მეც ისე ჩავეხუტე გორდას. ასე მგონია, გორდას თვალები ცრემლიანი ჰქონდა. მეც ამიცრემლდა თვალები, მაგრამ არ დავაძალე, წამოდი-მეთქი. მერე გორდა უკან გაბრუნდა, სახლისკენ. ჩვენ მეზობლებთან ერთად ტყისკენ მივდიოდით. მოღრუბლული დღე იყო, უმზეო. ალბათ ორ საათში უკვე მთაზე ვიყავით ასული. აქედან ჩანდა, რომ სოფელში რამდენიმე სახლს ცეცხლი ეკიდა. ჩვენი და ხაჯარატის სახლი ისევ იდგა, ძმაკაცებივით. მერე გზა გავაგრძელეთ და სოფელი აღარ ჩანდა, მხოლოდ კვამლს ვხედავდით.

ვერ მოვითმინე და დედას ვკითხე, ან სოფელი რატომ დავტოვეთ, ან სად მივდივართ-მეთქი. გიორგი, ასეა საჭირო, შენ ხომ მეგობრებთან ერთად ომობანას თამაშობდი, ჩათვალე, რომ ესეც თამაშიაო. მეზობლებთან და სხვა უცხო ხალხთან ერთად ტყეში მიმავალ ბილიკზე ჭიანჭველებივით ვიყავით ჩამწკვრივებულები. ერთი დიდი ბიჭიც მოდიოდა ჩვენთან ერთად. იგი ცოტათი წინ იყო და რაღაცას ლაპარაკობდა. მესმოდა, ჩემს უკან ერთი მეზობელი ქალი მეორეს როგორ ეუბნებოდა, სტუდენტია, შეყვარებულთან ჩამოვიდა, ხელი უნდა ეთხოვა, მანქანა არ გამოუტარებიათ და ფეხით მარტო მისულა ოჯახში. შეყვარებული გარდაცვლილი დახვდა, ჭიშკართან გასულ მომლოდინე გოგოს ბრმა ტყვია მოხვედრია. ამის გაგებაზე ბიჭმა გააფრინა, არავის ეკონტაქტება, თავისთვის ლაპარაკობს რაღაცეებსო. დედას ვეკითხები:

– დედა, ტყვიას თვალები აქვს?

– არა, გიორგი, არ აქვს?!

– აბა, ბრმა ტყვია რა არის?

– შემთხვევით რომ ვიღაცას მოხვდება ტყვია, ისე რომ მისთვის არ დაუმიზნებიათ, ის არის!

– აბა ბებია რომ ამბობს, რომ შემთხვევით არაფერი არ ხდება?!

– დამღალე, გიორგი, რამდენ რამეს მეკითხები, იცოდე ორი ნაბიჯით არ მომცილდე, სულ ჩემს გვერდით იარე, გაიგე?!

– კარგი!

დაპირებით კი დავპირდი, თუმცა როგორც კი მზერა მომარიდა, გავიქეცი, იმ ბიჭის გვერდით გავაგრძელე გზა – დამაინტერესა, რას ამბობს-მეთქი. სულ ერთი და იგივე სიტყვებს იმეორებდა: „...სიმაღლე უდრის ტრფიალის უსასრულობას, სიგრძე – სათნოების ზესწრაფვას, ცე პლუს ნულ ერთი, განი – განი დაუვიწყარ მოგონებას, შინაგანი სიმხურვალის საკითხებს თუ გადავწყვეტთ, და კიდევ მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან სუბსტანციებს, ჩვენც ცაში ავიჭრებით...“ – თან ხელებს შლიდა. რომ დაამთავრებდა, თავიდან იწყებდა: „...სიმაღლე უდრის...“ მერე მე შემომხედა. ალბათ მიხვდა რომ ვუსმენდი. გაჩერდა, აღარ ლაპარაკობდა. მე ვეუბნები:

– იცი, მე და ხაჯარატ სოფელში ქაღალდის თვითმფრინავებს ვაწყობდით და ვაფრენდით. მეზობლები ამბობენ შენზე, რომ გააფრინე და შენ რა გააფრინე?

გაიცინა. მერე რა გქვიაო, – მკითხა. – გიორგი-მეთქი. შენ რა გქვია-მეთქი, – გურამიო.

– ლამის სეხნიები ვართ! – ისევ გამიცინა.

– სეხნიები როგორ? – ვეკითხები გაკვირვებული.

– ორივეს სახელი ხო „გ“ ასოთ იწყება! გიორგი, სიარული თუ გაგიჭირდა მითხარი, დაგეხმარები!

– არა, არ მიჭირს, პატარა კი არა ვარ, ისე კი მაინტერესებს ცაში როგორ ავიჭრებით?

– ამის გაგება ჯერ შენთვის ადრეა, პატარა ხარ!

– ჩიტები ჩემზე პატარები არიან და დაფრინავენ!

ისევ გაიცინა. მერე ვეუბნები:

– კი შენ ჩემზე დიდი ხარ, მაგრამ შეიძლება რომ ვიმეგობროთ?

კარგიო, – ხელი მაგრად ჩამომართვა. მერე დედამ დამიძახა, გიორგი, აქ მოდიო. მივედი. ხომ გითხარი უცნობებს არ გამოელაპარკოო, მეუბნება გაბრაზებული.

– დედა, არ არის უცნობი, გურამი ჰქვია და უკვე დავმეგობრდით, იცი რა კარგი ბიჭია?

– შენ რა იცი ჯერ კარგი და ცუდი?! ხომ გითხარი არ მომცილდე-მეთქი? იცოდე ჩემს გვერდით იარე!

– კარგი რა დედა, პატარა ხომ არა ვარ! – ვეუბნები მე.

მერე დედამ ელზას გამოტანებული ხაჭაპური მომიტეხა, პატარა არ ხარ, მაგრამ არ მოგშივდაო. გამოვართვი და იმ ბიჭთან მივედი, არ გშია-მეთქი, ვკითხე.

– „არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“, – მითხრა.

– პური არ მაქვს, ხაჭაპურია! – ვეუბნები. ისე კი კარგად ვერ გავიგე რა უნდოდა.

– შენ ჭამე, წინ დიდი გზა გვიდევს!

– თუ შენ არ შეჭამ, მაშინ არც მე შევჭამ!

– შენ რა მაგარი კაცი ხარ! – იცინის და ცოტა მოატეხა. მერე მეც ვჭამე. დედას გავხედე.

ის არ ბრაზობდა და ისიც მიცინოდა.

მერე ჩვენს წინ ჩოჩქოლი ატყდა: ქალის ყვირილის ხმა და გოგოს ტირილის ხმა მოდიოდა. გურამმა, რა ხდება ნეტაო? – თქვა და ხმაურის მიმართულებით გაიქცა. დედა მეზობლის ქალებთან ერთად მოდიოდა და ლაპარაკობდა. ვიფიქრე, რომ ვთხოვო გაშვება არ გამიშვებს-მეთქი, ნებართვა არ ამიღია და მეც გურამს დავედევნე. ვხედავ, ვიღაც უცნობი ბიჭი, ალბათ ისიც გურამის ხნის, წვერებიანი, მხარზე ავტომატით, ჩვენს სოფლელ გოგოს ეუბნება: „რას წიკვინებ, წამოდი, გეუბნები, ყველა ქალი ამაზე ოცნებობს და შენ რომელი ინგლისის დედოფალი მყავხარო“. ინგლისის დედოფალს არ ვიცნობ, მაგრამ ამ გოგოს ვიცნობდი, მირანდა ერქვა. წელს დაამთავრა სკოლა და ბოლო ზარზე გამოსაშვები საღამოს დედოფალი გახდა. ახლა დედამისს ჰქონდა მირანდაზე ხელი ჩავლებული და კანკალებდა. მირანდაც კანკალებდა. გურამმა ბიჭს ხელი ხელში ჩაავლო და გააშვებინა, თან ლინა რა ხდებაო, – გოგოს ჰკითხა.

– შენა ბიჭო, ე... შენს საქმეს მიხედე, თორემ მოგდე სიფათში! – დაუყვირა წვერებიანმა გურამს და საყელოში დაექაჩა.

– ეს გოგო ჩემი საცოლეა ახლა აქედან წადი მშვიდობით, შენთვის აჯობებს! – უთხრა გურამმა ხმადაბლა.

– საცოლე არა კვატი, სახელიც არ იცი, მირანდა ქვია ამ გოგოს! უკვე სამი საათია ვკერავ, ახლა აქედან დაახვიე თორემ დაგაცალე აბოიმა, გაიგე ბიჭო! – თქვა წვერებიანმა და გურამს ხელი მოუქნია. იმან თავი დახარა და დარტყმა აიცილა. წვერებიანს ავტომატის გადმოღება უნდოდა. გურამი წელში შეუვარდა, თუმცა წვერებიანი მასზე მაღალიც იყო და მსუქანიც და უფრო ძლიერი ჩანდა. ვიფიქრე ერთ ფეხში შევუვარდები, კვანტს გამოვკრავ და ცოტათი მაინც დავეხმარები გურამს-მეთქი. მართლაც, ერთ ფეხზე დავებღაუჭე წვერებიანს, მაგრამ იმან ფეხი მოიქნია და წრუწუნასავით მომისროლა. წაქცევას მირანდას დედამ გადამარჩინა. ამ ძიძგილაობაში ორივე ბალახიან ფერდობზე დაცურდნენ. გზად ავტომატი ხის ფესვებს გამოედო და იქვე დარჩა. მოჩხუბრები თან ქვევითკენ მიგორავდნენ, თან ერთმანეთს ურტყამდნენ. ცოტაც და ხევში ჩავარდნენ და აღარ ჩანდნენ, ჩხუბის და ლაწალუწის ხმა ისმოდა მხოლოდ. ვიფიქრე, ავტომატს ავიღებ და გურამს მივეხმარები-მეთქი. ის იყო იარაღისკენ ფეხი გადავდგი, ჩემთან დედა მოვარდა, აქ რა გინდოდაო, მითხრა და ხელი ისე

მაგრად მომიჭირა ხელზე, კინაღამ ტკივილისაგან ხმამაღლა ვიყვირე. მერე მირანდას დედას დაელაპარაკა:

– ელზა, რა მოხდა?

– საზიზღარი, აგვეტორღიალა გზაზე, მირანდას თავს არ ანებებდა, ბუჩქებში გავისეირნოთ და წახვალ შენი გზითო, – ეუბნებოდა! მერე ვიღაც ბიჭი გამოგვესარჩლა და იმან გადაგვარჩინა! – ყვებოდა მირანდას დედა. ირგვლივ ხალხი შეგროვდა. საიდანღაც ორი ავტომატიანი ბიჭი გამოჩნდა, სამხედრო ტანსაცმელი ეცვათ. იმათაც მოისმინეს ეს ყველაფერი, თვითონ მირანდა კი განუწყვეტლივ ტიროდა და იცრემლებოდა. დედამისი კი აგრძელებდა, ის ბიჭი რომ არა, რა გვეშველებოდა, იმის გამზრდელმა იხაროსო... სამხედროებს არაფერი უთქვამთ, ხევში ჩაირბინეს, გზად ის ფესვწამოდებული ავტომატიც აიღეს. ისინიც აღარ ჩანდნენ უკვე. ცოტა ხანს ისევ ისმოდა ხმაური, მერე კი ავტომატის ხმა გაისმა. ამის შემდეგ ყველაფერი მიჩუმდა. მივხვდი, რომ ეს ის თამაში არ იყო, რასაც მე და ხაჯარატ ვთამაშობდით. ეს ნამდვილი ომი იყო. პირველი რაც გავიფიქრე, ალბათ გურამი მოკლეს-მეთქი, ხოდა ხმამაღლა ავტირდი. მრცხვენოდა, მეგობარს რომ ვერ დავეხმარე და დედას ხელზე ვუკბინე, ისე, რომ იმან შეჰკივლა და ხელი გაეშვა. მე ქვევით გავიქეცი. დედამ, ყვირილი ატეხა, – მიშველეთ, ხალხოო და ფერდობზე უკან დამედევნა, თან ცდილობდა არ წაქცეულიყო. ამასობაში შევნიშნე ქვემოდან სამნი ამოდიოდნენ, ის ორი სამხედრო წინ და უკან კი გურამი, მხარზე ავტომატ გადაკიდებული. ის წვერებიანი ბიჭი არ ჩანდა. გურამი რომ ცოცხალი დავინახე, გავჩერდი იქვე ბალახებზე ჩავჯექი. დედაც ნელ-ნელა ჩამოვიდა და ჩემს გვერდით ჩამოჯდა და ისიც ქვემოდან მომავლებს უყურებდა, არ მეჩხუბებოდა, მაგრამ ისევ ტიროდა, ოღონდ ჩუმად.

ის ბიჭები გზაში რაღაცაზე საუბრობდნენ. როცა მოგვიახლოვდნენ, მომესმა ერთი ბიჭი მეორეს ეუბნებოდა, რაც ახვარი იყო ის ახვარი დარჩა და ძაღლურად ჩაკვდაო. ახვარი არ ვიცოდი რა იყო, ჩემით მივხვდი, ალბათ ძალიან საშინელი ადამიანი, მაგრამ ძაღლი რა ცოდო არ არის? ჩვენი გორდა გამახსენდა. გურამს სახეზე სისხლი ეტყობოდა და ტანსაცმელი სულ დასვრილი ჰქონდა. ჩვენ რომ მოგვიახლოვდნენ, ისე მიხაროდა გურამს რომ ცოცხალს ვხედავდი, ვერ მოვითმინე და მისკენ გავიქეცი. მან ხელში ამიტაცა და თვალებზე ცრემლი რომ დაინახა, იტირე, კაცო, არ გრცხვენიაო, – მითხრა. მერე შევნიშნე, გზაზე ხალხი შექუჩებულიყო და ჩვენ გვიყურებდა.

უკან რომ ავბრუნდით, მირანდას დედა მოვიდა გურამთან, მადლობა, შვილო, ჩვენი გულისთვის თავი საფრთხეში ჩაიგდეო. მირანდაც მოვიდა და გმადლობთო, ისე მირანდა მქვიაო. გურამი უხერხულად იდგა, მაპატიეთო, ალბათ იმიტომ რომ სახელი შეეშალა, თუ რა ვიცი, – საპატიებელი რა ჰქონდა.

ბიჭებმა, ავტომატის სროლა თუ იციო, – გურამს ჰკითხეს. კიო, უნივერსიტეტში სამხედროს სწავლების დროს დამიშლია კიდეცო. ამ ჯგუფთან ერთად შენ გააგრძელე გზა, ეს ავტომატიც შენთან იყოს, თუ ვინმე მოვა სამხედრო და გკითხავს რამეს, უჩას რაზმელი ვარ, ასე უთხარიო და ჩქარი ნაბიჯებით გააგრძელეს ხალხის წინა ნაკადისკენ გზა. მირანდას დედამ დედაჩემს უთხრა, რა მაგარი ბიჭი ყოფილა გიორგი, ისიც გამოგვესარჩლაო. მე რა მაგარი ვარ, ვერც მირანდას და ვერც გურამს ვერაფრით დავეხმარე, მაგრამ ეს რომ გავიგონე მაინც ძალიან გამიხარდა და დედას გავხედე, თან ვიფიქრე ნეტა ამრა და ხაჯარატ მიყურებდნენ ახლა-მეთქი – ნამდვილ ჯარისკაცად ვგრძნობდი თავს, მერე რა რომ ავტომატი არ მქონდა.

გზას ვაგრძელებდით. მთელი დღე მოღრუბლული ამინდი იყო. მზე არ გამოჩენილა და ციოდა. მერე ცოტა ხნით წვიმა წამოვიდა. დედამ კურტკა ჩამაცვა. გურამს საზაფხულო პერანგი ეცვა. დედამ, ჩემოდნიდან თავისი თბილი სვიტრი ამოიღო და გურამს მიაწოდა, ჩაიცვიო. იმან უარი უთხრა, – არ მცივაო. მგონი ქალის სვიტრის ჩაცმა ითაკილა.

ისევ გზა გავაგრძელეთ. ცოტა რომ ვიარეთ გზაზე პატარა ლეკვი შეგვხვდა. ბილიკთან ახლოს და ბუჩქის ძირას საწყალობლად წკავწკავებდა. ისეთი პატარა იყო, მიწას ძლივს აჩნდა. თვალებიდან ცრემლი მოდიოდა. იდგა საცოდავად და თითქოს ხალხს გვეუბნებოდა, მომხედეთ, ადამიანები არ ხართო?!

– რა ცოდოა, ხო? – დედას და გურამს ვეუბნები.

– ეტყობა პატრონმა დატოვა, ან დაეკარგათ! – ამბობს გურამი.

– დე, წავიყვანოთ რა!

– გიორგი, მაგის საჭმელი სად გვაქვს?!

– დე, ჩემს წილს გავუყოფ!

– მერე რა ვქნათ, წილებიც რომ არ დაგვრჩება?

– „არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა!“ – ვიმეორებ გურამის სიტყვებს. დედა გაკვირვებული მიყურებს, ეს ვინ გასწავლაო. გურამმა-მეთქი. ლეკვი ხელში ავიყვანე. ვხვდები, რომ დედა არ მეწინააღმდეგება, მართლაც რა ძალა ჰქონია სიტყვას. ლეკვი კი სულ ერთი ციცქნა იყო. ისეთი მადლობით სავსე მზერით მიყურებდა, აბა მისი დატოვება იქნებოდა? დედას და გურამს ვეკითხები: – რა დავარქვათ-მეთქი. იმათ მხრები აიჩეჩეს. თავიდან ვიფიქრე, გორდას დავარქმევ, მაგრამ გადავიფიქრე – ერთი გორდა ხომ მყავს.

– ლომა დავარქვათ! – ვამბობ მე.

– კი, სულ ლომსა ჰგავს! – იცინის დედა. უკვე შევეჩვიე ახალ თანამგზავრს, ცოტა შემეშინდა კიდეც, პატრონი არ გამოჩნდეს-მეთქი და კურტკის უბეში ჩავისვი და გარედან ვიჭერდი ხელით. რომ ჩავხედე, უკვე ეძინა. ეტყობა სითბო იგრძნო, იმიტომ რომ მეც ვიგრძენი როგორი თბილი იყო. დედამ ლეკვი რომ ვერ დაინახა, გაუკვირდა – ლომა რა უყავიო. უბეში მყავს-მეთქი. ისევ ჩხუბი დაიწყო, იცოდე არ დაგასველოს, თორემ ვერც შენ გადამირჩები და ვერც შენი ლომაა თუ ვეფხვიო. კარგად აღზრდილი ლეკვი ჩანს, ცუდ საქმეს არ იკადრებსო, – თქვა გურამმა.

ცოტაც რომ ვიარეთ, ვიგრძენი რომ გაიღვიძა. წამოიყეფა, ოღონდ ეს ის საცოდავი წკავწკავი არ იყო, როცა ვნახეთ მაშინდელი – ლეკვური ყეფა იყო, თითქოს რაღაცა მითხრა. ნეტა ბებია აქ იყოს, მიხვდებოდა რას ამბობს.

დედამ ისევ ჩხუბი არ დამიწყოს-მეთქი და გურამს ჩუმად ვეუბნები:

– მგონი ლომა რაღაცას მეუბნება, რაღაცა უნდა!

– ამოიყვანე, იქნებ გავლა სურს?!

დავუჯერე. ამოვიყვანე და მიწაზე დავსვი. ბილიკიდან გადავიდა, თან მე გამომხედავდა, ეტყობა ფიქრობდა ხომ არ დამტოვებსო. ჩვენ სამივენი გავჩერდით და ველოდით. მერე დედა ბავშვობაში რომ მეკითხებოდა, დიდი გინდა თუ პატარაო, ორივე ქნა დიდიც და პატარაც, მერე ცოტა მიწაც მიაყარა და ისევ ჩემსკენ გამოიქცა. მართლაც რა კულტურული ლეკვიაო, დედასაც გაეცინა. ისევ უბეში დავაბრუნე და გაიტრუნა.

მირანდა და დედამისი უკვე ჩვენგან ახლოს აგრძელებდნენ გზას. მირანდა ხშირად მოიხედავდა. ცოტაც რომ ვიარეთ, გურამთან მივიდა, ხელში რვეული ეჭირა. შეიძლება ჩემი ლექსები გაჩუქოთო? – გურამს ჰკითხა. დიდი მადლობა იმან უპასუხა. მე ვერ მივხვდი დიდი მადლობა კიო თუ არაო. ეტყობა მირანდაც ვერ მიხვდა და უხერხულად ეჭირა რვეული ხელში. ისევ მე ვკითხე გურამს:

– გურამ, დიდი მადლობა კი თუ დიდი მადლობა არა?

გურამს ეღიმება, მერე კი ამბობს:

– იცით, მირანდა, დიდი მადლობა რომ ლექსებს მჩუქნით, ოღონდ ხალხი სამშვიდობოზე რომ გავა, მერე ომში მინდა დავბრუნდე, იქნებ ეს რვეული დაიკარგოს და არ ვიცი, როგორ გამოგართვათ?!

– ეს ლექსები ყველა ზეპირად ვიცი, თან ყველა სხვა რვეულებშიც მიწერია! – თქვა მირანდამ და შეეტყო სწყინდა, რომ საჩუქარზე უარს ეუბნებოდნენ.

– მაშინ დიდი მადლობა საჩუქრისთვის! – თქვა გურამმა და მეც ამოვისუნთქე. გამიხარდა, თუმცა მე რა შუაში ვიყავი, მაგრამ მაინც. მირანდა მერე ისევ დედამისთან დაბრუნდა. გურამმა რვეული გამოართვა და უბეში შეინახა.

ამასობაში ის ორი ბიჭი, სამხედროები შემოგვხვდნენ ისევ. ერთს ხელში სამხედრო კურტკა ეჭირა და გურამს მისცა. ის არ იღებდა, არ მინდაო. ძალად დაუტოვეს, ამაღამ აცივდება და ასე პერანგით გაიყინებიო. თან ჰკითხეს რაიმე ექსცესს ხომ არ ჰქონია ადგილიო. არაო გურამმა. ახლა ისიც სამხედროსავით გამოეწყო. ესენი რომ წავლენ მერე უნდა ვკითხო ექსცესი რა არის.

– როცა დაღამდება, გზას ნუღარ გააგრძელებთ, ვინმე ხრამში არ გადაიჩეხოს, სადმე ხის ძირას კოცონიც დაანთეთ, ვინმე არ გაიყინოს, ოღონდ სიფრთხილე დაიცავით, ტყეს ცეცხლი არ წაეკიდოსო, – თქვა იმ სამხედრომ, რომელმაც კურტკა დაუტოვა გურამს და ისევ გააგრძელეს გზა.

ცოტა ხანში წვიმის წვეთები თოვლის ფიფქებად გადაიქცნენ. სოფელში ზამთარშიც კი იშვიათად მოდიოდა თოვლი. ახლა ჯერ სექტემბერი იყო და ყველას უკვირდა, რა დროს თოვლიაო. ადრე ძალიან მიხაროდა თოვლი, მაგრამ სხვები ყველა წუხდა ახლა თოვლის მოსვლა იქნებოდა, გავიყინებითო, ამიტომ ახლა უკვე ისე აღარ მიხაროდა, როგორც დედამ თქვა უდრო დროს მოსული თოვლი. მერე ჩამობნელდა და ჩვენი ჯგუფი ერთი დიდი ხის ძირას გავჩერდით. გურამმა იქვე გზის ახლოს ხმელი ტოტების მოაგროვება დაიწყო. მე ლომა დედას დავუტოვე – გურამს მივეხმარები-მეთქი. ორივენი ტოტებს ვაგროვებთ, თან ვეკითხები:

– გურამ, ექსცესი რა არის?!

– ექსცესი არანორმალური ვითარებაა, ან შემთხვევა... ჩხუბი, შეხლა-შემოხლაც შეიძლება ექსცესად ჩავთვალოთ! – მპასუხობს ის.

მერე ცეცხლი დავანთეთ. გურამსა და დედაჩემს შორის ვიჯექი და ცეცხლს ვუყურებდი. ლომაც ჩემს წინ იჯდა და ისიც ცეცხლს უყურებდა და თბებოდა. მირანდა და დედამისიც ჩვენთან ერთად უსხდნენ ცეცხლს. გურამმა რვეული ამოიღო და შეეცადა ცეცხლის შუქზე წაეკითხა ნაწერი. მზერაზე შეეტყო, რომ მოეწონა, რასაც კითხულობდა. მეც დამაინტერესა რას კითხულობდა და გურამს ვთხოვე ხმამაღლა წაიკითხე-მეთქი. გურამმა მირანდას ჰკითხა, რა კარგი ლექსებია, შეიძლება ერთი ხმამაღლა წავიკითხოო? კიო, რა თქმა უნდაო, იმან უთხრა. გურამმაც წაიკითხა:

„ლურჯთვალა იამ მზეს გაუღიმა,
მზემაც ცვარ-ნამით დაბანა პირი.
ჩამოუშვია წამწამი ტირიფს
და გაუმხელელ სიყვარულს ტირის“.

ლექსმა ამრა გამახსენა, თუმცა არც დამვიწყებია, მაგრამ ახლა უფრო გამახსენა. მე ვიცი, რომ ამრა აფხაზურად მზეს ნიშნავს. ჩემი სიყვარულიც ხომ გაუმხელელია, ვერ მოვასწარი ამრას ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს. როგორ მომენატრა. თან ვდარდობ: აუცილებლად უნდა შორს ვყოფილიყავი, რომ მივხვედრილიყავი რა ახლობელია ჩემთვის? მერე ჩამეძინა. დილით ხაჯარატ მაღვიძებს, ადექი, გადამთიელები ჩვენ სოფელს თავს დაესხნენ, ამრას მოტაცებას აპირებენო. მიკვირს, ხაჯარატ აქ საიდან გაჩნდა? გურამს ვეძახი, სად ხარ, ექსცესს აქვს ადგილი-მეთქი. არც ის ჩანს. მერე ავტომატს დავუწყე ძებნა – არსად არ არის. დედაც არსად ჩანს, არც ლომა. ხაჯარატიც სადაღაც გაქრა. სულ მარტო დავრჩი, ჩემი სოფლისკენ მივრბივარ. გზაზე ვეცემი, ვდგები და ისევ მივრბივარ, მაგრამ თითქოს მაინც ერთი და იმავე ადგილას ვარ. იქვე ტყიდან ვხედავ მამა გამოდის და

ხელში ავყავარ, უნდა რომ ჩამეხუტოს. მამა, დამსვი, – ვეუბნები, – ამრა უნდა გადავარჩინო. ტყეს საიდანაც მამა გამოვიდა, უცებ ცეცხლი უჩნდება. მამა მიწაზე მსვამს და ტყისკენ გარბის, ალბათ ხანძარი რომ ჩააქროს. ისევ ვიძახი: გურამ, ხაჯარატ... სად ხართ? არავინ ჩანს... გზა კი არადა არ ილევა. მერე ერთ ადგილას ფეხი დამიცდა და ხრამში ვვარდები, უცებ დედა გამოჩნდა.

– გიორგი, ძილში ყვიროდი! – მეუბნება.

– დედა, ექსცესს აქვს ადგილი!

– რა, შვილო? – მეუბნება დედა და შუბლზე ხელს მადებს.

– დედა, ხაჯარატმა მითხრა, რომ ამრას მოტაცებას აპირებენ და უნდა წავიდე ვუშველო!

– ალბათ სიზმარი იყო გიორგი!

– დედა, ამრას ვერავინ მომტაცებს! – ვამბობ.

– ხო კარგი, დამშვიდდი, ამრას ვერავინ მოგტაცებს!

მერეღა ვხვდები, რომ ვიღაცის სახლში ვარ და საწოლში ვწევარ და თურმე ეს სიზმარში იყო. დედა სად ვართ-მეთქი.

– ჯვარში ვართ, კოტე ბიძიასთან! ორი დღე მაღალი სიცხე გქონდა და სულ მამამ გატარა ხელით.

– მამა სად არის?

– იმ ღამით დაგვეწია, ხის ძირას რომ ცეცხლთან ვიჯექით, შენ გეძინა და არ გაგაღვიძე. ისევ უკან დაბრუნდნენ, სხვებს რომ მიეხმარონ! მამაშენმა სახლში უნდა დავბრუნდე, დედას ასე ვერ დავტოვებო. დაგიბარა, რომ აუცილებლად დაბრუნდება და ჩვენც თან წაგვიყვანს!

– ლომა სად არის?

– ეზოში დარბის!

მართლაც ეზოდან ლომას ლეკვური ყეფის ხმა მოისმოდა. მერე ისევ ჩამეძინა...

ეშმაკის მარცხენა ფეხი

– ალო, დედა, მე ვარ...

– ხო, შვილო! სად ხარ შვილო?! სად დაიკარგე, რა ნომრით რეკავ?

– დედა, ბრონირებული მანქანა მოვა და შენ და მამა გამოყვებით!

– რატომ შვილო?

– შეტევა მზადდება ჩვენ სოფელზე! მეზობლები გააფრთხილე, გაიხიზნონ! სად არის მამა, დაუძახე!

– მამაშენი ომშია, შვილო!

– რა ომში, გაგიჟდა? მე მეომება?

– მე უკრაინის მოქალაქე ვარ და ჩემი ქვეყანა უნდა დავიცვაო!

– სად არის ახლა?

– სოფლის შემოსასვლელთან! ხიდთან, თავდაცვით ზღუდეზე ვიქნებიო, ასე დამიბარა.

– საერთოდ არ გიყვარვართ არც შენ, არც მამას?!

– რატომ ამბობ, შვილო ამას?

– ხო იცით რომ რუსული არმიის პოლკოვნიკი ვარ. მე ვარ ოფიცერი, რომელიც ვასრულებ ბრძანებას. ზუსტად ვიცი ჩვენს სოფელზე მზადდება შეტევა. მე ვთხოვე ამ შეტევის გადავადება, იმიტომ რომ თქვენ გაგიყვანოთ! ხელმძღვანელობა დათანხმდა და სპეციალური ოპერაცია დაიგეგმა.

– გაგიჟდება შვილო ეს რომ მამაშენს ვუთხრა, ან ჩვენ რომ წამოვიდეთ, მეზობლები როგორ დავტოვოთ?

– სასწრაფოდ უნდა დატოვოს ყველამ სოფელი! მამას ტელეფონი რატომ არ პასუხობს.

– არ წაიღო შვილო, შენ ყოველ წამს ზარებით ამიკლებო! უკეთესია თუ გეცოდინება რომ ტელეფონი არ მაქვს და მაშინ ნაკლებს ინერვიულებო!

– დედა, მამას უყვარხარ – დაგიჯერებს! დაარწმუნე მამა, რომ მანქანას წამოყვეთ! უსაფრთხო ადგილას გადაგიყვანთ. დამთავრდება ეს სპეცოპერაცია და დაბრუნდებით ისევ.

– რა სპეცოპერაცია, ეს ომია, შვილო, ეს ომია! აქ ხალხი იღუპება, ბავშვები იღუპება! აქ შენი მეზობლები იღუპებიან!

– ხალხს არავინ ერჩის!

– ხალხს ერჩიან შვილო, სწორედ, ხალხს ერჩიან! მთავრობა კი არ ომობს, ხალხი ომობს!

– მთავრობა არ მიხსენო, დედა!

– ვინ წამოიწყო, შვილო, ეს ომი? პუტინი საერთოდ როგორ სუნთქავს ამდენი ხალხის, ამდენი ბავშვის დაღუპვის შემდეგ...

– არ გინდა დედა, პოლიტიკა, გთხოვ! დედა, ხომ ვიცი მამას როგორ უყვარხარ, დაურეკე, დაარწმუნე! გთხოვ დედა, ძალიან გთხოვ! თუ ოდნავ მაინც გიყვარვართ!

– ვერ ვთხოვ შვილო, აზრი არ აქვს, არ იცი მამაშენის ხასიათი?!

– დედა, მამა შენ გაღმერთებს. გახსოვს, კოვიდი რომ გქონდა და საავადმყოფოში მოგვიწია შენი გადაყვანა. არ გვიშვებდნენ სანახავად, ცოტა შანსია გადარჩენისო, ასე გვეუბნებოდნენ. საავადმყოფოს მისაღებში ვიყავით. მამამ სიგარეტი გამომართვა, გარეთ გავალ, ცოტა ხნით, მოვწევო. ცოტა ხანში მეც გარეთ გავედი. ძლივს ვიპოვე – რა სიგარეტი, ხეს ამოფარებული პატარა ბავშვივით ტიროდა. ახლოს ვერ მივედი, მომერიდა, მეც სხვა ხეს ამოვეფარე და ასე გამოგიტირეთ. დედა, თუ თხოვ, დაგიჯერებს. დედა, მე როგორ ვიცოცხლო თქვენ რომ რამე მოგივიდეთ, გთხოვ, დედა...

– აბა რას მეუბნები, შვილო, რა ვთხოვო მამაშენს, შენს ქვეყანას უღალატე-თქო, ეს ვთხოვო?! ანუ შენ გგონია მე არ მიყვარს, მარტო მას ვუყვარვარ?!

– დედა, შენ ხომ რუსი ხარ?!

– ჯერ ადამიანი ვარ და მერე ვარ რუსი!

– გთხოვ, დედა...

– იმან არ გაიხაროს შვილო, ვინც ამ დღეში ჩაგვყარა, იმან არ გაიხაროს, დამიწდეს და დაე ქვესკნელში წავიდეს!

– დედა, დედა... არ მესმის ხმა...

– შვილო, გესმის...

* * *

– ეგოროვ, ათი ჯარისკაცი მინდა, ვინც უკრაინული იცის, ათ წუთში ჩემთან იყვნენ.

– ამხანაგო პოლკოვნიკო, მთელ ნაწილში თქვენ იცით მხოლოდ უკრაინული!

– მაშინ ათი ყველაზე გამოცდილი მებრძოლი მინდა!

– არის, ამხანაგო პოლკოვნიკო!

* * *

ახლა ერთადერთი მიზანი ის იყო, მოეტაცა ჯერ მამა, მერე დედა და ორივენი სადმე, უსაფრთხო ადგილას გადაეყვანა. ზეპირად იცოდა სოფლის ყველა ბილიკი. მამას ყველას ზაფხულს აქ ჩამოყავდა ბებიასთან და ბაბუასთან. ბავშვობისას მეზობლის პატარა ბიჭებთან ერთად უომია კიდეც ამ ტყეებში, თითქოს ინდიელთა სხვადასხვა ტომები იყვნენ, მეტსახელებიც ჰქონდათ – „დათვის

ბრჭყალი“, „არწივის თვალი“... თვითონ მას „ეშმაკის მარცხენა ფეხს“ ეძახდნენ. მაშინ მოსკოვში ცხოვრობდნენ. მერე სუვოროვის სასწავლებელში ჩააბარა, თვითონ მოსკოვში დარჩა და დედა და მამამ აქ, უკრაინაში გადმოვიდნენ საცხოვრებლად. მამამ ერთხელ თხოვა, შენ ხომ უკრაინელი ხარ, იქნებ უკრაინის ჯარში გააგრძელო სამსახურიო. დედა ხომ რუსია, რუსეთიც ჩემი სამშობლოაო, – თავი იმართლა მაშინ. მერე მამაც არ დაბრუნებია ამ თემას...

...შუაღამისას ხიდიდან საკმაოდ დაცილებით, აყოლებაზე, ორი გასაბერი ნავით გადავიდნენ მდინარის მეორე მხარეს. ნავები ბუჩქებში დამალეს და ტყის სიღრმეში შევიდნენ. ღამის ოპტიკური დაკვირვების მოწყობილობით აკვირდებოდნენ ირგვლივ ყველაფერს. თუმცა უმთვარო ღამე იდგა, მაინც სახიფათო იყო მდინარის მოშიშვლებულ ნაპირს ჩაყოლა. უპილოტო საფრენი აპარატის გადაღებული სურათებიდან ჩანდა, რომ თავდაცვითი ნაგებობები ხიდთან იყო აგებული. დიდი ალბათობით მამაც აქ იქნება სადმეო, – ფიქრობდა. ზურგიდან აპირებდა ამ პოზიციებისთვის შემოევლო. მიდიოდა ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად და ისევ დედის ხმა ედგა ყურებში: „იმან არ გაიხაროს შვილო, ვინც ამ დღეში ჩაგვყარა, იმან არ გაიხაროს, დამიწდეს და ქვესკნელში წავიდეს...“

მოშორებით სოფელი ჩანდა. უკვირდა, სინათლეები იყო ყველგან ჩართული. თვალებით მშობლიური სახლი მოძებნა, ახლა დედა ალბათ ღუმელთან ზისო, გაიფიქრა.

უცებ სოფელში განგაშის სიგნალი ჩაირთო. გაუკვირდა, ამ ღამით არც დაბომბვა არ უნდა ყოფილიყო, არ შეტევას აპირებდნენ. ამ მიმართულებით არმიის ნაწილების გადაჯგუფება და როტაცია მიმდინარეობდა. ცოტა ხანში რაკეტების სპეციფიკური ხმა გაისმა. სოფელში რამდენიმე ადგილას ცეცხლის ალი აიჭრა და სინათლე ჩაქრა.

* * *

– ეგოროვ, ვინ გასცა დაბომბვის ბრძანება, ამის დედაც... თქვენ რა გაგიჟდით!

– ჩვენ არ გვისვრია, ამხანაგო პოლკოვნიკო, ახლა ვარკვევთ რა ხდება!

– ეგოროვ, თქვენი დედაც...

– ხელები მაღლა! დაყარეთ იარაღი! ალყაში ხართ...

– მამა?

– სანიოკ, ამის დედაც... შენ ხარ?!

უცებ ირგვლი ყველაფერი გააყრუა აფეთქების ხმამ, რომელსაც დაჭრილების და დაშავებულების კვნესის და გინების ხმა შეერია...

* * *

– დედა, შენ?!

– გონს მოხვედი, შვილო?!

– დედა, მამა სად არის?

– აი, აქვეა შენს გვერდით... ისიც დაჭრილია, კონტუზია მიიღო, არაფერი ესმის, თუმცა ექიმები ამბობენ გაუვლის, გადარჩებაო, ახლა სძინავს...

– დედა, საავადმყოფო ვისია, რუსების თუ უკრაინელების?

– რა მნიშვნელობა აქვს შვილო?! მთავარია გადარჩი...

– მარცხენა ფეხს ვერ ვასწორებ, დედა, დამეხმარე რა...

– არ გაქვს შვილო მარცხენა ფეხი...

მე, ბიძაჩემი, ფეხბურთი და გამრავლება

ვინც ეს სკოლა მოიგონა, დააცალო უნდა ყურები და იყუროს მერე უყურომ, რა კაი იქნებოდა ადრე, თემური წყობილების დროს, იხეტიალე ტყე-ღრეში, ინადირე დინოზავრებზე, ახლა კი იარე კლასში და იზუთხე კვადრატული განტოლება და დისკრიმინანტი. თან თორმეტი წელი...

– მანჯავიძე, სად იყურები ფანჯარაში...

გოგუცა მასწავლებელს გავახსენდი. ის და კატოა დაფასთან და რაღაც განტოლებას ხსნიან. კატო ძალიან ლამაზია. მათემატიკას მარტო ის სწავლობს, ამიტომ მათემატიკის გაკვეთილზე სულ დაფასთან დგას. გოგუცას კი ჯოხი აქვს ჩემხელა, იძულებული ვარ ვუპასუხო.

– განტოლებაზე ვფიქრობდი მას, ვინ მოიგონა, თან რა კაია რომ მოიგონა-მეთქი?!

– მეტი რა გითხარი შენ, კვადრატულ განტოლებაზე ფიქრობ ზუსტად... სად გაქვს რვეული?

– უკვე ნამდვილად მცხვენია თქვენი მას, მაგრამ ისევ დამრჩა! – არადა მაქვს ერთი რვეული ჩანთაში, მაგრამ მეზარება ამოღება.

– მეტი რა გითხარი შენ არაფრის არ გრცხვენოდეს! წაგვიკითხე აბა ახალი მაგალითი!

– რომელი, მას...

– შემდეგი...

– წინა რა იყო, მას...

– ბე ბიო, ბე... – მკარნახობს ზაზა, რომელიც ჩემს გვერდით ზის, წიგნიც უდევს წინ და თითით მიჩვენებს მაგალითს.

– ბე, რა ცხვარია, მარა თუ გაცხარდა, ცხარია... თან ჯოხი აქვს იმხელა... მეც ვკითხულობ...

– ორი იქს კვადრატ ოთხი იქსი...

– შუაში არ აქვთ არაფერი, მანჯავიძე, ორი იქს კვადრატს და ოთხი იქსს?

– არაფერი, მას...

არადა აქვს პლუსი, მარა გამომრჩა, ხოდა პირველ ჩვენებას ვაწვები. ასე იოლად როგორ გადავთქვა ნათქვამი. მერხთან მოდის, ახლა ვარ ცოდო.

– რა წერია აქ, მანჯავიძე? – ჯოხს აბჯენს წიგნის ფურცელს.

– სად, მას? – ვითომ ვერ ვხედავ.

– კატოს ნუ კი უყურებ, ამ პლუსს შეხედე.

– ა, ხო, პლუსიცაა...

– მერე?!

– აი პლუსია, მას ბაღნებს რო აბნევს...

– აბნევს ხო?

– კი, მას... რათ უნდა საერთოდ...

კლასში ფხუკუნი ატყდა...

– არც პლუსი გინდა, არც მინუსი, რა გინდა აბა, მანჯავიძე...

– გამრავლება ჯობია ყველას, მას... – კატოსკენ გამექცა კვლავ თვალი...

გოგუცას ცივ, ყინულიან სახეს უცებ ღიმილი აეკრა და დათბა, კლასში სიცილზე გადავიდნენ... უცებ კარი იღება და დარაჯი შემოდის...

– მანჯავიძეს დირექტორი ეძახის, ჩანთით...

...სახლში ვერ მივსულვარ, მგონი სკოლიდანაც გამაგდეს. არადა არ იყო ჩემი ბრალი. სამი დღის წინ იყო ეს. ხმას არ მცემს იმის მერე მამა. თუმცა სად მნახავს, არ ვარ სამი დღეა სახლში. არადა,

რა მექნა, ბადეს ვინ ჩივა, ან სამას ლარიან ჯარიმას, თევზს გვართმევდნენ მე და ზაზაიას ეგერები. ვთევზაობთ. ორ კილომდე დაჭერილი გვაქვს უკვე. თან რა გემრიელი ხევისწყალას თევზი. ორი საათი ვითევზავეთ ლამის. წყალმა მოშიება იცის, კუჭი დიმპიტაურს თამაშობს. თან წამოწვიმა. ის იყო ვაპირებდით გუდა-ნაბადის და ბადეების აკრეფას, ორი ეგერი დაგვადგა თავზე. აბა რა ქენით, კარგად ითევზავეთო. არა გვიშავსო, – ზაზამ. იცით ახლა რომ თევზაობა არ შეიძლებაო. საიდან უნდა გვცოდნოდა, თევზები ხომ არ გვეტყოდნენ. კიო, ამ შტერმა ზაზაიამ. ხოდა თუ იცოდით, ჯარიმას გადაიხდით სამას ლარსო, – ერთმა. წამოით ახლა თქვენი ხელით ჩადეთ მანქანაში ეს ბადე და დაჭერილი თევზიო, – მეორემ. შავი მაიკა გვეცვა და წვერი არ გვქონდა ერთი კვირა განაპარსი ორივეს, ხოდა დავაბერტყე, ბიძიებო, ეს ერთხელ გვაპატიეთ, ჩვენ ძმები ვართ, მამა მოგვიკვდა, საკურთხის თევზია-მეთქი. უიო, შეწუხდნენ, მგონი დაიჯერეს. ზაზას თვალები თევზივით დაუმრგვალდა და ისე აქვს დაჭყეტილი, ლამის გადმოუცივდეს. არა, მე არა მგონია ვინმემ დამიჯეროს, უფრო შავმა მაიკამ და მოუპარსავმა წვერმა იმოქმედა ალბათ. კარგიო, წადით აბა ამ ერთხელ გაპატიებთო. სულ ფუცხუნ-ფუცხუნით წამოვედით. მდინარიდან გზაზე ამოვედით, ამოგვყვნენ ისინიც, – იქვე ედგათ მანქანა. კოხნარლები ხართო? – კოხნარი სოფელია ჩვენი. კიო ზაზამ – სიმართლე რომ ხან გლახად გაგიხდის საქმეს არ იცის, რა ენაღვლება. მე ვარ შარში, ის კი არა. იქეთ მივდივართ და გაგიყოლებთო. ვერ თქვით უარი. სადმე ხომ უნდა ჩამოვსულიყავით და ჩვენს ასახვევთან გავაჩერებინეთ. ზაზაიამ, წამობრძანდით, დაღლილები იქნებითო. ფეხი ისე ვგლიჯე ფეხში, გაყვითლდა. კაიო, მართლა მოშიებული იყვნენ ეტყობა. მაშინ კი შემაცივა ცოტა. არა, ჯერ დამცხა, მერე შემაცივა. დედას კი ვეტყვი რაცხას, მარა მამა თუ სახლში დამხვდა, რა ვქნა, – ვფიქრობ. მამა ვეტექიმია, შიგა და შიგ ხალხსაც მკურნალობს, იშვიათადაა სახლში, ხან ვინ ურეკავს ხან ვინ. კინაღამ გადამიტრიალდა გული, პირველი ვინც ეზოში დავინახე, მამაჩემი იყო, – მობრძანდითო – შემოგვეგება. დავწინაურდი და თვალს ვუკრავ. ეგერებს ვეუბნები, გაიცანით, ეს ბიძაა ჩვენი-მეთქი.

მამა გაკვირვებული მიყურებს, მე თვალს ვუკრავ. ზაზამ ოდაში აიყვანა სტუმრები. მამა დავიმარტოხელე, მე და ზაზა ძმები ვართ, – ვეუბნები. იყავით შვილოო, – მამაჩემმა. არა, ცოტა ხნით მართლა ძმები ვიქნებით, ოღონდ შენ ჩვენი ბიძა უნდა იყო-თქო. ხოდა, ავუხსენი ყველაფერი და უნდა ითამადო, ოღონდ საკურთხის სუფრაა და ვითომ მამა, ანუ შენ გარდაცვლილი მყავხარ-მეთქი, მასხარა ხარო. აბა რა მექნა, ბადეს და დაჭერილ თევზს ვკარგავდი და სამასი ლარი ჯარიმა კიდე ზედ-თქო... აბა ასე ჩემი დაკარგვა გადაგიწყვეტიაო, კაი ჯანდაბას შენი თავიო. წამოვიდა, ითამადა კიდეც.

მანამდე დედა მოვიძიე, არიქა სტუმები გვყავს, ეს თევზი შეწვი და დანარჩენი აბა შენი იცი, – ვეუბნები. თევზი მართლა გემრიელი გამოდგა ერთი ეგერი სვამდა, მეორე არა, რულთან ვარო. მალე წავიდნენ. მანამდე, ვითომცდა ბიძაჩემის ნათქვამი, ვითომცდა გარდაცვლილი მამაჩემის სადღეგრძელო დალიეს. რომ წავიდნენ, ვიფიქრე ამოვისუნთქავ, თევზი არც მიჭამია ხეირიანად, ხოდა მაშინ გაგიჟდა მამაჩემი: – ხომ წავიდნენ, ძალიანაც კარგი, სტოპ, მამა, აქამდე მტერი ვიყავი შენი, ვერ გხედავდი, აწი მამა ვიქნებიო, უნდა მოგხედოო და წალდით თხემლას შეაჭრა კაი მსხვილი ბოლი. ვდურთე თავი ჭიშკარში. სამი დღე ზაზასთან ვათევ ღამეს. იქ მიგზავნის დედაჩემი საჭმელს და საცმელს. ერთი ახლა ვნახე გაბრაზებული ერთიც მაშინ, რუსულის მასწავლებელი რომ ამიჯანყდა, მეზობელია ის ქალი ჩვენი – ვერ არის მთლად დალაგებული. აივლიდა, ჩაივლიდა: – ნა პრინციპ არ სწავლობს შენი ბაღანე რუსულსო, – მამასთან მიშვებდა ყოველ დღე. გაბრაზებულმა მამაჩემმა შინა პატიმრობა გამომიცხადა, ჩამკეტა ერთ ოთახში და სანამ რუსულს არ ისწავლი, არ გამოგიშვებო. გავიდა ნახევარი საათი, „მამა, მამა“ – ვიძახი. რა გინდაო, – შემეხმიანა. შენ არა, დედას ვეძახი, – ვეუბნები. გამომიშვა, უსწავლია რუსული უკვეო.

მივდივართ ამასობაში დერეფანში მე, – ხელში ჩანთით, ჩანთაში ერთი რვეული და დარაჯი. დარაჯი ინტერესდება, კიდევ რა დავაშავე. მე რა ვიცი რა დავაშავე. ალბათ გაიგეს ფიზკულტურის გაკვეთილზე დარბაზში ფანჯარა რომ ჩავამსხვრიე. ჩემი რა ბრალია, ბურთი მოხვდა. მერე მეუბნება, სიგარეტი არ გაქვსო. თუ სიგარეტი არ აქვს, ნეტა რას დარაჯობს? მივეცი.

– არ გინდა შეგინახო? – მეკითხება.

– რა?

– სიგარეტი, დირექტორმა არ გინახოს.

– როდის იყო დირექტორი ჯიბეს ჩითავდა! – ვიცი როგორც შემინახავს... – აი, ჩანთა შემინახე.

– არ გამოვა, ჩანთით, შემოვიდესო.

ნეტა დირექტორს ჩემი ჩანთა რათ უნდა. შევედი. იქ ბიძაჩემი დამხვდა, კალისტო. დედაჩემის ძმაა, მეზობელ სოფელში ცხოვრობს, თან დირექტორთან მეგობრობს. ადრე ერთად უსწავლიათ უნივერსიტეტში, მერე ბიძაჩემი გამოუგდიათ, თუ თვითონ წამოვიდა არ ამბობს...

– ოჰ, გიგლა ბატონო, მობრძანდით! – დირექტორი მექილიკება.

– დავაშავე რამე, მას?

– გაგიჭირდებოდა!

– გიგლა გეყოფა სწავლა, ახლა კარგია გავლა... – მეუბნება ბიძაჩემი, – წავედით აბა ჩვენ.

– დაამთავრე ის ამბავი, თუ არა დავაბრუნე კლასში აი ვაჟბატონი, – ბრაზობს დირექტორი.

– ...ხო, რავარია, დავჯექით სამი, ავდექით რვა... წინაპრების სადღეგრძელოს ვსვამთ... – ეტყობა დაწყებულ ამბავს აგრძელებს კალისტო.

– ღვინო ვარგოდა?!

– ღვინო ვიყიდეთ. პირველი სამი ჭიქა კი გაგვიჭირდა ცოტა, რაფერ ამჟავებს აი ხალხი ღვინოს, მერე წავიდა და წავიდა.

– გახსოვს ფილოსოფიის რექტორი რომ გვეუბნებოდა, პირველი სამი აღებს, ექვსამდე ღიაა, მერე ისევ იკეტება, მეშვიდეზეო... ჯიგაროს მაღაზიაა რა, – იცინის დირექტორი.

ჯიგაროს სოფლის მაღაზიის გამყიდველს ეძახიან, ისე ნამდვილი სახელი დევია ჰამლეტია.

– ხოდა დეიწყო დაკეტვა. წინაპრების სადღეგრძელოზე წინა ღამის სიზმარი გავიხსენე უცებ, თითქოს მოგვებთან ვიყავი. სამნი იყვნენ, რაც გაინტერესებს, გეტყვითო, მეუბნებიან თითქოს. ხოდა არ ვიცი, რატო, ვეკითხები, სიკვდილი ყველაფრის ბოლოა? ანუ მოკვდა ადამიანი და გაქრა, ფაფუ-მეთქი. არ გაინტერესებს რა მითხრეს? არაო, სიკვდილი ახალი სიცოცხლის დასაწყისიაო. ასე ბევრი ამბობს, დამიმიტკიცეთ-მეთქი. ერთმა ჯიბიდან თაბახის ფურცელი ამოიღო. ორად გაკეცა და მიწაზე დადო. ასე გაკეცილი დარჩა ქაღალდი, – კარავივით. ხედავო, მეუბნება. კი, ვხედავ, თვალები მიხატული კი არ მაქვს-მეთქი. ხოდა ქაღალდმა დაიმახსოვრა რომ გავკეცეო, სიცოცხლე მახსოვრობაა. გახსოვს ანუ ცოცხლობო. მინდოდა მეკითხა, ვისაც სკლეროზი აქვს, იმას რა ეშველება, ან რომ დაიწვება ეს ქაღალდი, მერე-მეთქი, მარა გამეღვიძა. მისმენს ზურიე და გეიგიჟა თავი, არადა მანტერესებდა სიკვდილი რა იყო და დეიჩემა, მე ვითომ მოვკვდი და მიტირეთო... იქვე ზალაში მეორე ტახტი იყო და წამოწვა. ჯერ მოგონების სადღეგრძელოები დავახვავეთ. ბესიე გარეთ გავიდა, ეზოში მოგლეჯილი ყვავილებით დაბრუნდა და შემოულაგა ირგვლივ, მერე თავზე დაემხო და ისეთი მოთქმა და ბღავილი ატეხა, შურას შეშურდებოდა, ხომ იცი სოფლის მთავარი მოკივარი რომაა.

– მერე არ გეიგონეს მეზობლებმა? – იცინის დირექტორი.

– გეიგონეს რომელია, მთელი კუთხე მოგროვდა, პირველი შურა მოვარდა კივილით, ზურია, ზურიაო, შენ სიკვდილი არ იცოდიო, კივის. არა, მართლა მკვდარი რომ ყოფილიყო, ჩემთან რეიზა

ესვენებოდა. იმას ზურიეს ცოლშვილი მოყვა. ატყდა ერთი ამბავი. მართლა მიცვალებული ეგონათ ზალაში დასვენებული. ისე კაი ცრემლი გაყვა ზურიას, არც აპირებდა წამოდგომას, მგონი. წამოდგა და ისევ შურა გახდა ცუდად...

– ვერა ხართ, რა...

– არ მითხრა, რა, იმფერი გააბდლებული ვიყავი, ჩემი თავის მცხვენოდა მეორე დღეს. თან დედაჩემი სარით დამსდევდა, რას გავს სახლ-კარი, სახლში მარტო არ დეიტიებიო. ასე იყო აი ამბავი, გიგლა ბატონო, წავედით აბა ჩვენ... – ბიძაჩემს როგორც იქნა გავახსენდი.

– კი მარა, სად მიგყავს აი ბავშვი, არ მეტყვი? – ისე ეკითხება დირექტორი, გეგონება მართლა ვენანებოდე.

– რაღა ბავშვი, წვერს იპარსავს უკვე, რა ამბავია თორმეტი წელი კლასი, ამ ხნის რომ იყო აღმაშენებელი, მეფობის ორწლიანი სტაჟი ქონდა უკვე, – დაიწუნა ბიძაჩემმა ჩემი თანამდებობა და სკოლაში მიმდინარე რეფორმა.

– მეფობას თუ მისცემს ვინმე, აიც არ იტყვის უარს, – იცინის დირექტორი, – მაინც სად მიდიხართ!

– ყურძენზე, კახეთში?!

– იქნება ახლა?

– კი, დამპირდა ერთი.

– მერე, სკოლა? – მეც ჩავერთე საუბარში. ოპა, ამას მე ვამბობ, ისე, დირექტორის გასაგონად, თან ვცქმუტავ, ანუ მოგზაურობა მიწევს.

– ნუ გეშინია, წიგნი არ გაგექცევა, ჩამოხვალ და დაგხვდება!

– რატო დახვდება, თან წაიღებს და გზაში იმეცადინებს! – ფანტასტიკურ აზრებს აფრქვევს დირექტორი. ნეტა ჯერა?!

– კი, ესეც შეიძლება, კლასსაც ხომ არ გამოაყოლებ?! – ახვიხვინდა ბიძაჩემი. ცხენის სიცილი აქვს. ვინც არ იცის, როგორ ხვიხვინებს ცხენი, ვეტყვი – ბიძაჩემივით.

– მამა თანახმაა?

– ყურძენი მარტო ჩემდა კი არა, თქვენდაც უნდა მოვიტანოთ. – ვითომ წუხდეს მამის ამბავს? – სადაც გინდა იქ წაიყვანე, მაგის ფეხი არ ვნახო სახლშიო, ასე მითხრა! ის იცი, მამამისს საკუთარი შესანდობარი რომ დაალევინა? – დირექტორს მიუბრუნდა ისევ.

– გაუჭირდებოდა! – ამბობს დირექტორი.

– როის მივდივართ?! – ვეკითხები დირექტორის კაბინეტიდან რომ გამოვედით.

– მივდივართ უკვე! – მეუბნება.

სკოლის ეზოსთან მამაჩემის ოპელი იდგა. მერე თვითონ მამას დავუწყე ძებნა. თურმე კალისტოს ჰქონდა გასაღები.

– ოპელით მივდივართ? – ვეუბნები მანქანში რომ ჩავჯექით.

– ხო, აბა ფეხით სიარულს გაკადრებ. დღეს ცხრამდე თბილისში უნდა ვიყოთ. საქართველოს ნაკრებიც თამაშობს, პოლონეთთან. ხვალ კი კახეთი, – „ცივ გობორს გადასახედო, კახეთო, ჩემო კახეთოოო...“, – წაუღიღინა, – დღეს კი დიდი მატჩი გველის. ლევანდოვსკი და რამე. ჩვენები იგებენ, ასიანი.

– აუ, მაგარია, – კბილები ამიკაწკაწდა, – და ბილეთები.

– ძმაკაცი მყავს ერთი, ხოდა დაგვახვედრებს, მაგაზე არ იდარდო, მე შენ გეტყვი და თავპირის მტვრევა არ იყოს... ეჰ, რა დრო იყო ხალხი ღამეებს ათენებდა ბილეთების რიგში... რაფერ მეცოდება პაიჭაძე, მესხი, მეტრეველი, ყიფიანი ამათ საცოდაობას რომ უყურებს.

– ესენი ხომ მოკვდნენ...

– შენ ყრუ ხომ არ ხარ, აი ყურები მიხატული გაქვს? ვერ გაიგე მოგვებმა რა თქვეს?!

ბიძაჩემი, როგორც თვითონ ამბობს, პატრონი არ ყავდა, თორემ დიდ ფეხბურთს ითამაშებდა, ისე ფეხბურთს შევალიე ჩემი სიჭაბუკე და ჯანმრთელობაო, ამბობს. მოტეხილი აქვს მარჯვენა ხელი (ეს ღობეზე ხტებოდა თურმე სტადიონის და მაშინ), მარცხენა ფეხი (ბავშვობაში ასფალტზე თამაშობდა თურმე), ორი ნეკნი (ეს სოფელში ცოლიანები და უცოლოები თამაშობდნენ პურ-მარილზე). მთელი არაფერი არ მაქვს, სულის გარდაო, ამბობს. რომ კითხავ, როგორ ხარო, სულმთლად ვარო, გეტყვის. გარდა ამისა ჯიღის ხელა ჭრილობა აქვს ფერდში, ეს მოსწავლე რომ იყო, მაშინ გაპარულა აფხაზეთის ომში. გაგრასთან დაიჭრა, ძლივს გადაარჩინეს, მაგრამ ამაზე არასოდეს ამბობს რამეს.

ჯერ სახლში გავიარეთ. მეგონა მამა არც იყო სახლში. მე არც გადმოვსულვარ მანქანიდან. დედამ, აბა ჭკვიანად იყავითო. საგზალი გაემზადებინა უკვე და ჩანთით საცვლებიც, ჩემთვისაც და ბიძაჩემისთვისაც. მე სამაგიეროდ ჩემი ერთ რვეულიანი ჩანთა დავუტოვე. წამოვედით, სანამ ეზოს ღობერს გავცდებოდით, უკან მივიხედე და შევნიშნე, დედას ჩემი ჩანთა გულზე ჰქონდა მიკრული, მასთან ერთად მამაც იდგა და ერთად გვიყურებდნენ ორივე...

სოფლის ცენტრიდან სამტრედიამდე ორი ტყუპი ძმა გამოგვყვა. სამოც წლამდე არიან უკვე. ერთხელ მამამ ამათთან თხილის კრეფაზე მისახმარებლად გამიშვა, მეორე ძმაც იქ იყო. ამათ არ ვიცნობდი საერთოდ. სამტრედიაში ცხოვრობენ და მოსავლის აღების დროს ამოდიან სოფელში. ხოდა სანამ დავიწყეთ მუშაობა, ერთმა დამიმარტოხელა და მეუბნება, ესო, ჩემი ძმა, ცოტა გიჟია, არაფერი თქვა საერთოდ თორემ შეიძლება მოუაროს და თუ გადელდა მტრისას მერე, ვერ აკავებს ვერაკაცი და შეიძლება თავში რაიმე გრეხვოს, ხოდა ფრთხილად იყავიო. ვარ ჩუმად, ხმას არ ვიღებ საერთოდ. ნორმალურად იქცევა ის კაცი, ვერაფერს შეატყობ. გავიდა ასე ერთი საათი. ხოდა ვეკითხები იმ ძმას მარტო რომ დავრჩით, იმ კაცს გიჟობის და სიაბლდის რომ არაფერი ეტყობა-მეთქი. რა გიჟობისო, – უკვირს იმას. თურმე შემშლია. იმ ძმას ვეუბნები ამას, ვინც გიჟად გაასაღეს. ვაი მაგი შტერიო, გიჟი და აბდალე თვითონ მაიაო, ხოდა მაგას უნდა უფრთხილდე, თუ უნდა უფრთხილდეო – იცინის... მატყუებდა თურმე ის, მეორე ძმა... მე კიდე ძმები ამერია ერთმანეთში, ვინც მატყუებდა იმას პერანგი გაუცვლია მეორესთვის. ამიჭრელდა თვალები... ვინაა ამათი საღადაო-მეთქი, თან როგორია, ორ კაცს უყურებ და ერთია, წამოვედი სახლში... გამომეკიდენ, სადილზე მაინც დარჩიო, ვჭამე უკვე-მეთქი.

სანამ ეს ამბავი გავიხსენეთ და ვიცინეთ, ჩავედით სამტრედიაში. ისინი ჩამოვიდნენ, ცოტა გავიარეთ და ქალი იდგა გზაზე. მობილურზე საუბრობდა, თან ჩვენც აგვიწია ხელი. ბიძაჩემი ხომ დედა ტერეზაა, არ არსებობს ვინმემ ხელი აუწიოს და არ გაუჩეროს. ის კი არა ლეკვი დაუნახავს გზაზე, გალუმპული ღელედან ვერ ამოდიოდა თურმე. წაუყვანია სახლში. ბებიას რომ უთქვამს რა მოიყვანე ესო, გაჭირვებული, კაცი იქნება თუ ძაღლი, უნდა დეეხმარო, – უთქვამს. ჩაჯდა ქალი, არც მოგვსალმებია, არც საუბარი შეუწყვეტია. დაძრა ბიძაჩემმა მანქანა, თან სარკეში უყურებს ქალს.

– გოგო, სახლში ვერ გეტყოდი, რომ გეიგონ რეიზა მოვდივარ, მეჩხუბებიან. ხოდა იმიზა გაგითიშე. იმათ იციან, თითქოს ლილოში მივდივარ ბოვშვების საყიდლებზე.

– ...

– არა, სად მცალია შენთან მოსასვლელად და ყავიზა, ჩამოვალ თუ არა სალონში უნდა მივიდე ჯერ, მერე შტაბში... ხოდა ვუყურებ ტელევიზორში, მოდის და მოდის მანქანები და დროშები, გული სიხარულით ამიჩქროლდა, ის ძველი დრო გამახსენდა... ალო, ალო... – ეტყობა არ იჭერდა მობილური და გაეთიშა.

– გამარჯობათ ქალბატონო... – ახლაღა მიესალმა ბიძაჩემი.

– უი, ბოდიშით, არც კი მოგესალმეთ... თბილისში მიდიხართ?

– კი, ალბათ, თქვენც ხომ...

– კი, მიტინგზე ხომ არ მიდიხართ?

– რომელ მიტინგზე, ქალბატონო? – დაინტერესდა ბიძაჩემი...

– როგორ? არ იცით? ნაციონალების მიტინგი იქნება. მიშას ვენაცვალე, შეიძლება სკაიპითაც დაგველაპარაკოს...

– ქალბატონო, აქ რომ იყო, რას აკეთებდა, იქედან რომ გააკეთოს რამე, თან სკაიპით – უკვირს ბიძაჩემს.

– ააშენა ქვეყანა და თავის აშენებულ ქვეყანაში ვერ ჩამოდის, საქმეა ეს?!

– არ უნდა გეეხადა ასე საქმე, ქალბატონო!

– უიმე, ბიძინისტები ხართ თქვენ?!

– არა ქალბატონო, ჩვენ ვართ შარაფისტები...

– შარაფი ვინ არის?

– აბა, ბიძინა ვინ არის?!

– ხო, ვითომ არ იცით!

– ხოდა... უიმე, მანქანის პასპორტი დაგვრჩა სახლში, ხომ გითხარი გამახსენე-მეთქი, – მომიბრუნდა მე.

– როის მითხარი, – გავაბდლი უცებ, მეგონა მართლა დარჩა რამე.

– უნდა მოვბრუნდეთ ქალბატონო უკან, თუ გნებავთ წამოით ჩოხატოურში.

– გამიჩერე ერთი, თუ კაცი ხარ!

ჩავიდა ქალი. ბიძაჩემმა, მე რომ ვფიქრობდი მოაბრუნებს-მეთქი, პირდაპირ გააგრძელა გზა.

– მერე გეტყვიან ცოლი რატომ არ მოგყავსო, – მომიბრუნდა მე. ვერაფერს ვერ გაუგებს კაცი კალისტოს. ეს არის მართლა კვადრატული განტოლება და დისკრიმინანტი. ცოტაც რომ გავიარეთ მღვდელი იდგა გზაზე. გააჩერა.

– მამაო, წამობრძანდით, თუ იქეთ მიდიხართ.

– უბისას გადასახვევამდე გამოგყვებით, შვილებო...

– მობრძანდით, მამაო...

ცოტა დრო ჩუმად ვიარეთ. საათი რომელიაო, მკითხა, სამი ხდებოდა უკვე. ზესტაფონს გავცდით ამასობაში. მოსახვევებმა იმატა და ტრაილერებმა. გაასწრებს ბიძაჩემი ერთს, მეორე გამოჩნდება. გააასწრებს იმასაც, მესამე.

– სად გეჩქარება, შვილო, ღმერთს არ ეჩქარება, შენც ნუ გეჩქარება.

– ეს რა სიჩქარეა, მამაო, ყოფილა სამ საათში ჩავსულვარ თბილისში.

– ძველი სიბრძნეა ერთი, – „იჩქარე ნელა“!

– რა ვიცი, მამაო, თითქოს საათიც აჩქარებულია... თითქოს დედამიწაც ჩქარობს, რაცხა მალე ღამდება-თენდება, თუ ვცდები, მამაო?!

– ეჭვი რომ გეპარება, ცდები ანუ შვილო!

– მამაო, სიზმარი ვნახე... – დაწვრილებით მოუყვა მოგვების ამბავი... – თქვენ რას მეტყვით?!

– მე რა გითხრა, წმინდა ავგუსტინე ამბობს, შვილო, „სიკვდილი არა არის რა, მე მხოლოდ გაღმა მხარეს გავედი. მე ისევ მე ვარ, შენ ისევ შენ ხარ, რაც ვიყავით ერთმანეთისთვის, ისევ ვართ საუკუნოდ“...

– ასე მითხრეს იმათაც, გამოდის მართლა მოგვები იყვნენ, მე აფერისტები მეგონენ, მაპატიეთ მამაო... – უცებ ტუჩზე მიიდო ხელი...

– ღმერთმა მოგიტევოს, შვილო!

ამასობაში უბისას გადასახვევამდეც მივედით, მიგიყვანთ მამაო, ბიძაჩემმა. არა, აქვეა, ხომ გეჩქარებოდათო. არა უშავსო. მართლა იქვე იყო მონასტერი. თამარ მეფის საყვარელი მონასტერი ყოფილა უბისა. ამდენი ხანია ამ გზაზე დავდივარ და ასე ლამაზი მონასტერი თუ იყო აქ არ ვიცოდიო, ნახე კაცო მეცხრე საუკუნეში რა აუშენებიათ, ხოდა აბა ვინ იტყვის რომ სიკვდილი არსებობსო, – ამბობს ბიძაჩემი. ოთხსართულიანი ბერების საცხოვრებელიც ვნახეთ, ისიც მეცხრე საუკუნის. თბილისში, ვაჟაზე რომ ხრუშოვკებია იმაზე ასჯერ უკეთესიაო, – იღიმის ბიძაჩემი. თურმე იქ ცხოვრობდა სტუდენტობისას. სანთლები ავანთეთ, მამაომ გზა დაგვილოცა და წამოვედით. უბისადან სანამ ცენტრალურ ტრასაზე გამოვიდოდით, ქარმა დაუბერა და შემოდგომის ოქროსფერი ფოთლების თოვლი წამოვიდა უცებ. ბიძაჩემმა მანქანა გააჩერა, ნახეო რა ლამაზიაო და ღიღინი დაიწყო... „ყვითელი ფოთლების, გუნდი შორეულ, ქარს სადაღაც მიაქვს...“

რიკოთზე ცოტა შევისვენეთ, ერთ ფაცხაში დედას გამოტანებული ხაჭაპურები და მრგვალად მოხარშული დედალი დავამუშავეთ... თბილისში შვიდი იქნებოდა, რომ ჩავედით... ჯერ რომელიღაც საავადმყოფოში მივედით, სადაც ძმაკაცი ელოდებოდა ბილეთებით. კაბინეტამდე აქაც დარაჯმა მიგვაცილა, რაღა საავადმყოფო, რაღა ჩვენი სკოლა – დარაჯმა აქაც სიგარეტი გამოგვართვა. ოღონდ მე არა, ბიძაჩემს. ბიძაჩემთან ვერ ვეწევი, თითებს მიგაწვავო დამპირდა, რაც სულაც არ მხიბლავს.

– რა ხალხი და რა კაცი, შემოდით კაცო, ჩამოჯექით! – მოგვეგება თეთრხალათიანი კაცი.

– სად მცალია დასაჯდომად, დაიწყო თამაში.

– შენ რავა იმ გურული ქალივით ამბობ, ავტობუსში რომ ადგილს უთმობენ, და რომ შეიცხადებს, სად მცალია ნენა დასაჯდომადო!

– ხოდა ისე ვარ მეც... დასაჯდომად მაშინ გვეცალა კლასში რომ ვსწავლობდით...

– ნუ გამახსენებ თუ კაცი ხარ... ე, მაშინ ვიყავით ბედნიერები... გახსოვს როგორ ვაწვალებდით გოგოებს...

– არ გცხვენია მერე მაგი რომ გახსოვს?

– კი, ცოტა!

– ეს აგნეტუშიტელი რას დაგიდგამს აქ?

– არ მკითხო, ერთი შორეული ნაცნობი მყავს...

– შორეული – ნათესავი გამიგია!

– შორეული ნათესავი ხომ გაგიგია, ხოდა ეს შორეული ნაცნობია. მირეკავს ერთხელ, მიშველე, ძმა მეღუპებაო. ძმა ყავს იმ ნაცნობს – ვარლამი, პაჟარნიკი. ვიცნობ იმასაც. ვიფიქრე, გამოძახებაზე მოუვიდა რამე-თქვა. შენც არ მომიკვდე. სოფელში წასულა ყურძნის საკრეფად და ჩამოვარდნილა ხიდან – თან არ დაგავიწყდეს, მეხანძრე... თურმე პირველი არ მოსვლია ეს, ადრეც ჩამოვარდნილა, თან არა ერთხელ, ისე რომ მეზობლები ეხუმრებოდნენ კიდეც: ვარლამ, ხეზე რომ გადიხარ, ტოტს ხელს არ კიდებო... ადრე კი გადარჩენილა, მარა ახლა ცუდად იყო ნამეტანი. კაცი დამხვდა დაშლილი, თავიდან იყო ასაწყობი, ერთი პროცენტი იყო გადარჩენის შანსი, არ მინდოდა ხელის მოკიდება, გადამყვა ის კაცი. დავთანხმდი, მოვეჭიდე იმ ერთ პროცენტს, მომყვა ორგანიზმი, ხოდა სამ თვეში დავაყენე ფეხზე, გავუშვი სახლში. ბიზნესმენია ის ჩემი შორეული ნაცნობი, ხოდა გამოწერის დროს მაჩუქა რაღაცა თანხა, ჩემს სახელად იყიდე რაცხაო. არ ვართმევდი მაგრამ, ბანკის კრედიტი მქონდა დასაფარი და არც მე ვეჭიდავე ბევრი... ხოდა მირეკავს დღეს, ცუდადაა საქმე, ცოლს ვერ ცნობს ის ჩემი ძმაო... პირდაპირ ვერ მეუბნება ეტყობა, ფული დამიბრუნეო... ალბათ. თან არც მე მაქვს დასაბრუნებელი, ხოდა დავიბარე დღეს... მოვიდნენ ორივე, მოვატანინე ეს ცეცხლმაქრი და ვეკითხები: ვარლამ, რა არის ეს-მეთქი. „აგნეტუშიტელიო“, – გამიღიმა... გავიყვანე მეორე ოთახში

ის ბიზნესმენი ძმა, ვეუბნები: – ეს კაცი აგნეტუშიტელს ცნობს და ცოლს თუ ვერ ცნობს, ვადროვოთ ცოტა და იცნობს-მეთქი... – ვერ მითხრა ვერაფერი, ეს წუთია წავიდნენ...

– იგონებ ახლა ამას?

– ასიანს გეუბნები, სად მცალია მოსაგონებლად, კაი მოვრჩეთ ამაზე, სხვა რა ხდება, დაოჯახებას არ აპირებ, გაგითეთრდა თმა. ხომ ხედავ!

– ეჰ, იმისთანა დრო მოვიდა, რომ მყავდეს, უნდა ვუშვებდე! – ეტყობა ის ქალი გაახსენდა ბიძაჩემს გზაში რომ დავტოვეთ. ხო, ერთხელ ქალის დასანიშნადაც ყოფილა. ბებიაჩემი და დედაჩემიც ახლდა. წამოუცვია დედაჩემის ნაყიდი ოქროს კალიცო ქალისთვის ხელზე. სუფრაა თან თითქოს გაშლილი დიდი. ხოდა შუა სუფრაზე, ქალი ეჩურჩულება თითქოს, კაი მძიმე ბეჭედი ჩანს, მოდიო, ხვალ გავყიდოთ და ფული გევიყოთო. მათხოვე ეს კალიცოო, კალისტოს უთქვამს. უთხოვებია ქალს. უდურთია თავი კარებში და წამოსულა სახლში. ასე ჩაშლილა ის ნიშნობა... მერე რომ ეტყვიან, რას შვები ქალის სანახავად არ მიდიხარო, პასუხობს, ნანახი მყავს უკვეო. ის ბეჭედი დოულომბარდებია, ბიჭებთან ერთად რესტორანში უქეიფია. რომ დათვრა, უპატარძლო ქორწილიაო, იძახდა თურმე.

წავედით სტადიონზე. ბიძაჩემის ძმაკაცი ვერ წამოვიდა, თერთმეტამდე მორიგეობა მიწევს, საღამოს სახლში გელოდებითო. დინამოს ჭიშკართან იმდენი ხალხი იყო, ვიფიქრე სავსე იქნება და შეიძლება ადგილებიც არ შეგვხვდეს-მეთქი. მერე რა რომ ბილეთი გვქონდა. თუმცა ნახევარი ტრიბუნები ცარიელი დაგვხვდა, თუმცა ჩვენ ზედ ცენტრის პირდაპირ ვიჯექით და იქ ცარიელი ადგილი არც იყო. ჯერ ჰიმნები შესრულდა, ბიძაჩემი ბოლო ხმაზე მღეროდა. მარჯვენა ხელის დამუშტული გულთან ჰქონდა მიდებული და ისე. მეც რომ მივბაძე, გადმომხედა და გამიცინა.

დაიწყო თამაში. ჩვენებმა რამდენიმეჯერ კარგად შეუტიეს, მომენტებიც ჰქონდათ, ოღონდ საბოლოო დარტყმა სულ არაზუსტი იყო. სამაგიეროდ ბიძაჩემი ისე შედიოდა როლში, ერთი-ორჯერ კარგა ლაზათიანად და ზუსტად მხია ფეხი ფეხში და მუჯლუგუნიც მითავაზა, იქითა მხრიდან ვიღაც კაცი ეჯდა, ის მგონი მეათე წუთზე გადაჯდა სხვაგან. მეც გადავჯდებოდი, მარა მომერიდა მიტოვება, ისევ სჯობს ფეხები მოვარიდო მეთქი. ხოდა ცალკე საქართველოს ნაკრები იცავდა თავს პოლონელებისაგან, ცალკე მე – ბიძაჩემისაგან...

დამთავრდა პირველი ტაიმი.

– ჰა, რავარია, – მეკითხება. – ჟიმ-ჟიმი აქვთ პოლონელებს, ჩვენი ბიჭები უტევენ, ვიგებთ.

– აუ, სად დაარტყა იმ რიჟამ. – ვამბობ მე.

– კობახიძემ? – იცინის ბიძაჩემი. – სამაგიეროდ კარგად თამაშობს. აიკლო მარჯვენა ფრთა.

მეორე ტაიმი სანამ დაიწყებოდა, ჩემს გვერდითაც გათავისუფლდა ადგილი. ამასობაში ვხედავთ კიბეებზე ვიღაც მთასავით კაცი ამოდის. ესო ალბათ სავარძელში მაშველით ჯდება და წიხლით ამოყავთო, – იცინის ბიძაჩემი. ხოდა ახლა ვარ ცოდო, ზუსტად მე მომიჯდა ის კაცი გვერდით. ტერიტორიებსაც მართმევს, შემავიწროვა რა, რაღა რუსეთი და რაღა ეს. სად მოვძებნო ახლა ნატო? დაიწყო მეორე ტაიმი. ეს კაცი ტოტალიზატორის ბილეთებს ამოიღებდა, დახედავდა და ისეც უემოციოდ აგრძელებდა თამაშის ყურებას. ამასობაში პოლონელებმა კუთხური ჩააწოდეს და პირველ მერცხალში რომ არის ინგლისელები რომ თავით ეთამაშებან ერთმანეთს და ქართველები რომ გამოშტერებული უყურებენ, ზუსტად ისე იყვნენ ახლაც. თავით უპასა ერთმა პოლონელმა მეორეს ჩვენს საჯარიმოში, იმანაც თავით დაარტყა და გაგვიტანეს.

– გენაცვალე. – ჩაილაპარაკა ჩვენს გვერდით მჯდომმა, თან ისევ ბილეთებს ჩახედა, – ეს თამაშიც ჯდება!

– მათხოვე აბა რა ბილეთი გაქვს, – დაინტერესდა ბიძაჩემი... საიდან გეიგონა იმ ღრიანცელში ამ კაცის ხმა, ვერ მივხვდი. თან ადგილი შემიცვალეო, მეუბნება. შევუცვალე. კაცმა ტოტალიზატორის

ბილეთი აჩვენა, – სამას ლარს ვიგებო. ბიძაჩემმა ჯერ ბილეთს დახედა, მერე კაცს შეხედა. ადგა, აბა ისე რას შეწვდებოდა და ის ბილეთი თავზე გადაახია. წამოდგა ის კაციც, ადრე რომ მთა იყო, ახლა მთა იყო კვარდატში – სად გამომადგა გოგუცას ნასწავლი. საყელოში წვდა ბიძაჩემს და ექაჩება. ძალები აშკარად უთანასწორო იყო და ვიფიქრე ზევიდან დავუვლი-მეთქი. დავუარე, ავხტი და კისერზე ჩავებღაუჭე, თან თავში ვგლიჯე. მეგონა კედელს დავეჯახე. წიწილასავით მომიშორა და მერე ორივე მეც და ბიძაჩემიც ბურთებივით მოგვისროლა. რბილად კი დავეცით. თავიდან გადავდიოდით შეტევაზე, მარა მერე ხალხი ჩადგა შუაში გასაშველებლად, პოლიციაც გამოჩნდა. წავიდა ის კაცი, ხომ მთასავით იყო, მარა ასე მგონია ტურასავით გაიძურწა. ამასობაში პოლონელებს მეორეც გაეტანათ. საბოლოოდ კი ოთხით ნოლი წავაგეთ.

დაძმარებულები გამოვდივართ სტადიონიდან. სანამ მანქანასთან მივიდოდით, ვიღაც კაცი გვეკითხება, რა ქნეს ჩვენებმაო.

– ეჰ, წავაგეთ, წავაგეთ... – სული და ხორცი ამოატანა ბიძაჩემმა ნათქვამს.

– გაუჭირდებოდათ, – თქვა კაცმა, დირექტორივით. ბიძაჩემი ისე მკვეთრად მიუტრიალდა, ვიფიქრე ახალი შარი, მაგრამ ისე ნაღვლიანი სახე ჰქონდა კაცს, ვერაფერი უთხრა...

ის ღამე ბიძაჩემის ექიმ-ძმაკაც-კლასელთან გავატარეთ. ბიძაჩემს დანა პირს არ უსხნიდა. პირდაპირ მაგიდასთან დაგვსვა, მისმა ძმაკაცმა, თან ბოდიშს იხდიდა, ცოლს დედა ჰყავს ცუდად და იქ არის, ხოდა მაპატიეთ ასეთი სუფრაო. ბიძაჩემმა ხელი არაფერს არ დააკარა. რა მოხდაო, ის ძმაკაცი ეკითხება, პირველად ნახე საქართველოს ნაკრების წაგებაო. მე მოვყევი რაც მოხდა. იცინის ბიძაჩემის ძმაკაცი, რას ერჩოდი იმ კაცს, საქართველოს ნაკრები ფულს აკეთებინებდაო, – ეხუმრება მისი ჭკუით. ადგა ბიძაჩემი, წამოდიო, მე მეუბნება. სად მიხვალ, ამ შუაღამეს, არისტოფან, გეხუმრეო, შერცხვა მის მეგობარს...

– იცი რა, ჩემთან შეიძლება შეგეშალოს, ვისთანაც გინდა შეგეშალოს, ოღონდ სამშობლოსთან და მშობელთან არ უნდა შეგეშალოს, ხოდა შენი ქვეყნის უბედურებაზე ფული არ უნდა აკეთო! – თქვა ბიძაჩემმა. მის მეგობარს კი ეუბნებოდა, მაგრამ მეგონა მე უფრო მეუბნებოდა ამ სიტყვებს – ნახევარს მაინც. უცებ ტირილი მომინდა. მამა გამახსენდა, დამდურებული. ცრემლი მომადგა. ტუალეტი მინდა-მეთქი... კარგად მოვიოხე იქ ტირილით გული, ოღონდ უხმოდ ვიტირე, ვინმეს ქალოია არ ვეგონო-მეთქი. დავრჩით მაინც, ალბათ მე შევეცოდე, ღამე სად გავათევიოო.

მეორე დილით ადრე ავდექით. ბიძაჩემის ძმაკაცს სუფრა გაეწყო უკვე. არ გეწყინოს ძმაო რამეო, ისე გადაეხვია ის ძმაკაცი ბიძაჩემს, ლამის თავიდან ამიტყდა ტირილი, უსაშველოდ მომინდა ახლა მამასთან ვყოფილიყავი და ჩავხუტებოდი და პატიება მეთხოვა.

ჩავედით კახეთში. გზაში გუნება გამოგვიკეთდა ორივეს. იმ მთა-კაცთან ხელჩართულ ბრძოლას ვიხსენებდით. თუმცა წესით გალახულები ჩვენ გამოვედით, მაგრამ მაინც ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩვენ ვცემეთ ის კაცი...

დავდივართ სოფელ-სოფელ: რა ყურძენი, რის ყურძენი, რა ატამი რის ჭერამი, თქვენ ალაოდ ხომ არ ხართ, ახლა ყურძენს სად იშოვნით, ყველას დაკრეფილ-დაწურული აქვს უკვეო, – გვეუბნებიან. ბიძაჩემს ვეუბნები, ის ერთი ვინაა, ყურძენს რომ დაგპირდა-მეთქი, ეს ისე მოვიგონე, აბა რა ვიცოდი, კახეთში ყურძენს თუ ვერ ვნახავდიო. მერე ერთ სოფელში მიგვასწავლეს, თედო იკითხეთო. მივდივართ სოფლის გზაზე, პატარა ბაზარი იყო. ბიძაჩემმა ცოტათი შევისვენოთო და ცხელი შოთის პური და ყველი იყიდა. გემრიელად შევექეცით. მანქანაში რომ ვჯდებოდით, დამსვი რა-მეთქი. კაი, ტრასამდე დაჯექიო. შევცვალეთ ადგილები. ხუთი წუთი არ გვივლია, მოსახვევში მანქანამ გადაგვისწრო, არადა ვსტრეჩნიზეც მანქანა გამოჩნდა. მე მკვეთრად მარჯვნივ ავიღე, მოსახვევში შევედი და წინ ვირის კაჭკა არ მიდის? ტორმუზი კი ვგლიჯე მარა ბრახ და დავეჯახე. ოღონდ სანამ და-

ვეჯახებოდით, კაჭკაზე კაცი იჯდა. დაჯახებისას ინსტიქტურად თვალები დავხუჭე, თან აირბაკები გაიხსნა და ბალიშებმა მგლიჯა ცხვირში. ხოდა ახლა კი კაცი არ ჩანს. შევხედე ბიძაჩემს, ფერი არ აქვს. ახალი ეტაპი ცხოვრებაში – ფერდაკარგული ბიძაჩემი. ძლივს ავიხსენით ღვედები. ორივე მანქანამ ისე აგვიარა გვერდი, ვითომც არაფერი, ან შეიძლება ვერც შენიშნეს, რომ კაჭკას დავეჯახეთ. გადმოვედით. მანქანასთან კაცი წევს. არ ინძრევა. მივვარდით. ბიძაჩემმა გულზე თავი დაადვა.

– დევიღუპეთ, მოკვდა მგონი, – შეიცხადა ბიძაჩემმა, – არ სუნთქავს მგონი. – ისევ გულზე აქვს თავი დადებული.

– აკი ამბობდი, სიკვდილი არ არსებობსო, – ვეუბნები მე.

– მე არ ვამბობდი, მოგვებმა თქვეს, მოგვებმა, – ასწია თავი, – რა ვქნათ ახლა, დევიბრალებ, მე ვიყავი რულთან-თქვა.

– შენ რეიზა დეიბრალებ, მე ვიყავი და...

– შენ კი იყავი, მარა, მაინც მომკლავს მამაშენი, ჯობია ისევ მე დევიბრალო...

– ერთ უცხოურ ფილმშია, კაცი ასეა, კომაში და ტაშს დაუკრავენ და მოფხიზლდება, იქნებადა ესეც მოფხიზლდეს... – მახსენდება მე.

– არა ამ დროს, ხელები უნდა გაუშალო და დაუკეცო მგონი, – ამბობს ბიძაჩემი.

მე რაც შემეძლო ტაში შემოვკარი. ბიძაჩემი კიდე ხელებს აშლევინებს და აკეცვინებს. წინიდან კი, გაკვირვებულ ვირს კისერი მოუტრიალებია და გვიყურებს. თან როგორ გვიყურებს, არ ვიცი ჩვენ არ ვიცი კაცს, ალბათ მის პატრონს. „იიი-ყავ, იიი-ყავ...“ – დასცხო უცებ ვირმა, ჩვენც ტაშს და ხელების გაშლას ვაგრძელებთ და უცებ, სასწაული, კაცმა უცებ ერთი ამოისლოკინა და თვალი გაახილა.

– ვირი გადარჩა?! – იკითხა. ამის თქმა იყო და ახლა ბიძაჩემს წაუვიდა გული და კაცს მიუწვა გვერდით. ახლა ის გამიხდა მისახედი და დავუწყე ტაშის დაკვრა... კაცი წამოდგა, იმას ვეხვეწები, იქნებ თქვნ ხელები გაუშალოთ-მეთქი. კაიო, კაცმა. ვირმა კიდე იქედან დასცხო: „იიი-ყავ, იიი-ყავ...“. უცებ ჩემი ტელეფონი რეკავს. კატოა. სად გავახსენდი. ერთი არ უნდა დაგერეკა, რას შვებიო. ტაშს ვუკრავ-მეთქი. რა ტაშს უკრავო. ბიძაჩემი ცეკვავს და მე ტაშს ვუკრავ, ახლა არ მცალია-მეთქი, გავუთიშე და პროცედურა გავაგრძელე, ვირმაც „იიი-ყავ, იიი-ყავ...“ გააგრძელა. უცებ მესიჯი მომივიდა. კატო იყო, კი არ იყო იმის დრო, მაგრამ დამაინტერესა რას მწერდა. „არასოდეს აღარ დამირეკო“ – ეწერა ტელეფონის ეკრანზე. ვითომ ისე ხომ ვუფეთქებ ტელეფონს ზარებით. უცებ ბიძაჩემიც მოფხიზლდა, – არ გინდა, სასწრაფოში არ დარეკოო. ხელში რომ ტელეფონი დამინახა ეგონა სასწრაფოში ვრეკავდი. ტაშის დაკვრა და ვირის შემოძახილი, ხომ კიდე ცეკვა, აბა ხელების გაშლა მეტი რა არის, ასე უხდება ხალხს, რათ უნდათ სასწრაფო. რა ქენი, მოგვები ნახე-მეთქი, – ბიძაჩემს ვეკითხები.

– კი, ვნახე! – ამბობს ბიძაჩემი. წამომჯდარი უკვე და კაცს უყურებს ისევ, როგორ არისო.

– მერე რა გითხრეს?

– რა მითხრეს და შენი დიშვილი ენას ნუ ატლიკინებს და ცოტა ზრდილობა იქონიოს, თუ არა მოცხე ყურის ძირშიო, ზუსტად ასე მითხრეს.

ამის გულისთვის კატო მოვიმდურე... უქენი ახლა კაცს სიკეთე. მარა ხომ არ დავამადლი.

გადავრჩით ყველა. კაცს მნიშვნელოვნად არაფერი სჭირდა, არც ვირს, ორი კაჭკა იყო ცოტათი დაზიანებული, ერთი ჩვენი, ერთიც მისი. ოღონდ სიარული ორივეს შეეძლო ვენახში მივდიოდიო, კაცმა, – თედომ. არ ჩამოვიდა ჩემი ბიჭი, ნიდერლანდებშია, ისევ მე უნდა დავკრიფოო.

– კარგო კაცო, ჩვენც ყურძენზე ვართ, ვერსად ვნახეთ ყველას გაკრეფილი აქვს, იქნებ სადმე მიგვასწავლო, – ენად გაიკრიფა ბიძაჩემი. ისევ უცებ მოუვიდა ხასიათიც და ფერიც.

– მე მაქვს ერთი პლანი გასაკრეფი, – ამბობს თედო, – წამოით, უნდა მოგცეთ.

– პლანი უნდა ამ ჩემს დისშვილს, ისეც ვერ არის მის მატორზე, – იცინის ბიძაჩემი, ვითომ არ იცოდეს, რომ პლანი ვენახის რიადებია.

სასწაულს სასწაული დაემატა, ყურძენიც ვიშოვნეთ. ჯერ სულ უფასოდ გვატანდა, კაი ხალხი ხართო. კაობის რა შეგვატყო, განსაკუთრებით მე, კინაღამ გავიტანე კაცი... ბიძაჩემმა, ასე არ გამოვა, შრომას დაფასება უნდაო. სახლშიც დაგვპატიჟა, პურ არა გშივათო. ბიძაჩემს სენი აქვს ასეთი, დაპატიჟებაზე უარს არ ამბობს. დაწკრიალებული სახლ-კარი დაგვხდა, ორსართულიანი სახლი და კოპწია შუახნის ქალი. რომელმაც ისე უცებ გააწყო სუფრა, ზღაპრებში რომ არის. კაცმა, ახლა მარტონი ვართ, შვილები კი გვყვანან, ბიჭი და გოგო, მარა ორივე ნიდერლანდებშია და იქა ჰყავთ ოჯახებიო... შვილიშვილებიცა გვყავ, ოღონდ სკაიპით ვუყურებთ. ჯერ საქართველოში არა ჰყოფილანო... ბიძაჩემმა, ჩვენს ქვეყანას გაუმარჯოს, სკაიპით დანახულს არა, ნაღდ საქართველოსო... დალევით არ დაულევია, ბაღანე მახლავს, თან დიდი გზა გვიდევს წინო...

წამოვედით. მხოლოდ მეორე დღეა რაც წამოსულები ვართ, მაგრამ ჩემი სოფელი მომენატრა. როგორ ძლებს ხალხი ნიდერლანდებში, – ვფიქრობ. მიხარია უკან რომ ვბრუნდები. თან ორი ვინმე მყავს შესარიგებელი, ერთი მამაჩემი, – გინდა მართლა სარი მდრუზოს, რომ ჩავალ სახლში მაგრად ჩავეხუტები, მიხვდება რომ პატიებას ვთხოვ... მეორე კატო. მამაჩემი გასაგებია, სამშობლოა ჩემი, მაგრამ კატო ვინ გამოდის? ხო, მივხვდი, – კატო გამრავლებაა.

თამთა მუმლაძე

მოგონება

ცას გალვანურად ფარავდა ქრომით
მთვარე
და ჟანგმაც ფეხი აიდგა...

გადმომხობოდა კრამიტი კრამიტს
და იდაყვები განზე გაედგა.

„ო, ნეტავ, ფერი,
ბაგირს
ჰქონდა, რის...“ –
უსათლო ჭასთან მზე იდგა ერთხანს.
ეზოში გვქონდა ბაღი, ქონდარის
და წელზე წნელის ქამარი ერტყა.

სტკიოდათ კლდეებს ნათოვი,
ოდენ
მზით ჩაცვენილი,
შავი ფერდები...
დღით – მაგნიტური ქარები ქროდნენ
და ხუნდებოდნენ ტყლაპის ფარდები...

სად ჰორიზონტი სიმინდთა მოკლეს,
ჩემს ბავშვობაში იდგა იქ ოდა...
ზაფხული იყო ცივი და მოკლე
და შარას ქუჩად თავი მოჰქონდა...

ემაგრებოდა ვენახით,
რამით,
სელის, კანაფის, –
სარზე,

კედები...
აჟიჟინებდა წვიმა ხმელ კრამიტს
და დიაცთ ჰგვანდნენ, –
სავსე მკერდებით.

დელგმა უკრავდა უდიერ ბიზეს,
როს მიგდებულნი სველ, მყრალ ჩალაზე,
წამოიმართნენ რუტინები ზე
და მოგონების კარი ჩარაზეს.

ალბომი

ალბომი –
მუხლებზეფენილი,
მაგონებს,
გაშლილი,
ჟამს,
მთესველს...
ბებო წუხს:
„– გაცვდება ფანელი!
ფანელი ვერ უძლებს ჟამთა სვლას...“

აკლდება ლამფაში ნაფთს ალი...
ვამხნევებ სახლს-გარე მოურავს:
„– უბეში ჩავუწყობ ნაფტალინს,
შენს ხალათს, ბებო, რა მოუვა!“

დავყურებ მუყაოს ფოთოლს და
ნაღდია!
ჰო, განა ბლეფია!
ქოთქოთებს შავ-თეთრი ფოტოდან:
„– ფუტკრებსაც უშველე, ბებია!“

ასე თქვა, გარკვევით მესმოდა...
ვიკვირვებ:
„– ხბო გეთქვა... ანდა, თხა...
ყვავილით სავსეა ეზო და
განაღა რა შველა უნდათღა!“

წინ – ბავშვი აწვალებს ჩია ჯამს,
გვერდით – ბრგე მიუძღვის ჯორს კოდას...

წუხს ბებო:
„– ჩემ ჯორკოს ჭია ჭამს, –
კუთხეში წაბლის ხის ჯორკო დგას...“

ბაბუ ჭვრეტს ვენახებს, წამლიანს,
კარაქი გადადნა როს ერბოდ... –
ვპასუხობ:
„– რა შეჭამს, წაბლია!
წაბლები უძლებენ დროს, ბებო!“

უქმად დგას პატარა ბოტები,
მზეებმა ღრუბლები დაკოდეს...
არ ცხრება:
„– რას ჭამენ ბატები,
ბატები გარეკე დიდ-კოდებს!

დიდ-კოდებს შოლტივით ბლებია...
ან იქნებ დაეცნენ მხალიანს...“
ვიცინი –
„რა ბატი, ბებია...
ბატები დაეშვნენ, ხანია!“

მზე შუბის ტარზეა,
მაღლივ ძევს:
ღრუბლები, ალმები,
ყოველი...
თენდება, ალბომზე მაღვიძებს –
სისხლის და მამლების ყივილი.

ვეცემი ხის ჯორკოს და ფიჭებს,
ბებოსი კარადის კიდეა –
ნაფტალინს ჟამთა სვლა აფუჭებს,
ფანელი უცვლელად ჰკიდია!

* * *

წვანან ხვიარები...
ბოძსღა
ქარით აჰკრობიან ბლები...
და მზით გახუნებულ ფაცხას
ადგას მონაცრისფრო ბლეფი.

თუმცა მერამდენე ცადა,
ველარ დაუშინა წვრილმა...
წევს ცურგაბერილი ცა და
პირში უკავია წვიმა.

მიყვარს

მცირე, თან სავსე, მსგავსი ანდაზის –
მე მიყვარს ჩემი პატარა კერა...
სადღაც, კუთხეში, ბებოს ლანდი ზის
და ჩემთვის ლამაზ მოსახვევს კერავს.

მე თონეც მიყვარს – „ჩემის ხანაა“
და ჯვრიანებიც, ჩაკრული, დოხნის...
ჩვენი ტყის უკან დიდი ყანაა
და ბაბუს ლანდი იმ ყანას თოხნის.

ვაზიც კი მიყვარს, ის, სამწლიანი,
ალადასტურის – ბებოს იმედი!
ჭიშკარიც მიყვარს და სამთვლიანი –
მიტოვებული ველოსიპედიც...

აქ მზესაც ვეტრფი და ჩრდილს, რომელიც
დამყვება... მიყვარს სმა კაკლის წამლის...
ჩვენი სახლის წინ – საჩრდილობელიც
და ბიძის ლანდიც – ვენახს რომ „წამლის“.

ო, როგორ მიყვარს მე ეს ფანდიც, ცის
და როგორ – ჩემი ჭაღარა კერა...
აქ, ყველა კართან, ბებოს ლანდი ზის
და ჩემთვის ლამაზ მოსახვევს კერავს.

ძაფი

ეს სიამაყე იყო განაღა,
იგიც ქრებოდა ბოლოს და ბოლოს...
დრომ სიყვარულის ახო განაღმა
და ნარჩენებზე ბოლავდა ბოლი.

იწვოდა ჯარი შორთა და თხელთა
ისე, ვით ცვილით პატრუქი იწვის...

როს ერთგულების შითიც დათხელდა,
იყურებოდა თვალებით, იჭვის.

ქუხდა სიჩუმე, ჰყრიდნენ პატივს მას...
ელავდა ორი ულუფა, გონთა...
თვით ცას კი, როგორც წამის პატიმარს,
მხოლოდ დუმილის უფლება ჰქონდა.

* * *

თეთრი აფრიალდა, ალამი –
დანებდა მოგეშება!
რა კაი რამეა ეს კალამი, –
დაწერ და
მოგეშვება.

ცეცხლი

(მანდაეთს)

ნისლთა ტანდემი,
დაჩათა ორთქლი
და სიცივენი ძვალში ატანენ...
სველი იონჯა და ჩალა – ლორთქო,
შემოხვევიან დამბალ ლატანებს.

რომ სამოსელი ხეთა გალიოს,
ქარი მოჰყვება უკეთეს დუდუნს
და სახურავთა გამხმარ ყალიონს,
ჭადრის ფოთოლთა უკეთებს, თუთუნს.

ჩანს, ცივთა დღეთა აკმარეს წვა მას,
გადაუხდიან რეშით აწ ვალებს –
ცა, გალეშილი, ბორგავს და წვიმას
პაპიროზივით პირში აწვალებს.

თხელი თითები სად არ ატარა
ელვამ, ეწევა, წამს, ღრუბელს, ქაჩალს
(განსაჯეთ, –
მორცხვი ბავშვი, პატარა,
დედას შიფონის კაბაზე ქაჩავს...)

და ჟვავი –
ხვატთა ურდოთა ხვითო,
მოდის...
სახურავს ქვემეხთა ძეც ღლის...
თითქოს, საცაა უნდა დახვრიტონ,
უნდა გაისმას ბრძანება: – „ცეცხლი!“

უბრალოდ მოდი

ვუკრავ კიფარას და
სიმად რტოებს
ვირჩევ, – ლიანებს...
ხელი არ ჩაჰკიდო
სიმარტოვეს –
ვიეჭვიანებ...

ელის, ამიტირდა,
როგორ ციცქნა,
აკი, თავისებს...
ახლა სად მიდიხარ,
როგორც იქნა
გაგითავისე...

უჩანს თაბახებზე
სია – მახედ,
უბრად, მოლოდინს...
კართან ჩამოკიდე სიამაყე –
უბრალოდ,
მოდი.

* * *

ვისხედით ბარში, ჩვენ ორნი...
ვსვამდით წვენს. იწვა დუმილი.
მე შენს თავს აღარ ვჩემობდი,
წარსულს გაჰქონდა ღმუილი...

ქრებოდა ბარიც... ზღვის ხედით...
სდიოდა სუნი წვენს, შმორის...
და უკვე სამნი ვისხედით –
მე, შენ და ხრამი – ჩვენს შორის.

ალუბლების ქუჩის კუთხეში

ძველი კონვერტი შორიდან მეტრფის
და გაუხსნელად ისევ დუმს ხელში...
ო, მე კვლავ გნახავ შანდორ პეტეფის
და ალუბლების ქუჩის კუთხეში!

ახლა ეს თრთოლვა და ვნებაც ისევ,
ალბათ, სიყალბით მოჰგავს ფიანიტს...
მაგრამ ეს მხრები... –
მყიდიან ისე,
როგორც თითები დამწყებ პიანისტს...

ჰო, მესმის უკვე ხმები მე, ტერფის
და ნაბიჯები მძიმე, უხეში...
ჩვენ ისევ ვხვდებით შანდორ პეტეფის
და ალუბლების ქუჩის კუთხეში!

შენ ღელავ, ალბათ, ახლა...
ო, ისე...
თან სანთებელას ეძებ ხელებით...
ალბათ, ჩემს სუნთქვას ისევ მოისმენ
და გამაღვიძებ მძაფრი ხველებით...

მკლავს ეს კონვერტიც –
მე როგორ „მეტრფის“,
შინ, ჩაფიქრებულს, – ტუჩის კუთხე მშლის...
ო, ისევ... ისევ... შანდორ პეტეფის
და ალუბლების ქუჩის კუთხეში...

იმერეთში მივალ

ათას წელზე გადამხტარ,
ათას ნისლში ნავალ
მთებს,
ღრუბლები წვეროებს
მკერდებივით წოვენ...

ო, მე, როცა ბოლოჯერ იმერეთში წავალ,
ო, მე, როცა დამტოვებს

„დოვლი...
დოვინ...
დოვენ“...

იქ ტყენარგი, ცვრიანი, ვაზებივით გოდებს,
იქ თუთნარი, თუთისა, თუთებივით ქალობს...
იმერეთში ძველებურ, მე ვამსგავსებ, ოდებს,
წვრილ ღერებზე შემომდგარ ასანთების კოლოფს.

„ნიაღვარმა“ გაცვითა „ნიაღვართა დაზგა“,
ჩანს, მლაშეთა სიუხვით ცა მიბრუნებს მე, ვალს –
კოპიტები,
ანძები,
გვირაბები
და გზა,
როს ჩემსავით მაღლობენ – „იმერეთში მივალთ!“
დამყაყებულ ჭაობებს ბამბუკები სრუტავს,
ეძნელება ხავსების სქელ ბორკილთა ახსნა...
გზა იჭრება,
თეთრი გზა,
ცაში,
გინა – სრუტე, –
თვითმფრინავმა შუაზედ თაღი ნებსით გახსნა, –

სიცხისაგან ნაღვენთი, სითხესავით ბლანტი.
– გასწი, გასწი, საქარევ, დე, ხეებმა გდიონ!
„ფოლკს-ვაგენმა“ შეავსო გზატკეცილის ბლანკი.
მზე იმხელა ტატნობზე ნამცეცივით გდია.
ჰე, ჭალები იწვოდნენ პომიდვრებით, გზნებით,
როს კვლავ ცრემლთა გააპეს ნამსგავსები – ოვალთ, –
კოპიტები,
ანძები,
გვირაბები,
გზები –
ქედს ჩემსავით მაღლობენ – „იმერეთში მოვალთ!“

იქ, განასხლავ ვენახთა რიადები „შმონა“,
იქ, მოსავალს ნახულობს – შარშანდელს თუ არ სჯობს... –
ცას, დაბალი ღობე და ყურმოჭრილი მონა,
შებინდება, ვარსკვლავებს ჭიკარტივით არჭობს
და ციურთა ცედრები
თეთრი

თოვლით
თოვენ, –
სურვილებად უბრუნებს დედამიწას ცა ვალს...

ო, მე როცა დამტოვებს
„დოვლი...
დოვინ...
დოვენ“...
ო, მე როცა ბოლოჯერ იმერეთში წავალ...

ლეილა ლომსაძე

* * *

სადაცაა შემოიძრობს
ღამე შავბნელს,
და ყმაწვილქალს
ემსგავსება ალიონი,
დამაცადე ღამევ, არ ჩაშავდე,
რომ ავანთო
ფიქრის ლამპიონი.

ნაბიჯ-ნაბიჯ დავსდევ
შავბნელ აჩრდილს,
როგორც მწყემსი ღამეც
ნაბადს არ თმობს.
მე კი, როგორც ლოთი, ქუჩას შევრჩი
და ბოთლიდან ფიქრს ჭიქაში ვავსებ.

ჰოდა, ასე მეოცნებე ლოთი
ვღიღინებ და ჩემს ხმას მევე ვათბობ.
ქუჩას შევრჩი ცარიელი ბოთლით
და ალიონს მოსვლა არც კი ახსოვს.

მოგონებები

ჩემს ბავშვობაში
ისევ ყვავის მწვანე წალკოტი
და მთების იქით, ვიცი
მეგობრები ისევ გველიან.
და იმ მთის ძირში კვლავ ჭრაჭუნებს
ჩვენი აკვანი...
და ჩვენს შესახებ სიხარულით
ისევ ყვებიან.

ისევ გველიან მონატრებით
მთაში ქოხები,
ბარში მინდორი მობიბინე
სევდის ფერია.
და მონატრებას,
წარსულიდან გულში მოხვედრილს
ვუყურებ თბილად
და სითბოზე უფრო მწველია.

ხან დილიანად კარს გამიღებს
ძველი სიზმარი,
თითქოს უჩემოდ გოგოები
ხალხურს მღერიან,
შორიდან ვუსმენ და გულს მითბობს
მათი ნამღერი,
და ეს წრფელი ხმა
დედის ნანის შესაფერია.

* * *

ახლა ტკივილებს ვაკოწიწებ
ცრემლით გაჟღენთილს,
მჯიღში ჩავატევ წრფელ განცდას
და გულში ჩავიკრავ,
მალე მოვნახავ ათას გზაში პატარა
ბილიკს,
რომელიც მჯერა უსათუოდ შენთან
მომიყვანს.

მოვალ მოგიტან ლამაზ ხურჯინს
ცრემლებით სავსეს,
ხელს აღარ ვახლებ მოგონებებს
მაქ ალაგია,
მე რომ სიცოცხლე შემაყვარე შენს
ერთად ყოფნით,
მომენატრე და უშენობა მიჭირს
ძალიან.

დღესაც ქუჩაში დავდიოდი და იქ
გეძებდი,
შენს ნატერფალზე ჩემი ცრემლის

კვალი ატყვია,
განა რა მიჭირს მარტო სულიც
იცოცხლებ თურმე,
მხოლოდ ჩემს მხარზე შენი მძიმე
მკლავი მაკლია.

* * *

ისევ წვიმიანი
შემოდგომა,
სულშიც დარდს ჩაუდგამს
საძირკველი,
შემოდგომასავით სულშიც წვიმს და
მე შენს განვლილ ბილიკს ვაკვირდები.

ფოთლების კი არა, დარდთაცვენა
გულში თავს მახსენებს, ძაღლივით მყეფს.
ხეებზე წვეთები ცრემლისხელა,
მე კი ვფიქრობ, აღარ მოხვალ ამ წელს.

რა სიცივეა და რა წვიმები,
მოუყვითლებია
ყველაფერი
ჰოდა, ვიდრე უფრო აცივდება,
გეტყვი, რომ მე ისევ მენატრები.

* * *

დილა ტკივილების
ანაბარა,
სულში არეული
ჩივილებით.
აჰა, მერამდენე დილა
დადგა,
ჰოდა მე უშენოდ
ვიღიმები.

ღამით ვერ ვიძინებ –
უფრო ვფხიზლობ;
ძარღვში სისხლის ნაცვლად

ტკივილები...
ამ ობლად დარჩენილ პატარებს რომ
ვუყურებ, გჯეროდეს
ვიფლითები,

ღამემ გარისკა და
გამითენა
დილა, უშენობით
ნაწამები.
ცრემლი ჩუმად სისხლში გავურიე
თუმცა დამრჩა სველი წამწამები.

დაღი თედორაძე

ვარდისფერი თოვლი

ძალიან დიდი ხნის წინათ, უხსოვარ დროში, ერთი ლამაზი ქვეყნის ბოლოს უშველებელი შავი, საშიში კლდე იდგა. მასზე ხავსიც კი არ ამოდიოდა. შებინდებისას კლდეზე სხვადასხვა ფორმის და ზომის თავები გამოჩნდებოდნენ ხოლმე, რქებით, ეშვებით, უშველებელი თვალებით და გრძელი ყურებით.

ყველა ცდილობდა, კლდესთან ახლოს არ ჩაევლო. კლდეში ულამაზესი სასახლე იდგა, რომლის არსებობა არავინ იცოდა. ამ სასახლის ფართოდ გაშლილ ოთახებში, რომლის იატაკი და კედლები ცხოველების ბეწვით და ფიტულებით იყო სავსე, გოროზი და ამაყი კლდის ფერია ცხოვრობდა, ულამაზესი შავი, ხვეული თმითა და შავი ბდღვრიალა თვალებით. მუდამ ტანზე მომდგარი შარვალი, ნაცრისფერი მოკლე კაბა და გრძელი, მუქი მოსასხამი ეცვა. მასთან ერთად ცხოვრობდა შავი რაგუკამი, რომელიც კლდის ფერიას მუდამ თან დაჰყვებოდა. რაგუკამს ჰქონდა თეთრი თვალები, გუგების გარეშე, მკერდამდე ჩამოსული ვიწრო ყბა, გრძელი, წაწვეტებული ყურები, თხის ჩლიქები და ბრტყელი კუდი.

მენახირეები ხშირად ჰყვებოდნენ რაგუკამზე ამხედრებულ კლდის ფერიაზე, რომელიც კლდიდან კლდეზე ყიჟინით დაქროდა და აფრთხობდა ნახირს თუ ფარას, რემას თუ არვეს. თუმცა, თვალით არასდროს ენახათ.

ამ ქვეყანაში ტყის ფერიაც ცხოვრობდა, რომელსაც დიდი, მოელვარე მწვანე თვალები და წელამდე დაყრილი მწვანე თმა ჰქონდა, ნაძვის წიწვების დიადემით დამშვენებული. მოლისფერ, აბრეშუმის მოხდენილ კაბას ატარებდა გამჭვირვალე ცისფერი ფრთებით. მუდამ ღიმილიანი ტყის ფერიას გამოჩენა დიდ სიხარულს ანიჭებდა ყველას. გუნდ-გუნდად დაჰყვებოდნენ: ჩიტები, ციყვები, მელიები, კურდღლები... ამ დროს ტყიდან მხიარული სიცილ-კისკისი ისმოდა.

ერთ დროს, ფერიები მეგობრობდნენ. კლდის ფერია ხშირად სტუმრობდა ტყის ფერიას, ტყეში. დასხდებოდნენ, მუსაიფობდნენ, ჰყვებოდნენ ქვეყნის ამბებს. თუმცა, კლდის ფერიას არასდროს დაუპატიჟებია სახლში ტყის ფერია. არც ის უთქვამს, თვითონ სად ცხოვრობდა. ხედავდა, როგორ უყვარდა ტყის ფერია ყველას და გული ბოღმით ევსებოდა. აღიზიანებდა მისი სილაღე. გულში ცერცეტას ეძახდა და ფიქრობდა, როგორ მოეცილებინა თავიდან.

შურით სავსე, უფრო და უფრო იშვიათად სტუმრობდა ტყის ფერიას, ბოლოს კი საერთოთ გაქრა.

ტყის ფერიამ დიდხანს ეძება, მაგრამ ვერსად მიაგნო მის კვალს. განიცდიდა, ენატრებოდა და მუდამ მის მოსვლას ელოდა.

ამ ქვეყანაში, როგორც ყველგან, ახალ წელს დიდი სიხარულით აღნიშნავდნენ. განსაკუთრებით ემზადებოდნენ ამ დღისთვის – მზადდებოდა ათასნაირი კერძი და ნუგბარი და, რაც

მთავარია, ირთვებოდა ნაძვის ხე. ახალგაზრდა ბიჭები მიდიოდნენ ტყეში, ჭრიდნენ ნაძვის ულამაზეს ხეებს. მორთულ-მოკაზმული ნაძვის ხით ოჯახები თავს იწონებდნენ. ახალი წლის დღეების შემდეგ კი, ერთ დიდ მინდორზე ყრიდნენ თითქმის გამხმარ ნაძვებს და წვავდნენ.

ნადგურდებოდა ხეები, ილეოდა ტყე.

კლდის ფერიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. – მალე გადაშენდება ტყეები და ვისი დედოფალი იქნები, იმასაც ვნახავო – ქირქილებდა ხშირად. – ო, რა ბედნიერი ვიქნები შენს სულელურ კისკისს რომ აღარ გავიგონებ?! ყველაფერი კლდეებად იქცევა და მე ვიქნები ერთადერთი და განუმეორებელი ფერიაო.

ტყის ფერია ძალიან განიცდიდა ნაძვის ტყეების განადგურებას, მაგრამ ვერაფერი მოეფიქრებინა და მუდამ მხიარული და ლაღი, ახლა დაღვრემილი დადიოდა.

ერთ დღეს, შებინდებისას, ტყეში ნაკადულთან ჩამოჯდა. პატარა, ვარდისფერი, კოხტა ფეხები წყალში ჩაყო და ფიქრს მიეცა. უცებ, წვეთების წკაპუნის ხმა მოესმა. იფიქრა, გაწვიმდაო, ცას ახედა და დაინახა ხის კენწეროზე შემომჯდარი ვარდისფერი მომღიმარი ღრუბელი. ღრუბელს მკლავები გაეშალა და პეშვებიდან წამოსული წვეთები მინდორზე გუბედ გროვდებოდა. მერე გუბეები შეერთდა, აბორგდა, აიზნიქა, ნელ-ნელა ფორმა მიიღო და მინდორზე ქვაფენილით მოკირწყლული გზის თავში მაღალი, გამხდარი, ყავისფერ ტანისამოსში გამოწყობილი ბიჭი გამოჩნდა. მოხდენილ ტანზე მომდგარი ტანსაცმლის სახელოები და ბოლოები ისე ჰქონდა დაძენძილი, ხის ფესვები გეგონებოდა. ნამზეურ სახეზე დიდი, შავი თვალები უელავდა. თმა კი ისეთი საოცარი ჰქონდა, გეგონებოდა, ფოთლებისგან შეკოწიწებული თავსაბურავი ახურავსო.

გაოგნებული ფერია უყურებდა, უამრავი თეთრი პეპლის ნისლში ჩაძირული, როგორ მოდიოდა მისკენ. თითო ნაბიჯის გადმოდგმაზე გზად დაფენილი, მრგვალი ქვები ვარდისფრად და ლურჯად ინთებოდა და კიაფობდა.

მიუახლოვდა ტყის ფერიას. თავი მდაბლად დაუკრა, ხელი ნაზად გაუწოდა და უთხრა, – მე ვარდისფერი ღრუბლის შვილი, ილერონი ვარო.

ილერონს და ფერიას ძალიან მოეწონათ ერთმანეთი. იმ დღიდან მოყოლებული, სულ ერთად დადიოდნენ. განუყრელი მეგობრების ირგვლივ მუდამ მხიარულება იყო, მაგრამ ილერონს არ გამოჰპარვია ფერიას თვალებში დამალული სევდა. სევდის მიზეზიც კარგად იცოდა. მალე ახალი წელი დადგებოდა და ახალგაზრდა, ულამაზეს ნაძვის ხეებს განადგურება ელოდა.

– ჩემო, ლამაზო ფერია! – უთხრა ილერონმა, – ვიცი, რატომაც ხარ მოწყენილი, და მგონი, გამოსავალი არსებობს!

– მართლა, ჩემო მეგობარო? – ფერიას საოცრად ლამაზ, მწვანე თვალებში იმედის სხივი აკიაფდა. – რა გამოსავალი? აბა, მითხარი!

– შენ, ფერია ხარ და შეგიძლია საოცრებების მოხდენა. მოდი, ახალ წლამდე, ყველა ოჯახის ეზოში ჯადოსნური ჯოხის დახმარებით ლამაზ ქოთნებში ჩარგული ნაძვის ხეები გავაჩინოთ. ახალი წლის შემდეგ, როცა ეზოში გამოდგამენ, წავიღოთ, გადავრგოთ და ლამაზი ტყეები გავაშენოთ. ამას ხალხი რომ დაინახავს, შემდეგ თვითონაც ასე მოიქცევიან და ბევრი ულამაზესი ტყე გვექნება.

ფერიას ძალიან მოიწონა ეს აზრი. ახალი წლის დადგომამდე, ღამე, ილერონთან ერთად დაფრინავდა პატარა ჯადოსნური ჯოხით. ყველა სახლის სახურავს სიყვარულით გადაუფრინეს. დალოცეს ოჯახები, ბედნიერი ახალი წელი უსურვეს და ეზოებში ნაძვის ხეები გააჩინეს.

დილით, როცა მოსახლეობამ გაიღვიძა, ეზოში ქოთნებში ჩარგული ლამაზი ნაძვის ხეები დახვდათ. ერთმანეთს გაკვირვებული უყურებდნენ. უხაროდათ, კითხულობდნენ, საიდან გაჩნდა ეს ნაძვის ხეებიო, მაგრამ პასუხი არავინ იცოდა. ერთმა-ორმა ისიც თქვა: – ალბათ, ჩვენმა ტყის ფერიამ გაგვიკეთა საჩუქარიო და სახლებში შეიტანეს ნაძვის ხეები. მერე საახალწლო სამზადისს შეუდგნენ და ამაზე აღარ უფიქრიათ.

გაამართლა ილერონის რჩევამ. როცა ახალი წლის შემდეგ ეზოში გამოდგმული ნაძვის ხეები ისე გაქრა, როგორც გამოჩნდა და მერე, გაშლილ ველებზე ულამაზეს, ახლად აბიბინებულ ტყედ იხილეს, მოსახლეობას გული სიხარულით აევსო. ამის შემდეგ, ნაახალწლევს თვითონ მიჰქონდათ ნერგები, რგავდნენ და ალამაზებდნენ მიდამოს. იქაურობა წალკოტს დაემსგავსა. ჯანსაღ ჰაერს ხარბად სუნთქავდნენ, სეირნობდნენ ბედნიერად და ვერ ხედავდნენ, როგორ დანარნარებდნენ ცაზე, მათთან ახლოს, ბედნიერი და ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებული ტყის ფერია და ილერონი.

სამაგიეროდ, კლდის ფერია იყო ცუდად. ჯერ შურისძიება გადაწყვიტა. რაგუკამთან ერთად დაერია მოსახლეობის ნახირს, არვეს ნაწილი კლდეზე გადაჩეხა, აფრთხობდა ფარას და საძოვარზე ძროხებს აწიოკებდა. შემდეგ შავ ღრუბელს გაურიგდა და კოკისპირული წვიმით, სეტყვით, მეხის ცემით გაუნადგურა მოსავალი. შავ გრიგალს დაალეწვინა ხეები, სახურავები ახადა სახლებს, მაგრამ შედეგი ვერ მიიღო. ერთ მუშტად შეიკრა მოსახლეობა და სიმღერით და მხიარული შეძახილებით აღადგინეს დალეწილი და განადგურებული სოფელი.

კლდის ფერიამ ნახა, რომ ამან შედეგი არ გამოიღოო და კლდეში, თავის ულამაზეს მდიდრულ ოთახში ჩაიკეტა. უარი თქვა საჭმელზე, გარეთ გასვლაზე. იქიდან გამოსული სლუკუნის ხმა კართან უძრავად მგდარ რაგუკამს გულს უკლავდა. თავიდან თვითონაც ტიროდა, მჯიღებს ირტყამდა შეყვარებულ გულზე. მერე კი, რაღაც აზრმა გონება გაუნათა: – მე ვიძიებ შურს, შენი გამწარებისთვისო – კარის ჭუჭრუტანიდან შესძახა კლდის ფერიას და კლდიდან ხტუნვა-ხტუნვით, ბრახა-ბრუხით დაეშვა. დაელეწა გვერდები, თავი, მაგრამ გამწარებული, ტკივილს ვერ გრძნობდა. ტყის ფერიას გასანადგურებლად მიდიოდა.

ტყის ფერია ყოველთვის ერთ ლამაზ, ასწლოვან ნაძვის ხეზე, ჰამაკში იძინებდა, რომელიც ტოტიდან-ტოტზე იყო გაბმული და ნიავი ნაზად ანანავებდა. ჰამაკი ნისლებმა მოუქსოვეს წვრილი, აბრეშუმის მსგავსი ხავსისგან და იცით? თურმე, ეს ხავსი მარტო ნაძვის ხეზე ჩნდება. მზის სხივებისგან გახურებულ ნაძვის ხეებს, როცა ნისლი შემოხვევს გრილ მკლავებს, გულში ჩაიკრავს, მაშინ ცვარის უნაზესი წვეთები ერთმანეთს ხელს ჩასჭიდებენ, თამაშობენ, ერთობიან, კისკისებენ და შემდეგ წვრილ, აბრეშუმის ხავსად გადაიქცევიან.

სხვა სახლი არც უნდოდა ფერიას. ნაძვის ფისის, წიწვების უგემრიელეს სურნელში იძინებდა და იღვიძებდა. იქვე ახლოს, მეორე ხეზე ხის ფესვებისგან მოქსოვილ ჰამაკში იძინებდა ილერონი. დიდხანს უცქერდა ფერიას შეყვარებული თვალებით და როდის, როდის ჩაეძინებოდა...

დედამიწას ბინდი ეპარებოდა. სადაცაა, დაბნელდებოდა. დღეს, რატომღაც მზე უღიმღამოდ ანათებდა, ჩიტები არ გალობდნენ. ფერია უგუნებოდ იყო, ადრე დაწვა. ჯადოსნური ჯოხი გვერდით დაიდო. დიდხანს იწრიალა და ბოლოს მკვდარივით ჩაეძინა. ჩამობნელდა. ცაზე არც მთვარე ჩანდა, არც ვარსკვლავები.

ხეს, სადაც ფერიას ეძინა, ფეხაკრეფით მიუახლოვდა რაგუკამი. როცა დარწმუნდა, ფერიას ჩაეძინაო, ფრთხილად აძვრა. ერთ მხარეს თოკი გადაჭრა და ჰამაკიდან ჩამოსრიალებული ფერია ტომარაში მოათავსა. თავი წაუკრა და ხის ტოტებიდან შლიგინით დაეშვა.

ილერონი ხმაურმა გააღვიძა. თვალი მოჰკრა შორს, სირბილით მიმავალ შავ არსებას. უცებ, გულმა ცუდი უგრძნო. სასწრაფოდ აირბინა ტყის ფერიას ხეზე. აწყვეტილი ჰამაკის დანახვაზე ფერი დაკარგა, მიხვდა, ფერია ვიღაცას გაეტაცებინა. ელდისგან გაოგნებული, ხიდან ჩამოვარდა და მიწაზე დაენარცხა. ცოტა ხანში ძალა მოიკრიბა, წამოდგა. ხელში ფერიას ჯადოსნური ჯოხი მოჰყვა, გულში ჩაიკრა და ფერიას საძებრად წავიდა.

რაგუკამმა მიუვალ ტყეში, ერთ გამოქვაბულში დაამწყვდია ფერია და მცველად შავი ჩიტები დაუყენა. უკან დაბრუნებულმა სიხარულით მოახსენა კლდის ფერიას ეს ამბავი. კლდის ფერიამ

უხეშად უპასუხა: – ეს არაფერს ნიშნავს, სანამ სიმწვანეს სრულად არ გაანადგურებ, ჩემს კართან მოსული არ გნახო! გულნატკენი რაგუკამი იქვე ჩაიკეცა.

ილერონი მთელ ქვეყანაში ეძებდა ფერიას. თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, ვერსად მიაგნო მის კვალს. დაღვრემილი და განადგურებული იყო, მაგრამ ერთი წუთითაც არ კარგავდა იმედს. ფერიას გაუჩინარების შემდეგ მოიწყინა ბუნებამ. აღარ გალობდნენ ჩიტები, აღარ ჩუხჩუხებდა ნაკადული, თითქოს ფოთლებმაც შეწყვიტეს შრიალი.

სულ მალე ახალი წელი დადგებოდა. რაგუკამს იმედი ჰქონდა, რადგან ფერია მოსახლეობას ნაძვის ხეებს ვერ დაურიგებდა, ისინი შეესეოდნენ ტყეს და გაჩეხდნენ. გარდა ამისა, გადაწყვიტა, ახალი წელი ჩაეშალა და შური ეძია ხალხზე.

სოფლის ბოლოს, ერთ დიდ გამოქვაბულს ირმების მღვიმეს ეძახდნენ, რადგან იქ ხშირად იკრიბებოდნენ ირმები, ქვამარილს შეექცეოდნენ და მუსაიფობდნენ. მათ შორის იყვნენ ის ირმები, რომლებიც ახალი წლის ღამეს თოვლის ბაბუასა და ფერიასთან ერთად საჩუქრებით სავსე მარხილით დაფრინავდნენ. ეს კარგად იცოდა რაგუკამმა. და როგორც კი ირმები შევიდნენ მღვიმეში, გამოსასვლელი ქვის ლოდებით ჩახერგა.

– ესეც ასე! – ხელებს იფშვნეტდა გახარებული რაგუკამი. „მოსახლეობა ნაძვის ხეებს გაჩეხს, თოვლის ბაბუა ვერ მოვა, ირმები არ ეყოლება და მარხილში თვითონ ხომ არ შეებმება?! ახლა ღრუბლებს გავრეკავ ცხრა მთას იქით, აღარ მოთოვს და როგორი ახალი წელი ექნებათ, ვნახავ! მალე განადგურდება ტყეები, ტყის ფერიას შეიძულებენ. მე კი, ჩემი საოცარი ფერია შემირიგდება და ვიცხოვრებთ ბედნიერად“. – ფიქრობდა ბოროტი.

თავისი მოხერხებულობით გახარებული რაგუკამი კლდის ქიმზე შემოდგა და ხმამაღლა იყვირა:

– ე, ჰე, ჰე ჰეეეე... დღეს განსაკუთრებული ახალი წელი იქნებაااა...

ამ დროს, ილერონი, რომელსაც ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ფერიას ძებნა, ძალაგამოცლილი ხის მორზე ჩამოჯდა. უცებ, დაინახა, მისკენ მოლისფერი წრუწუნა მორბოდა, რომელსაც შავი, ყურყუმელა თვალები და ყურების ნაცვლად, თავის ორივე მხარეს სამი თეთრი რქა ჰქონდა. აქოშინებული მოლისფერი თაგვი გაჩერდა ილერონთან და უთხრა:

– ვიპოვე, ფერია ვიპოვე! აქედან ძალიან შორს, კლდეში გამოუმწყდევია რაგუკამს. ვიჩქაროთ, თორემ დაიღუპება!

ილერონი ისე წამოიჭრა ფეხზე, თითქოს დაღლას ვეღარც კი გრძნობდა. წრუწუნა ხელში აიყვანა. ფერიას ჯადოსნური ჯოხი უბეში საგულდაგულოდ შეინახა, რომ არ დაჰკარგოდა და ხან სირბილით, ხან ფრენით მიაღწია კლდემდე. კლდეზე შემომჯდარმა შავმა ჩიტებმა ილერონის დანახვაზე საშინელი, ჭახჭახა ხმით დაიწყეს ჩხავილი. არ გასულა რამოდემე წუთი, რომ სირბილისგან აქოშინებული რაგუკამიც გამოჩნდა. მოლისფერმა წრუწუნამ ილერონს ჯადოსნური ჯოხი გამოართვა და უთხრა:

– როგორმე მოვახერხებ და ფერიას ჯადოსნურ ჯოხს მივაწოდებ. შენ კი გამაგრდი, საშინელი ბრძოლა გელოდებაო, – და ქვებში გაუჩინარდა.

რაგუკამი და ილერონი ცოტა ხანს დაძაბული უყურებდნენ ერთმანეთს. რაგუკამს თეთრი, უგუგო თვალები გაუფართოვდა, შემდეგ წითლად აენთო, ისედაც გრძელი ყბა, ლამის მუცლამდე ჩამოუვიდა. შემდეგ საშინელი, ხროტინის მსგავსი ბგერები ამოუშვა ხორხიდან და ილერონს თავს დაესხა. არც ილერონს დაუხევია უკან. შეებნენ ერთმანეთს და გაიმართა ბრძოლა.

ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. უკვე ღამდებოდა.

ამასობაში, მოლისფერი თაგუნია ცდილობდა, გამოქვაბულის ღრიჭო, სადაც ფერია იყო გამომწყდეული, ცოტათი გაეფართოებინა. როგორმე ჯადოსნური ჯოხი უნდა შეეტანა. ბევრი იწვალა. ბოლოს გამოამტვრია პატარა ნაწილი. შეძვრა და ჯადოსნური ჯოხი თითქმის უგონოდ მყოფ ფერიას ხელში ჩაუდო. ფერიამ თვალები

გაახილა, წამოდგა, გაოცებულმა მიმოიხედა ირგვლივ. წრუწუნამ მოკლედ მოუყვა, თუ როგორ მოიტაცა რაგუკამმა, რა გეგმები ჰქონდა ახალი წლის ჩასაშლელად და რომ გარეთ სამკვდრო-სასიცოცოცხლო ბრძოლა გამართულიყო.

ტყის ფერიამ ჯადოსნური ჯოხი აღმართა. უშველებელი კლდე ღრჭიალით გაიხსნა. გარეთ უკუნი სიბნელე იდგა. გამოქვაბულიდან გამოსულებმა ძლივს გაარჩიეს რაგუკამი და ილერონი – ძალაგამოცლილები ისევ იბრძოდნენ.

ფერიას დანახვაზე ილერონს სიხარულით გული აუფრიალდა, თითქოს ცის და მიწის ყველა ძალა მასში გაერთიანდა. მისკენ წამოსულ ფერიას მიაძახა: – იჩქარე! თოვლის ბაბუა მარხილს ელოდება, ჩემზე ნუ იდარდებო და გაათასმაგებული ძალით, იმედმოცემული, რაგუკამს თავს დაესხა. მოულოდნელობისგან გაოგნებულ და დაბნეულ რაგუკამს ხელ-ფეხი შეუკრა, ზურგზე მოიგდო და გამოქვაბულში დაამწყვდია.

ლამაზ, ბრჭყვიალა ქაღალდებში შეფუთული საჩუქრების გორასთან დაღლილი, მაგრამ ბედნიერი თოვლის ბაბუა იჯდა. ნერვიულობდა. გვერდით ულამაზეს ტანსაცმელში გამოწყობილი ფიფქია ბოლთას სცემდა. მალიმალ საათს დასცქეროდა და ერთსა და იგივეს იმეორებდა: – დაგვაგვიანდება, ნამდვილად დაგვაგვიანდება. რამდენი ბავშვი დგას ფანჯარასთან და გველოდება, ვინ იცის?

ნაძვის ხე რომ აღარ დახვდათ ეზოში, ხალხი მიხვდა, რომ რაღაც მოხდა. თქვეს: – მოდი, დაველოდოთ! თუ არადა, არაფერი დაშავდება, ერთი ახალი წელი ნაძვის ხის გარეშე გავატაროთ; მთავარია, ჩვენი ულამაზესი ტყე შევინარჩუნოთო, და საახალწლო სამზადისს შეუდგნენ. ბავშვებმა მოიწყინეს, მაგრამ უფროსებმა დაარწმუნეს და სახლის კუთხე-კუნჭული გირლიანდებით, ათასფერი წვიმებით და სათამაშოებით მორთეს. უფროსები ხშირად გარეთ იხედებოდნენ. რაღაც უცნაური სიმყუდროვე და სიჩუმე იდგა. ცა, ზამთრის ღამისთვის საოცრად ვარდისფერი და კრიალა იყო. ღრუბლის პატარა ფთილაც კი არსად ჩანდა.

ამ დროს ილერონის დედა, ვარდისფერი ღრუბელი ემზადებოდა. მან დაინახა, რაგუკამმა როგორ გადახვეწა ცხრა მთას იქით თოვლის ღრუბლები და გადაწყვიტა, ამ ბოროტებისთვის ხელი შეეშალა.

მოლისფერმა თაგვმა ძალაგამოცლილი ფერია ზურგზე შეისვა. ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, პატარა რქები საჰაერო ბურთებივით გაბერა, სწრაფად აფრინდა და ცოტა ხანში ირმების მღვიმის თავზე დაეშვა. ლოდებით ჩახერგილ მღვიმეს ირმები შიგნიდან რქებით, ჩლიქებით ანგრევდნენ, ღმუოდნენ, კლდიდან გამოსვლას ჩქარობდნენ. იცოდნენ, სულ ცოტა დრო იყო დარჩენილი ახალ წლამდე და თოვლის ბაბუა და ფიფქია ელოდებოდნენ.

ტყის ფერიამ ისევ აღმართა ჯადოსნური ჯოხი და ნამსხვრევებად აქცია კლდის უშველებელი ლოდები. ირმები გამოქვაბულიდან გამოცვივდნენ. ზოგს რქები და ჩლიქები დამსხვრეოდა, ზოგს მუხლები და ზურგი გადატყავებოდა. ტყის ფერია, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ეჩქარებოდა, მივიდა ირმებთან, მოეფერა, თვალები დაუკოცნა. ნატკენ სხეულზე ხელი ნაზად გადაუსვა და ირმებს ჭრილობები შეუხორცდათ, უფრო ლამაზი და დიდი რქები ამოუვიდათ.

საათი თორმეტს უახლოვდებოდა. ცამ დაიგრგვინა. ეზოში გამოფენილი ბავშვების სიხარულის ყიჟინამ გააყრუა არემარე. ციდან ულამაზესი ვარდისფერი ფიფქები ცვიოდა, თან, ისეთი სისწრაფით, რომ წამში სამყარო უშველებელ ვარდისფერ ტორტს დაემსგავსა. ცვიოდნენ და ფრიალებდნენ ფიფქები, მღეროდნენ და კისკისებდნენ ბავშვები. ვარდისფერ გუნდებს, რომლებიც ჟოლოს და მარწყვის ნაყინის ბურთულებს ჰგავდა, ესროდნენ ერთმანეთს. უფროსებმა მიატოვეს გაზქურები, ღვინით სავსე ქვევრები და ყველა ერთად, ულამაზესი ვარდისფერი თოვლით დაფიფქულ ბავშვებს შეუერთდნენ.

საათმა თორმეტჯერ ჩამოკრა. გაისმა ეჟვნების ჟღარუნი. მაღლა აიხედეს და დაინახეს, თოვლის ბაბუას და ფიფქიას საჩუქრებით სავსე მარხილი როგორ სერავდა ვარდისფერ ცას, როგორ

გადაუფრინა თავზე და ტყისკენ დაეშვა. უცებ, ვარდისფერი და ლურჯი ქვებით მოკირწყლული, ტყისკენ მიმავალი ბილიკები გადაიჭიმა. უფროსებმა, ისე, რომ არც დაფიქრებულან, ბავშვებს ხელები ჩასჭიდეს, ბილიკს გაჰყვნენ და ტყის შუაგულში, ულამაზეს სამყაროში აღმოჩნდნენ.

დიდი, ვრცელი მინდორი ისე ბრწყინავდა სპეტაკი თოვლით, გეგონებოდა, ვარდისფერი ალმასის ქვები ვიღასაც მუჭა-მუჭა დაუყრიაო. მინდორს, საახალწლოდ მორთულ-მოკაზმული, კენწეროში დიდი ბდღვრიალა ვარსკვლავებით დამშვენებული ნაძვის ხეები შემოჯაროდა.

უცებ, ნაძვის ხეები მარჯვენა და მარცხენა მხარეს ჩამწკრივდნენ. ტოტები ფერად-ფერადი, მგალობელი ფრინველებით დაიხუნძლა. გაისმა ულამაზესი მელოდია. ტყის ბოლოს, ცაზე, ვარდისფერი, ღიმილა ღრუბელი გამოჩნდა. მკლავები მაღლა ასწია და ვარდისფერი და ცისფერი კიბის საფეხურები ჩამოიშალა. ჯერ ფიფქია და თოვლის ბაბუა გამოჩნდნენ, უამრავი ტყის ცხოველით გარშემორტყმულნი. მათ მოჰყვებოდნენ ხელიხელჩაკიდებული ულამაზეს, გრძელ, მოლისფერ კაბაში გამოწყობილი ტყის ფერია და ილერონი. ფერიას კაბის ბოლო მოლისფერ თაგუნიას ეჭირა და თავაწეული, ამაყად მოდიოდა.

მოულოდნელობისა და ზღაპრული სილამაზით გაოგნებულ ადამიანებს სიხარულის ყიჟინა აღმოხდათ. ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს.

– ფიფქია....

– თოვლის ბაბუა...

– ტყის ფერია... თურმე როგორი ყოფილა!

– ეს, ვინ მოჰყვება ტყის ფერიას...

– რა ლამაზები არიან!

– ნეტა, სიზმარში ხომ არ ვართ?

ლოყებღაჟღაჟა, კეთილი თოვლის ბაბუა ღიმილით შეჰყურებდა ამდენ გახარებულ, ბედნიერ ადამიანს. მერე, ბუბუნა ხმით შესძახა:

– გილოცავთ ახალი წლის დადგომას! ხვავი, ბარაქა, სიყვარული და სიხარული დაგბედებოდეთ! დღეს ჯადოსნური ღამეა, მეგობრებო! ახალ წელთან ერთად, ტყის ფერიასა და ილერონის ქორწილია. ილერონი ვარდისფერი ღრუბლის შვილია. სწორედ ვარდისფერმა ღრუბელმა გვაჩუქა დღევანდელი ჯადოსნური ღამე. მათ პირველად და უკანასკნელად ხედავთ, მაგრამ გული არ დაგწყდეთ, ისინი მუდამ კეთილი ადამიანების გვერდით იქნებიან.

თოვლის ბაბუამ დაამთავრა მილოცვა თუ არა, ტყის ოთხივე კუთხიდან ულამაზესი, ფერადი პეპლები ამოფრინდნენ. გუნდ-დუნდად აიჭრნენ ცაში და ბრჭყვიალა ფოიერვერკებად გადაქცეულები ფრიალით დაეშვნენ მინდორზე.

ფიფქიამ თოვლის ბაბუა გამოიწვია, ილერონმა – ტყის ფერია და ულამაზეს მელოდიაზე ცეკვა დაიწყეს.

მინდორში მდგარი, ულამაზესი სანახაობით აღტაცებული მამაკაცები და ბიჭები მოულოდნელად, გრძელი ფრაკებით, ქალბატონები და გოგონები აბრეშუმის კაბებით შეიმოსნენ და ტყეში ჯადოსნური მეჯლისი გაიმართა.

ვარდისფერი ღიმილა ღრუბელი ცაში აიჭრა. დობილებს ხელი ჩასჭიდა და ულამაზეს, ვარდისფერ თოვლის ფიფქებს ფრიალით ფენდნენ დედამიწაზე.

მთელი სამყარო ციმციმა, ვარდისფერ საჰაერო ბურთს დაემსგავსა, სადაც ბედნიერი, სიხარულით სავსე ადამიანები უჩვეულო ახალ წელს ზეიმობდნენ. წლების შემდეგ შვილიშვილებს აღტაცებით უყვებოდნენ ვარდისფერი თოვლის ამბებს.

ნაცრისფერი კლდის ქიმზე მდგარი რაგუკამი და კლდის ფერია უყურებდნენ ულამაზეს მეჯლისს და თვალებიდან სიმწრის ცრემლები ღაპაღუპით ცვიოდათ.

ანა სისვაძე

აღდგომა

შენ არაფერი გრჩება... ლოცვები
მიტოვებულის კაშნეს გაფარებს,
ეს საღამოც კი შენს სულს უსაყდროს
დარჩა ეულ და მიუსაფარი.

მიფრინავ საით, რომ ფრთათა მადლი
ტყდება, იშლება, გიშრობს სამყაროს?!
მაგრამ მიგიხვდი, რომ ეს დაცემა
შენს შემდგომ ტანჯვას უფრო ამყარებს.

რად იასკეცებ ეშმათა ზველვას,
ან მათ რად ეკვრი? ჰოი, საბრალოვ!
ნუთუ არ იცი, ბოლოს წარწყმდები
და ზეცა ერთხმად შენ დაგაბრალებს...

შეკრთი? მაშ, ასე, შენში ყოფილა
წმინდათ ნარჩენის შემონარჩენი,
ვხედავ, დრო დადგა, კეთილ სათავე
სულს ერინების თავად აჩერებს.

შეგთხოვ, ნუღა გყავს ზეცათ მმართველი
კაპერიონად შეძულებული...
ვიცი, რომ შორის იასამნების
გულს სიყვარული მოგიძლიერებს.

მაშინ კი შენგან სწორედ აავსებს
და დაივიწყებს ავებს დაიმონ,
სრულყოფილებას მოუტანს სისხლად
და ხორცად ქცეულ ადამიანებს.

ხმაური

გარეთ ქარია,
სახლში ნოტები კედლებს უთხრობენ,
რაც დამმართნია.
მე თვალებს ვხუჭავ
და ვიძირები
შენს მკაცრ მზერაში
დაშლილ ოცნებად.
როგორც ყოველთვის,
ალბათ დღესაც კი დაიღალე და
გძინავს – ცხადია,
ცოტაც ითმინე
და თავად ნახავ,
რომ ყველაფერი გამოცოცხლდება.

ახლა ახლოს ხარ, როგორც არასდროს,
მაგრამ მანძილი
იტანს თავისას,
– ოჰ, ეს კედლებიც არ ჩუმდებიან,
რომ წმინდა ფიქრით ვიფიქრო შენზე!
და აი ისევ მივხუჭავ თვალებს,
თითქოს მოვიდა უკვე „გაისად“,
მაშ, რა გეგონა,
ჩემი სამყარო
გრძნობებით ასე რომ გააქეზე.

ხორცში მიძვრება ღამის ნიავი
და ჩემი სისხლი
ფიქრით ხურდება,
დღეს ვერ მერევა მე ეს სიცივე,
მაგრამ ვფიქრობ, რომ
შენ ხარ საფრთხილო,
მწვერვალზე ავალთ
– ვფიქრობ ამაზე –
როცა სრულიად გაზაფხულდება,
რომ სამუდამო შენი ალერსი
ქალაქს ისევე გადააჩრდილო.

მე ჯერ არა გთმობ,
თუნდაც ამისთვის

მთელმა სამყარომ შემომებრძოლოს.
ქარია გარეთ,
ალბათ ხვალ დილით
(როგორც გუშინ და მის წინ)
იწვიმებს.
მე – თეთრ სამოსში დავხუჭავ თვალებს,
ისევ მოვძებნი შენს ძვირფას მზერას,
შენ – დაუთმობო ჩემი ხელიდან
მშვიდად იძინე...
მშვიდად იძინე...
„შენთან ვარ უკვე! ნაზია ღამე...“

დამჭკნარ ყვავილებს ჩამოუყრიათ ცოცხალი სული,
უკიდეგანო სიმრუმეში შთაინთქა თითქოს,
შემომპარვია ჩუმად სევდა მარადიული...

შენამდე გზები დახშულია, მტვრით დაფარული,
იქ გელოდები, სადაც ხავსიან ბილიკს ვუსაყდრე
მოგონებებით დახლართული ღრმა სინანული...

ხაკისფერ ზეცას ჩაუარა უღრუბლო ქარმა
და მომიტანეს გახსენება, როცა წვეთებმა
მაისის წვიმის წამწამები მთლად მოგინამა...

ვკემსავ წამწამებს – უკვე კოშმარს აღარ ვნახულობ,
დამითბო სული ატმის რტოის ვარდისფერებამ,
რომელიც ერთ დროს დამიკრიფე საგაზაფხულოდ...

„შენთან ვარ უკვე! ნაზია ღამე...“ და ვახელ თვალებს,
ვგრძნობ, რომ შორიდან შემომძახი და ეძიები
თმაში გასარჭობ იასამნის ზღვისფერ თავთავებს...

კლივინდიელი ინდიელები

კოკისპირული წვიმა მონელდა...
შენი ნიკაპის სამ რბილ ნაკეცზე
არშიასავით შემოვლებოდა
ცვარი, სიმღერით რომ წააქეზე.

ნეტავ ოდესმე ისევ მაჩვენა
ზღვას მიდრეკილი მზერა მდუმარე.

მახსოვს მოხვედი, ვით გობელენი
შეშინებული, მახსოვს მწუხარედ...

კლივინდიელი ინდიელები
ყაყაჩოებით მოოქრულ ბაღში
ისე ცეკვავდნენ, როგორც მე და შენ
გვინდოდა ცეკვა ვნებებით აშლილს.

ჩემამდე მოდის, ისე ლოცულობ,
თითქოს რა ხმითაც ლოცულობს ქარი
და ამ ხმის სუნთქვა, ბოლომდე წმინდა,
ჩამესმის, როგორც სიმღერა წყნარი.

ნუ დაივიწყებ, რომ მე ვარ შენთან
უმცირეს, თუნდაც საწყის იმედად,
არ დაგთმობ შავი ბუნების მგოსნად,
არც სამუდამო ყინვის დილეგმად.

მწარეა, ვიცი, უიმედობით
და დარდით სავსე თეთრი ოთახი.
მოდი, ნუ წახვალ და თუკი წახვალ,
მეც გამოვყვები შენს გამოძახილს.

შენ

მისმინე...
მინდა ჩემი წერილი დაგრჩეს ანდერძად.

„ნუ დანებდები!
აქამდე ბევრჯერ ვიომე, მაგრამ...
მაინც ვიმკობი ცოცხალ გრძნობებით...
იქნებ ცხოვრება ჩვენი ხატია
ობოლი ბავშვის შენაკედლების
და ეს სამყაროც, სავსე სიურჩით
გვებრძვის და სისხლს გვწოვს
თავგამოდებით.
ნუ დანებდები!
ჯერ ისევ სახლობს შენი თვალების
მკვეთრი დიდება
და თითქოს დიდი ტაძარიც მთაზე
შენს გარეშეა ურჩი ლტოლვილი,

როცა ვუყურებ, იმ თეთრ კედლებშიც
ისე საოცრად ჩამობინდდება,
ზეცაც ვერ უძლებს და ზამთრის ქარით
ჩნდება მწუხარე ჩამოთოვლილი.
ნუ დანებდები!
ისევ აანთე შენი ხელების გრილი ალერსი,
მიიღე ისე, თითქოს ბრძოლაა არგადასული
თეთრი ბედწერა.
დაე, იცოდე,
რომ მე აქამდეც
და ამის მერეც შენთვის ჩავეშვი
იმ ფათერაკში, სადაც მსურდა, რომ
შენზე მეფიქრა და დამეწერა.
ნუ დანებდები!
ნუ გაუხდები სიკვდილის ყველაზე სანდო ვასალი
და შენს ოცნებებს ისევ აუნთე
მშვენიერებით სავსე ლამპარი
და თუ ოდესმე განაბავ თვალებს
მარტოობისგან მოკლულ ქვასავით,
მე გამიხსენე
და გაიხსენებ
რომ ჯერ კიდევ გაქვს თავშესაფარი.
ნუ დანებდები!
ჩვენი შეხვედრის დრო-წამი ისევ სახლობს გეგმებად,
ვნებათა ღელვით რომ მოგიქსოვე,
როცა მიკლავდა ხელებს სიცივე,
დღეს შენი ქარი, უხმოდ ნაგები
გაზაფხულივით მომეგებება,
მაგრამ დარდი მაქვს, რომ არ ხარ ჩემთან
და უძილობის ფიქრით ვიძინებ.
ნუ დანებდები!
და ნუ მაშინაც, როდესაც შენში დარდი იელვებს,
ვიცი, რომ ამ დროს დიდი ტკივილით
მხოლოდ სიკვდილის წამი გინდება,
მაგრამ გახსოვდეს, რომ შორის გზების
გულს სიყვარული მოგიძლიერებს
და რომ დღეს ჩემთვის ისევე სუნთქავს
შენი თვალების მკვეთრი დიდება.
ნუ დანებდები!
რადგან უშენოდ აქ ისევ მწუხრით გადის დღეები,
მე გელოდები...
შენ კი სულს მიეც მებრძოლი კაცის მშვიდი ბუნება,

გააძლიერე და გაამყარე ზამთრის ფიფქივით თეთრი ხელები,
ბოლოს კი შეძლებ შენს სამშობლოში
და შენს სატრფოსთან ტკბილ დაბრუნებას.
ნუ დანებდები!
არ მსურს გიხილო თვალდახუჭული ხელებში ჯვარით,
ვფიქრობ, ადრეა...
ადრეა შენთვის უსულ-უხორცოდ მიწას ეკედლო,
რატომ მოგეგო სამყარო ასე დაუნდობელად,
დარდით და ჯავრით,
ნეტავ შემეძლოს, რომ მოგცე სუნთქვა მარადიული,
ნეტავ შემეძლოს...
ნუ დანებდები!
რადგან აქ ისევ გელის ოჯახი, გელიან მთები,
წვიმა, ქარბუქი, ზამთრის ნიავი,
თოვლი და...
ნიშნად ზღვაც კი დიდდება...
ნუ დანებდები!
რადგან უშენოდ აქ ისევ მწუხრით გადის დღეები
და რადგან დღემდე ისევე ცოცხლობს
შენი თვალების მკვეთრი დიდება.
ნუ დანებდები!
და თუკი ბოლოს არ გაამართლებს შენი ნაბრძოლი,
სანთლით მოგაგნებ იქ, სადაც ღმერთი
ჩვენს სიყვარულში კვლავ დარწმუნდება
და ჩემს ნაზ გრძნობას ისევ დაატკბობს
შენი ხელების ტკბილი ამბორი,
როდესაც ზეცით გადმომხედავ და
ჩემში სრულიად გაზაფხულდება.

ხანმოკლე დაისი

(ბარათას ნაბიჯით)

მღელვარე ქარმა საბოლოოდ ამოისუნთქა,
ზღვა მონარნარე დაღლილობით ისევ მიჩუმდა,
აქაურ ყოფას ზოლად გასდევს შენი წამება,
როგორც ბუნდოვან მთაწმინდაზედ შემოღამება...

მეტად ხანმოკლე დაისია, ნეტარ კმაყოფით
ბედი უიღბლო ორბებს ისევ ყელში ამოსდით,
წყლის ზედაპირი ვერ ელევა, კვლავ მზის სხივს ნატრობს
და ელოდება მის ამოსვლას, როგორც მე – სატრფოს.

ისევე ხვდება მზე, რომ ყოფა არის სასტიკი,
როგორც სიცოცხლეს შემნატვრელი ძია ლასტიკი,
უსვამდა ნიჩბებს ვარსკვლავებით მოოქრულ ღამეს
ჩემი ფიქრები, შენი თავი რომ შემაყვარეს.

შენში ჩასახლდა ურწმუნობით სავსე ვექილი,
რომლის თვალებშიც გაჩნდა დარდი ამოზნექილი,
ხმამაღლა ჰყვირის, თითქოს ზეცას ამით შეჰხარის:
„ყოფნა – არ ყოფნა, საკითხავიც აი ეს არის!“

მეტად ხანმოკლე დაისია, როგორ ხარ ნეტავ...
აქ მთვარემ ზღვების ანარეკლი მთლად გააღმერთა,
ზღვების, რომლებიც ვერ ელევა მზეს, სხივებს ნატრობს
და ელოდება მის ამოსვლას, როგორც მე – სატრფოს.

მანანა მელიქიშვილი

* * *

შუაღამე გავაცილე
დარდთან შეჭიდებულმა,
ჩემი ხალხი და ქვეყანა
როგორ შეჭირვებულა.
ცას შევყურებ ღრუბლიანს,
გული დარდით ივსება,
მზეო, ოქროსფრთიანო,
არ დაგჯაბნოს ნისლებმა!
გული დარდით ამევსო,
თავი არ მაქვს ოცნების,
როგორ მინდა უფალო.
მოგაწვდინო ლოცვები!
მხოლოდ შენ შეგიძლია
მართო დროის ისრები,
საქართველოს ზეციდან
გადაყარო ნისლები.
დააბრუნო რწმენაში
მისი ძე – შეცთომილი,
განარიდო ეშმასგან,
გაუნათო ცთომილით,
ასე ვდარდობ და ვწუხვარ,
არსაით გამართლება!
ამდენ სიწმინდის მფლობელს,
ნეტავ რა გვემართება?!
წავალ, ტაძრად ვილოცებ,
უფალს სანთელს დავუნთებ,
ხატთან ჩავიმუხლები,
დარდებს ჩუმად გავუმხელ.
მოწყალეა უფალი,
მჯერა, ციდან დაგვყურებს,

ჯერ კვართს გადაგვაფარებს,
მერე მირონს გვაპკურებს.
აი, გიორგის ცხენიც,
ოქროსფერი ფაფარით,
ვეშაპს გაანადგურებს
ზეციური ლაშქარით.
მეც მსურს ფიცი ვაფრინო
ამ ცასთან და ამ მთებთან...
წავალ ტაძრად, ვილოცებ,
დავეცემი ხატებთან.

* * *

ახლა მჭირდები ღმერთო,
გული გასკდა და მეწვის...
მინდა მოფრინდე წუთით,
მინდა დავეცე შენს წინ.
მინდა ავტირდე წრფელად,
მინდა მოგიყვე დარდი,
გადაგიშალო გული –
– ფურცელგაცლილი ვარდი.
მუხლმოყრილი ვარ, გელი,
იქნებ ამიხდეს ხილვა...
მიტევებას გთხოვ, მაგრამ
როგორ გავბედე, ვინ ვარ?!
სულ წამიერად გიხმობ,
ყინულზე მუხლით ვდგები,
ასე ვიდგები მანამ,
სანამ არ გამოჩნდები!
სანამ ღვთიური სხივი
სულში არ ჩამეღვრება,
მერე გადივლის დარდიც,
რადგან ყოველი ქრება.
ო, ანგელოზო ჩემო,
არ განმერიდო მტირალს...
რა უმწეო ვარ, ცაო,
არ შემატოვო ტირანს...
ო, ანგელოზო ჩემო,
ფრთებით გაფანტე ბინდი...
რომ არ მოგიკვდე დარდით,
უფალო გამობრწყინდი!..

* * *

აღარც იაა, აღარც ენძელა,
ბუნებას ისევ გაზაფხულის
სურნელი სცხია.
მე კი მეძნელა ამ გაზაფხულზე
შენს სიყვარულზე ლექსი მეწერა!
მე ვერ მოგართვი ვერცა ია, ვერცა ენძელა.
ტიტებს მოგართმევ, უამრავ ტიტებს,
არ შევკრავ კონებს, ზვინად მოგართმევ,
მერე უჩუმრად გავიპარები, შენს
სამართლიან საყვედურს ავცდე...
დრო, რომ გაივლის, გაზაფხულიც
გაიპარება, მერე ვილოცებ და ცრემლებიც
დამედინება, ზაფხულიც მოვა, შენ
ვარდებს მომიტან... და დაველოდოთ
ვარდების თოვას!..
გაგეცინება და მაპატიებ, დაგავიწყდება
ყოველი წყენა, ია-ენძელა დაგავიწყდება,
გულს მიიხუტებ ლამაზ გვირილებს
და ჩემს მკერდზე მიგეძინება.
ხომ მაპატიებ, ხომ სულგრძელი ხარ,
უფალი გიყვარს, ვიცი, დიდად გწამს,
და გაიხსენებ დიდი უფლის „მრწამსს“.
უფალთან, როცა პირობა დადე, ყველას
ცოდვების მიტევებისა და ყველას მიმართ
თანადგომისა.

მამუკა ოჩიაური

ცეკვა მთაში

ჩამოჰკრეს ფანდურს, გააჟრჟოლა სხეულს სრულიად
ფანდურის ჰანგებს ტაშიც აჰყვა გაუჩერები,
გადმოხტა ვაჟი, ეს მოწყენის დასასრულია
ცეკვავს და უვლის მცირე წრეზე მოქნილ ცერებით.

გრიგალად მოდის, მის მკლავებში ქარიშხალია
წელზე ირხევა სატევარი პაპისეული,
წინწანაქარი, ჯიხვის დიდი ყანწით დალია,
ზორბა მთას მოჰგავს ჩამოქნილი მისი სხეული.

არწივის თვალი გადაავლო ტაბლათა რიგებს,
ყვითელთმიანი, შავთმიანი ქალთა ჯარია
მამაკაცებთან სინით ხორცი ჩამოარიგეს,
ლამის დალეწოს ვაჟის გულმა მკერდის გალია.

ფანდურის ჰანგი – შეურყვნელი ჰანგი ნამდვილი,
აქ დაიბადა და ნარნარით ჭიუხებს აჰყვა,
ერთ-ერთმა გოგომ შეისწორა თავზე მანდილი
და გრიგალებად მოსულ მოყმეს ცეკვით თან გაჰყვა.

ელვარებს შიბი* გოგოს მკერდზე დავანებული,
გოგმანობს ნაზად, როგორც ნორჩი მფრთხალი ქედანი,
ბიჭი გულადი, გაუტეხი, დიდი, მთებური
გოგოსთან გახდა გრძნობის ტყვე და გაუბედავი.

ჩერდება წამი, იისფერი ნისლია თვალთან
ვერ ეხეთქება სინარნარეს გრიგალის ძალა,

---

* შიბი (ხევს.) – ვერცხლის მონეტებით და ჯვრებით მორთული ყელსაბამი.

ვაჟი მკაცრია, მოძალებულ ფიქრებსაც მართავს,
დღემდე ასეა თბილმა გრძნობამ ვეროს დაძალა.

ცეკვავენ ორნი, ფანდურის ხმა მალამოს ადებს
გულს, რომელიც დღეს ამ გრძნობებით გაკლდევებულა,
ვაჟი უტყვია, ებრძვის ებრძვის იმ გულის ნადებს,
რომელიც გულში გამთბარა და გამზევებულა.

ჯერ საღამომდე დიდი დროა სავალი დაღმა,
ო, როგორ უნდა გოგოს უთხრას გულის წადილი,
ცეკვავს გულდაგულ, არ ეტყობა ვაჟს ჯერაც დაღლა,
ნელა ირხევა გოგოს ტანი, ბოლო მანდილის.

უკრავენ ფანდურს, გაიჟღინთა სივრცე სრულიად,
გული ხალისობს, სილამაზეს აღიქვამს თოლნი,
მიდის ქეიფი, ეს მოწყენის დასასრულია,
მიდის ქეიფი და კვლავ ბანზე ცეკვავენ ორნი.

ვნებიანი ღამე

ნარნარით ირხევა საწოლი,
იისფერ ნისლებში ვირწევით,
იმ გრძნობას ვერასდროს ავწონით,
ორივე უცეცხლოდ ვიწვებით.

ცხელია სუნთქვა და ტუჩები,
რატომღაც კერტებიც მკვრივია,
ვნების ცეცხლს ვერ გადავურჩებით
გულები მკერდიდან კივიან.

დაცურავს სხეულზე თითები,
დრო დადგა, შეგუბდა მორევად,
კვირტივით ენთები, ირთვები
ამ ყოფას არ უჩანს მოლევა.

გახშირდა სუნთქვა და ჩურჩული
გადავცდით ამ განზომილებას,
რიჟრაჟი – უგულო ურჩხული,
რად ცდილობს ჩვენ ორთა მხილებას.

სასთუმალს თმა ტევრად ედება,
ვცახცახებთ ვნებებით ძლეულნი

მკერდს უნდა თითების შეხება,
ერთია დღეს ორი სხეული.

ერთია გულღიად ნაფიქრი,
ვნებების ბილიკიც ერთია,
ბილიკი, კოცნებით ნაფიფქი
იისფერ ნისლეულს შერთვია.

დამშვიდდა მშფოთვარე საწოლი
და აღარც ნისლებში ვირწევით,
ამ გრძნობას ვერასდროს ავწონით,
ორივე ამ ცეცხლით ვიწვებით.

ვინ ხარ

ნეტავი ვინ ხარ, მოხვედი სიდან,
მოხვედი მოსვლით გაჩერდა წამი,
იქნებ სხივი ხარ მოსული ციდან,
ანდა ღრუბელთა ობოლი ნამი,
თუ ასე მწირობ მოსდევ ალალად
და ქარაშოტის კალთას ეკვრები,
რატომ ჩამდგარა ურყევ სამანად
ღონემოსული რითმის ეჟვნები,
რატომ დაფლითა ნისლის აფრები
ქარმა ძლიერმა, ქარმა მავანმა
ალბათ შენც რითმებს ისევ ადნები,
აროს გიცდია მათგან დამალვა.

ნინო როსტიაშვილი

ის არის თუ, მინდოდა ის ყოფილიყო?!...

რატომ მეცნობა ეს ჭიშკარი,
ან ეს ვაშლის ხე...
რატომ მახსენებს ბავშვობას,
ან მე ვიხსენებ...
არა და მართლა მწვანე იყო იქაც ჭიშკარი
და იმ ეზოშიც საზაფხულო ვაშლის ხე იყო.
ვიპარებოდით ვაშლის ხეზე მარილით ხელში,
თითზე ფერადი სინის ბეჭდით
და მკვახე ვაშლებს კბილის მოჭრამდე დაჯღანვით ვკბეჩდით.
(ჰო, დაჯღანვა და კბილის მოჭრა ხომ კარგად გახსოვს)...?
მართლა ის არის
თუ ძალიან ჰგავს ეზოც და კარიც?
მინდა ის იყოს!
და ეს კაკლის ხე...
დაწენგოებულ ტუჩებს მახსენებს...
რა კარგი იყო...
– და დედის სახრე...?
ნაწვიმარზე ფეხი, რომ ამიცდა,
 თუ ფეხი ამცდა...
ხო მართლაც ამცდა ფეხი,
 ჩემთან ერთად რომ აგიცდა.
მერე რამდენი ვიცინეთ და არ გვიტირია,
ტალახიანი ბავშვები რომ თვალებით ვცნობდით,
ერთმანეთს და შიშს,
რომ გვეშინოდა სახლში ასვლის და
ტლაპ-ტალახით გალუმპულნი წყაროს წყალით რომ გავილუმპეთ.
მერე იმ ღამეს სიცხე მომცა,
დედამ მითხრა „ანგინა“ გაქვსო,
მე ვერ ვხვდებოდი ეს „ანგინა“ რა იყო და... ყელი მტკიოდა.
დედა მახვევდა ძმრიან სახვევს...
ცრემლი მდიოდა,

შენ არ გიშვებდნენ ჩემს ოთახში,
მე ოთახიდან...
– დედა ამბობდა გადაედება...
(ანგინაო)
რაღაც უღმერთო მაღეჭინა მწარე ფოთოლი და
მესამე დღეს დაჯღანულ სახით მჟავე ვაშლს ვჭამდით,
მარილს ვაყრიდით...
ნეტავ ის არის, ეს ვაშლის ხე ან ეს ჭიშკარი...
ის ჭიშკარიც ხომ მწვანე იყო?
ალაგ-ალაგ დაჟანგულიყო...
და ეს კაკლის ხე...
ნეტავ ის არის თუ მინდოდა ის ყოფილიყო,
რომ მოგონება დალექილი წამოშლილიყო...

სანსეტ...

ამომავალ მზეს იცოდე,
ოდეს ცაზეა მავალი,
ჩამავალი მზე სჯობია,
ობი რომ მოეკიდება.
დაეკიდება ციალით,
ლიცლიცა ზღვის ჰორიზონტზე,
ზორტად დაჰყვება სიწითლე,
ითლება შემოღამება.
ღამდება, მთვარე იღვიძებს,
ძეებს მოიხმობს ცას ზედა,
დედა მზე მთვარის ამბორით,
ორბით ვარსკვლავნი ჩდებიან.
ებმიან ეჭიდებიან,
იბადებიან კვდებიან,
იანიდან და ანამდე,
ანდამატობენ, ქრებიან...
ქრიან ქარები ქედნობენ,
შემოდგომის დღეს ებრძვიან...

არტოხელის მანდილი

პირს აქეთა ბარისახო,
პირს იქეთა შატილი,
ფიქრით დათვიჯვარს გადავა,
არტოხელის მანდილი.

ჟინვალიდან შატილამდე,
ყველას ჯვარი სწერია,
ქალავ მანდილს გაუფრთხილდი,
ცხოვრება ბეწვზე ჰკიდია.
ბარისახოელ ქალისთვინ,
არღუნზე უკეჭნავიათ,
ლოდებს სისხლი ამჩნევია,
შატილს დედები სტირიან.
ლეჩაქი რად მოიხადა,
დალალ რად გაუწეწნია,
არაგვი ადიდებულა,
არტოხელ ქალსა სწყევლიან.
ქალავ მარტოკა ნუ დახვალ,
ტყის პირს ტურები ყმუიან,
უღელტეხილს ნუ გადახვალ,
გზები უმგზავროდა ჰყრიან.

ფერიცვალებით...

ნისლი წვებოდა ლელვიანში თაბორის თავზე
და ყორჩი-ყალა კვლავ იცავდა სამხრეთის კარებს.
ამ ღამით მთვარე ჩემთან ერთად ცეკვავდა დავლურს,
ვარსკვლავები კი, მოგვყვებოდნენ მაყრიონებად.
ჭირისუფლებად ჩამოუსხდნენ ჩემს სულს დაღალულს,
მოყვასისაგან უშურველად დაჭრილ, დაბაკრულს,
დათალხულები, დაბერილი იწვნენ ღრუბლები,
ვერ უბედავდნენ მთვარეულებს, სიტყვას გადაკრულს.
თავდახრილები, დატორილნი იდგნენ ვერხვები,
ცრემლად სცვიოდათ, არ შემხმარი, თოთო ფოთლები.
ამ ღამით თითქოს ვერ ბედავდა მტკვარი დინებას,
იდგა მეტეხთან და ზარების რეკვას ელოდა.
გვაშტერდებოდნენ, ღიმნარევი, ცრუ-ყრუ თვალები,
ნაშურდულარი, ნამთვარები, გადამთვრალები...
შენს!
სადიდებლად,
ფერიცვალებას –
– ფერნაცვალნი,
მე და მთვარე ნეტარებისგან, როგორ ვცეკვავდით...
მოგვჩერებოდა ათას ერთი ურწმუნო თვალნი...
სამსა ტალავერს მოეფინა ღრუბლით ნათელი!!!

ინგა გოგიჯერიძე

არა ომს

...თბილი საწოლიდან ფეხის გამოყოფა არ მინდა, ქვევით ნანგრევებია და ცეცხლის ალი ტრიალებს. დედის მუცლიდან გამოსვლას არ ვაპირებ, აქ სითბოა, საკვებია და სიცოცხლეა, გარეთ არ ვიცი რა ხდება? დედა ნერვიულობს, რომ ქალაქებს ბომბავენ და ვაითუ ამ ბომბის ერთი ნაწილაკი ჭიპლარს მოხვდეს. ვდგავარ სარდაფში და უცნობი ხალხის წინ ვმღერი. დედა ყველას აჩუმებს, რომ ჩემი ხმა კარგად გაიგონონ, მათაც უნდათ სიხარული და სიმღერა. აგერ უკვე სამი დღეა, მარტო მივჩანჩალებ, დედის და მამის გარეშე, ვიცი რომ მათ ვნახავ, მაგრამ ახლა ცოტა მეშინია, იმ ზღაპრებში, რომელსაც დედა მიკითხავდა, მხოლოდ გველეშაპი უშვებდა ასეთ ცეცხლს პირიდან... ძალიან შორიდან ისმის ხმა, რომელიც „იავნანას“ მაგონებს, დედა რომ მიმღეროდა ძილის წინ. ვიღაცის ტკბილი ხმა მაღვიძებს – „მე შენ მიყვარხარ, უკრაინელო ჯარისკაცო! ძალიან, ძალიან მაგრად მიყვარხარ!!!“

...თბილი საწოლიდან ფეხის გამოყოფა არ მინდა, ქვევით ნანგრევებია და ცეცხლის ალი ტრიალებს.

* * *

ჩემი მეგობარი დედაა, მშვიდობის დედა.
ჩემი მეგობარი მხიარულია, გულიანი და ლამაზი.
ჩემი მეგობარი ახლა დაიღალა. ცისფერი ცა დღეს სევდისფერია მისთვის.
ჩემი მეგობარი უსაქმურადაა... ამ გაზაფხულზე აქ არავინ ხნავს და თესავს.
ჩემი მეგობარი ჩუმადაა, მხოლოდ ტამბურის ხმები ისმის შორიდან.
ჩემი მეგობარი მეომარია. არ ეშინია ცეცხლის და ტყვიის ენების, ის ურყევი რკინაა.
ჩემი მეგობარი სათნოა, მშვიდი და მოსიყვარულე.
ჩემი მეგობარი უტყვია, გამძლე და ურყევი.
ჩემი მეგობარი ძლიერია.
ჩემი მეგობარი მეგობარია – მშვიდობის მეგობარი.
ჩემი მეგობარი დედაა, მშვიდობის დედა.

უცნობ მარიტას და გადარჩენილ მის მეგობრებს, გმირ დევის, მათ ვინც ერთმანეთის სიცოცხლე იხსნეს...

თავის მოკვლა გადავწვიტე – ავიღე და საქანელები გავაჩერე, დავწყვიტე თოკები, დავამტვრიე სკამები, არ დავსვი არც ერთი პატარა და სიხარული გავაჩერე. თავის მოკვლა გადავწვიტე – ავიღე ახლა სხვა თოკი და ის გავწყვიტე – ჯერ ერთი ბოლო გამოვაძვრე ამ გაწყვეტილი გრძელი თოკიდან, მერე მეორე, მესამე და ისე დავშალე, რომ აღარ გამოდგა იმ ხეზე ჩამოსაკიდად, რომელიც მარტო იდგა და მე მელოდებოდა. თავის მოკვლა გადავწყვიტე და შიმშილი დავიწყე – ისედაც ცარიელი იყო სახლი, არ მქონდა საძებნელი შიმშილი, მაგრამ გაზაფხული დადგა, აყვავილდა ადამის ფესვი და დაისხა სიმაძღრის ფოთლები, არ გამოდგა შიმშილი კარგი იარაღი თავის მოსაკლავად... ისედაც შიმშილია ირგვლივ მეთქი და გავჩერდი. თავის მოკვლა გადავწყვიტე და წიგნები დავწვი. ვიფიქრე ამ კოცონზე დავიფერფლები, მაგრამ ჭკუა მომიმატა წიგნებმა და არ მომცა ცეცხლმა ამის საშუალება, დავრჩი ისევ ცოცხალი. თავის მოკვლა გადავწყვიტე და ვიფიქრე მაღალი სართულიდან გადმოვფრინდები მეთქი, მაგრამ ანგელოზმა შემაშველა ფრთები და არ მომცა მიწაზე დანარცხების საშაულება, ისევ ჩამოვფრინდი დედამიწაზე. თავის მოკვლა გადავწვიტე და შადრევანში გადავეშვი, მაგრამ მე ისევ ცოცხალი ვარ – ის კი მკვდარი.

...რატომღაც ახლა სდუმან საქანელები. სახლების კედლებიდან ისევ ცივი იყრება ქვები. წყლის წვეთი გულს ჰყოფს დაშლილ მამრავლად, სიკვდილ-სიცოცხლის სამაუწყებლოდ. ჯერ გვიანია, ან ისევ დროა, ან კიდევ იქნებ ძალზე ადრეა ეს თავის მოკვლა...

...და მაინც მოვკვდი და აღარ დავრჩი, მე სიცოცხლის მაძიებელი და მოყვარული ამ მზის და მთვარის, ამ ცის და ბარის, ჩემი ქვეყნის და ჩემი სახლის, ტკივილით მკვდარი ისევ აქა ვარ, დღეს ცოცხალ-მკვდარი.

ბათუმში!

...ვიცი, გორიკა მოკვდა.
სიცოცხლე ბებემ თავშესაფარში დაასრულა.
„რკინიგზის პურის“ მაღაზია აღარ არსებობს
და საოცარი სურნელება სადღაც გამქარალა.
...ვიცი, გორიკა მოკვდა,
სისხლის კვალი კვლავ შეიმჩნევა
იქ, სადაც ახლა ქაოსია და თევზს ყიდიან
უცხო ქვეყნიდან შემოტანილს, წითელთვალიანს,
„კამბალაც“ არ ჩანს, ჩემი ბაბუს პირველი კერძი,
საკვირაო სადილის რიტუალი და ჩვენი თვალი!
ეჰ, ერთი თვალით დამანახა ის საოცრება
ბებო, ბაბუ, მამა,
სოკრატე და ატმის კალათა.
...ვიცი, გორიკა მოკვდა
და თავშესაფარს ვინ ესტუმრება

ჩვეულებრივი მოსაკითხით,
სარდაფიდან ამოტანილი
მწნილისა და მურაბის ქილით,
ახლა სხვა დროა და ამიტომაც
სხვა მივა სხვასთან
„მარკეტიდან“ გამოტანილი შოკოლადით,
რომელსაც ვიცი, მწარე გემო აქვს
და არ არის ისეთი ტკბილი
მაშინ რომ იყო.
...ვიცი, გორიკა მოკვდა
და იმ ხაჭაპურს „ცინკის ზავოდთან“
ტყვიის სუნი აქვს!
არ ვიკრიბებით „პიონერთა პარკის“
შესასვლელთან,
ულამაზეს კოლონადებთან,
რომ ვიჭორაოთ
და ერთმანეთს შეყვარებულის ხასიათზე ველაპარაკოთ.
ახლა სხვა დროა.
...ვიცი გორიკა მოკვდა.
...და წვიმის რიტმი ჩვენს ქალაქში სულ შეიცვალა.
ადრე თუ წვიმდა ათდღეობით,
თავსხმა გვართობდა,
ახლა, უბრალოდ ღამე წვიმს
და ამ წვიმის ხმები დილით არ მხვდება.
ნისლს წაუღია,
მოგონებას ან კიდევ სხვას რას!
...ვიცი, გორიკა მოკვდა.
ჩვენ ცოცხლები ვართ
და სიყვარულით უნდა ვიაროთ!

თინა შიოშვილი

სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა დავით თედორაძის შემოქმედებაში

დასაბამიდან აღელვებს კაცობრიობას ყოფნა-არყოფნის მარადიული პრობლემა და, როგორც აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე წერს, „ეს საკითხი, ძველი ინდოეთიდან დაწყებული, ყველა ხალხის მოაზროვნეს აინტერესებდა და აინტერესებს დღესაც. იგი არის წყარო რელიგიური განცდისა, იგი არის დასაბამი პესიმისტური სულიერი განწყობილებისა...“ (უზნაძე, 1986: 186-187).

სიკვდილი – ეს დაუძლეველი, ამოუხსნელი ფენომენი – უხსოვარი დროიდან აწუხებს ადამიანის გონებას; მითოსური მსოფლმხედველობიდან მოყოლებული, მსოფლიო აზროვნების კორიფეებითა თუ რიგითი მოკვდავებით დამთავრებული, ყველას საფიქრალია კითხვები: „წუთისოფელი რა არი?“ „რა არის ჩვენი სიცოცხლე?“ „ნეტავ, რა ზნე სჭირს სიკვდილსა?“ „მამა-პაპანი რა ქნილან?“ და სხვა.

სიკვდილის შეცნობის რთულსა და ხანიერ გზაზე ადამიანთა შემეცნება აღმავალი გზით მიემართება. ამ ურთულესი, მარადიული პრობლემის გადაწყვეტას მზისქვეშეთში მრავალი ფილოსოფიური თუ უაღრესად პრიმიტიული (და შინაგანად კიდევ უფრო ღრმად ფილოსოფიური) მოსაზრებანი მიეძღვნა (უზნაძე, 1986: 186-187; ნუცუბიძე, 1983: 64-78; კასირერი, 1983: 142-144; შიოშვილი, 2002: 123-197).

ყოფნა-არყოფნის პრობლემის გააზრების ყველა მცდელობას თან სდევს დაუძლეველი დილემა – სიკვდილის შიში, რომელიც იმავდროულად დიდი სტიმულიც არის – ძალასა და მიმართულებას აძლევს ადამიანის არსებობასა და მოღვაწეობას. მართლაც, „მთელი ჩვენი ცხოვრების ფორმა, სახე, სიკვდილმა წარმოშვა; ამიტომ იგი განუყრელი დარაჯივით მუდამ თან გვსდევდა და კვლავაც გვსდევს“ (უზნაძე, 1986: 16).

მსოფლიოს ხალხთა ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული ყოფისა და თანამედროვე განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ტომების რწმენა-წარმოდგენების შესწავლა ცხადყოფს, რომ ადამიანმა უნდობარ სიკვდილს იმთავითვე სიცოცხლის ურღვევი მთლიანობის რწმენა დაუკავშირა და, როგორც ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ცნობილ წარმომადგენელს – ერნესტ კასირერს მიაჩნია, ეს არის ტოტემისტური რწმენა-წარმოდგენები, რომლითაც შენარჩუნდა და განმტკიცდა ყველა ცოცხალი არსების ერთიანობის ღრმა რწმენა მაგიური წეს-ჩვეულებებისა და რელიგიური რიტუალების მკაცრი დაცვით (კასირერი, 1983: 142).

ამ წყევლაკრულვიან საკითხს ანიმისტური მსოფლმხედველობის პრიმიტიულმა რელიგიებმა პასუხი გასცეს სულთა სამყაროზე შემუშავებული რწმენა-წარმოდგენებით, რაც, ბუნებრივია, გარ-

კვეული წინგადადგმული ნაბიჯი იყო სამყაროს შეცნობისა და სიკვდილის კვლევის გზაზე, თუმცა, სიკვდილის დამარცხების რწმენა ვერ განავითარეს ვერც ყოვლად მოწესრიგებულმა ბერძნულმა მითოსურმა სამყარომ, ვერც წინაპართა კულტის ნიშნით აღბეჭდილმა რომაულმა რელიგიამ, ვერც შუამდინარულმა ეპოსმა – „გილგამეშიანმა“ დააგვირგვინა ეს პრობლემა სასიკეთოდ და, როგორც მარკუს ავრელიუსი აღნიშნავს, „სიკვდილმა ერთმანეთს გაუსწორა ალექსანდრე მაკედონელი და მისი მეჯორე“ (კარტოზია, 1986: 151). ქრისტიანობამ, რომელმაც ძველი რელიგიური მსოფლმხედველობისაგან ბევრი რამ შეისისხლხორცა, ყოფნა-არყოფნის პრობლემა თავისი მოძღვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად აღიარა, სააქაოს დროებით შემოსაზღვრულ ცხოვრებას (სიცოცხლეს) საიქიოს მარადიული ყოფნა დაუპირისპირა და სიცოცხლის აზრად მარადიულობისაკენ სწრაფვა დასახა. ამ გზაზე კი სიკვდილის დამარცხება მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომა, „სიკვდილისა სიკვდილითა დათრგუნვა“ იყო, რითაც განხორციელდა იესო ქრისტეს ამქვეყნიური მისია – „მოკვდავ ხორცში მოეკლა სიკვდილი საყოველთაო მკვდრეთით აღდგომის საწინდრად“ (კიკნაძე, 1997: 17).

სიკვდილ-სიცოცხლის შემეცნების ამგვარი ევოლუცია (ველური ტოტემიზმიდან რელიგიის უმაღლეს ფორმამდე) დამაჯერებელ ახსნას უძებნის ერთი და იმავე რელიგიური და ტომობრივი ერთობის წევრთა უმტკიცეს კავშირს, რაც ადამიანებს ღმერთთან აკავშირებს და რაც წმინდა ეთიკური პრინციპია (კასირერი, 1983: 143-144).

„სიკვდილის ფენომენის მარადიულ პრობლემასთან დაკავშირებით დასტურდება, რომ ადამიანის გონება გამუდმებით ცდილობდა და ცდილობს ამ საკითხის მოგვარებას, სიკვდილის გაუვნებელყოფას, მაგრამ ეს შეუძლებლად, გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება“ (შიოშვილი, 2002: 126-127); შუამდინარული ეპოსის გმირმა გილგამეშმა ყველა ღონე იხმარა, „სარქველი ახადა ოკეანის ჯურღმულებს“, მიაგნო კიდეც უკვდავების ბალახს, მაგრამ, რაკი შეუვალია ღმერთების ნება და შეუძლებელია ადამიანის უკვდავება, მან დაკარგა სიცოცხლის ბალახი, რომელსაც დაეპატრონა გველი – ადამის მოდგმის მტერი და განჭაბუკდა კიდეც:

...გველმა იყნოსა ბალახის სურნელი,
წყლიდან ამოცურდა, ბალახი წაიღო,
დაბრუნებისას გადიძრო პერანგი.
(„გილგამეშიანი“, 1984: 103)

დიახ, ამაოდ დაშვრა ურუქის ხელმწიფეც: „შორი გზით იარა, დაშვრა და დაბრუნდა“ ურუქში ხელცარიელი, რადგანაც

კაცთა მოდგმა რომ შექმნეს ღმერთებმა,
სიკვდილი კაცთა მოდგმას დაუდგინეს,
მარადი სიცოცხლე თავად ირგუნეს.
(„გილგამეშიანი“, 1984: 86)

აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის აზრით, ქართული მითოსის გმირის – ამირანის ჩაყლაპვა შავი ვეშაპის მიერ ბუნების სიკვდილს ნიშნავს, ხოლო მისი გამოსვლა – ახალ ცხოვრებას, სიკვდილის ძლევას, რასაც მკვლევარი „რკალისებრივ განვითარებას“ უწოდებს და ასკვნის, რომ ეს არის პრობლემა ზეცის დაძლევისა, „მაგრამ არა ზეცის გამო და ზეცისათვის, არამედ ადამიანისათვის, მიწაზე ცხოვრებისათვის“ (ნუცუბიძე, 1983: 64, 78).

გილგამეში ნებდება გარდაუვალ აუცილებლობას – სიკვდილს, ურიგდება ბედს, რადგანაც ასეთია ღმერთების ნება; „ამირანიანში“ კი სიკვდილი მხოლოდ ხელახალი დაბადებით ითრგუნება და

ეს არის ქართველურ ტომთა მსოფლგაგებაში უძლიერესი ნახტომი; მიუხედავად ამისა, სიკვდილი მაინც დაუძლეველ ბედისწერად რჩება და ამგვარია რწმენა ძველეგვიპტელებისაც, თუმცა, ეს პესიმიზმის წყარო არ არის – ძველეგვიპტური ლირიკა ოპტიმიზმს, სიცოცხლით ტკბობას გვთავაზობს:

სამარისაგან მოთქმა-ტირილს არვინ უხსნია
და ამიტომაც იზეიმე დღე მშვენიერი.
ხედავ, ქონება ჯერ თან არვის არ წაუღია,
ხედავ, წასული ჯერ არავინ დაბრუნებულა.
(„ძველეგვიპტური...“, 1969: 84)

...ვინ მოსთვლის, კაცობრიობის ისტორიაში რამდენი გონება გაისარჯა სიკვდილ-სიცოცხლის ძველი და მარად ახალი პრობლემის შესაცნობად!.. მის ფილოსოფიურ გააზრებას ქართველმა ხალხმაც უამრავი ძალისხმევა შეალია და მრავალსაუკუნოვანი, ჟანრობრივად მდიდარი ზეპირსიტყვიერებით სრულიად ჯანსაღი დასკვნაც გამოიტანა: მან დაგმო და დაწყევლა სიკვდილი, რომელიც „შიგ გამაარჩევს ვაჟკაცსა, რომელიც მოეწონება“ და მისი დათრგუნვის გზაზე ზნეობრივი მრწამსი გამოიმუშავა – სახელოვანი სიკვდილი, ქვეყნისათვის თავდადება, ხალხისათვის თავშეწირვა სიცოცხლის გამარჯვებად მიიჩნია.

ქართული ფოლკლორის ჯანსაღი ნაკადი სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემას ზნეობრივ კატეგორიად აღიქვამს და მიაჩნია, რომ თავისთავად „სიკვდილი არ არის ბოროტება, რადგანაც უფლის მიერ არის დადგენილი“, ბოროტებაა შიში სიკვდილის წინაშე და ამიტომაც სიცოცხლის დასრულება სახელოვნად, კაი ყმის სიკვდილით სიკვდილზე გამარჯვებად მიიჩნევა; სწორედ ეს არის სიკვდილის სიკვდილით დათრგუნვის ზოგადსაკაცობრიო იდეალი“ (შიოშვილი, 2002: 197).

ამგვარია დიდი რუსთველისეული დასკვნაც: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“; ამგვარია სიკვდილის სიკვდილითვე დათრგუნვის ქრისტიანული მრწამსიც.

ვრცელი წიაღსვლა დამჭირდა იმისათვის, რათა ცხოვლად წარმომეჩინა ჩვენი თანამედროვე მამულიშვლის – პოეტ დავით თედორაძის ღრმად მოქალაქეობრივი პოეზიის ფილოსოფიური ნაკადის შეუმცდარი კრედო, რომელიც უპირველესად მშობელი ხალხის წიაღში, მის სულიერ ქურაში გადადნობილი ზნეობრივი იდეალებიდან აღიქვამს ამ უაღრესად მტკივნეულ ზოგადკაცობრიულ პრობლემას, რომელიც სიცოცხლესთან ერთად ჩნდება და მისი მუდმივი თანამგზავრია.

ლექსში „უფლის სურვილით“ დავით თედორაძის ლირიკული გმირი გამოთქვამს წუხილს ტრადიციულ, ხანიერსა და მარად ახალ პრობლემაზე – წუთისოფლის წარმავლობაზე, სიკვდილის გაშინაურებაზე, თუმცა, აქვე შეგვახსენებს, რომ მზისქვეშეთში უფლის უნებური არაფერი ხდება:

დრო კი არ მიდის, მიფრინავს,
ვიბრძვით,
ვუსინჯავთ სვავს კბილებს,
გაშინაურდა სიკვდილი,
არც არაფერი გვაკვირვებს.
ვაცილებთ, თითქოს მიდიან
წამოსაწოლად მდელოში,
ვმრავლდებით უფლის სურვილით
ზეციურ საქართველოში.
(თედორაძე, 2015: 248)

სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული პრობლემის განსჯის ერთ-ერთი ღრმად ფილოსოფიური გადაწყვეტაა თავად სიკვდილზე ფიქრი, მისი გარდაუვალობიდან გამომდინარე ცდა იმისა, რომ ადამიანმა „არ მისცეს წყევით თვისი სახელი შთამომავლობას“, – როგორც დაგვიბარა ნიკოლოზ ბარათაშვილმა; ზნეობრივად ვიცხოვროთ, რათა სიკვდილის შემდეგ ღირსეული სახელი დავტოვოთ ამქვეყნად, როგორც გვასწავლის ხალხური პოეზია; როგორც გვიქადაგა ვაჟა-ფშაველამ, ვინც სიკვდილის „ღვაწლი“ იმგვარად წარმოაჩინა, რომ გოლიათური ნაბიჯი იყო სიკვდილის დამარცხების მცდელობის გზაზე:

ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
სიცოცხლე შვენობს შენითა,
და შენც, სიკვდილო, ფასი გძე
სიცოცხლის ნაწყენობითა.
(ვაჟა-ფშაველა, 1960: 46-47)

დავით თედორაძე ლექსში „მიწა სასაფლაოსი“ (თედორაძე, 1995: 146) გვირჩევს, გვახსოვდეს, რომ საფლავის მიწა გველის, რადგანაც საუკუნო სავანეზე ფიქრი სააქაოს აკეთილშობილებს, არღვევს უკეთურების ქაოსს, სიძულვილს სიკეთით, სიძვას კი ზნესრულობით სცვლის:

რომ გვახსოვდეს ყოველთვის მიწა სასაფლაოსი,
რომ შეგვეძლოს დანახვა საუკუნო სავანის,
გაირღვევა ქაოსი –
სიძულვილის, სიძვის,
დამშვენდება სიკეთით კაცთა მოდგმის
სავალი.

მათ, ვინც „მოირგო კაი კაცის ჩრდილი“, ვინც მღვრიე წყალს ეტანება და ქაოსით მოხიბლულა, პოეტი შეახსენებს:

...რისთვის ვავიწყდებიო, –
მწარე ცრემლით ტირის
მიწა სასაფლაოსი,
მიწა სასაფლაოსი...

ადამიანურ შიშთაგან რომ სიკვდილის შიში ერთ-ერთი უმთავრესია, მრავალი ხალხის ფოლკლორული შემოქმედება თუ ცალკეული მოაზროვნენი თანხმდებიან. ქართული ხალხური ფილოსოფიური ლირიკის კოლექტიური ავტორისთვისაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სწორედ სიკვდილის შიშია დამთრგუნველი და ამ შიშმა შექმნა, სწორედ, კაი ყმის კულტი, ვაჟკაცური სიკვდილის იდეა, რაც ჩვენისთანა მცირე ერისათვის უპირველესად მამულისათვის სიკვდილს ნიშნავს. ჩვენი ქვეყნის ტვირთმძიმე ისტორიის მანძილზე ამგვარი თავგანწირვა ითვლება უკვდავების საწინდრად; თუმცა, ეს თანდაყოლილი შიში („რა წამს კი დავიბადებით, იქვე სიკვდილი მზა არის“) ბოლომდე დაუძლეველია. არც ეს პრობლემა გამორჩენია დავით თედორაძის პოეტურ ალღოს; ლექსით „...არც ცოლის მჯერა...“ (თედორაძე, 2013: 30) იგი სრულიად თამამად, ტრადიციული ეპიკური მთხრობლის ტონით აცხადებს, რომ ადამიანი სიკვდილს შეგუებული უნდა იყოს, უნდა ემზადებოდეს საიქიო ცხოვრებისათვის, „საგზალს“ იმზადებდეს, რაც მისი ზნესრული მიწიერი ცხოვრებით განისაზღვრება:

არც ცოლის მჯერა, არც შვილის,
არც მეგობრების მჯერა,
ვზივარ და გასამგზავრებელ
ჩოხა-ახალუხს ვკერავ.

როცა ადამიანს გააზრებული აქვს, რომ ზესთასოფელში მისთვის ძვირფას ადამიანებს შეხვდება, სიკვდილის შიშს იქ აღარაფერი ესაქმება:

სამოთხის კართან დამხვდება
ჩემიანების გუნდი,
მკერდზე ვემთხვევი მამაჩემს,
ამაყს, გულუხვს და გულდიდს.
– რამ მოგიყვანა? –
წარბშეკვრით
საყვედურს მკადრებს დედა;
დედის გარშემო სულმნათი
ანგელოზები სხედან.

ბუნებრივია, პოეტიც არ არის უხორცო და უნდობარი სიკვდილის შიში მის ქვეცნობიერშიც იმთავითვე ფესვგადგმულია, მაგრამ „ერის მოძმემ“ და „დიდის ღმერთის საკურთხევლის ცეცხლით გაღვივებული გულის“ მეპატრონემ აქაც უნდა უწინამძღვროს, უნდა გაუადვილოს მოძმეს ეს უსანდომო გზა. ლექსის დასასრულს მგოსნისეული წარმოსახვა, სწორედაც, ამგვარ სიმაღლეს აღწევს – უჟმური შიში დაძლეულია:

აუ, რამდენი ყოფილხართ,
ჩემი სისხლის და ჯიშის!
ამაოდ მქონდა აქ მოსვლის
უჟმურშეყრილი შიში!

ლექსს „მამულის ცაზე ვასკვლავები მუდამ ინათებს“ (თედორაძე, 1977: 42-43) ეპიგრაფად უძღვის ხალხური ეპიტაფია სიკვდილის გარდაუვალობაზე:

თუ იტყვი, რომ მე ვარო,
მეც ვიტყვი რომ მე ვარო,
ყველა ასე წამოწვება,
ახლა მე რომ ვწევარო.

ამ ღრმად პატრიოტულ-ფილოსოფიურმა ლექსმა დავით თედორაძის პირველივე კრებული – „ბეწვის ხიდი“ დაამშვენა და დღემდე მისი პოეზიის ერთ-ერთ მარგალიტად რჩება, როგორც ღრმად მოაზროვნე ახალგაზრდა პოეტის თავდაჯერებული, აწონილი ბრძნული პასუხი კაცობრიობის საუკუნოებრივ დილემაზე, რომლითაც ავტორმა მშობელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სიბრძნის ფლობაც და საკუთარ პოეტურ ქურაში მაღალმოქალაქეობრივ, პატრიოტულ რეგისტრში აყვანაც მოახერხა. ამ დიდებული ლექსის ლირიკული გმირის სული, რომელიც სიცოცხლეში „მზის მოტრფიალე“ იყო და „ახირებულად სძულდა საღამო“, სიკვდილის შემდეგ გვესაუბრება, წუხს, რომ დას-

რულდა მისეული მიწიერი შფოთი და სამარადისო ღამე ჩამოწვა; სახალხო მთქმელის დარად, იგი საყვედურს გამოსთქვამს წუთისოფლის წარმავლობაზე:

მაინც როგორი სწრაფი ყოფილა
წუთისოფელი თავის ავ-კარგით!
მასვა სამსალა, არ მამყოფინა,
მაშვრალს, საბრალო მკვდარი დამარქვა.

ერთ დროს უსაზღვრო სივრცეების დამლახავს, ბობოქარი სულის პატრონს, ხმლის მამაცურად მქნეველს, ევიწროვება, ეპატარავება კუთვნილი ძვალთშესალაგი და ითხოვს, მკვდრად არ მოიხსენიონ, ცოცხლად ჩათვალონ და არც კაი ყმის შესაფერი ანდერძი ავიწყდება – მასავით იზრუნონ მამულისათვის:

ჰოი, რა ვიწრო, რა პატარა არის საძვალე,
ერთ დროს უსაზღვრო სივრცეებს და
ველებს ვნატრობდი,
მკვდარს ნუ დამარქმევთ, საყვარლებო,
ცოცხლად ჩამთვალეთ,
რადგანაც ვიყავ ბობოქარი სულის პატრონი.
ნუ იტყვი, ძმაო, ნურასოდეს,
მე ვარო... მეც ვარ...
ხომ ხედავ, ვიყავ, ხმალს ვიქნევდი
და ახლა ვწევარ...
თუ გინდა, იყო შენი ხალხის ბრდღვიალა გულთან,
ვიდრე იცოცხლებ, მამულისთვის იზრუნე მუდამ!

ეპიტაფიური სტილი აქ სრულიად ბუნებრივად, სრულიად მიზანმიმართულად ჩაექარაგმა ქართველი კაცის პატრიოტულ სულისკვეთებას, წინაპართა წმინდა ხატებას და, რადგანაც საქართველოს გადასარჩენ სამსხვერპლოზე იხარჯება გმირთა სიცოცხლე, მათი სიკვდილი სიცოცხლის ტოლფასია. აქ პოეტი სრულ ჰარმონიაშია ქართული ხალხური ფილოსოფიური ლირიკის მსოფლმხედველობასთან.

მრავალჭირნახულ ერის წიაღში გამოზრდილ პატრიოტ პოეტს სჯერა და, ბუნებრივია, ჩვენც მტკიცედ გვაჯერებს, რომ სიკვდილის შემდეგ ხალხის გულში მხოლოდ ის დაიდებს ბინას, ვინც სიცოცხლეში მამულზე ზრუნავს; მამულიშვილთა ამგვარმა სულისკვეთებამ გადაარჩინა მრავალ ისტორიულ ქარტეხილს ჩვენი ქვეყანა და ეს დიადი მრწამსი საფლავშიც ათბობს გმირთა დაღლილ ძვლებს:

მაშინ საფლავშიც გაგითბება დაღლილი ძვლები
მამულის მზით და
სახელი მკვდრების გაჩირაღდნდება
წინაპრების წმინდა სახებად,
რადგან ჩვენ მოვკვდით
საქართველოს გადასარჩენად,
ჩვენი სიკვდილი სიცოცხლეს ნიშნავს!

ამ ფილოსოფიური შედევრის ლირიკული გმირის სულს პოეტმა თანადროულობის მოძღვრის ფუნქცია დააკისრა და საიქიოდან მისი საუბრის უმთავრესი მიზანიც ეს არის – არ გაახარონ მტერი, არ დაადგმევინონ გულზე ბინძური ფეხი, ხოლო ქვეყნის ორგულების გახრწნილი სულები გააშიშვლონ:

მე მეშინოდა, მაგრამ ჩემს გულზე
მტერს ფეხის დადგმა
აღარ ეღირსა,
შენ კი ორგულებს,
მაწანწალებს,
მათ გახრწნილ სულებს
ვერ ააფარებ ფოთოლს ლეღვისას.

ლექსის დასასრული მიცვალებულთა მიერ ჭეშმარიტი მამულიშვილების დალოცვაა და ეპიტაფიური სტილიდან ლექსის ტრადიციულ დალოცვა-სადღეგრძელოდ ტრანსმისიაც პოეტ დავით თედორაძის დიდოსტატური კალმის ნაყოფია:

მამულის თავზე ვარსკვლავები მუდამ ინათებს,
სიცოცხლე მამულს,
„იავნანას“,
აკვნის მრავლობას,
ვინაც აშენებთ რუდუნებით, ვინაც ინახავთ
წმინდა სავანეს,
რომ გადასცეთ შთამომავლობას!

...და, როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პოეტის – დავით თედორაძის პოეზიის ლირიკული გმირიც, მარადიულ საკაცობრიო პრობლემაზე მსჯელობისას, უზენაეს ადამიანურ ზნეობრივ-მორალურ სიმაღლეებს აღწევს, ქადაგებს რა ცხოვრების, სიცოცხლის არსის ერთ-ერთ უპირატეს ფენომენზე – მამულის მსახურებაზე, რომელიც ერთიანად მოიცავს კაცობრიობის მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის ერთგულებასა და ვალდებულებას – განაგრძოს, განავითაროს, მომავალ თაობებს გადასცეს წინაპართა მონაპოვარი და, თუ საჭირო გახდა, შეეწიროს კიდეც ამ ღირებულებებს.

მშობელი ქვეყნის სიყვარულით, მისი მომავლის რწმენით აასაუბრა მგოსანმა მამულს თავშეწირულის სული ეპიტაფიური სტილის ლექსში „...მეორედ მოსვლა ამაოდ არ მწამს...“ (თედორაძე, 1977: 52-53), რომელსაც ეპიგრაფად უძღვის ეპიტაფია „დანერგულ ვარ ამა ღოდ ქვეშ“. ლექსი მიცვალებულის გულწრფელი აღსარებაა, წუხილია ტკბილ-მწარე საწუთროსთან განშორებაზე, ადამიანურ უმადურობაზე, სულის დამთრგუნველ ხორციელ ბოროტებაზე, რომელიც ხშირად უკარგავს ადამიანს შესაძლებლობას, გაჰყვეს „პაპის კვალს“ – ეს მტკივნეული პრობლემები აწუხებდა ახალგაზრდა პოეტს და მშვენიერი ფორმაც მოუნახა: სულთა სამეუფოდან მოიხმო შეუმცდარი შეფასება წუთისოფლის მდგმურთა ყოფიერების გასააზრებლად, ცხოვრების უმთავრესი საზრისის შესაცნობად, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული ჭიდილის არსის გასაგებად. ლექსის ლირიკული გმირი, ღრმა სინანულთან ერთად, იმედიან განწყობას გვიტოვებს, რადგანაც კმაყოფილია იმით, რომ მისი სიცოცხლე გრძელდება შთამომავლობაში, რომ გაგრძელდება მისი შტო, რომ არაფერი იკარგება წუთისოფელში:

დანერგილი ვარ ლოდქვეშ და მჯერა,
მეცა ვარ შენი ერთი ფურცელი.
თუმც, სიჭაბუკე ვერ შევაჩერე,
ბოლომდე გული დამრჩა უცვლელი
და წრფელი გულით ვტირი მარჯვენას.
. . . . . .
მე ქვეყნად დამრჩა ცრემლის დამდენი...
და წავა ჩემი შტო გაფოთლილი
სავსე აპრილით, მზით და ვარდებით,
თუ არაფერი იკარგება წუთისოფელში,
ჩვენც ვინერგებით, არც ჩვენ არ ვქრებით.

ხალხური ეპიტაფიისათვის ესოდენ დამახასიათებელი მინორული განწყობა ლექსში ზოგადკაცობრიულ პრობლემამდეა ამაღლებული, რაც სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების კიდევ ერთი ფილოსოფიური გააზრებაა.

სიკვდილ-სიცოცხლის მტკივნეულ ფენომენთან მიმართებაში მეტად ორიგინალურია დავით თედორაძის ლექსი „რა იქნებოდნენ“ (თედორაძე, 2015: 242); პოეტი სვამს რიტორიკულ შეკითხვას:

...რა იქნებოდნენ არაგველები
უბეწვისხიდოდ
და უკრწანისოდ?!

ლექსით „ჩემი თაობის ბედნიერო მემატიანევ“ (თედორაძე, 2004: 116) მან დიდებული პასუხი გასცა ამ მარადიული პრობლემის ირგვლივ დასმულ კითხვას: თუ არა მტრებთან ბრძოლაში გამოჩენილი ვაჟკაცობა და თავგანწირვა, როგორ ეცოდინებოდათ ჯერ თანამედროვეთ, ხოლო შემდგომ – შთამომავლობას, თუ რა გმირული გული ძგერდა ცხრა ძმა ხერხეულიძეთა, სამას არაგველთა თუ სხვა მრავალ მამულიშვილთა მკერდში; ამიტომაც მტერს ამგვარად მიმართავს პოეტი:

...შენ მილამაზებ საქართველოს, –
იცოცხლე, მტერო! –
ბასიანითა,
დიდგორითა
თუ შამქორითა...

პოეტი ამაყია, რომ მსოფლიოს ბევრ ერს არ გააჩნია ჩვენებრ მძიმე, მაგრამ სასახელო ისტორია; რომ ჟამთასვლამ თან წარიტანა მრავალი ხალხის უჩუმარი, ვერაფრით გამორჩეული ცხოვრება, თუმცა, კაცობრიობას შემოუნახა ჩვენი ღირსსახსოვარი წინაპრების სახელები, რომლებმაც უკვდავება მამულისათვის გაღებული სიცოცხლითა და მსახურებით მოიპოვეს:

მოისაკლისებს
ბევრი ერი მკაცრ ისტორიას,
მოითარეშა
ჟამმა უღვთოდ ბევრის სამანი,
კაცობრიობას უსათუოდ ემახსოვრება
უპირველესი დედოფალი –
დედა თამარი.

(თედორაძე, 2004: 116)

ვინ, თუ არა პოეტმა, უნდა შეასხას ხოტბა გმირ წინაპრებს, ვალმოხდილებსა და მამულისათვის დახარჯულთ; ვინ, თუ არა პოეტმა, უნდა მოუწოდოს თანამედროვე მემატიანეს, მანაც იღვაწოს და შთამომავლობას შემოუნახოს ღირსეული ქვეყნის შესაფერისი წიგნი – სამშობლოსათვის თავდადებულთა ხსოვნისა და დიდების წიგნი:

ტკბილად ვიგონებ,
ვალმოხდილი ვინაც წასულა,
მიყვარს მამული,
მიწა მიყვარს,
მიყვარს ფერი ცის!
ჩემი თაობის ბედნიერო მემატიანევ,
აკინძე წიგნი საქართველოს შესაფერისი!

დიახ, ყველა თაობამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის ცხოვრებაში, სამშობლოსადმი მსახურებაში, უნდა გაამართლოს დედამიწაზე მისი მოვლინების ღვთაებრივი მისია, რომლის განხორციელებაშიც ძალზე დიდია წინაპართა მიერ გაკვალული გზა, მათი ზნეობრივი ძალისხმევის, იდეალების ყოვლისმომცველი აღმზრდელობითი მაგალითების მიყოლა და გათავისება. სწორედ, მათი არდავიწყებიდან იწყება სიკვდილის დამარცხება; ქვეყნის წარსულიდან მანათობელ შუქურებად შემორჩენილ-შემონახული გმირი წინაპრების სახეები, მათი ნამოქმედარი ის ფასდაუდებელი ეროვნულ-კულტურული საუნჯეა, რომელიც ყოველი მომდევნო თაობისათვის წმინდათაწმინდა ვალდებულებაა, მაგალითია სამოქმედოდ, რათა დაბლა არ დაუშვას თვითშეგნების, მეობის დროშა, ამაყად ატაროს წინაპრებისაგან უძვირფასეს არმაღანად გადმოცემული ეროვნულ-კულტურული ღირებულებები, მისხალიც არ მოაკლოს, პირიქით – გაამდიდროს, განავითაროს და ამაყად გადასცეს მომავალ თაობას. სწორედაც, ეს არის პროგრესი, ეს აცოცხლებს ერს, სწორედ, ამას ჰქვია ცხოვრების საზრისი და ადამიანად ყოფნის უზენაესი მისია. ლექსში „კაცი ვარ და სიყვარულზე ვმღერი“ (თედორაძე, 2015: 276) პოეტი მოუწოდებს თანამეინახეთ, უპირველესად მოიგონონ გმირი წინაპრები, რომელთა მიმართ უიშვიათესი მეტაფორა – „სამშობლოთი გადარჩენილნი“ – შემოგვთავაზა და, მართლაც, მათი ხსოვნის მარადიულობა ხომ სამშობლოსათვის შეწირული ყველაზე დიდი მსხვერპლია – სიცოცხლე:

კაცი ვარ და გამიშლია სუფრა,
გული ზღვაა, მოდით, რამე ინატრეთ,
ჩემს წალკოტში სადღეგრძელო ვუთხრათ
სამშობლოთი გადარჩენილ წინაპრებს.

აი, ეს არის სიკვდილის ჭეშმარიტი დამარცხება! სიკვდილზე გამარჯვება ქვეყნის, სამშობლოს გადასარჩენად, თუმცა, პოეტის შესანიშნავი მიგნებაა „სამშობლოთი გადარჩენილი“ და ეს კი ნამდვილად ზეაღმატებული გამარჯვებაა ადამიანისა სიკვდილზე, რაშიც მისივე სამშობლო ეხმარება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სიკვდილ-სიცოცხლის ურთულესი პრობლემის გააზრების ხანიერ გზაზე ამგვარ ურთიერთგადაჯაჭვულ ცნებათა („სამშობლოსათვის მკვდარი“ და „სამშობლოთი გადარჩენილი“) გაიგივებით უნდობარ სიკვდილზე ადამიანის გამარჯვება დავით თედორაძის პოეტური ნოვაციაა.

დავით თედორაძის პოეზიის ლირიკული გმირი იმთავითვე უაღრესად ქმედითი, მშოფთვარე სულით, ცხოვრებისეულ მწვერვალთა დაპყრობის დაუოკებელი ჟინით არის აღბეჭდილი. პირველივე

კრებულში შესული ლექსით „...რამ დაადუმოს...“ (თედორაძე, 1977: 31) პოეტმა ამგვარად გამოხატა ყოფიერების საზრისის მისეული კრედო, რაც სიცოცხლისადმი დაუოკებელ სწრაფვაში, მზისადმი ლტოლვაში, მოღვაწეობისათვის მზადყოფნაში ესახებოდა პოეზიის დიდ გზაზე მყარად დამდგარს:

...მაცალეთ, ოღონდ ცოტა მაცალეთ...
ქარში ცახცახებს ალუჩის ტოტი,
ნაბახუსევი მთვარე ბანცალებს,
მზის ეტლით თეთრი აპრილი მოდის!
ლამის დავლეწო სულის ჯებირი,
დღეს ყვავილების მათოვს ფიფქები,
რა ვქნა, ვერასდროს ვერ წარმოვიდგენ
იმ დღეს, როდესაც მე არ ვიქნები!
(თედორაძე, 1977: 31)

ლექსში „...დილა, შუადღე, საღამო...“ (თედორაძე, 2015: 231) პოეტის ლირიკული გმირი, რომელმაც იცის, რომ „მოვა წამყვანი ყოველთა და მეც ამ ქუჩით წამიყვანს“, რომ წუთისოფლის დილა, შუადღე და საღამო მალე გაივლის და ბოლომდე რჩება სიცოცხლის ტრფიალი:

დღე ჩვეულებრივ გაიარს,
დილა,
შუადღე,
საღამო...
სიცოცხლე ისე კაია,
დამტოვე დაუსაბამოდ!

და ისევე, როგორც უტყუარი, საუკუნეებგამოვლილი ქართული ხალხური პოეზია გვმოძღვრავს, დავით თედორაძეც ბოლომდე უნდა გაიხარჯოს, ბოლომდე იგემოს წუთისოფლის თაფლიც და მარილიც, ხალასი სიყვარულიცა და სულის აწყვეტაც გამოსცადოს და ქარბორბალას ძალაც, ქარავნის მოთმენაც შეძლოს და მამულის მსახურებაც. აი, ეს იყო სამოღვაწეო ასპარეზზე ახალგამოსული პოეტის ოცნება და, მართლაც, ასე იარა დღემდე. მისი გულწრფელი ნატვრა იყო:

მინდა, შეუმჩნეველი მამულს მეც არ ვყავდე,
ამ დალოცვილ მიწაზე მინდა, არვის ვგავდე!
ვიდრე ობლის კვერივით ჩაგეკვრები მდუმარი,
როგორც მირაჟებიდან გაპარული სტუმარი.
(თედორაძე, 1977: 33)

მამულისაგან შეუმჩნევლობა მხდალთა და ორგულთა ხვედრია; მისადმი მსახურების უქრობი სურვილით იმთავითვე ანთებულმა პოეტმა კი ჭაბუკობიდანვე გაითავისა ადამიანური საზრისი, ცხოვრების მიზანი და, გმირი წინაპრების დარად, სამშობლოს სიყვარული, ქვეყნისათვის მსახურება დასახა უნდობარ სიკვდილზე ადამიანის ძლევამოსილ გამარჯვებად.

ლიტერატურა:

1. „გილგამეშიანი“, 1984 – „გილგამეშიანი“, ძველი შუამდინარული ეპოსი. აქადურიდან და შუმერულიდან თარგმნა ზ. კიკნაძემ, თბილისი;

2. ვაჟა-ფშაველა, 1986 – ვაჟა-ფშაველა, „თხზულებანი“, თბილისი;

3. თედორაძე, 1977 – დავით თედორაძე, „ბეწვის ხიდი“, ბათუმი;

4. თედორაძე, 1995 – დავით თედორაძე, „შენი ვარ“, ბათუმი;

5. თედორაძე, 2004 – დავით თედორაძე, „და მიდის წუთისოფელი“, ბათუმი;

6. თედორაძე, 2013 – დავით თედორაძე, „როცა სული მთხოვს“, ბათუმი;

7. თედორაძე, 2015 – დავით თედორაძე, „რჩეული“, ქუთაისი;

8. კარტოზია, 1986 – ბიძინა კარტოზია, „დიმიტრი უზნაძე ყოფნა-არყოფნის პრობლემის შესახებ და ქართული ხალხური პოეზია“, – ჟ. „ცისკარი“, №8, თბილისი;

9. კასირერი, 1983 – ერნესტ კასირერი, „რა არის ადამიანი? ცდა ადამიანური კულტურის ფილოსოფიის აგებისა“. გერმანულიდან თარგმნა ლამარა რამიშვილმა, თბილისი;

10. კიკნაძე, 1997 – ზურაბ კიკნაძე, „ჩვენთან არს ღმერთი – შობიდან შობამდე“, თბილისი;

11. ნუცუბიძე, 1983 – შალვა ნუცუბიძე, „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, წიგნი 1, – შალვა ნუცუბიძე, „შრომები“, ტ. 8, თბილისი;

12. უზნაძე, 1986 – დიმიტრი უზნაძე, „ფილოსოფიური საუბარი, სიკვდილი“. – დ. უზნაძე, „შრომები“, ტ. 9, თბილისი;

13. შიოშვილი, 2002 – თინა შიოშვილი, „ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო“, ტ. 1, ბათუმი;

14. „ძველეგვიპტური...“, 1969 – „ძველეგვიპტური ლირიკა“, თარგმანი მურმან ლებანიძისა, თბილისი.

ᲛᲝᲠᲔᲜᲐ ᲛᲐᲮᲐᲭᲐᲫᲔ

ᲜᲘᲐᲖ ᲖᲝᲡᲘᲫᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ „NONFICTION“ ᲟᲐᲜᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲐᲜᲘ

„ოთხას წელიწადში ხმალი იჟანგება,
ფერეიდნელი ქართველობა არ დაიჟანგა“.
მოხუცი ფერეიდნელი

ნიაზ ზოსიძის შემოქმედება Nonfiction ჟანრის ძალიან საინტერესო ნიმუშებს შეიცავს. ჩვენ ერთ-ერთ სტატიაში უკვე გავაანალიზეთ ამ ავტორის მნიშვნელოვანი კრებული: „ახლა სიკვდილი არ შეიძლება“. ამჟამად გვინდა ამავე ჟანრის სხვა ტექსტები განვიხილოთ, რომელთაც ერთი საერთო გააჩნიათ: მათში ავტორი გადმოგვცემს თავის მოგზაურობათა შთაბეჭდილებებს, მაგრამ მწერლის მოგზაურობის მიზანი არ არის სხვადასხვა ქვეყნის ღირსშესანიშნაობების გაცნობა/დათვალიერება, ან ხალხის ცხოვრების თავისებურებების გაცნობა, არა, მწერალი ერთგვარად დროში მოგზაურია, საქართველოს ისტორიის არცთუ ბედნიერი ეპოქის ფურცლებს შლის, იმ ნამსხვრევებსა თუ ფრაგმენტებს აგროვებს, აკვირდება, სწავლობს, 21-ე საუკუნეში ჯერ კიდევ რომ შემორჩენილა წარსულიდან; ფეხდაფეხ მოივლის და დაეძებს წინაპართა ნაკვალევს ტაო-კლარჯეთსა თუ ფერეიდანში. ამ მიმართებით საინტერესოა ნიაზ ზოსიძის სიტყვებიც: „ფერფლ და მტვერწაყრილი ისტორია უფრო მაინტერესებს“ (2-62) *[ნიაზ ზოსიძის ტექსტებიდან მოყვანილ ციტატებს მივუთითებთ მხოლოდ ბიბლიოგრაფიაში წიგნის ნომერსა და გვერდს].*

ასე ჩაუდგა კვალში ნიაზ ზოსიძე ირანსა და თურქეთში მცხოვრებ ქართველებს, შეეცადა მათი მინავლებულ-ჩამქრალი ქართული მოგონებების გამოცოცხლებას და სიტყვაში მოქცევას. თავისი ოცნებაც გაგვანდო: აფრიკაში, ქაიროსთან ახლოს ოსმალეთიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა მონახულების სურვილი (2-64).

ასე შეიქმნა: „ნეტაი ადრე მოსულიყავით“ (2018), „გომარჯოს ფერეიდანს“ (2019), „ახლა სიკვდილი არ შეიძლება“ (2020), „ცრემლს ნუ გამატან“ (2020).

ეს ტექსტები ჟანრობრივად რომ „Nonfiction“-ს განეკუთვნებიან წიგნის – „გომარჯოს ფერეიდანს“, რედაქტორის, პროფ. ზაზა შაშიკაძის შესავალი წერილიც გვიდასტურებს. ის აღნიშნავს: მიუხედავად ავტორის მიერ არაერთხელ დაფიქსირებული პოზიციისა, რომ „მისი შემოქმედება ემოციებზეა აგებული და არანაირი სამეცნიერო პრეტენზია არ გააჩნია, ...იგი საინტერესოა სამეცნიერო წრეებისთვისაც“ (2-9). მართლაც, წიგნებში ბლომადაა შეტანილი ფერეიდნელ თუ მუჰაჯირ ქართველთა

ლექს-სიმღერები, თქმულება-ლეგენდები, ტოპონიმები, გვარ-სახელები თუ ზედმეტსახელები, ფერეიდნული და მუჰაჯირთა მეტყველების ნიმუშები და ა.შ. ამასთან ერთად, ავტორი თავისი ნათქვამის დასტურად ალაგ-ალაგ უცხოელ თუ ქართველ ისტორიკოსთა და მოგზაურთა მონათხრობსაც იმოწმებს: ისკანდერ მუნშს, პიეტრო დელა ვალეს, ზაქარია ჭიჭინაძეს, ივანე ჯავახიშვილს, ჯეიმს ფრეზერსა და სხვებს („გომარჯოს ფერეიდანს“, 2019), ვახუშტი ბაგრატიონს, ზაზა შაშიკაძეს, ნიკო მარს, სერგეი მესხს, ალექსანდრე ფრენკელსა და სხვებს („ცრემლს ნუ გამატან“, 2020 და „ნეტაი ადრე მოსულიყავით“, 2018). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს უკანასკნელი წიგნი, ძირითადად, უფრო სამეცნიერო სტატიების კრებულია, ვიდრე „Nonfiction“ ჟანრის ნაწარმოები. ამდენად, ჩვენი კვლევისთვის ბევრად მნიშვნელოვანია „გომარჯოს ფერეიდანს“ და „ცრემლს ნუ გამატან“. სწორედ ამ ტექსტების ანალიზის საფუძველზე შევეცდებით „Nonfiction“-ის, რომელიც თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ წამყვან, პოპულარულ და პროდუქტიულ ჟანრად იქცა, თავისებურებების დადგენას, გამოკვეთასა და სისტემატიზებას.

„გომარჯოს ფერეიდანს“ მოგვითხრობს 2018 წლის 6-15 მაისს (ბსუ-ს პროფესორ ზაზა შაშიკაძესთან ერთად) მწერლის ფერეიდანში მოგზაურობის შესახებ. ის კახეთის ტრაგედიას ეხება, გვახსენებს იმ ეპოქას, როცა შაჰ აბას 1-ლმა (1571-1629) 1616 წელს კახეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი აყარა და სპარსეთის პროვინციებში გადაასახლა. უმრავლესობამ დაკარგა იდენტობა, მხოლოდ ფერეიდნელმა ქართველებმა შეინარჩუნეს ქართული ენა და სამშობლოს მოგონება, შესაბამისად, მთელი ტექსტი განათებულია ფერეიდნელ ქართველთა სევდიან-საყვედურიანი თვალების შუქით, მკითხველსაც გამუდმებით ჩაესმის მათი ხმა: „გომარჯოს ფერეიდანს“.

ავტორის თხრობის მანერა ნამდვილად მხატვრულ-ემოციურია. სხვაგვარად, დიდი ემოციისა და გრძნობების გარეშე, ალბათ, წარმოუდგენელიცაა შაჰ-აბასის მიერ „მოუსავლეთის გზაზე“ გარეკილი ქართველების ტრაგედიის ასახვა: „მზისგან ხრაკვა თოთო ბავშვებისა... უსამანო გზაზე უძლურთა და მშიერთა დავრდომა“ (2-12), მათი, იმთავითვე დამარცხებისთვის განწირული, არაერთი მცდელობა სამშობლოში დაბრუნებისა, ტკივილამდე მისული მონატრება საქართველოს მიწა-წყლისა, წარმოუდგენელია პოლიტიკოსთა ბინძურ თამაშებს აყოლილ/შეწირული მუჰაჯირების „ცრემლიანი და გულსაკლავი“ (1-11) ისტორიის, მათი ტანჯვა-წამების გაცოცხლება.

მწერალი ხატოვნად და დამაჯერებლად გვიჩვენებს, როგორ გაივსო მთელი სპარსეთი „საბრალო ქართველებით“ (2-23), რომელთაც მთავრობა დახმარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში უწევდა, თუკი რჯულს შეიცვლიდა. ყველაზე ხრიოკ, ძნელად მისადგომ, უკაცრიელ და უაღრესად სახიფათო ადგილებზე ასახლებდნენ ქართველებს, მათ, ფაქტობრივად, მომთაბარე ტომებისგან ირანის ტერიტორიების დაცვა ევალებოდათ. ამასთან ერთად, ამ ადგილებში მათ შეჰქონდათ კულტურა, ავითარებდნენ სოფლის მეურნეობას, ხელოსნობას, ვაჭრობას.

როგორც უკვე ვთქვით, სხვადასხვა პროვინციებში გაფანტულმა ქართველებმა დაკარგეს მშობლიური ენა, ფერეიდნელებმა კი – შეინარჩუნეს. 1916 წელს ქართველი შტაბსკაპიტანი, პავლე ლორთქიფანიძე მოხვედრილა ფერეიდანში. ის გაზეთ „სახალხო ფურცელში“ წერდა: „დედაენა ჩინებულადაა დაცული, დიდი და პატარა მხოლოდ ამით ამაყობს – ქართულად ვლაპარაკობთო...“ (2-35).

იმ ადგილას, სადაც ბალახიც ვერ ხარობდა, ქართველებმა ვაზი გააშენეს, რომელიც მათმა წინაპრებმა წელზე შემოხვეული, უძვირფასეს კონტრაბანდად შემოაპარეს ირანელებს, რომ არ გაყინულიყო, ზამთრობით ვაზს მიწაში მარხავდნენ (2-103). ასე შემოინახეს და გადაარჩინეს ხრიოკ, ჯვარცმულ, თუმცა გაუტეხელ ფერეიდანში საქართველო, სადაც მოგზაურ მწერალს დახვდა „აყვავილებული ქართული ენა... სადაც არ უნდა გაიხედო, ყველგან ქართული წარწერები...“ (2-106).

ქართული ენაა როგორც ფერეიდნელი ქართველების, ისე თურქეთში მცხოვრები მუჰაჯირების შთამომავლების იდენტობის უმთავრესი განმსაზღვრელი: „ენა თუ არ იცი, ძნელია გურჯობა!“ (4-33), „ენა თუ არ იცი, რაის გურჯი ხარ?“ (4-61). „ჩვენი ქართველობა მხოლოდ დედაენით გამოიხატებაო“ (2-35) და ყველგან: ფერეიდანშიცა და თურქეთის საქართველოშიც, ერთი საწუხარი აქვთ: „წასულია ჩვენი საქმე, უკვე გადარევლი ვართ თურქჩეშიო“ (4-58) და „თხოულობენ „სკოლას“, ქართველ მასწავლებელს... ნუთუო, ლაპარაკობენ: ჩვენი ქართველები ისე უგულო შეიქნენ, რომ ჩვენზე არ ფიქრობენო“ (2-35).

როგორც ამ მცირე ამონარიდითაც ჩანს, ნიაზ ზოსიძის წიგნებში დასმულია უაღრესად მნიშვნელოვანი და სადღეისო პრობლემები: ჟამთა სიავის, ისტორიის ბედუკუღმართობის გამო უცხოეთში მცხოვრებ, ასიმილირების გზაზე დამდგარ თანამემამულეთა იდენტობის გადარჩენის საკითხი.

მწერალი საჭირბოროტო, ქართველებისთვის ლამის მარადიულად ქცეულ კითხვებს სვამს, შლის წარსულის უმძიმებს ფურცლებს და ოსტატურად ხატავს ისტორიულ თუ თანამედროვე პირთა პორტრეტებს.

ყურადღებას იპყრობს შაჰ-აბასის მოკლედ, სხარტად, ობიექტურად და ზუსტად მოხაზული სახე-ხასიათი. ორ გვერდზე ახერხებს ავტორი ნათლად დაგვიხატოს უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, სამხედრო სტრატეგი, ვისმა მმართველობამაც ირანის არა მარტო პოლიტიკურ ძლიერებას, არამედ კულტურულ აყვავებასაც შეუწყო ხელი და, იმავდროულად, სისხლისმსმელი, დაუნდობელი ტირანი, კაცთმოძულე და ქართველთმოძულე, ვერაგი და ცბიერი, ჯოჯოხეთური ინტრიგების დიდოსტატი, ვისაც შეეძლო, რაოდენ პარადოქსული და სამწუხაროც არ უნდა იყოს ჩვენთვის, ქართველის ქართველის ხელითვე განადგურება, ვისი სამეფო გვარდია გამაჰმადიანებული ქართველებისგან შედგებოდა და ჯარის სარდალიც ქართველი იყო, სამხედრო რეფორმებსაც ნაქართველარი ალავერდი-ხანი უნდილაძე ატარებდა – დიდებულთა შორისაც კი გამორჩეული, შაჰის გვერდით რომ გამოსახავდნენ მხატვრები, მრავალმხრივი ტალანტით შემკული, უნიჭიერესი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. მისი ცხოვრების ისტორიაშიც საქართველოსა და ქართველი ხალხის ტრაგედია ისახება.

ასეთივე დამაჯერებელი, ცოცხალი და დასამახსოვრებელია ნიაზ ზოსიძის მიერ გამოკვეთილ თანამედროვეთა პორტრეტებიც. მკითხველზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენენ მუდამ მომღიმარე და სიმპათიური სოსო მიქელანი – „ფერეიდნის იაკობ გოგებაშვილი“ (2-11), ისპაჰანის მშვენება, ულამაზესი ჰელენ იოსელიანი, ვინც „ქართული ფერებით აფერადებს და ალამაზებს სამყაროს“ (2-155) და, რა თქმა უნდა, მისი დიდი წინაპარი – სეიფოლა იოსელიანი – „ფერეიდნელთა მალამო და შვება..., სინდისი..., ეროვნული ცნობიერების, იდენტობის მედროშე და წინამძღოლი“ (2-39). მას უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა არა მარტო ფერეიდნელ ქართველთა შორის, რომელთა თხოვნითაც ის საქართველოში ჩამოვიდა, არამედ ირანის უმაღლეს მმართველთა შორისაც. ის სთხოვდა საქართველოს მთავრობას, რომ ქართველი მასწავლებლები და ექიმები გაეტანებინა თან, რათა სასწავლებელი გაეხსნათ. სეიფოლამ საქართველოში ყოფნისას შეისწავლა ქართული წერა-კითხვა და ირანში ჩასვლისთანავე დაიწყო სკოლის გასახსნელად მზადება. ფერეიდანში იმ დროისათვის, ანუ 1922 წლისათვის 30 ათასამდე ქართველი ცხოვრობდა, რომლებიც ქართულად ლაპარაკობდნენ და ქართული ტრადიციებიც ჰქონდათ შენარჩუნებული.

სეიფოლა იოსელიანი ზემო მარტყოფის გუბერნატორად მუშაობის პერიოდში ყველაფერს აკეთებდა ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისთვის, ის თავის მეგობრულ ურთიერთობას „ირანის სახელმწიფოს მოდერნიზაციის მესაძირკვლე“ შაჰ რეზა ფეჰლევთან (2-56), სწორედ ამ მიზნით იყენებდა: მან ფულადი ჯილდოს ნაცვლად შაჰს სთხოვა სკოლის გახსნა. მწერა-

ლი დაწვრილებით აღწერს იმ წინააღმდეგობებს, იმ დევნა-შევიწროებისა და ცილისწამების კამპანიას, რაც პატრიოტ ფერეიდნელსა და მის ოჯახს დაატყდა თავს.

წარსულიდან ისევ აწმყოში გადმოვყავართ მწერალს და თანამედროვე ისპაჰანის, თავრიზისა თუ თეირანის კონტურებიც იხატება. აქვე გვაცნობს ფერეიდნელ ქართველ პოეტებს – „ქართული ენის პოპულარიზაციის დაუღალავ, მუყაით მოჭირნახულეებს“ (2-80), ქართული ანბანის მომფერებელ-მოგურგურეებს, ადგილობრივ, ქართულ ტოპონიმებს, გვარ-სახელებს, ზედმეტსახელებს, ეთნოლოგიურ მასალებს რომ აგროვებენ შთამომავლობისთვის გადასაცემად და მათ შემოქმედებას. ესენი არიან: რეზო ხუციშვილი, ალექსანდრე და რეზო დავითაშვილები, ვასიკო ყავლაშვილი, ძმები – არია და შაინა ხოსროშვილები, 2004 წელს ფერეიდნიდან საქართველოში ფეხით რომ ჩამოვიდნენ, „დაახლოებით გაიარეს ის გზა, რომელიც შაჰ აბასის ათეულ ათასობით ქართველმა ტყვემ“... (2-100), ამინ ნაგელიანი, „ქართველის დანახვაზე რომ ბედნიერი ხდება“ (2-137), ალალმართალი და მარიფათიანი გოგია დავითაშვილი (2-171) და სხვები.

მათი ოცნება რეზო ხუციშვილმა ასე გამოხატა:

„ღმერთო, არ მომკლა, რომ მე მოგინახო,
საქართველოს თა და გორა დავინახო“ (2-76).

მათ უმთავრეს გულისტკივილსაც არ მალავს მწერალი. ამ მხრივ საინტერესოა მოხუცი ფერეიდნელი ქალბატონის საუბარი მასთან. ის მიუთითებს პატარა ფერეიდნელ ბიჭზე, რომელიც ციცაბო კლდეზე იდგა, ხელგაშლილი ქართულად კითხულობდა ლექსს და გულდაწყვეტილმა უთხრა: „ამაი საქართველომ ქართველობის დაწერაზე უარი უთხრა...“ (2-124). ნიაზ ზოსიძე თავის პოზიციასაც იქვე აფიქსირებს: „ჩემზე რომ იყოს, ამ ხალხს საქართველოს მოქალაქეობის დოკუმენტს ფერეიდანში ჩავუტანდი, მეტიც, ამ ფაქტს სახალხო დღესასწაულად ვაქცევდიო“ (2-143). და მწერალი გვაჯერებს, რომ ფერეიდნელები ყველაზე დიდი და ნაღდი ქართველები არიან: 83 წლის სახალხო მკურნალი – ასიე ბათუაშვილი, ქამრან მიქელანი – ქართული სიმღერის, ცეკვისა და სადღეგრძელოს მოტრფიალე, „თავისი ჯანსაღი სიცილით ფერეიდანს რომ აცოცხლებს“ (2-161).

ასევე შთამბეჭდავად, ზუსტად შერჩეული შტრიხებით, მოკლედ, მაგრამ სრულყოფილად ახასიათებს ავტორი ქართულ სოფლებს: „ჯაყჯაყი... ძველი ყაიდის სოფელი, რელიგიურად შეფუთნული, შაჰიდების სამჭედლო“ (2112), ჩუღურეთი... მხიარული, გამრჯე ქართველების სოფელი (2-108), ვაშლოვანი, სწავლასმოწყურებული ახალგაზრდებითა და მრავალნაირი ხილით მდიდარი სოფელი (2-114), „ციხემთა სხვა ფენომენია... ციხემთა ფერეიდნელ ქართველთა წმინდა ალაგია... ციხემთა ქართული სულის უდრეკობის დასტურია...“, (2-121), და ბოლოს, რა თქმა უნდა, მარტყოფი: იუნესკოს მიერ დედამიწაზე ერთ-ერთ უსაფრთხო ადგილად ცნობილი, სადაც ქართველს ქართველი არ მოუკლავს, „სადაც ქართული ანბანი ღვთაების ტოლსწორი ფენომენია... სადაც კახელებმა დღემდე შეინარჩუნეს ქართული ენა, იდენტობა, ადათ-წესები, ტრადიციები...“ (2-130).

ხატავს ქართულ ოჯახებს: რეზო დავითაშვილის ოჯახს, რომელსაც „ქართველ ფერეიდნელთა დროშას“ უწოდებენ, „საქართველოს სიყვარულით ცრემლმდინარე, ქართულ ანბანზე ჯვარდაწერილს“ (2-144), სინოპის ქართული საზოგადოების თავმჯდომარეს, სელამეთინ აიდინს – ხალისიანსა და გულგახსნილს, ენამზიანსა და ქართველობაზე დარდით მოტეხილ მოხუცს (4-320), ექრემ ბაირახტაროღლის – ალალ, შრომისმოყვარე, სამართლიან და სტუმართმოყვარე სოფლის თავს (4-41) და ბევრ სხვას: მოხუცსა თუ ახალგაზრდას, ქალებს, კაცებს, ბავშვებს და ასე თანდათან იკვეთება ფერეიდნელ თუ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების კრებითი სახე-ხასიათი: „გულკეთილი, ჭირთამთმენი, უხვი, ამაყი, გონიერი, სულგრძელი და ალალმართალი“ (2-130), რომელთა სახლებში

რუსთაველის, ილიას, წმ. გიორგის, თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, ქართული ანბანისა და ვაზის ფოტოებია გამოფენილი (2-131). მათ სწორედ ეს – მარადუკვდავი ქართული სული, ქართული ჯიშის შეგრძნება და, რაც მთავარია, ღმერთად ქცეული ქართული ენა აერთიანებთ.

რა დასკვნების გამოტანა შეგვიძლია ნიაზ ზოსიძის შემოქმედების ანალიზის საფუძველზე? უპირველესად, თუკი მიხეილ ბახტინის ცნობილი სიტყვების პერიფრაზს მოვიყვანთ (ის ამას რომანის შესახებ ამბობდა): „Nonfiction“ ჟანრის ხერხემალი ჯერ კიდევ არ გამაგრებულა, ის ჩამოყალიბების პროცესშია და, შესაბამისად, უამრავ ახალ-ახალ ფორმას და ჟანრობრივ სახესხვაობას გვთავაზობს. ვფიქრობთ, ამ მიმართებით საინტერესოა სწორედ ნიაზ ზოსიძის საანალიზოდ გამოტანილი წიგნები. კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი: რა ჟანრობრივი თავისებურებები გამოვლინდა მასში.

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ამ ჟანრში მთავარია ფაქტის, ამბის მიმართ ავტორის სუბიექტურ-ემოციური დამოკიდებულება, მისეული აღქმა, ხედვა, განწყობა, ის გრძნობები, რომლებსაც რეალურად მომხდარი მოვლენა იწვევს/აღძრავს მასში. ამდენად, თხრობის ის გულწრფელი მანერა, სადა, სწორხაზობრივი, მკაფიო და გასაგები სასაუბრო მეტყველება, რომელიც ასე დამახასიათებელია ნიაზ ზოსიძისთვის, ამ ჟანრის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად უნდა ჩავთვალოთ.

აუცილებლად კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი ამ ტიპის ტექსტების თავისებურებას: ფაქტის ობიექტურობა პლუს ხაზგასმული სუბიექტური პოზიცია ავტორისა, მისი ემოციური დამოკიდებულება მოვლენებისა თუ კონკრეტული პირების მიმართ. არ უნდა დავივიწყოთ ავტორის განსაკუთრებული ყურადღება დეტალებისადმი და სხვადასხვა პირების პორტრეტების შექმნის ხელოვნებაც.

ერთი სპეციფიკური ხერხიც აქვს ნიაზ ზოსიძეს და მას პირობითად „დროში მოგზაურობა“ შეიძლება დავარქვათ, ვთქვათ, მწერალი მოგვითხრობს ოთხი საუკუნის წინანდელ ფერეიდნელთა ამბებს და შემდეგ ნახტომისებურად გადავყავართ „სმოგით“ დაბურულ ისპაჰანში, ან გვესაუბრება მუჰაჯირთა სამშობლოდან აყრის მიზეზებზე და შემდეგ უკვე თანამედროვე თურქეთის სოფლებს მოგვატარებს, ქართველთა შთამომავლების დღევანდელ ყოფას გვაცნობს. ამით ავტორი ახერხებს დროის სამი განზომილების ერთიანობის განცდა შემოიტანოს თხრობაში. ამასთან ერთად, ისტორიული წიაღსვლების, ცნობილი თუ უცნობი ეპიზოდების გახსენების შემდეგ ის უკვე მკვეთრად ცვლის თხრობის ინტონაციას, ტემპს, დინამიკას და უკვე მოგზაურის ჩანაწერებს გვთავაზობს. ამ ხერხების ერთობლიობა კი შეუნელებელ ინტერესს იწვევს, ამ შემთხვევაში ხომ აქტიურდება მოულოდნელობის ეფექტი, რადგან მკითხველმა წინასწარ არ იცის, ერთმანეთზე „წაფენილი“ ამბების შემდეგ რა ელოდება.

ნიაზ ზოსიძის ტექსტები გვარწმუნებს, რომ „Nonfiction“-ისთვის დამახასიათებელია, თუ შეიძლება ასე ითქვას, შიგაჟანრული ეკლექტიზმიც: მასში ავტორისეულმა თხრობამ შეიძლება ჩანახატის, მინიატურის, ნოველის ფორმა მიიღოს (ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია წიგნისთვის „ახლა სიკვდილი არ შეძლება“), რომელთანაც მშვიდობიანად თანაარსებობს მეცნიერთა მიერ მოწოდებული ცნობები, ისტორიკოსთა ჩანაწერები, დოკუმენტური თუ მდიდარი ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალა, რომელსაც დიდი მეცნიერული ღირებულება გააჩნია, რადგან, როგორც მწერალი არაერთხელ აღნიშნავს ხაზგასმით, მზარდი ურბანიზაციის, გლობალიზაციისა თუ საინფორმაციო-კომუნიკაციური რევოლუციის ეპოქაში მიმდინარეობს ეთნიკურ ქართველთა დაჩქარებული ასიმილაციის პროცესი, შესაბამისად, ჩვენებურთა მეტყველების თითოეული ნიმუშის დაფიქსირება/შემონახვა ძვირფასი და უნიკალურია მეცნიერებისთვის.

ნიაზ ზოსიძის ტექსტები პოსტმოდერნისტული მეტაპროზის ნიშნებსაც ატარებენ. ავტორი არაერთხელ მიმართავს თვითრეფლექსიას, გვიხსნის თავისი წერის მანერას, ისტორიით დაინტერესების მიზეზებს: „მერე ჩემი კუთხის ისტორიის წაკითხვა მომინდა, არა მშრალის, გამოშიგნულის,

დაშტამპულის, დაკვეთილის, არამედ ადამიანურის, ავ-კარგიანის... მერე მე თავად დავწერე... კი, ვიცი, უბრალოდ წერა ძნელია, გულწრფელად წერა – ურთულესი, რაც გამოვიდა ის გამოვიდა, შე-ვეცადე პოეტური პროზა გამოსულიყო“ (2-63). ასეც გამოვიდა. მწერალი ადამიანურ ისტორიებს მოგვითხრობს და არასოდეს ფარავს თავის სუბიექტურ დამოკიდებულებას, მას აქვს შესანიშნავი უნარი, თავისი ემოცია გადასდოს მკითხველს, „თანამოდარდედ“ გაიხადოს ის და დააფიქროს იმ პრობლემებზე, რომლებიც ქართველთა წარსულს, აწმყოსა თუ ხვალინდელ დღეს ეხება.

ასე რომ, ნიაზ ზოსიძის ტექსტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ: „Nonfiction“ ჟანრის უმ-თავრესი თავისებურება არის ფაქტის, მოვლენის, ამბის მხატვრულ-ესთეტიკურ მოვლენად გა-რდაქმნა ისე, რომ მკითხველს ეჭვი არ შეეპაროს მის რეალურობაში, ამასთან, მკაფიოდ იგრძნოს ავტორის სუბიექტური დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი. ეს ამბები ამოღებულია ხალხის (ამ შემ-თხვევაში – ფერეიდნელებისა თუ მუჰაჯირების) კოლექტიური მახსოვრობის ყულაბიდან და მხატვ-რულად სახეცვლილნი, გრძნობად-კონკრეტული მომენტებით გამდიდრებულნი ისევ უბრუნდებიან საზოგადოების არქეტიპთა განძთსაცავს, რათა, საჭიროების შემთხვევაში, კვლავ გააქტიურდნენ და ჩაერთონ ეროვნული იდენტობისათვის ბრძოლაში. სწორედ ამიტომ აქვს „Nonfiction“ ჟანრის ნა-წარმოებებს, კერძოდ, ნიაზ ზოსიძის ჩვენ მიერ გაანალიზებულ ტექსტებს, არა მარტო მხატვრული, არამედ დიდი შემეცნებით-მეცნიერული ღირებულება და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ნა-ციონალურ-პოლიტიკური დანიშნულებაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზოსიძე ნიაზ, „ნეტაი ადრე მოსულიყავით“, გამ. „მერიდიანი“, თბილისი, 2018, (267 გვ.).
2. ზოსიძე ნიაზ, „გომარჯოს ფერეიდანს“, გამ. „მერიდიანი“, თბილისი, 2019 (250 გვ).
3. ზოსიძე ნიაზ, „ახლა სიკვდილი არ შეიძლება“, გამ. „მერიდიანი“, თბილისი, 2020, (255 გვ.).
4. ზოსიძე ნიაზ, „ცრემლს ნუ გამატან“, გამ. „მერიდიანი“, თბილისი, 2020, (147 გვ.).

შოთა ზოიძის ლირიკული აღსარება ბათუმს

„არ მიცხოვრია მე უბათუმოდ,
მე ვარ ბათუმის ჯვარზე გაკრული“ –

ეს სტრიქონები ეკუთვნის შესანიშნავ ბათუმელ პოეტს, მეცნიერსა და ღირსეულ პიროვნებას, თხემით ტერფამდე ინტელიგენტს, პატრიოტ ქართველსა და თავმდაბალ მოქალაქეს შოთა ზოიძეს, რომლის ლირიკული აღსარებაც მშობლიური ქალაქისადმი არის მიძღვნილი *[ზოიძე შოთა, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ.1-ლი, „ს.ს. გამ. „აჭარა“, ბათუმი, 2012, გვ.34; შემდგომში ციტატებს მოვი-ყვანთ ამ გამოცემიდან, მივუთითებთ მხოლოდ გვერდებს].*

სწორედ კონცეპტი „ბათუმია“ ერთ-ერთი უმთავრესი შოთა ზოიძის პოეზიაში. ეს კონცეპტი მო-იცავს ზღვისპირა ქალაქის პეიზაჟსაც და იდეასაც, მის უმდიდრეს წარსულსაც და თანამედრო-ვეობასაც, პოეტის ბავშვობასაც და ჭარმაგობასაც, სიხარულსა და წარმატებებს, ტკივილსა და

მარცხს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მკვლევართა აზრით, ნებისმიერი კულტურული კონცეპტი თავისთავში აერთიანებს თაობათა გამოცდილებას, სწორედ ამ სახით შედის ის ადამიანის მენტალურ სამყაროში. არსებობს სივრცითი კონცეპტები: ქალაქი, სოფელი, აღმოსავლეთი, დასავლეთი და ა.შ., მაგრამ ჩვენ ვსაუბრობთ არა ზოგადად ქალაქის, არამედ კონკრეტულად კონცეპტზე „ბათუმი“, რომელიც არაერთი ბათუმელი ხელოვანის შემოქმედებაში გამოიკვეთა.

შოთა ზოიძის პოეზიაში ბათუმი თეთრი, თბილი, მზითა და ჩიტებით სავსე ქალაქია, რომლის ქუჩებში მიედინება მის მკვიდრთა ცხოვრების ლურჯი მდინარეები, ამიტომაც თითოეული მათგანი ქალაქის ორგანულ ნაწილად გრძნობს თავს, მის გარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენია:

„ვარ ერთი მკვიდრი და მოქალაქე
ოქროს ჩიტებით სავსე ქალაქო“. (20)

ბათუმი შავი ყავის, თეთრი ვარდებისა და გედების ქალაქიცაა, აქ წვიმაც თბილია და თოვლიც, მისი ლურჯი ცის თავანი კი ყველას ერთნაირად ეალერსება, ამიტომაც წერს პოეტი:

„ბათუმი ჩემი მწვანე აკვანი
და სიყვარულის ზეშთაგონება“. (67)

ბათუმის წვიმა კი განსაკუთრებული ფენომენია, რომელიც, რაც უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს, სულ სხვანაირ ხიბლს ჰმატებს წყვილთა პაემანსაც კი:

„არ ვიცი რატომ, ახლა მომინდა
შენთან შეხვედრა და პაემანი,
მერე ბათუმის წვიმა მოვიდეს,
წვიმამ აავსოს ჩვენი უბანი“. (103)

წვიმით პირდაბანილი კიპარისები, წვიმით სავსე ქუჩები, წვიმაში თმაგაწუწული, პერანგშემოტმასნილი გოგონა, რომელიც პაემანზე მიიჩქარის, მართლაც, მშვენიერი სანახავია. ულამაზეს მელოდიად იღვრება ამ დროს პოეტის სულში სატრფოს სიცილი, მას მხოლოდ ერთი სურს – ფანჯარა ფართოდ გამოაღოს, უცქიროს ციდან თქეშად მომავალ წვიმას, უსმინოს მის განუმეორებელ მუსიკას, დატკბეს წვიმიანი ქალაქის კოლორიტული სურათებით – წვიმა ხომ „თავის ნაკვალევს ტოვებს შავი ქოლგების პეიზაჟებით“ (464).

ბათუმის სავიზიტო ბარათი უდაოდ მისი უნიკალური ბულვარია – ამქვეყნიური სამოთხე, ისაა პოეტის მთავარი მეტაფორა, მისი „სიყვარულის ცეცხლი და ამქარი,“ ბულვარი, რომელსაც ულამაზეს ყვავილებად მოდებიან უმშვენიერესი ქართველი ქალები:

„ბულვარში ერთმანეთს სიყვარულს უხსნიან,
ერთმანეთს ხვდებიან ბათუმის ბულვარში...“ (88)

ამიტომაც ბათუმის სიყვარული თუ დაგემართა, ვეღარასოდეს განიკურნები, შესაბამისად, ყველა გულშიჩამწვდომი მელოდია მას ეძღვნება, ყველა მშვენიერი ტილო მისთვის იხატება, ყველაზე უცხო და ლამაზი მეტაფორებიც მისითაა შთაგონებული.

ბათუმი საპორტო ქალაქია, ამიტომაც ზღვა, გემები, მეზღვაურები და თოლიები მისი პეიზაჟის განუყოფელი ნაწილია; მიწის, მშობლიური ქალაქისა და საყვარელი ოჯახის მონატრება კი ხშირად ასევდიანებს გამოცდილ მეზღვაურებსაც კი:

„მეზღვაურები ტოვებენ მიწას,
ცოლებზე ფიქრით დათოვლილები“. (26)

სწორედ ბათუმს მიუძღვნა შოთა ზოიძემ ლირიკული პოემა „თეთრი ქალაქი“. მასში კონცეპტი „ბათუმი“ მნიშვნელოვანი და განსხვავებული კონოტაციებით ივსება. პოემის ლირიკული გმირი ბათუმის ერთი რიგითი მოქალაქეა, რომელიც, სადაც არ უნდა იყოს, მასზე ფიქრითაა შეპყრობილი. პოეტი სთავაზობს მკითხველს, მასთან ერთად შემოიაროს ზღვისპირა ქალაქის თეთრი ქუჩები, ძველი უბნები, რომლებიც ხმებისა და ფერების მრავალფეროვნებით, სიჭრელითა და სიხასხასით ეჯიბრებიან ერთმანეთს, ყური დაუგდოს, რას ეჩურჩულებიან ხეები, აქ ხომ „ხეც კაცივით გესაუბრება“ (461).

შოთა ზოიძე თვლის, რომ ბათუმი ზღვამ შექმნა, ისაა მისი შემოქმედი: „არ იყო ზღვა, არ იყო ქალაქი, დაიბადა ზღვა, დაიბადა ქალაქი“ (461). შემდეგ შეიქმნა პეტრას დიდებული ციხე-სიმაგრე, შემდეგ – პორტი, მოგვიანებით – პორტო-ფრანკო, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქალაქის განვითარებაში, მორთო და მოკაზმა ის, გაამდიდრა, გაამრავალფეროვნა, გაშენდა უმშვენიერესი ბულვარი და ბათუმის სიმდიდრისა და სილამაზის ამბავი ქვეყანას მოედო.

პოეტი ორიგინალურად იაზრებს ბათუმის ისტორიასაც და თვლის, რომ სწორედ მისი მომხიბვლელობის, სტრატეგიული მდებარეობისა და სიმდიდრის გამო მიიპყრო მან დასავლელ, აღმოსავლელ თუ ჩრდილოელ დამპყრობთა ყურადღება, მიიზიდა ისინი და აქედან დაიწყო ბათუმის ჯვარცმის სისხლიანი ისტორია – ჩვენი ქალაქი საომარ ველად იქცა, სადაც სისხლის მდინარეები მოდიოდა, ჭოროხი წითლად შეიღება, ერთ დროს ვარდყვავილებით მორთული ქალაქის ქუჩებში „დაძრწოდა სიკვდილი – მშიერი მგელი“, „და იყო გლოვად წელი სამასი, / გონიოს ახსოვს ცრემლი საბასი“ (462). რუსები და თურქები კალიასავით მოედვნენ ბათუმს, ერთმანეთს ეცილებოდნენ თეთრი ქალაქის დაუფლებაში, სანამ ბოლოს და ბოლოს არ გამოიღვიძა და არ იყივლა ქართულმა სისხლმა ქართლოსის ჯიშში.

ლირიკულ პოემაში თხრობისას შოთა ზოიძე არ იცავს ეპოქათა თანმიმდევრობას: უძველეს დროს თანამედროვე ცვლის, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან მოულოდნელად მეცხრამეტე საუკუნის ბათუმში აღმოვჩნდებით და ა.შ. კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ პოეტი გზადაგზა, რეტროსპექციის საშუალებით, აღადგენს ისტორიებს, რომლებიც იმ წუთას ამოუტივტივდა გონებაში და, რომლებიც, ალბათ, მისი შეხედულებით, საინტერესო და მნიშვნელოვანია ბათუმის სულის შესაცნობად, მისი ხიფათიანი თავგადასავლის უკეთ გასაგებად.

ლირიკული პოემა „თეთრი ქალაქი“ 2003-2004 წლებში დაიწერა და მას სწორედ ამ ეპოქის ბეჭედი აზის; პოეტი იხსენებს უშუქობის გამო წყვდიადში ჩაძირულ ქალაქს, პურისა და ნავთის რიგებს, ათასი საყოფაცხოვრებო თუ სხვა პრობლემით შეწუხებული ბათუმელების ნაღვლიან სახეებს, რომლებსაც ერთი ადარდებთ – გადაურჩებიან თუ არა ამ ზამთარს.

და ისევ ორსაუკუნოვანი ნახტომი დროში: პოეტი ხატავს 1895 წლის 25 იანვრის დღეს, როცა დიდი ილია ჭავჭავაძე, ვისი „წიგნითაც შევიცანით სამშობლო და ვისი „მადლიც გვმოსავს აჭარლებს“ (468), ჩამობრძანდა ბათუმში, რათა თვალი ედევნებინა ქალაქის თავის არჩევნებისთვის. ილია მარინსკაიას ქუჩაზე მდებარე ვოლსკების სახლში გაჩერდა, რომელიც, სამწუხაროდ, 21-ე საუკუნის ბათუმში დაანგრიეს; პოეტი ასე ხატოვნად გამოხატავს თავის წუხილს მემორიალური სახლის განადგურების გამო:

„ვიგრძენ ვიღაცა წარსულს მპარავდა
და საქართველო დაპატარავდა“. (469)

ბათუმს არა მხოლოდ ერის სულიერი მამის – ილიას – აჩრდილი ახსოვს, მას „საქართველოს ბულბული“ – აკაკი წერეთელიც სწვევია. შოთა ზოიძე შთამბეჭდავად ხატავს საერთო-სახალხო ზეიმის განწყობილებას, რომელმაც ბათუმი და მისი მცხოვრებნი მოიცვა. გვიჩვენებს, როგორ შეებნენ ეტლში ახალგაზრდა ქალ-ვაჟები, რომ აკაკი გაესეირნებინათ ბათუმის ქუჩებში, მიებრძანებინათ საკრებულოში. შოთა ზოიძე აქვე ბათუმისადმი მიძღვნილ აკაკის ლექს-ექსპრომტსაც ციტირებს:

„ვით სპილო არ მწამს სპილოდა,
თუ არ ექნება ხორთუმი,
ისე კავკასი კავკასად,
თუ არ ექნება ბათუმი.“ (470)

ისტორიის ფურცლებს ისევ პოეტის მოგონებების რეტროსპექცია მოსდევს, ის იხსენებს, როგორ ამაყობდა პეტერბურგსა და მოსკოვში იმით, რომ ბათუმელი, შავიზღვისპირელი იყო, როგორ უყვებოდა თავისი რწმენის ტოლფასი თეთრი ქალაქის შესახებ და როგორ ხიბლავდა თავისი მონათხრობით მსმენელებს.

ქართველი პოეტისათვის სამშობლო უპირველესი სალოცავია, ამიტომ მისი ინტერესების გამყიდველი ყველა იუდა და შადიმანია. საუბედუროდ, ახალ საუკუნეშიც არ აკლია ქვეყანას მოღალატეები, ვარსქენის მსგავსი სეპარატისტები, თავიანთი ძალაუფლების დასაცავად ჩოლოქის ხიდსაც რომ ააფეთქებენ. ამ სამარცხვინო და ტრაგიკულ მომენტს ბათუმის არცთუ შორეული ისტორიისას პოეტი დიდი გულისტკივილითა და აღშფოთებით გადმოგვცემს:

„ახლა ჩოლოქთან სამშობლოს ვყიდით,
რატომ გაგიწყრათ რჯული და ღმერთი,
უბედურება ამაზე დიდი,
თუ შეიძლება მითხარით ერთი“. (474)

საინტერესო მხატვრული ხერხია ცნობილი ქართველი პოეტების მიერ ბათუმისათვის მიძღვნილი ლექსებიდან ციტატების ჩართვა პოემაში. ისინი ეხმიანებიან პოეტის განწყობას და ეპოქის სულისკვეთებას, ასე, მაგალითად, პოემის მე-10 ნაწილს ეპიგრაფად აქვს პაოლო იაშვილის ლექსის სტრიქონები:

„და ატორტმანდა ჩვენი ბათომი,
ჩვენი ბათომი მაისის ხვედრი“. (476)

ამ ციტატის პირველი სტრიქონი ზუსტად ხატავს ბათუმელების განწყობას 2003 წლის მაისის ცნობილი მოვლენების დროს. მას კი ეხმიანება ტიციანის ულამაზესი ლექსის სტრიქონები, რომლებიც მოცემულ კონტექსტში სრულიად ახალ შინაარსობრივ დატვირთვას იძენენ:

„მაისი ყველგან არის მაისი,
მაგრამ ბათუმში მაინც სხვა არი“. (476)

მსგავსი პოეტურ-ინტერტექსტუალური დიალოგი ხელს უწყობს სხვადასხვა ეპოქის პრობლემათა ერთ მთლიანობაში წარმოჩენას, ქართველი პოეტების გაერთიანებას „თეთრი ქალაქისათვის“ ბრძოლაში და სრულიად განსხვავებული კონოტაციებით ამდიდრებენ კონცეპტს „ბათუმი“.

აქვე იხსენებს შოთა ზოიძე ბათუმის სხვა მომღერლებს, მამია ვარშანიძეს, რომელმაც „ბათუმზე პირველმა დაწერა შედევრი, / ბათუმზე დაწერა უკვდავი ლექსი“. (47) ვფიქრობთ, ამ ლექსის ალუზიაა პოემის მე-13 ნაწილი – „მამა, მე და ჩემი გიორგი“. მასში პოეტი აცოცხლებს მამასთან ერთად ბათუმში პირველად ჩამოსვლას, იმდროინდელი შთაბეჭდილებები განუმეორებელი და დაუვიწყარია: ზღვა, გემები, ალბატროსი, პეტრას ციხე და იუსუფ კობალაძის გენიალური „ოიდიპოსი“. მაგრამ ამით არ მთავრდება პოემის ეს მონაკვეთი: ახლა თავად პოეტი დაატარებს თავის მემკვიდრეს – თეთრ გიორგის – თეთრი ქალაქის ქუჩებში. ასე იზრდებიან და იცვლებიან თაობები, რომლებსაც ერთი მარადიული რწმენა და სიყვარული აერთიანებთ – ბათუმი – „ძველთაძველიცა და ახალთახალიც“ ერთდროულად – პოეტის შთაგონების უპირველესი წყარო, მისი თავისუფლების მასწავლებელი და უკვდავება, მისი ღირსეული მომფერებელი და ჭირისუფალი.

როგორც ვხედავთ, შოთა ზოიძის პოეზიაში კონცეპტი „ბათუმი“ გამორჩეულია. მისი უმთავრესი კონოტაცია სამშობლოს, თავისუფლებას, ღირსებას უკავშირდება. ამის დამადასტურებელია ორი უდიდესი ქართველის – ილიასა და აკაკისადმი მიძღვნილი ეპიზოდები. სწორედ მათი საქმისა და ანდერძის შემსრულებელნი და გამგრძელებელნი არიან ზღვისპირა ქალაქი და მისი მკვიდრნი, ამ მამულიშვილური ტრადიციის ერთგულება ხდის მარადიულს თეთრ ქალაქს – ბათუმს.

ედეონორა ძიგუა

ჰერმან ჰესე – „ზიდჰარტა“

ზიდჰარტა, ბრაჰმანის ვაჟი, მომავალი ბრაჰმანი, განსწავლული და ყველა სიკეთით შემკული: მოსიყვარულე შვილი, მეგობარი, მაინც სევდიანი, უსიხარულო. იგი თავად ასაზრდოებს დაუკმაყოფილებლობას საკუთარ თავში. გვერდით სიყრმის მეგობარი ჰყავს, გოვინდასავით არავინ იცნობს ზიდჰარტას. მეგობარმა იცის: „იგი არც უბრალო ბრაჰმანი, არც უქნარა მსხვერპლშემწირავი მოხელე, არც ხარბი, ტკბილმოუბარი ვაჭარი, არც მედიდური ფუყე ქადაგი, არც ბოროტი და მზაკვარი ქურუმი, არც ვინმე ფარაში, კეთილი, სულელი ცხვარი გახდებოდა“. არც გოვინდას სურდა ეს. გოვინდა გაუბედავი და მორჩილია, იგი არა ჰგავს ზიდჰარტას, მაგრამ მეგობრებს უსაზღვროდ უყვართ ერთმანეთი. ზიდჰარტა გადაწყვეტილებას იღებს, იგი უნდა გახდეს მოხეტიალე ბერი, სამანა. არის დაბრკოლება, მამას არ ეთმობა შვილი, მაგრამ შვილის გადაწყვეტილება ურყევია, მამა კარგად ხედავს ამას და იგი ლოცვა-კურთხევით უშვებს მას. გოვინდა მიყვება მეგობარს. ისინი შეუერთდებიან მოხეტიალე ბერებს და სამი წელი ცხოვრობენ ასე. ახალგაზრდა ბრაჰმანი გასხივოსნების ძიებაში – თავის ცხოვრებას მედიტაციაში და სწავლებაში ატარებს, მაგრამ უკმარისობის გრძნობა არ ტოვებს. გოვინდა მშვიდადაა, ის, თითქოს იქ არის, სადაც უნდა იყოს. ზიდჰარტამ ბევრი რამ ნახა ამ ხეტიალში, ბევრი რამ ისწავლა. უამრავ ადამიანს შეხვდა: მდიდარს, ღარიბს, ბოროტს, კეთილს, მგლოვიარე ქვრივსა და სხეულით მოვაჭრე კურტიზანს, იგი ხედავს, ყველა თავისი საქმით არის დაკავებული. მწარე გემო აქვს სამყაროს. ზიდჰარტა ფიქრობს, ეს სამყარო არ არის მისი მზერის ღირსი, მას სხვა მიზნები აქვს: „რაც მე დღემდე სამანებთან ვისწავლე, მაგის სწავლას, ო, გოვინდა, უფრო სწრაფადაც და ადვილადაც შევძლებდი, როსკიპთა უბნის ნებისმიერ სამიკიტნოში, ყომარბაზებსა და ჩალვადრებს შორისაც შემეძლო მე ამის სწავლა...“ ზიდჰარტა ფიქრობს, რომ ჩაღრმავება – სხეულისგან დროებით განშორება, სხვა არაფერია თუ არა საკუთარი მესგან გაქცევა. ხანმოკლე გასხლტომა მედ ყოფნის ტანჯვისგან, რომ მცირედი შვების, გაყუჩების მიღწევა – ჩვეულებრივ მეხრესაც შეუძლია ერთი ფიალა ბრინჯის ღვინით.

ამბავი მოვიდა, ვიღაც გამოჩენილიყო გოტამად ხმობილი, ამაღლებული ბუდა. უპოვარი, ასკეტი, ყველა თავს უდრეკსო, ემოწაფება მასო. ხომ ავად იყო ქვეყანა, ძნელი ასატანი ცხოვრება, ამ ცნობამ უწყლო ალაგას – წყაროს ამოხეთქვასავით იმოქმედა ადამიანებზე. ყველა მისი სტუმარი იყო, ყველა მისკენ მიეშურებოდა. მეგობრებიც დაემშვიდობნენ ბერებს. უხუცესს, არ მოეწონა მათი გადაწყვეტილება, მაგრამ ზიდჰარტას სიტყვებმა შთაბეჭდილება მოახ-

დინა მასზე, დალოცა ახალგაზრდები. გოვინდა გაოცებას ვერ მალავს: „ო, ზიდჰარტა, შენ სამანებთან იმაზე მეტი ისწავლე, ვიდრე ამას წარმოვიდგენდი... ჭეშმარიტად, იქ რომ დარჩენილიყავი, მალე წყალზე სიარულსაც ისწავლიდიო“. ზიდჰარტას არ სურს წყალზე სიარული, ამაზე არ ოცნებობს. ამით მცხოვანმა სამანებმა გაიხარონო ამბობს. იგი ეძებს გზას, წრებრუნვიდან დასხლტომა უნდა, მაგრამ კარგად ხედავს, ისევ წრეზე ტრიალებს. მეგობრები შეუერთნენ მომლოცველებს, მოისმინეს ბუდას სწავლება. იგი ტანჯვისგან ხსნის გზაზე საუბრობს. ისინი, გაუტამა ბუდა და ზიდჰარტა ხვდებიან ერთმანეთს, საუბრობენ. ზიდჰარტა იტყვის: „ადამიანი ვიხილე, ერთადერთი, რომლის წინაშეც თვალნი დავხარე... ვერცერთი მოძღვრება ვეღარ მაცდუნებს, რამეთუ ამ კაცის მოძღვრებამ ვერ მაცდუნა მე. განმძარცვა მე ბუდამ... მაგრამ უფრო მეტად დამასაჩუქრა“. გოვინდა დარჩება, შეუერთდება გაუტამას ბერებს. ზიდჰარტა აგრძელებს გზას, მას აღარ სურს თავისი ცხოვრების დაწყება ატმანითა და ამქვეყნიური ტანჯვით. აღარ სურს კვლა და მსხვრევა და ამ ნამსხვრევებში, რომელიც სინამდვილეში მისი სხეული და სულია – იპოვოს საიდუმლო. არც იოგა-ვედამ, არც ათჰარვა-ვედამ, არც ასკეტებმა და არც სხვა მოძღვრებამ არ უნდა უკარნახოს პასუხი შეკითხვაზე „ვინ ვარ მე?“ იგი ზიდჰარტაა და მას სურს თავად ამოხსნას საიდუმლო, რომელიც მხოლოდ მასშია და ვერავინ სხვა ვერ ჩასწვდება მას. „ზიდჰარტას საიდუმლოს ამოხსნა მსურს“ – ახლა იგი ზიდჰარტაა უკვე გამოღვიძებული. უკან მოხედვა აღარ უნდა, მაგრამ იმის შეგრძნება მაინც არ ტოვებს, რომ სრულიად მარტოა, არავინ არის ისე მარტოსული როგორც ის. უახლოვდება მდინარეს, გარშემო იცქირება, თითქოს პირველად ხედავს ქვეყანას: ჭრელი იყო ქვეყანა, უცნაური და ამოუცნობი, ყველაფერი ლამაზი იყო, აქა-იქ ლურჯი, ყვითელი ფერებით. მდინარე მოედინებოდა. ღრუბლები, მდინარე, ყველაფერი ლურჯი იყო და ამ სილურჯეს თავის არსშიც გრძნობდა, ისიც ლურჯი იყო, ირგვლივ ყველაფერი მაგიური, იდუმალი, შუაში იდგა იგი, ზიდჰარტა, მღვიძარე, საკუთარი თავისკენ მიმავალ გზაზე. რა ყრუ ვყოფილვარო, ჩლუნგი. ადრე ფიქრობდა, რომ ოდესმე, ისევ მამასთან დაბრუნდებოდა. ახლა არაფერი ესაქმებოდა იქ: არც სამანა იყო და არც ბრაჰმანი, არც ასკეტი, რა უნდა ეკეთებინა სახლში. იგი ახლა ზიდჰარტა იყო, გამოღვიძებული, ერთმუშტად შეკრული.

ზიდჰარტას მებორნე ღამეს თავის ქოხში გაათევინებს. მისი ფიქრები კვლავ გაუტამასთანაა. აგონდება მასთან საუბარი, სიტყვები ამაღლებულს, რომ უთხრა: „მისი, ბუდას, განძი და საიდუმლო მისი სწავლება კი არ არის, არამედ ის გამოუთქმელი და ის არასწავლული, რაც მან გასხივოსნების ჟამს განიცადა...“ და სწორედ ამის განსაცდელად დაადგა ამ მძიმე გზას იგი და ეს გზა გრძელდება. ღამეს მებორნის ქოხში გაათევს, სიზმრად გოვინდას ნახავს... რად მიმატოვეო, უსაყვედურა მეგობარმა. დილით მებორნემ გადაიყვანა მეორე ნაპირზე – ვიცი, კიდევ დაბრუნდები აქო – უთხრა: მე, ეს მდინარისგან ვისწავლე, ყველაფერი უკან ბრუნებაო, დაემშვიდობა და გზა გააგრძელა – ყველა ვისაც გზაზე შევხვდი გოვინდასავით არიანო, მადლიერნი, თვინიერნი ფიქრობდა ზიდჰარტა. ასეთი ფიქრებით შეაბიჯა ქალაქში. ხედავს ადამიანებს. ადამიანების მზერა აგრძნობინებს რომ ისევ სამანაა. მერე კამალა ჩნდება მის ცხოვრებაში მდიდარი როსკიპი ქალი. ვაჟი სთხოვს სიყვარულის ხელოვნებას მაზიარე, გახდი ჩემი მასწავლებელიო, ქალი გაიცინებს და ეტყვის: „...მრავალი ყმაწვილი მოდის ჩემთან... მაგრამ ისინი მოდიან ლამაზ სამოსში და თხელ წაღებში გამოწყობილნი... თმანაპკურებნი და ფულით ქისასავსენი...“ – რა შეგიძლიაო ჰკითხა ვაჟს: „ლოდინი, მარხვა და ფიქრი შემიძლიაო“, ლამაზი ლექსი უძღვნა ქალს, რომელიც ასე დაამთავრა: „ხომ იქნებოდა უმჯობესი, – ფიქრობდა ყმაწვილი – ღმერთებს კი არა, ლამაზ კამალას შევწირო მსხვერპლი“. კამალა მდიდარ სოვდაგართან უშუამდგომლებს. ამიერიდან ფულის შოვნაზე

უნდა ეზრუნა ზიდჰარტას. იგი მშვენივრად ახერხებს ამას. მისი განსწავლულობა და ბუნებრივი ნიჭი დიდძალ ფულს აშოვნინებს. ახლა მას მოსწონს ფული და სიმდიდრე. ხედავს, ეს არის ძალაუფლებაც. იგი უკვე კამასვამადამიანია და მას კამალა ჰყავს, რომელმაც ხორციელ ვნებებს აზიარა. იგი დაუდევრად ექცევა ფულს, თითქოს დასცინის საკუთარ თავს. ისინი, მდიდარი ადამიანები, ბავშვადამიანებად მონათლა. ასე გადიოდა წლები – ლოთობაში, ყომარბაზობაში. გრძნობდა როგორ იკარგებოდა. ეს არ იყო ის, რასაც დაეძებდა. კამალას ერთი პატარა, იშვიათი, მგალობელი ჩიტი ჰყავდა, ოქროს გალიაში, სწორედ ეს ჩიტი ესიზმრა ზიდჰარტას, დადუმებულიყო, მომკვდარიყო ჩიტი. სიზმარში ჩიტი შორს მოისროლა. გამოღვიძებულს ცუდად ენიშნა ეს, თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვა, თითქოს ამ ჩიტთან ერთად მოესროლა, რაც კი ფასეული ჰქონდა ყველაფერი. მიხვდა, უნდა წასულიყო, უნდა გაცლოდა. მიხვდა თავისი ცხოვრების უაზრობას – ასკეტობაში, გოტამასთან გატარებული დღეები ხსოვნად ქცეულიყო და ეს ყველაზე მეტად აწუხებდა. იხსენებდა მამას, გოვინდას, გოტამას. ნუთუ ისინი უნდა მიეტოვებინა, რომ ვიღაც კამასვამი გამხდარიყო. სიგიჟედ მოეჩვენა თავისი ყოფა. მდინარეს მიადგა. უნდოდა ამოენთხია ყველაფერი, სურდა ამ მდინარეში ჩაეკლა თავისი არსება, აქ ჩაეკლა თავისი უხეიროდ ნაგები ცხოვრება და თავისი ნამსხვრევები ფეხთით მიეყარა ახარხარებული ღმერთებისათვის. ხეს ხელი გაუშვა და საბედისწერო წამს, მისი სულის მიყრუებული კუნჭულებიდან, მისი ცხოვრების წარსულიდან ხმა გამოკრთა – საწყისი და სასრული სიტყვა „ომ“, რაც „სრულქმნილს“, „სრულქმნილებას“ ნიშნავდა. მიხვდა თავისი გადაწყვეტილების სიშლეგეს და იგრძნო, როგორ გაიღვიძა მასში ჩათვლემილმა გონმა და რაც ბოლო დროის ყველა წამებამ, ვერ აღძრა მასში, ამ ერთმა წამმა შეძლო ის, რამეთუ ომმა შეაღწია მის შეგნებაში: მან თავი შეიგრძნო საკუთარ უბედურებასა და შეშლილობაში. მასთან მოვიდა ის, რაც დავიწყებული ჰქონდა: ცოდნა ბრაჰმანისა, ცოდნა სიცოცხლის უმსხვრევობისა, ცოდნა ყოველივე ღვთიურისა. უცბად მოეშვა და ჩაეძინა. გამოღვიძებულმა გოვინდა დაინახა, იგი მის ძილს დარაჯობდა, ვერც კი ეცნო მეგობარი ისე. ისაუბრეს, ზიდჰარტამ, როგორც ყოველთვის გააკვირვა გოვინდა – მეც ვლოცულობო უთხრა მეგობარს. გოვინდას უკვირს, მდიდრულად მორთული მეგობრის ნათქვამი, მლოცველს შესაბამისად უნდა ეცვას, მისთვის მორჩილება უნდა იქცეს ცხოვრების წესად – მორჩილება და სწავლება. ზიდჰარტასთან საუბარი – სხვა სწავლებაზე უფრო მეტად აახლოებს გოვინდას მიზანთან. მეგობრები ისევ ემშვიდობებიან ერთმანეთს. ზიდჰარტა ისევ ვაზუდევას ქოხშია. ეხმარება მოხუცს, ესაუბრება, ისმენს მის რჩევებს. ხმა დაირხევა გაუტამა ბუდას უკანასკნელი დღეების შესახებ. მებორნეებს მომლოცველები გადაჰყავთ ნაპირზე, მათ საუბრებს ისმენენ. კამალასაც გადაეწყვიტა უკანასკნელად ენახა წმინდანი. იგი უმცროს ზიდჰარტასთან ერთად დაადგება გზას. ზიდჰარტამ არ იცის შვილის არსებობის შესახებ. ბიჭი ჭირვეულობს, დაიღალა და დედა-შვილი დასასვენებლად ჩამოსხდება. ჰესე სამჯერ ახსენებს გველს მოთხრობაში, მესამედ მისი გამოჩენა საბედისწერო აღმოჩნდება კამალასათვის – აქ გველი დაბრკოლებაა. კამილას გზა აქ წყდება. იგი გველის ნაკბენისგან გარდაიცვლება. შვილის არსებობით გამოწვეული სიხარული უსაზღვროა, მაგრამ განებივრებული ბიჭი არ ღებულობს მამის სიყვარულს. იგი გაქცევაზე ფიქრობს. მას აღიზიანებს ყველაფერი, რაც ამ უცნაური მოხუცებისგან მოდის და იგი გარბის. ამაოდ დაშვრება ზიდჰარტა. ვაზუდევამ ყველაფერი იცის. იცის როგორ დამთავრდება მისი მცდელობა შვილთან დაახლოებისა, ურჩევს გაუშვას ბიჭი თავის გზაზე, უმცროს ზიდჰარტას თავისი ცხოვრება აქვსო, იქ დედის სასახლეში. ყველა თავად ირჩევსო თავის გზას. თავადაც ასე არ მოიქცა? მიატოვა ოჯახი, მამა და აღარასოდეს დაბრუნებულა იქ. შვილზე ფიქრს ვერ გაექცა, ეწვოდა ჭრილობა, იგი იტანჯებოდა,

მაგრამ მაინც ბედნიერი იყო, შვილის არსებობა სევდანარევი სიხარულით ავსებდა მის სულს. ვაზუდევა ტოვებს მეგობარს... მისი დროც მოსულიყო. ზიდჰარტა მარტო უძღვება ბორანს. დიდი ხანია მდინარე არის მისთვის ყველაფერი: ისეთ უცნაურ ხმებს გამოსცემს იგი, იცინის, ესაუბრება. მოსმენაც უყვარდა მდინარეს, ყველაზე მეტად მოსმენა უყვარდა. გოვინდას ყური მოეკრა საუბრისთვის, ვიღაც მებორნეზე, ბრძენკაცს ეძახდნენ მას, დადიოდნენ მასთან, უსმენდნენ, ისიც ისმენდა მათსას. გულმა იქეთკენ გაუწია, ვერც ამჯერად შეიცნო ბერიკაცში სიყრმის მეგობარი. ზიდჰარტამ იცნო გოვინდა. გაიკვირვა, ისევ ვერ გიცანიო. ბევრი ისაუბრეს. გოვინდას ისევ აოცებს მეგობრის აზრთა სითამამე, იგი ყოველთვის არ ემთხვეოდა იმას, რაც მას ესწავლა და გაეგონა, ამიტომ აკრთობდა: ...ო, ზიდჰარტა, ისევ ისე გიყვარს ქილიკობა. მე მჯერა შენი და ვიცი, რომ არც ერთ მასწავლებელს არ გაჰყოლიხარ, მაგრამ შენ, რაღაც დასკვნებს მაინც მიაგნებდი, რომელნიც საკუთრივ შენი არიან და ცხოვრებაში გეხმარებიან, მიამბე რამეო – სთხოვა მეგობარმა. „...მისმინე, ჩემო გოვინდა, ეს არის ერთი ჩემი აზრთაგანი, რომელსაც მივაგენი: სიბრძნე, არ არის ზიარებადი, სიბრძნე, რომლის გაზიარებასაც ბრძენკაცი შეეცდება, ვითარცა სიბრიყვე, ისე ჟღერს... ცოდნის გაზიარება შეიძლება, სიბრძნისა არა. კაცმა შეიძლება მიაგნოს სიბრძნეს, იმით იცხოვროს, იმით სასწაული მოახდინოს, მაგრამ გამოთქვას და ასწავლოს იგი, შეუძლებელია“.

ზიდჰარტა გოვინდას სიყვარულის მნიშვნელობაზე ესაუბრება. გოვინდამ ის იცის, რაც სწავლებისას მოისმინა – ასე ასწავლეს: „კეთილმოსურნეობას, დანდობას, თანაზიარობას, თმენას ბრძანებს იგი, მაგრამ სიყვარულს არა...“. მან აგვიკრძალა მიწიერი სიყვარულიო. გოვინდა ასე ფიქრობს და ვერ აცნობიერებს, რომ მისი სიყვარული მეგობრისადმი, მოყვასისადმი, იგი რამდენიმე საათი იჯდა და დარაჯობდა: ქვეწარმავლისა და შესაძლო სხვა საფრთხეებისგან იცავდა, სრულიად უცნობ ადამიანს, რომელიც მერე მისი მეგობარი გამოდგა. და, რომ ეს არის ის, რასაც სიყვარული ჰქვია. სიყვარული მოყვასისა, სიყვარული მთლიანად სამყაროსი. ეს დიდი ხნის წინ გააცნობიერა მისმა მეგობარმა. წმინდანია იგი – ფიქრობს გოვინდა. იგი ხედავს – მეგობრის გამომეტყველება, მისი სახე სიმშვიდეს ასხივებს და ყველაფერი მისგან მომდინარე აგრძნობინებს ამას. დამშვიდობებისას შუბლზე მაკოცეო – ეტყვის გოვინდას. გოვინდა სიყვარულით დაიხარა მისკენ და როცა ბაგეებით შუბლზე შეეხო, რაღაც საკვირველი მოხდა მასში: იგი ვერ ხედავდა ზიდჰარტას სახეს, ხედავდა სხვა სახეებს, ბევრ წყებას სახეებისას, ათასობით, ისინი მიიქცეოდნენ და მოიქცეოდნენ და იმავდროულად იქვე იყვნენ ყველანი და მაინც ყველანი ზიდჰარტა იყვნენ...“. უამრავი ზმანება მოვიდა მასთან: აქ იყვნენ მკვლელები, ხედავდა ჩვილის სახეს, ხედავდა კრიშნას, ხედავდა აგნის, ცხედრებს, ხედავდა კეთილთ, ხედავდა ბოროტთ – ხედავდა ღმერთებს... ეს ხილვა ერთი წამით გრძელდებოდა თუ ასი წელი ვერ მიმხვდარიყო. და ამ ერთ წამში მისი მეგობარი ყველა ამ ხილვის ასპარეზი იყო. ცხადში დაინახა ზიდჰარტას ბრძნული, ათასფერი ღიმილი და ეს ღიმილი, ყველაფერი, რაც ასხივებდა მისგან გოტამასი, ბუდასი იყო. ზიდჰარტა იჯდა – წყნარად იღიმებოდა, იქნებ ძალზედ თავაზიანად, იქნებ ძალზედ გამქირდავად, ისე, როგორც იგი, ამაღლებული გაიღიმებდა. გოვინდამ თავი დახარა მოწიწებით უძრავად მჯდომის წინაშე, რომლის ღიმილი ყველაფერ იმას აგონებდა, რაც თავის ცხოვრებაში ძვირფასი და წმინდა იყო მისთვის. არც თავად გოვინდა იყო ისეთი, როგორიც წამის წინ, რადგან იხილა და შეიგრძნო ყველაფერი და მოვიდა სხვაგვარი ცოდნა მასთან.

„წარმოუდგენელი საქმეა შექმნა ბუდა, რომელიც საზოგადოდ აღიარებულ ბუდას აჭარბებს. ზიდჰარტა ჩემთვის უფრო ქმედითი წამალია, ვიდრე ახალი აღთქმა“. ასე შეაფასა ჰესეს ეს ნაწარმოები ჰენრი მილერმა.

ლელა
დუმბაძე

კარლ გუსტავ იუნგის ერთი მოსაზრების გამო

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეში“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერიის 1991 წლის მე-2 ნომერში დაბეჭდილია ინტერვიუ კარლ გუსტავ იუნგთან, რომელიც ჩაიწერა ბი-ბი-სი-ს ტელეკომპანიის წარმომადგენელმა 1959 წელს, 2 წლით ადრე გარდაცვალებამდე.

ხშირად ვკითხულობ ამ ინტერვიუს (ზოგადად მომწონს იუნგის შეხედულებები, მისი წიგნი „ფსიქოლოგიური ტიპების შესახებ“ ჩემი სამაგიდო წიგნია). ჩემი ყურადღება მიიქცია მის მიერ წამოჭრილმა საკითხმა ე. წ. ატიტუდების – განწყობის შესახებ.

იუნგი ამბობს, რომ საჭიროა ჩვენი ატიტუდების სერიოზული შეცვლა.

ჩვენ გვჭირდება მეტი ფსიქოლოგია, უფრო ღრმად უნდა ჩაწვდეთ ადამიანის ბუნებას, რადგან ერთადერთი რეალური საფრთხე, რომელიც დღესდღეობით გვემუქრება – თავად ადამიანია. იგი უდიდეს საშიშროებას უქმნის საკუთარ თავსაც და სხვებსაც, ჩვენ კი მართლაც გულსაკლავ მდგომარეობაში ვართ და ვერც ვაცნობიერებთ ამ ფაქტს; ჩვენ, ფაქტობრივად, არაფერი ვიცით ადამიანის შესახებ, ის კი, რაც ვიცით, მხოლოდ წვეთია ზღვაში. ჩვენი ფსიქიკა სერიოზულ შესწავლას საჭიროებს, რადგან ჩვენ ვართ ყოველივე ბოროტების სათავე.

ადამიანები განსხვავებული ატიტუდებით ხასიათდებიან, ერთსა და იმავე საკითხს სრულიად სხვადასხვაგვარად აღიქვამენ – ეს თავად ადამიანის ფსიქოლოგიურ ტიპზეა დამოკიდებული.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ რეალობა – ეს არის ის, რასაც ყოველი ჩვენგანი სხვადასხვაგვარად აღიქვამს, ესაა შეთანხმების შედეგი ადამიანებს შორის – დაარქვან განსაზღვრული სახელები საგნებს.

ასევე, ჩვენ დიდად ვართ დამოკიდებული ჩვენს ისტორიაზე. ადამიანის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენას ახდენს განათლება, მშობლები, რაც უდავოდ პიროვნულია; ადამიანის წინასწარგანწყობებს ისტორიული იდეები ქმნის, რომლებიც უდიდეს ზეგავლენას ახდენს ჩვენზე, ამ ისტორიულ იდეებს შეიძლება „დომინანტები“ ვუწოდოთ, ისინი ფსიქოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც დღეს და გუშინ არ ჩამოყალიბებულა – „დომინანტები“ კაცობრიობის ხნისანი არიან.

შესაცვლელია ადამიანთა წინასწარგანწყობები.

ახლა მოკლედ მიმოვიხილოთ ატიტუდი.

ატიტუდი (განწყობა) – მზაობა, სუბიექტის წინასწარგანწყობა, რომელიც აღმოცენდება განსაზღვრული ობიექტის გამოვლენიდან წინასწარ გამოიცნოს და რომელიც საწინდარია მყარი, მიზანმიმართული ხასიათის მოქმედებისა მოცემული ობიექტის მიმართ.

ცნება *სოციალური განწყობა* (ატიტუდი) – შემოვიდა სოციალურ ფსიქოლოგიაში და სოც-

იოლოგიაში ინდივიდების, როგორც ჯგუფის წევრების (ან საზოგადოების), სუბიექტური ორიენტაციების აღსანიშნავად, ამა თუ იმ ღირებულებაზე, რომლებიც მიეწერება ინდივიდებს განსაზღვრული სოციალურად მიღებული ქცევის ნორმების საპასუხოდ.

(პიროვნების) სოციალურ ფსიქოლოგიაში ატიტუდი გამოიყენება პიროვნების, როგორც ჯგუფის წევრის, ურთიერთობების შესასწავლად, ამა თუ იმ სოციალურ ობიექტებთან მიმართებაში, თვითრეგულაციის მექანიზმების, სიმყარის და სოციალური ქცევის შეთანხმებულობაში, მაგ. პროპაგანდის მეშვეობით და პიროვნების ქცევის შესაძლო ფორმების პროგნოზირებისთვის განსაზღვრულ სიტუაციებში.

განწყობის ფუნქცია, მისი ეფექტები და შინაარსი იხსნება მისი როლის შესწავლისას მოქმედების რეგულაციაში. ძირითადი ფუნქციებია:

ა) ატიტუდი განსაზღვრავს მყარ თანმიმდევრულ ხასიათს მოქმედების მიმდინარეობისა, გამოდის როგორც მისი სტაბილიზაციის მექანიზმი, რომელიც უფლებას გვაძლევს შევინარჩუნოთ მისი მიმართულობა შეუჩერებლად ცვლად სიტუაციაში.

ბ) განწყობა ათავისუფლებს სუბიექტს გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობისგან, უშუალოდ აკონტროლოს მოქმედების მიმდინარეობა სტანდარტულ, ნაცნობ სიტუაციებში.

გ) განწყობა შეიძლება გამოვიდეს, როგორც ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ინერტულობას, როცა სუბიექტს უჭირს შეგუება ახალ სიტუაციებთან.

გამომდინარე იქიდან, მოქმედების რომელ ობიექტურ ფაქტორზეა მიმართული განწყობა (მოტივი, მიზანი, მოქმედების პირობები), გამოყოფენ სამ იერარქიულ საფეხურს მოქმედების რეგულაციისა – ესენია აზრობრივი, მიზნობრივი და ოპერაციონალური განწყობა. აზრობრივი განწყობა გამოხატავს პიროვნების მოქმედებაში გამოხატულ მის დამოკიდებულებას იმ ობიექტებთან, რომლებსაც აქვს პიროვნული მნიშვნელობა.

პიროვნების აზრობრივი განწყობები წარმოქმნილია სოციალური განწყობებიდან. აზრობრივ განწყობებს გააჩნია ინფორმაციული კომპონენტი (ანტიპათიები და სიმპათიები ღირებულ ობიექტებთან მიმართებით), ქცევის კომპონენტი, მზაობა მოქმედებისა იმ ობიექტებთან მიმართებაში, რომლებსაც პიროვნული ხასიათი აქვს.

აზრობრივი განწყობის დახმარებით, ინდივიდი ეზიარება მოცემული სოციალური გარემოს ნორმებისა და ღირებულებების სისტემას (ინსტრუმენტალური ფუნქცია), ისინი გვეხმარებიან შევინარჩუნოთ პიროვნების სტატუს-კვო დაძაბულ სიტუაციებში (თავდაცვის ფუნქცია), ხელს უწყობენ პიროვნების თვითდამკვიდრებას (ექსპრესიული – ღირებულებითი ფუნქცია), გამოიხატება პიროვნების მიდრეკილებაში – სისტემაში მოიყვანოს მასში მოცემული პიროვნული ცოდნის მნიშვნელობა, ნორმები, ღირებულებები (შემეცნებითი ფუნქცია).

ამ წერილში დასმული საკითხი ერთობ მნიშვნელოვანია. იგი მოითხოვს ფართო საზოგადოების განსჯას. მასში უნდა ჩაერთონ ფსიქოლოგები, სოციოლოგები, ჟურნალისტები და თითქმის ყველა პროფესიის წარმომადგენლები. ჩემი მხრივ კი წერილების სერია გაგრძელდება.

ქუქუნა შაინიძე

სინესთეზურ-კონცეპტუალური მეტაფორა მზია სალვარიძის ლექსში „მაჭახელას ფუტკარო“

მზია სალვარიძის ლექსში „მაჭახელას ფუტკარო“ სინესთეზურ-კონცეპტუალური მეტაფორის თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მზისა და ფუტკრის მხატვრულ-ესთეტიკური სახეები. აღნიშნული ლექსი ხასიათდება საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი ენობრივი ფაქტურით, რომლის არქაულ-დიალექტური ქსოვილი, ხალხური ინტონაცია ორგანულად ერწყმის ტექსტის თემასა და იდეურ შინაარსს. აქ თითოეულ სიტყვას, ფრაზას, ფრაზეოლოგიზმს თუ მეტაფორა-სიმბოლოს ახასიათებს საწყისი (საბაზისო) და მიზნობრივი (კონცეპტუალური) ნიშა. პოეტი ორპოლუსიანი მხატვრული სახეებით, ხშირად კონტრასტული კატეგორიების სინთეზით ქმნის დაძაბულობის ველს, რომელშიც ძირითადი შეტყობინება იძენს საკრალურ ხასიათს. შეტყობინების, შემონათვალი სიტყვის, ამბის გადაცემის, ტრანსფერის, მედიუმის კონტექსტი ფუტკრისა და მზის მეტაფორულ სახეებში აერთიანებს რეალურისა და მითოსურის, ტკბილისა და მწარის, ზედა და ქვედა, ძველისა და ახლის ოპოზიციებს და ერთ მთავარ კონცეპტში უყრის თავს.

ლექსის პირველივე სტრიქონებიდან იკვეთება ძირითადი კონცეპტუალური მეტაფორის – ფუტკრის – საწყისი და სამიზნე ელემენტები. მაჭახელას ფუტკარი, კავკასიური ფუტკრის ერთ-ერთი სახეობაა, ხოლო მეფუტკრეობა მაჭახლის ხეობაში, მიწათმოქმედებასთან ერთად, მეურნეობის ერთ–ერთი ძირითადი დარგია.

ავტორი მაჭახელას ფუტკრის წარმოსახვითი გეზის, ფრენის მიმართულებისა და მისი მხატვრული „დანიშნულება-ფუნქციის“ შეხსენებით იმთავითვე მიგვანიშნებს, რომ ფუტკარი ლექსის მხატვრულ სინამდვილეში ის მედიუმია, რომელმაც უნდა მიიტანოს „ბაბაის თქმული“ სიტყვა (მამის სიტყვის ანალოგია-ალუზია) გაღმელ ბერებთან:

„ნეტაი, ჰაითკენ მიფრინავ
მაჭახელას ფუტკარო?
ბაბაის თქმული თუ გახსოვს,
გაღმელ ბერებს უთხარო“.

თვით ეს „ბაბაის თქმული” სიტყვა, რომელიც ლექსში საკრალიზებულია, პირდაპირ არ არის ნახსენები, მაგრამ ლექსის მომდევნო აქცენტები ისედაც ნათელს ხდის „ბაბაის დანაბარების“ შინაარსს. ამავე დროს, თვით ისტორიული სინამდვილე, როგორც ამ მეტაფორის საწყისი ელემენტი

განსაზღვრავს სამიზნე ელემენტის არსს. როგორც ცნობილია, მაჭახელას ხეობა, რომელიც ბათუმიდან 28 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს, ორ ნაწილადაა გაყოფილი, ზემო მაჭახელა დღესდღეობით თურქეთის საზღვრებშია მოქცეული, ქვემო მაჭახელა კი საქართველოს შემადგენლობაში დარჩა.

წარმოდგენილ ლექსში ფუტკარი, – ეს მგრძნობიარე არსება, რომელიც მითოსურ სახეებში ხშირად გვევლინება გარკვეული ღვთაებების სახე-სიმბოლოდ, იქცა მედიუმად, საკრალურ არსებად, რომელმაც ორად გაყოფილი მშობლიური მხარე უნდა დააკავშიროს ერთმანეთთან. ამ მეტაფორის საწყისი ელემენტებია ფუტკრის თვისებები – ფუტკარი ეტრფის ყვავილს, ნექტარს, ტკბილს, სინათლეს, ქმნის სანთელს, რითაც იგი ღმერთის მსახურად ითვლება. ყოველივე ეს, სრულ თანხვედრაშია მეტაფორის სამიზნე ელემენტებთან.

პოეტი აქცენტს აკეთებს გაყოფილი სოფლის, მხარის, ხეობის და ზოგადად, ქართული ტრადიციების შენარჩუნებაზე, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია ლაზარობის უძველესი რიტუალი:

„ლაზარობა იზამეს
თუ ჩაჰკიდეს ქვაღორღი
ხიდიდან და დუუძახეს:
ნაკვერჩხლების ხათრიზა
გამეიხედე ღრუბლიდან
მზევ და აგზენ გაგორდი!"

ნაკვერჩხალი, ცეცხლი, მწველი ემოცია, ვედრება მზისადმი, – ქვაღორღის ჩაკიდვა ხიდიდან და ნაკვერჩხლის ანალოგიით მზის გამოძახება – „მზეო აგზენ გაგორდი!" – უდიდესი მაგიური ძალმოსილების სიმბოლო-ალეგორიად გვევლინება ლექსში ისევე, როგორც ბიბლიური იესო ნავეს ძის სიტყვები: „მზეო, დადექ გაბაონის თავზე".

სინესთეზური ასოციაციის მრავალრგოლიანი (ტემპოლარული, ტაქტილური, სმენითი, ვიზუალური) ჯაჭვი იქმნება მზესთან დაკავშირებულ მეტაფორაში. კერძოდ, როცა პოეტი ამბობს:

„ხედავ, კარჩხლის წვერიდან
რაფერ დგება მზებერი,
ალბათ, ჩემმა ნენულამ
შემეითვალა ხებერი,
ჰოდა, გევდეთ კალოზე
დარდით გამოკამპულნი
და მევსმინოთ იქიდან
შემოთლილი ქართული".

მზის იმედიანი მზერა („მზე იმედით მაჭიხებს") კარჩხალის სიმაღლიდან ნანატრი ოცნების ახდენის ნიშანია, რასაც ორგანულად ერწყმის ორიენტაციული მეტაფორა: „მაჭახელას ხევისკენ, აუყევი, ფუტკარო" – აღმასვლა, აყოლა, სიმაღლისაკენ აფრენა, როგორც მომავალი ბედნიერებისა და სიხარულის გამოხატულება., ხოლო მზის ამოსვლა, მისი შედგომა კარჩხალის მთაზე, განათება, სევდის გაქარვება, უჰალო ნისლის, ბნელის დამარცხება არის მენტალური პროცესი, გამოღვიძების, სიმართლესთან თვალის გასწორების შესაძლებლობა.

ამ სტრიქონებში მზის მეტაფორა წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიებით:

ვიზუალური –

„ხედავ, კარჩხლის წვერიდან
რაფერ დგება მზებერი“,

ტემპორალური (დროის ნიშნით – მზებერი, უძველესი), ტაქტილური (ტემპერატურა, სითბო როგორც სევდით გამოკამპულთა ნუგეში), მედიაციური (ნენეს შემონათვალის გადმომცემი, მედიატორი), მითოსური აღქმით – მზე-ნენულა, დედა, დიდიდედა, ქართველთა უძველესი დედაქალღმერთი. მზის ხმა, როგორც ნენეს ხმა, მისი ტკბილქართული დედობრივი სითბოთი გაჟღენთილი მეტყველება – სინესთეზიის ერთ-ერთი საინტერესო სახეა:

„და მევსმინოთ იქიდან
შემოთლილი ქართული“.

მზის მიერ მოტანილი ამბავი, როგორც სინესთეზური მეტაფორა, არის სმენითი/ ტაქტილური, ვიზუალური, ასევე ფუტკრის მიერ მოტანილი ამბავი – „ბაბას უთხარ – ვუთხარო“ – ხასიათდება სმენითი, ტაქტილური, ვიზუალური და გემოვნებითი აღქმის ელემენტებით. ფუტკრის მიერ მოტანილი სიტყვა არის თაფლივით ტკბილ-მწარე. მათრობელა, მანუგეშებელი, მაკურნებელი.

ლექსში ბედი წარმოდგენილია როგორც კონკრეტული საგანი, ფორმის მქონე, ვიზუალური, ტაქტილური:

„მაჭახელას ფუტკარო,
ქომო-ქომო იფრინე,
მინდა ნახო სოფლებში
რაფერ ეფათუნება
ჩემი გულის ჯიგარი
და მომიყვე, ესხრიკვის
ბედი თუ ეთბუნება“.

დასხრეკვა, დაკრუნჩხვა, დაგრეხა, – სიმბოლურად – ბედის უკუღმართობა (უკუღმერთობა) გამრუდება. ფილოლოგი რ. ჯაფარიძე თავის ნაშრომში განიხილავს სინესთეზიის ასეთივე მაგალითს თეიმურაზ პირველის პოეზიიდან, რომ ბედი შეიძლება დაიგრიხოს და შექმნას სინთეზური მეტაფორა ტაქტილურისა და ვიზუალური აღქმის ელემენტებით: „დამეგრიხა ბედი მრუდად“ (რ. ჯაფარიძე, 83).

კონტრასტულ საორიენტაციო მეტაფორას ქმნის ზედვაკიდან ვაკისკენ ანუ ზემოდან ქვემოთ წამოსული ნისლის (სევდის, ნაღველის) ღოღვა, რომელიც პოეტის აზრით უჰალოა (ჰალი, ძალა არ აქვს):

„ზედვაკიდან ვაკემდე,
ნისლი ღოღავს უჰალო...“

ამავე დროს ზემოდან ქვემოთ სვლა მეტაფორულად ყოველთვის უკავშირდება დამძიმებას, სევდას, დამცრობას, დაცემას, უპერსპექტივობას, რომელსაც პოეტი უპირისპირებს კარჩხალის თავზე მზის დადგომას:

„ხედავ, კარჩხლის წვერიდან
რაფერ დგება მზებერი“

(შდრ: „ელირსებაო ლუხუმსა, ლაშარის გორზე შადგომა“ ვაჟა-ფშაველა).

ორიენტაციული მეტაფორებია შემდეგ სტრიქონებშიც:

„მაჭახელას ფუტკარო,
ქომო-ქომო იფრინე,
მინდა ნახო სოფლებში
რაფერ ეფათუნება
ჩემი გულის ჯიგარი...“

ქომო-ქომო ფრენა აქ ხალხის წიაღში, მის ფიქრსა და გუმანში გარკვევის მეტაფორაა, ხოლო მაჭახლის ხევისკენ აყოლის მოწოდება სევდისა და მწუხარების სიხარულით შეცვლის ნიშანია, რადგანაც, ავტორის რწმენით, მზე კარჩხალის სიმაღლიდან იმედიანად დაჰნათის მაჭახლის გაღმა-გამოღმა მხარეებს.

„სანამ კარჩხლის წვეროიდან
მზე იმედით მაჭიხებს,
მაჭახელას ხევისკენ
აუყევი ფუტკარო!“

ლექსის საერთო ინტონაცია, განწყობილება, კონტრასტული რიტმი, არქაული და გამიზნულად შერჩეული დიალექტური ლექსიკა ქმნის უდიდეს მხატვრულ-ესთეტიკურ ეფექტს, ორიგინალურ ტროპულ-გამომსახველობით სისტემას, რომელიც თავისი სინესთეტურობით ღრმა კვალს ტოვებს მკითხველის არამხოლოდ გრძნობად-ემოციურ სამყაროზე, არამედ ხელს უწყობს მისი კოგნიტური ელემენტების გაფართოება-განვითარებას.



ოთარ
გოგოლიშვილი

რუსული კოლონიური ხელისუფლების დამყარება აჭარაში

(რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ)

რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივი ურთიერთობა მრავალ საუკუნეს ითვლის, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საუკუნეთაგან უმრავლესი პერიოდი რუსეთი საქართველოს ტერიტორიული დამორჩილებითა და მისი სახელმწიფოებრიობის ხელყოფით იყო დაკავებული.

რუსეთი ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროიდან იყო დაინტერესებული შავიზღვისპირა ტერიტორიით, რაშიც თავის მხვრივ აჭარაც მოიაზრებოდა, ვინაიდან „თვალი იმ ჭიშკრისკენ ჰქონდა მიპყრობილი, რომელსაც ბოსფორის სრუტე ეწოდება“... პეტრე პირველისვე მოსაზრებით რუსეთის ბურჟუაზიას არ ექნებოდა საკმარისი გაქანება თუ ეს სრუტე სხვა ქვეყნის ხელში იქნებოდა. თუმცა, რუსეთის ამ მიზანს განუხორციელებლად მიიჩნევდა ისეთი დიპლომატი, როგორიც გერმანიის კანცლერი ოტო ბისმარკი იყო, რომელიც შავ ზღვას „რუსეთის ტბას“ უწოდებდა. ბისმარკი ფიქრობდა, რომ რუსეთის მიერ ბოსფორის სრუტის, შესაბამისად კონსტანტინეპოლის დაკავება ეწინააღმდეგებოდა ისეთი ქვეყნების ინტერესებს, როგორიც იყო ინგლისი და საფრანგეთი.

მიუხედავად ბურჟუაზიული ქვეყნების პოზიციის აშკარა წარმოჩინებისა, რაც განხორციელდა ყირიმის ომის დროს, რუსეთი მაინც იპყრობდა იმ მნიშვნელოვან პლაცდარმებს, რომლებიც ჭირდებოდა თავისი ინტერესების განხორციელებისათვის. რუსეთმა ერთმანეთის მიყოლებით დაიპყრო შავიზღვისპირა ტერიტორიები: აფხაზეთი, გურია, სამეგრელო და 1878 წელს აჭარაც.

მიუხედავად 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვებისა და მის მიერ მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაკავებისა, თურქეთი ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილების გარეშე არ ათავისუფლებდა ბათუმს, რისი ძირითადი მიზეზი იყო ევროპის ქვეყნების შფოთი, რუსეთის მიერ მიღწეული წარმატებების გამო. შექმნილი სიტუაცია რუსეთს ორი არჩევანის წინაშე აყენებდა: 1) წასულიყო გარკვეულ დათმობებზე და 2) ჩართულიყო ახალ ომში ევროპული სახელმწიფოების კოალიციის წინააღმდეგ. ზემო აღნიშნული გარემოებების გამო რუსეთი მზადყოფნას გამოთქვამდა წასულიყო გარკვეულ დათმობებზე, რაც შემდგომში გამოიხატა იმაში, რომ ბერლინში გამართულ კონგრესზე ინგლისის მთავრობის მოთხოვნით ბათუმი რუსეთს გადაეცა თავისუფალი სავაჭრო ნავსადგურის ანუ პორტო-ფრანკოს სტატ-

უსით. რის შემდეგაც 1878 წლის 25 აგვისტოს რუსეთის ჯარები შევიდა ბათუმში [ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა, ტ. I, 2009:57-58].

რუსეთის მიერ შემოერთებულ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ორი ოლქი ბათუმისა და ყარსის. მათი დიდი სამხედრო მნიშვნელობიდან გამომდინარე 1878 წლის სექტემბერში შემუშავებულ იქნა მათი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობისა და სამმართველო აპარატის სტრუქტურა. კავკასიის არმიის მთავრსარდლის რომანოვის 20 სექტემბრის დადგენილებით ბათუმის ოლქი დაიყო სამ ოკრუგად (ბათუმის, აჭარის, ართვინის) და ცხრა საპოლიციო უბნად. თვითმპყრობელობის გადაწყვეტილებით ბათუმის ოლქი 1883 წელს იქნა გაუქმებული, თუმცა ეს ფაქტი არახელსაყრელი გამოდგა რეგიონის კოლონიზაციისათვის, ამიტომ იგი 1903 წელს კვლავ აღადგინეს [თურმანიძე, 2009: 36-37].

რუსეთის მიერ აჭარის შემოერთებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც, მათ შორის ქართველი მაჰმადიანებისთვის, რომლებიც დიდი სიხარულით შეხვდნენ ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლების ფაქტს, ეს ყოველივე კი თავის მხვრივ ნიშნავდა იმას, რომ მიუხედავად ოსმალთა საუკუნოვანი მმართველობისა, აჭარის მოსახლეობაში ჯერ კიდევ არ იყო გამქრალი ეროვნული მთლიანობის აღქმა [კარალიძე , 2009:46].

აჭარის შემოერთებას დიდი აღტაცებით შეხვდა ქართველი ინტელიგენციაც. ილია ჭავჭავაძე მოუწოდებდა ქართველობას: *„აბა ქართველობავ, ეხლა შენ იცი როგორ დაანახვებ თავს შენს ახალ შემოერთებულ ძმებს! ეხლა შენ იცი როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამაპაპათა ანდერძს: ძმა ძმისთვისა და შავი დღისთვისაო“* [„ივერია“, 1879, 9]. ქართული ტერიტორიების დაბრუნებით გახარებული ილია ჭავჭავაძე 1879 წელს წერდა**:** *„შარშანდელი წელი ჩვენთვის ფრიად ღირსახსოვარია: ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლებისა და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო – დღეს ჩვენ შემოგვიერთდა...“* [ჭავჭავაძე, 1955:18]

რუსთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დასრულების შემდეგ და მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნებს შორის გაფორმებული იქნა ურთიერთმორიგების ხელშეკრულება, რუსეთმა შემოერთებულ აჭარაში დაიწყო თავისი კოლონიური პოლიტიკის გავრცელება, აჭარის შემოერთებით ფაქტიურად მისი იმპერიის შავი ზღვის სანაპირო ზოლი კიდევ უფრო გაფართოვდა, რის შედეგადაც ისევე, როგორც მთელი საქართველო, აჭარაც გახდა იმ პროცესების ნაწილი, რაც მიმდინარეობდა ამ პერიოდის რუსეთის კოლონიურ მხარეებში [მეგრელიშვილი, 2016:1].

დამპყრობლური პოლიტიკა აჭარის მხოლოდ ტერიტორიული თვალსაზრისით დაპყრობას როდი გულისხმობდა, საჭირო იყო ღრმა სოციალური და საზოგადოებრივი სამსახურის გაწევა აჭარელი ხალხის დასამორჩილებლად, ამის მიღწევას კი რუსული ხელისუფლება ახორციელებდა იმით, რომ ცდილობდა აჭარლები დაერწმუნებინა, რომ მათ არანაირი საერთო არ ჰქონდათ ქართველობასთან და რომ ქართული კულტურა მათთვის სრულიად უცხოა [გოგოლიშვილი, 2016:11].

ის, რომ აჭარლებს ქართველობასთან კავშირი არ ქონდა, ამ პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა შემდეგი გარემოებები: სკოლებიდან, სასამართლოდან და საჯარო დაწესებულებებიდან განდევნილ იქნა ქართული ენა, რადგან მომხდარიყო ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა ქართველობასთან. რუსული ხელისუფლება თვლიდა, რომ აჭარელი მაჰმადიანებისათვის რუსული ენა უნდა გამხდარიყო მშობლიური ენა, ხოლო მთებში, სადაც ღრმად იყო ფესვგამჯდარი ოსმალური გადმონაშთები, მათი გეგმით უნდა მომხდარიყო მისი შევიწროება რუსული ენით, შემდეგ კი სრულიად განდევნა. აღნიშნულის შესახებ საუბარია 1901 წელს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის ოფიციალურ წერილში კავკასიის მთავარმმართებლის მიმართ.

აჭარის სრულყოფილად შემოერთების საქმეს რუსეთს ურთულებდა შემდეგი გარემოება, თუ სამეგრელო გურიის შემთხვევაში ერთმორწმუნე მოსახლეობასთან ჰქონდათ საქმე, აჭარის შემთხვევაში საკითხი ცოტა რთულად იდგა, რადგან აჭარის მოსახლეობა სულიერი და სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ოსმალეთთან იყო დაკავშირებული. ეს არის მიზეზი რითაც აიხსნება ის შეპარვითი პოლიტიკა, რომელსაც მიმართავდა რუსული ხელისუფლება აჭარასთან მიმართებაში.

1879 წლიდან თანდათან ჩამოყალიბებას იწყებს როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტები, ასევე მმართველობის ისეთი სისტემები, როგორიცაა, კანცელარია, სამხედრო და საქალაქო დაწესებულებები, პოლიცია, ჟანდარმერია, სამედიცინო და ვეტერინარული დაწესებულებები, ოკრუგებისა და საპოლიციო უბნების სამმართველო აპარატი. ბათუმის ოლქის პირველი სამხედრო გუბერნატორი იყო გენერალ მაიორი კომაროვი, 1881 წელს იგი სმეკალოვმა შეცვალა [სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, 2008:56-57].

რუსული მმართველობის განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა 1879 წლის 5 თებერვალს გამოცემული დებულება, რომლის საფუძველზეც კიდევ უფრო გაფართოვდა ყარსისა და ბათუმის ოლქების გუბერნატორების უფლებები, რამაც თავის მხვრივ კიდევ უფრო გააძლიერა სამმრთველო აპარატი, რომლის ძირითად მიზანს, მხარის კოლონიზაცია წარმოადგენდა. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ რეგიონის დიდი სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე ოლქების მმართველობა ემორჩილებოდა უშუალოდ კავკასიის არმიის მთავარსარდალს, მას ემორჩილებოდნენ ოლქის სამხედრო გუბერნატორები, რომლებსაც ევალებოდათ შეეჩერებინათ რუსული კოლონიური პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა გამოსვლები, მათ ასევე უფლება ჰქონდათ რუსული პოლიტიკის განმტკიცებისათვის შეექმნათ სამხედრო საპოლიციო შენაერთები [თურმანიძე, 2009:38-39].

უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმში არ შექმნილა სასამართლო ორგანოს რუსული მოდელი, თვითმპყრობელობის მიერ აქ დამკვიდრებულ და სათავისოდ გამოყენებულ იქნა სიტყვიერი სასამართლოს მოდელი. მხოლოდ 1879 წლის 9 მაისს ბათუმის ოლქში რვა სიტყვიერი სასამართლო შეიქმნა, განსაზღვრულ იქნა მათი შემადგენლობა, უფლებები და მოვალეობები [სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, 2008:57-58].

აღსანიშნავია, რომ 1877-1878 წლების რუსეთ თურქეთის ომის შემდეგ, ბათუმმა, როგორც მანამდე უმნიშვნელო ქალაქმა, რომელიც ხის სახლებისა და ბარაკების ქალაქი იყო, სწრაფი ტემპით დაიწყო განვითარება, რაც მეტწილად განპირობებული იყო საპორტო ადგილმდებარეობით. მოეწყო სანაპირო ზოლი, გაიხსნა მაღაზიები, აშენდა სიმაგრეები [ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა, ტ. I, 2009:35-36].

მას შემდეგ რაც, ჯერ 1883 წელს ამოქმედდა ბაქო-თბილისი-ბათუმის სარკინიგზო ხაზი, ხოლო 1886 წელს გაუქმდა ჯერ კიდევ 1878 წელს გამოცხადებული პორტო-ფრანკო, დაიწყო ქალაქის სწრაფი ზრდა-განვითარება, იგი ფულის საშოვარ ადგილად გადაიქცა, ძალზედ სწრაფად გაიყიდა მიწები, რამაც განაპირობა ქალაქის სახეცვლილება, ფაქტიურად გაშენდა „ახალი ქალაქი“ [კლდიაშვილი, 1984:37].

სერგეი მესხი გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ თავის სტატიაში, სადაც განხილული აქვს აჭარაში არსებული მდგომარეობა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდგომ, აღნიშნავს, მიწის ყიდვა-გაყიდვის საქმეში შექმნილ სირთულეებს, რომლებიც ძირითადად დაკავშირებული იყო გარემოებასთან, რომლის თანახმადაც, ერთი და იმავე მამულებისა და მიწების გასხვისება ხშირად ორჯერ და სამჯერ ხდებოდა, რისი მიზეზიც იყო ის, რომ ოსმალებმა ქალაქის დატოვებისას თან წაიღეს საკადასტრო დავთრები, საკანცელარიო და საარქივო მასალები. გაუქმებული იყო ბათუმის მეჯლისიც. საქმე კი იქამდე მივიდა, რომ ახალი გუბერნატორი გენე-

რალ-მაიორი კომაროვი იძულებული გახდა გამოეცა ბრძანება, რომლის თანახმადაც უნდა მომხდარიყო უძრავ-მოძრავი ქონების გასხვისების შეჩერება მანამ, სანამ ტრაპიზონიდან, სადაც ბათუმის ოლქის მასალები ინახებოდა, არ მოვიდოდა საკუთრების შესახებ ცნობა [ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა, ტ. I, 2009:93].

ცალკე აღსანიშნავი საკითხია ბათუმის მართვა-გამგეობის სისტემა, ვინაიდან ქალაქი 1878 წლიდან 1886 წლამდე თავისუფალი ნავსადგურის სტატუსს ატარებდა, მას გააჩნდა თავისი ბიუჯეტი, ქალაქს 1888 წლამდე მართავდა პოლიცმეისტერი, რომელსაც ეხმარებოდა 4 დეპუტატი. ქალაქის პირველი პოლიცმეისტერი იყო დ. ჟურული, რომელიც შემდგომში რუსმა მოხელე ვოზნესენსკიმ შეცვალა. 1885 წლიდან ბათუმელები აგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებას მოითხოვდნენ, რისთვისაც არაერთხელ მიმართეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, რომლიც თავის მხვრივ მიმართავდა კავკასიის მთავარმმართებელსა და პეტერბურგის სამეფო კარს. იმპერიის მესვეურების მიერ 1888 წლის აპრილში ბათუმის თვითმმართველობის მიღების საკითხი დადებითად იქნა გადაწყვეტილი, თუმცა მას ძალზედ შეზღუდული სახე ქონდა [თურმანიძე, 2009:47].

1888 წლის სექტემბერში ჩატარებულ სათათბიროს არჩევნებში აირჩიეს 36 ხმოსანი, ქალაქის მმართველად კი დაინიშნა კ. დ. გავრონსკი. უნდა აღვნიშნოთ, რომ არჩევნებში დაწესებული იყო მაღალი ქონებრივი ცენზი, რასაც სათავისოდ იყენებდა სავჭრო-სამრეწველო ბურჟუაზია და სათათბიროში მისთვის მისაღები კანდიდატი გაყავდა [ბენდიანიშვილი, 1982:258].

1894 წლიდან სათათბიროს ხმოსნებმა ქალაქის თავის არჩევის უფლება მიიღეს, ოქტომბერში გამართულ არჩევნებში ქალაქის თავად არჩეულ იქნა ლუკა ასათიანი, გამგეობის წევრებად კი – გრ. ვოლსკი, ი. ივანოვი, ხოლო მდივნად – ი. მესხი. შემდგომ პერიოდში ქალაქის თავის არჩევნები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა. 1901 წელს ქალაქის თავის თანამდებობაზე ლუკა ასათიანი ივანე ანდრონიკაშვილმა შეცვალა, რომელიც ამ თანამდებობას 1915 წლამდე ფლობდა.

ოსმალობის პერიოდში აჭარის სოფლებში არ არსებობდა მმართველი ორგანო, სოფლებს ყავდა მუხტარი, რომელიც კრეფდა გადასახადებს, 1900 წლიდან კი შემოიღეს რუსული მმართველობის სისტემა, რომელიც ორი საფეხურისაგან შედგებოდა, პირველი ეს იყო სოფლის საზოგადოება, ხოლო მეორე იყო სასოფლო ოკრუგი. პირველი მათგანი მოიცავდა ერთ ან რამდენიმე დასახლებულ პუნქტს, მისი მმართველობის უმაღლესი ორგანო იყო კრება, რომელშიც შედიოდა სოფლის მუდმივი მცხოვრებლები, რომლებიც ირჩევდნენ მამასახლისს, თანაშემწეს და საგადასახადო საქმის მოხელეს. ხოლო მეორე რამდენიმე ან ერთ დიდ სოფელს აერთაინებდა, სათავეში უფროსი ედგა თავისი ერთი ან რამდენიმე მოადგილით. სოფლებისათვის საკმაოდ მძიმე იყო ის გარემოება, რომ სასოფლო მმართველობის მთელი ხარჯები სოფლის მოსახლეობას დააკისრეს.

თავისი ინტერესების გატარების მიზნით რუსეთი აჭარაში ქმნიდა სადროშოებს. 1905 წლის 10 აპრილს აჭარელმა ბეგებმა თხოვნით მიმართეს ციმბირის 35-ე პოლკის ხელმძღვანელ ნიკ. სლავოჩინსკის, რათა დახმარებოდა სადროშოს ფორმირებაში. პოლკოვნიკის მოსაზრებით ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა გაამყარებდა კავშირს მოსახლეობასთან, რაც თავის მხრივ შეუწყობდა ხელს რუსული მმართველობის უმტკივნეულოდ დამყარებას, მაგრამ მას შემდეგ რაც საქმე არმიაში გაწვევაზე მიდგა, მან უნდობლობა გამოუცხადა მოსახლეობას. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ პერიოდისათვის აჭარის მოსახლეობა თავისუფალი იყო სამხედრო ვალდებულებისაგან [აცსა, ფონდი ი-1, ანაწ. 1, საქმე 170, ფ-4].

სერგო ყუფარაძე თავის მოგონებებში მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის რუსული თვითმპყრობელობის დამოკიდებულების შესახებ აჭარელთა ჯარში გაწვევასთან დაკავშირებით.

როგორც იგი აღნიშნავს მიუხედავად რამდენიმე მცდელობისა მოყოლებული 1878 წლიდან 1917 წლამდე თვითმპყრობელობამ აჭარელთა ჯარში გაწვევა ვერ გაბედა. პირველი მცდელობა 1910 წელს ქონდათ, თუმცა, გუბერნატორი რომანოვსკი, რომლიც საკმაოდ კარგად იცნობდა ადგილობრივ მდგომარეობას, მთავრობას ამ საკითხის 25 წლით გადადება სთხოვა, ვინაიდან იგი ფიქრობდა ამისათვის ჯერ ნიადაგი იყო მოსამზადებელი. ბათუმის სამხედრო გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვალს ატყობინებდა, რომ არამც თუ სავალდებულო სამხედრო ბეგარის შემოღება, არამედ საკმარისი იყო აჭარაში საუბარი ამ საკითხზე, ჯარში გასაწვევი ახალგაზრდები მაშინვე მუჰაჯირობას მიმართავენ და ოსმალეთში გაიქცევიანო. მისი მოსაზრებით საჭირო იყო ორი-სამი თაობის გაზრდა რუსული კოლონიური პოლიტიკის პირობებში რომ მოხდარიყო გარდატეხა და შემცირებულიყო მათზე ხოჯებისა და მოლების გავლენა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივ მოსახლეობას მნიშვნელოვან თანამდებობებზე არც კი აკარებდნენ, მათ მხოლოდ დაბალ სამოქალაქო სამსახურსა და რიგით პოლიციელებად იყენებდნენ. 1903 წლამდე ბათუმის ოკრუგის მმართველობაში თითო ოროლა ქართველი მონაწილეობდა, პირველი უფროსი იყო გრიგოლ გურიელი, რომელიც 1880 წელს სამსონ ლორთქიფანიძემ შეცვალა. 1903-1917 წლებში ქართველთა გამოყენება საპოლიციო სისტემაში კიდევ უფრო დიდი იშვიათობა გახდა, შეიძლება ითქვას ერთადერთი პიროვნება, რომელიც 1910-1912 წლებში ზემო აჭრის საპოლიციო სისტემაში უფროსად მუშაობდა იყო ჯემალ ხიმშიაშვილი [თურმანიძე, 2009:39-44].

რუსეთი ახლადშემოერთებულ აჭარის რეგიონისათვის მაქსიმალურად ცდილობდა თავისი კოლონიური პოლიტიკის მორგებას, ვინაიდან ეს რეგიონი მისთვის მრავალმხვრივი მნიშვნელობის მატარებელი იყო, შესაბამისად რაც უფრო ღრმად მოხდებოდა ამ რეგიონში მათი მმართველობის დამყარება, ეს ფაქტი მით უფრო მეტ წყალს დაასხამდა თვითმპყრობელთა წისქვილზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგოლიშვილი ო. – ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის შესახებ ბათუმის ოლქში. ბათ., 2016.
2. თურმანიძე ო. – საადგილმამულო ურთიერთობანი და აგრარული მოძრაობა სამხრეთ დასავლეთ საქართველოში, ბათ., 2009.
3. კარალიძე ჯ. – აჭარა 1878-1903 წლებში. ბათ., 2009.
4. კლდიაშვილი დ. – „ჩემი ცხოვრების გზაზე“, ბათ., 1984.
5. „ლიტერატურული აჭარა“, №1, 1966.
6. „ლიტერატურული აჭარა“, №4.
7. მეგრელიშვილი მ. – სამეცნიერო შრომების კრებული: სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია), ტ. 6, ნაშრომი: „რუსული მმართველობა აჭარაში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის პირველ ოცწლედში“. ბათ., 2016.
8. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, ბათ., 2008.



როინ აბუსელიძე

მე სიყვარული წიგნებიდან და ფილმებიდან არ მისწავლია...

აჭარის ქაშუეთში დაიბადა და გაიზარდა. ბავშვობიდან ლიტერატურა და ისტორია უყვარდა, ჩუმად ლექსებსაც წერდა. მერე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა.

ლიტერატურის, მწერლობის სიყვარულს დედას უმადლის.

ასე ნელ-ნელა დაიბადა წიგნები: „იერუსალიმი“, „აჭარა – ფარი საქართველოისა“, „ნეტაი, ადრე მოსულიყავით“, „გომარჯოს ფერეიდანს“ და „ცრემლს ნუ გამატან“... მერე ნოველებმაც იხილა დღის სინათლე.

შარშან გამოვიდა ერთობლივი წიგნი ორ პოეტთან ერთად – როინ აბუსელიძესთან და სულხან წულუკიძესთან ერთად, რომელშიც პოეტების ოცდაათ-ოცდაათ ლექსთან ერთად მისი ოცდაათი ნოველაც გაერთიანდა. – მწერლისა და ფილოლოგის ნიაზ ზოსიძის პერსონა.

– ყველა ადამიანს თავისი ისტორია აქვს. საიდან იწყება ნიაზ ზოსიძის ამბავი, როგორია იგი?

– ჩემი ისტორია ქაშუეთიდან იწყება. იქ დავიბადე და იქ გავიზარდე. ლამაზი, თბილი, ლაღი ბავშვობა მქონდა. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ჩემი ბავშვობა უღმერთობის ხანას დაემთხვა. სისტემა ქადაგებდა, ღმერთი არ არსებობს, ლენინია ჩვენი სინდისი, ნამუსი და ხვალინდელი დღეო! ღმერთზე არ მქონდა არავითარი ინფორმაცია, სულ მიკვირდა, თუ ღმერთის გაჩენილია დედამიწა, ადამიანი, სიკეთე, მაშინ რატომაა აკრძალული-მეთქი...

მათემატიკის ინჩი-ბინჩი არ მესმოდა, სამაგიეროდ, ლიტერატურა მიყვარდა, ისტორია მიყვარდა, ჩუმად ლექსებსაც ვწერდი, ვიზეპირებდი და ვხევდი. მერე ქაშუეთის ნაეკლესიარზე გავიგე რაღაც-რაღაცები და მოსვენება დავკარგე, როგორი იყო ქაშუეთის ეკლესია, ანუ ღმერთის სახლი,

როგორი ფრესკებით იყო მოხატული-მეთქი... მერე ღვინოსაც შევეპარე და ღვინით შეხურებულ თავში ათასნაირი აკრძალული თემების შესახებ კითხვები მიჩნდებოდა...

– სოფლიდან ქალაქისკენ...

– მეექვსე კლასში ვიყავი, როდესაც მამამ ბათუმში ჩამომიყვანა სპეციალურად სპექტაკლის სანახავად. მოვიხიბლე, მომეწონა, განსაკუთრებით, ნინო საკანდელიძე. მერე ცირკში გადავირიე, მერე პლაჟზე ტიტველი ქალების და გემების ნახვით. ნაყინი მაშინ გავსინჯე...

მერე, სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისში გამაგზავნეს უმაღლესში ჩასაბარებლად, თან დარიგებები მომაყოლეს: ყველაფერი აწონ-დაწონე, დაკვირვებული იყავ, ყველას ნუ ენდობი, ბეწვს გამოგაცლიან თვალიდან, ფული შიგნითა ჯიბეში გქონდესო...

უმაღლესში ჩაბარებას რა უნდოდა? ყველაფერი წაკითხული მქონდა, ყველაფერი ვიცოდი, აბიტურიენტები მშობლებს ჩემზე უთითებდნენ, ეს არის ზოსიძე, ყველაფერი რომ იცისო...

რაც ფილოლოგიის ფაკულტეტზე შევიტანე, იმის ნახევარი ცოდნით გამოვედი უკან. სამაგიეროდ, სხვა ბევრი რამ შევისწავლე ცხოვრებისეული.

ლეო კვაჭაძე მიკითხავდა გრამატიკას და ხშირად იტყოდა, ქართული გრამატიკა მათემატიკაზე უფრო რთულიაო. მიხაროდა ამის გაგონება, ე. ი. არ ვყოფილვარ ლენჩი-მეთქი. აკაკი გაწერელია მიკითხავდა საზღვარგარეთის ლიტერატურას – მსოფლიო მასშტაბის მეცნიერი.

მეგობრობის მასტერკლასი მაია კენკებაშვილმა, ნინო ჯელაძემ, ლია ჩიკაშვილმა, ნინო ჩიხრაძემ და მარიკა ლელაშვილმა ჩამიტარეს...

– როდის, სად, როგორ, რანაირად დაიბადა მწერალი ნიაზ ზოსიძე, რამ გიბიძგათ, რომ პარნასის კარი თქვენც შეგეღოთ?

– ეს უფრო დედაჩემის დამსახურებაა. იმდენი ლექსი, ლეგენდა, სიმღერა, გამოცანა, შაირი იცოდა და ისე შემაყვარა, რომ სხვა რამის გაგონება აღარ მინდოდა. იმასაც მეტყოდა, წერაზე სახათაბალო საქმე დედამიწაზე არ მოიძებნებაო, მაგრამ ეგ არის მთავარი სულის საზრდოო. კითხვა მიყვარდა-მეთქი, კი ვთქვი, იმდენად, რომ ბებიაჩემი გაბრაზდა, ამდენ კითხვა-კითხვაში შეიძლება ტვინი გადაეღალოს და გამოლენჩდესო, ამ ქვეყნის არაფერი ეცოდინება და ცოდვა იქნება მერეო.

ჭკუაში დამიჯდა ეს შეგონება, ბურთს და სპორტს მივაწექი. დაღლილ-დაქანცული, მტვერში ამოგანგლული ვბრუნდებოდი სახლში...

რაღაცებს ვწერდი-მეთქი, ხომ გითხარი, ჰოდა, ამათ რომ ვუკითხავდი ბებიას, ერთხელ შემაქო: ნენი, ჩემო ოქროს ჭუჭულო, მალადეც, ასე მგონია, ვუყურებ და ვხედავ ამბავსო... სოფელში საითკენაც არ უნდა გაგეხედა, ნატურმორტი და ნოველა იყო... მას შემდეგ ნახული და გაგონილი აჟურში მომყავს.

– ვაჟა-ფშაველასთან ტყე ლაპარაკობს, ზურაბ გორგილაძესთან – ჩიტები, ფრიდონ ხალვაშთან – მდინარე, თქვენს შემოქმედებაშიც საუბრობს ბუნება. რამდენად უგდებთ ყურს და რას გიყვებათ იგი?

– მადლობა, როი, ამ კითხვისათვის. ისე, რაც არ უნდა ბიოგრაფიები დაიწეროს, გამოქვეყნდეს საუბრები და ინტერვიუები, მაინც არასრული იქნება შემოქმედზე წარმოდგენის შესაქმნელად. მწერლის სული და სახე მის ქმნილებებში უფრო კარგად ჩანს...

კი იცი შენ, ვირგილიუსის პოემა „გეორგიკები“. ეს არის ერთგვარი პოეტური ენციკლოპედია ოჯახზე, მიწაზე, ცაზე, ბუნების მოვლენებზე, მის სიმშვენიერეზე, ტყეზე, მინდორზე, ყანაზე, მთა-ბარზე, სიცოცხლეზე, წელიწადის დროთა ტრიალზე...

შენ რომ ჩამოთვალე, იმათსავით ვერა, მაგრამ მეც ჩემებურად ვცდილობ ამას, უბრალოდ, სადად, მარტივად, სათქმელის დახლართვა არ მიყვარს... მეც ხშირად ბუნებას ვარ მიდევნებული, ხან კალაპოტს ვუცვლი, ხანდახან ფერებს, ზოგჯერ მარილს, სიტკბოს, სევდას ვამატებ.

– ფერეიდანში იმოგზაურეთ. ამის შესახებ მოგვიყევით. საიდან დაიბადა ეგ სურვილი, გვიამბეთ იქაურ ქართველებზე.

– უფალს ვმადლობ, რომ წილად მხვდა ბედნიერება, ჩავსულიყავი ფერეიდანში, შევხვედროდი იქაურ ქართველებს... ამის შესახებ გამოვეცი წიგნი „გომარჯოს ფერეიდანს“... აქ აღარ შევუდგები დეტალურად აღვწერო ეს მოგზაურობა. ვიტყვი:

– ფერეიდნელ ქართველმა ზღვის დონიდან 2500 მეტრზე ვაზი რომ არ მოყინულიყო, ზამთრობით ვაზის ლერწის მიწაში დამარხვა მოიგონა;

– იქ პოლიცია უსაქმოდაა, რადგან დანაშაულობები არ ხდება;

– იქ ყველა შენობას ქართული წარწერა ალამაზებს;

– იქ ქართული ანბანი ღვთაების ტოლსწორი ფენომენია;

– იუნესკოს ცნობით, ქალაქი ფერეიდანი მსოფლიოში ყველაზე უსაფრთხო ადგილია.

უფალო, მადლობა, რომ მაჩვენე ერთ მუშტად შეკრული ქართველობა...

უფალო, მადლობა, რომ ქართველის მიერ ქვა-ხრიოკიდან წალკოტად ქცეული საცხოვრისი მანახე.

– როგორც ამბობენ, სიყვარული ყველას ეწვევაო, როგორ იყო თქვენს შემთხვევაში, რა დატოვა მან კარგი და ცუდი?

– მე ერთი ვიცი, სიყვარული თუ არის, სიკეთეც იქ იქნება... ერთ დღესაც მოვკრეფ მიმონახულ, მიმოფანტულ ფურცლებს, ქაღალდის ნაგლეჯებს, მოგონებებს და წიგნად ვაქცევ. იქ ვიტყვი სიყვარულზე, მარტივად, უბრალოდ, ფილოსოფიის გარეშე...

მე სიყვარული წიგნებიდან და ფილმებიდან არ მისწავლია...

მე სიყვარული ვარდო დიასამიძემ მასწავლა... ის ჩემთან აღარ არის, მაგრამ მაინც ჩემთანაა და ყოველ დღეს ვსაუბრობთ...

– ხართ რამდენიმე წიგნის ავტორი, მათზე რომ გვესაუბროთ...

– ახალს ვერაფერს გეტყვით. ნათქვამს გავიმეორებ. ღმერთის შესახებ რომ გავიგე, ავფორიაქდი: სად არის ღმერთი? ზეცაში, ქვესკნელში, გულში, ტვინში, სად დაიბადა, სად დადიოდა, სად ეწამა, სად დაასაფლავეს?..

მოვიარე იერუსალიმი, მოვილოცე სიწმინდეები, ყველაფერი გავიგე, ყველაფერში დავრწმუნდი, ყველა კითხვაზე პასუხი მივიღე და ამ მოგზაურობას მივუძღვენი წიგნი „იერუსალიმში“.

მერე აჭარამ ამაფორიაქა, მისმა ისტორიამ, მისმა გმირობამ, როგორ გაუძლო, როგორ გადარჩა? წარმოიდგინეთ, ოსმალობის ჟამს, აქ არ იყო არც ერთი სკოლა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, აშთობდნენ ქართველობის ყოველგვარ ნიშანწყალს, უნგრევდნენ კულტურულ და რელიგიურ ძეგლებს... მისხალი შეცდომა არ დაუშვია ამ სისხლიან ჟამთასვლაში აჭარას! ამას ეძღვნება წიგნი „აჭარა – ფარი საქართველოისა“...

მერმე საზღვარმიღმელ ქართველებს მივუძღვენი სამი წიგნი: „ნეტაი, ადრე მოსულიყავით“, „გომარჯოს ფერეიდანს“ და „ცრემლს ნუ გამატან“... მერმე ნოველებით აკინძული წიგნებიც მესტუმრა...

– ქალაქის ხმაურიან ღამეში უცებ გამოღვიძებულს რა მოგნატრებიათ ყველაზე მეტად და ამ მონატრების გამო თუ ჩაგიდენიათ რაიმე უცნაური საქციელი, კარგი საქციელი?

– მე ბებიაჩემის ლოცვა-ფილოსოფიით ვცხოვრობ: „გამჩენელო, ჯერ ყველაი კარგად ამყოფე და მეცო!“ ჯერ მე კი არა, სხვა და მერე მეო... უცნაურობებიც წამომივლის ხოლმე, შეიძლება ხვალ ეგვიპტეში გავიქცე, შეიძლება მტირალადან მოგესიყვარულოთ, ღომას, საყენდრიას მთებიდან გადმოგხედოთ, რომელიმე ნატაძრალ-ნაეკლესიარს მივადგე ფეხით და ქლოშინით, ხეტიალის მოყვარული კაცი ვარ, არ ვიცი, რა და როდის მომენატრება. ისე, ყველაზე მეტად მთიანი აჭარის კილო-ხმები, გლეხური ცხოვრების იდილია, თავანკარა კილო-კავი მიყვარს და იქ გავრბივარ. იქიდან მოდის სამაგალითო ზნეობის, გარჯის, ოჯახური სიწმინდის ნაკადულები...

აქვე გეტყვი, როი, და ძალიან გთხოვ, ეს აბზაცი დამიტოვე, დანარჩენი მიმოჩეხე თუ გინდა!..

მკითხველო, თუ დააკვირდები, და, ვიცი, დაკვირვებიხარ, შეიძლება, ზოგჯერ ჩემი სიტყვა-ნათქვამი სალიტერატურო ენის ლექსიკონში არ შეგხვდეთ, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, ეს სიტყვები ძალიან ლაღად და თავისუფლად გრძნობენ თავს და სათქმელს კარგად გამოხატავენ!

– წიგნები უხვად გამოეცი... სამომავლოდ რა სურვილები გაქვს?

– ახლა მაგარ საქმეში ვარ. ჩემს ორ უსაყვარლეს პოეტთან, შენთან და სულხან წულუკიძესთან ერთად გამოვიდა ერთობლივი წიგნი, თქვენი ოცდაათ-ოცდაათი ლექსი და ჩემი ოცდაათი ნოველა... მადლობა თქვენ, რომ მომიწონეთ იდეა და ამ წიგნმა იხილა დღის სინათლე.

კიდევ ორი წიგნი: „ახლა სიკვდილი არ შეიძლება“ და „ჩემი სამარადჟამო“... ბოლო პატრიარქის კურთხევით.

ეგვიპტეში წასვლა მაინც მინდა, იმ ადგილების მონახულება, სადაც ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლები ჯერ კიდევ არიან შემორჩენილი – კაიკაციშვილი, გუგუნავა, ინაიშვილი, პაპუნაიშვილი, ბეჟანიძე...

– და ბოლოს, რას უსურვებდით ჩვენს სამშობლოს, როგორ საქართველოში გინდათ იცხოვრონ თქვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა?

– გამთლიანებულ საქართველოში მინდა იცხოვრონ, წელში და ხერხემალში გამართულ საქართველოში, სადაც არ იქნება დაძაბუნებული სოფლები და უსინათლო სახლები...

და მთავარი... განათლებულ საქართველოში მინდა იცხოვრონ.

ჭოროხი 6

2022

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2022 malkhaz.pagava@gmail.com